ქეთევან მესხიშვილი

კერძო სამართლის აქტუალური საკითხები

თეორია და სასამართლო პრაქტიკა



ტომი I

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

ქეთევან მესხიშვილი

კერძო სამართლის აქტუალური საკითხები

თეორია და სასამართლო პრაქტიკა

ტომი I

თბილისი, 2020

წინამდებარე გამოცემა შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. 1993 წლიდან GIZ-ი საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ღონისძიებებთან ერთად GIZ-ი ზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე. GIZ-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

ავტორი:
ქეთევან მესხიშვილი – თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

ენობრივი რედაქტორი **თამარ ჭალიძე**
ტექნიკური რედაქტორი **გვანცა მახათაძე**

ISBN 978-9941-8-2099-1

© ქეთევან მესხიშვილი, 2020
© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020
გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: lawlibrary.info/ge

სარჩევი

ვალის აღიარება 7
შესავალი 7
1. ვალის აღიარების ნორმატიული შინაარსი 8
2. აღიარება 10
2.1. ფაქტის აღიარება 10
2.2. ვალის დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარება 11
2.3. ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარება 13
3. ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) და დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარების შედარებითსამართლებრივი ანალიზი 18
4. ვალის პოზიტიური და ნეგატიური აღიარება 19
5. ვალის საპროცესოსამართლებრივი აღიარება 20
6. მორიგება, როგორც ვალის აღიარების ფორმა 21
7. სხვისი ვალის აღიარება და ვალის გადაკისრება 24

თავდებობის სამართლებრივი ასპექტები 29
1. თავდებობის არსი 29
2. თავდების ქონების თაობაზე დადებულ გარიგებათა ნამდვილობა 29
3. თავდებობის ხელშეკრულება 31
4. თავდებობის ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტები 31
5. თავდებობის ხელშეკრულების შინაარსი 32
6. თავდებობის ხელშეკრულების ფორმა 33
7. თავდებობის აქცესორული ბუნება 35
8. სუბსიდური და სოლიდარული თავდებობა 37
9. თავდებობის ურთიერთმიმართება სანივთოსამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებებთან 39
10. თავდებობა და ვალის პატიება 39
11. თავდებობის გამიჯვნა მომიჯნავე ინსტიტუტებისაგან 40
12. თავდებობის შეწყვეტა 46
13. თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შედეგები 48
14. არასრულწლოვანთა თავდებობა 49

სოლიდარული ვალდებულება 53
1. სოლიდარული ვალდებულების არსი 53
2. საპროცესო თანამონაწილეობა სოლიდარული ვალდებულების არარსებობის პირობებში 57
3. სოლიდარული ვალდებულების სამკუთხედი 58
4. მოვალეთა ე.წ. „გარე ურთიერთობა“ კრედიტორის მიმართ 59
5. მოვალეთა ე.წ. „შიდა ურთიერთობა“ 65
6. მოთხოვნის გადასვლა 69

7. სუბროგაცია, რეგრესი, ცესია 70
გარიგების ფორმის ფუნქცია 73
1. გარიგების ფორმის ფუნქცია 73
2. გარიგების კანონით ანდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმა 73
4. გარიგების ფორმადაუცველობის სამართლებრივი შედეგები 78
5. საჯარო რეესტრის რეგისტრაციისა და გარიგების ფორმის ფუნქცია 81
6. საჯარო რეესტრის რეგისტრაციისა და ხელმოწერის სანოტარო წესით დადასტურების მნიშვნელობა 83
პირგასამტეხლო 86
1. პირგასამტეხლოს კანონისმიერი დეფინიცია 86
2. პირგასამტეხლოს არსი, ფუნქცია და თავისებურებები 86
3. პირგასამტეხლოს აქცესორული ბუნება 89
4. პირგასამტეხლოსა და მოვალის გარანტიის ურთიერთგამიჯვნა 90
5. პირგასამტეხლოს ფორმა 91
6. ვალდებულების დარღვევა, როგორც პირგასამტეხლოს გამოყენების აუცილებელი წინაპირობა 92
7. პირგასამტეხლოს გამიჯვნა სხვა მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან . . . 94
8. პირგასამტეხლოს ურთიერთმიმართება ვალდებულების შესრულებასა და ზიანის ანაზღაურებასთან 95
9. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება 96
პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას 101
შესავალი 101
1. ნორმის ისტორიული ანალიზი 102
2. ნორმის განახლებული რედაქციის ბუნდოვანება და კვლევის აქტუალობა 104
3. ნორმის მიზანი და რეგულირების საგანი 104
4. ნორმის სუბიექტები 105
5. ნორმის მოქმედების ფარგლები 105
6. სასამართლო პრაქტიკა 112
7. ვადაგადაცილებისათვის პროცენტის დაკისრების პერიოდი 114
8. შეუსაბამოდ მაღალი სარგებლის შემცირება 115
9. პროცენტი, ვადაგადაცილების პროცენტი და პირგასამტეხლო – შედარებითსამართლებრივი ანალიზი 116
10. პროცენტიდან პროცენტის გადახდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაძლებლობა 117
დასკვნა 118
წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი) 119
1. შესავალი 119
2. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა 119
3. წინარე ხელშეკრულება 124

4. ბე 125
ვალუტის კურსის ცვლილების ზეგავლენა სამოქალაქო ურთიერთობებზე 127
შესავალი 127
1. ნომინალიზმის პრინციპი 127
2. ნომინალიზმის პრინციპი სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის წინააღმდეგ 129
3. ნომინალიზმის პრინციპი სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის ლოგიკური ახსნა-განმარტების შესაბამისად 131
4. სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის ისტორიული კონტექსტი, მისი ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზი 132
5. ნომინალიზმის პრინციპის მოქმედების ფარგლები 135
6. ნომინალიზმის პრინციპთან დაკავშირებული რისკები 136
7. ნომინალიზმის პრინციპიდან გამონაკლისები 138
8. ვალუტის ცვლილება 139
სამომხმარებლო კრედიტი 141
შესავალი 141
1. სამომხმარებლო კრედიტის არსი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლის მიხედვით 143
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლის მოქმედების ფარგლები 145
3. სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულების ფორმა 146
4. სუბიექტები 147
5. შესაგებლის უფლება 149
დასკვნა 150
სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება 152
1. მტკიცებულებათა წარდგენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით 152
2. მტკიცებულებათა შეფასება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით 155
3. მტკიცებულებების შეფასება: შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა 161
4. მტკიცებულებების შეფასება საქართველოს მაგალითზე 169
მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში 172
1. პრეზუმფციის არსი და მისი გაქარწყლების თეორიულ-პრაქტიკული ასპექტები . . 172
2. პრეზუმფციის მნიშვნელობა მტკიცების ტვირთის განაწილებისას 174
3. სასამართლოს როლი მხარეთა მიერ მტკიცებულებათა წარდგენაში 180
4. მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესუალური სტანდარტი 182
ფარული ჩანაწერი, როგორც მტკიცებულება, სამოქალაქო სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში 193
1. თეორია 193
2. დაუშვებელ მტკიცებულებათა შეფასების საპროცესოსამართლებრივი ასპექტები . . 199

3. სასამართლო პრაქტიკა 201
დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის ურთიერთმიმართება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით 206
1. დისპოზიციურობის არსი 206
2. შეჯიბრებითობის არსი 207
3. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის თეორიული ურთიერთმიმართება . . . 208
4. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება 209
5. სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვა 210
6. დისპოზიციურობის პრინციპის სხვა გამოვლინებები 212
7. მხარეთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი 219
8. მხარეთა ვალდებულება, მიუთითონ ფაქტები და წარმოადგინონ მტკიცებულებები 221
9. მხარეთა უფლება, განსაზღვრონ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი . . . 223
10. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის პრაქტიკული ურთიერთმიმართება 230
დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მცდელობა ქართული და ევროპული პერსპექტივით 232
1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი 232
2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 ოქმი 233
3. დისკრიმინაციის არსი 234
4. კომპარატორი 235
5. დაცული საფუძველი 236
6. შევიწროება 237
7. დისკრიმინაციისაკენ მოწოდება 238
8. სპეციალური ღონისძიებები 239
9. განსხვავებული მოპყრობის გამართლებული საფუძველი 239
10. მტკიცების ტვირთი 245
11. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ 247
დიფამაცია 253
1. ცილისწამების არსი 253
2. ზიანი, როგორც ცილისწამების ერთ-ერთი კომპონენტი 254
3. ცილისწამების სუბიექტები 256
4. ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების ფარგლები 256
5. აზრისა და ფაქტის ურთიერთმიმართება 257
6. ჟურნალისტების მოვალეობანი და პასუხისმგებლობა 261
7. დიფამაციისათვის პასუხისმგებელი სუბიექტები 267
უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის მატერიალურ-პროცესუალური ანალიზი 269

ვალის აღიარება

შესავალი

გართულებული სამართალურთიერთობების ფარგლებში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება აბსტრაქტული საფუძვლიდან წარმოშობილი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება. ვალის აღიარება ნების თავისუფალი გამოვლენის ნათელი გამოხატულებაა. იგი თავისუფალი კონტრაჰირების ერთ-ერთი ელემენტია. თუმცა, თავისუფალი ნების გამოვლენა არსებული სამართალურთიერთობის ფარგლებში მოსაწერიგებელი კატეგორიაა, თუ დამოუკიდებელი გარიგება ახალი საფუძვლით, თეორიისა და სასამართლო პრაქტიკისათვის, დღესაც, ერთ-ერთ სამართლებრივ დილემად რჩება. ვალის აღიარება ყოველდღიური ყოფაცხოვრების განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, ვალის აღიარებასთან დაკავშირებული დავები სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკისათვის მრავალმხრივ საინტერესოა. იგი მომიჯნავე სამართალურთიერთობებთან მჭიდრო კავშირშია, შესაბამისად, მისი ანალიზი კონცეპტუალურად ფართო შეფასებას მოითხოვს.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავები. შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკის პერსპექტივიდან უფრო ნათლად ჩანს ის სირთულეები, რაც ვალის არსებობის დადგენას, სხვა მომიჯნავე ინსტიტუტებისაგან მის გამიჯვნას, ხანდაზმულობის ვადის დენის საკითხებსა და მტკიცების ტვირთს ეხება.

წინამდებარე კვლევა ქართული და გერმანული სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს ეფუძნება. ვალის აღიარების თაობაზე გერმანიისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **ნორმათა იდენტურობის პირობებში,** გერმანული თეორიული და პრაქტიკული მასალები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის განმარტების მიზნებისათვის პირდაპირ წყაროდ არის გამოყენებული. ამ მხრივ, ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 781-ე მუხლი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველი ნაწილის იდენტურ რეგულირებას შეიცავს, ხოლო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 782-ე მუხლი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის მე-2 ნაწილის იდენტურია[1]. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან, **ვალის აღიარების (Schuldanerkenntnis) ინსტიტუტთან ერთად ვალის შეპირებასაც (Schuldversprechen) იცნობს**, რაც შედარებითსამართლებრივი მიზნებისათვის ერთგვარ გაუგებრობას იწვევს. თუმცა, გერმანიის სამოქალაქო სამართლის თეორიაში ნათლად და არაორაზროვნად არის განმარტებული, რომ **ვალის აღი-**

[1] *კროპჰოლერი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2014, გვ. 833, 579-580.

არებასა და ვალის შეპირებას იდენტური შინაარსობრივი სამართლებრივი დატვირთვა და სამართლებრივი შედეგები გააჩნია. განსხვავება მხოლოდ გამოხატვის ფორმაშია[2]**.** მოვალის მხრიდან გამოხატული ნების კვალიფიკაცია ვალის აღიარებად ან ვალის შეპირებად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი შინაარსობრივი კონტექსტითაა ნება ჩამოყალიბებული. თუ ნება გამოხატულია, იმგვარად, რომ მასში ვალი აღიარებულია (ვაღიარებ ვალს... მაქვს ვალი...), მიიჩნევა, რომ სახეზეა ვალის აღიარება, ხოლო თუ ვალი შეპირებულია (გპირდები, რომ დავალიენებას დავფარავ... გპირდები, რომ ვალდებულებას შევასრულებ), მაშინ გამოხატული ნება ვალის შეპირებად კვალიფიცირდება. მართალია, ვალის აღიარება და ვალის შეპირება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა მუხლებით წესრიგდება, თუმცა, ორივე შემთხვევაში რეგულაცია და სამართლებრივი შედეგები იდენტურია[3].

1. ვალის აღიარების ნორმატიული შინაარსი

სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ვალის აღიარების რამდენიმე სახე. თითოეულ მათგანს უღრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ნორმატიულად მხოლოდ **ვალის აღიარების ერთ ფორმას – ვალის კონსტიტუციურ („აბსტრაქტულ“) აღიარებას აწესრიგებს, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სხვა სახის ვალის აღიარება სამართლებრივ ურთიერთობებზე ზეგავლენას არ ახდენს**. მაგალითისათვის, სასამართლო პრაქტიკით ბუღალტრული ურთიერთშედარების აქტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის კონტექსტში, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა[4] და შესაბამისად, ახალ გარიგებად არ ფასდება. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მითითებული აქტი არც არსებული სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებას ადასტურებს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ბუღალტრული ურთიერთშედარების აქტი, მართალია, **ვალდებულების წარმომშობ ახალ გარიგებას არ წარმოადგენს (ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარება), თუმცა, არსებული სამართალურთიერთობის ფარგლებში შესასრულებელ ვალდებულებას ადასტურებს (ვალის დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარება)**[5]**. შესაბამისად, იგი არსებული სამართალურთიერთობის დადასტურების მიზნებისათვის გამოიყენება.** სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის მიხედვით, ვალის არსებობის აღიარებად არ მიიჩნია ასევე ხელწერილი, სადაც მითითებული იყო, რომ მოვალეს 2 400 აშშ დოლარის ოდენობით დავალიანება ჰქონდა დარჩენილი. სასამართლოს განმარტებით, მითითებული ხელწერილი ვალის არსებობის აღიარებად ვერ

---

[2] *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.358.

[3] *Habersack*, Münchener Kommentar, BGB, §781, Rn.1.

[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.10.2008 განჩინება, საქმეზე №ას-237-498-08.

[5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.04.2016 განჩინება, საქმეზე №ას-344-329-2016.

მიიჩნეოდა, რადგან მასში მითითებული არ იყო მოვალის ნება და მზაობა, ვალდებულების შესრულების თაობაზე[6]. ამ შემთხვევაშიც, არსებული სამართალურთიერთობიდან დარჩენილი დავალიანების დადასტურება, მართალია, ახალი გარიგება არ არის და შესაბამისად, არც 341-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში ექცევა, თუმცა, **მითითებული მტკიცებულებით არსებული სამართალურთიერთობიდან დარჩენილი ვალის არსებობა დგიდება, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ვალის დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარება.** შესაბამისად, ვალის აღიარება შეიძლება არ იყოს კანონით დარეგულირებული კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) ხასიათის, რასაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი ითვალისწინებს, თუმცა, **აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ იგი არსებულ სამართალურთიერთობას არ ადასტურებს. ამდენად, თუ ვალის არსებობის აღიარება ახალი გარიგება არ არის და შესაბამისად, არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის რეგულირების რეჟიმში ექცევა, ასეთ შემთხვევაში, ვალის აღიარება დეკლარაციული („კაუზალური“) ხასიათისაა და იგი არსებულ სამართალურთიერთობას ადასტურებს, მაგალითად, ურთიერთშედარების აქტი, ბუღალტრული აქტი, შემაჯამებელი აქტი და ა. შ.**[7] [8]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თუ სახეზეა ვალის არსებობის აღიარება, სამართლის თეორიამ და სასამართლო პრაქტიკამ უნდა გასცეს კითხვაზე **პასუხი, თუ რა სახის (კონსტიტუციურ, თუ დეკლარაციულ) აღიარებასთან გვაქვს საქმე და რა ზეგავლენას ახდენს იგი მხარეთა შორის არსებული ურთიერთობების შედეგებზე.**

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ მხარეთა მიერ გამოხატული ნამდვილი ნება, მიმართული სამართალურთიერთობის დადასტურების, წარმოშობის, შეცვლისა, თუ შეწყვეტისაკენ, **სამართალურთიერთობის შედეგების ფორმირებაში ყოველთვის მონაწილეობს.** სამართალურთიერთობის ყოველ კონკრეტულ შედეგს კი მხარის კონკრეტული ნება განაპირობებს. შესაბამისად, მხარის მიერ გამოხატული ნამდვილი ნების ახსნა-განმარტების გზით უნდა დადგინდეს, თუ რა სურდა მხარეს და რა სამართლებრივი შედეგების ფორმირებისაკენ იყო მიმართული მისი ნება. თუმცა, ამ მიმართებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **აზრთა ყოველი ურთიერთგაცვლა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამართლებრივი შედეგების წარმომშობ ნების გამოვლენად.** აზრის გამოხატვა სუბიექტის სამართლებრივ ნებად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკვალიფიცირდეს, თუ აზრის გამომხატველი მის სამართლებრივ შედეგებს აცნობიერებს და აღიარებითა, თუ კონკლუდენტური მოქმედებით, მისი შესრულების მზაობას გამოხატავს[9]. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯერ უნდა დადგინდეს, ადამიანის მიერ გამოხატული მოსაზრება სამართალურთიერთობის დაზუსტების, შეცვლის, წარმოშობისა, თუ შეწყვეტისაკენ

[6] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.03.2014 განჩინება, საქმეზე №ას-992-950-2013.
[7] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.12.2017 განჩინება, საქმეზე №2ბ/2058-15.
[8] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.01.2018 განჩინება, საქმეზე №ას-123-123-2108.
[9] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 07.10.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/6800-13.

მიმართული ნამდვილი ნებაა, თუ არა, ხოლო მას შემდეგ რაც **გამოხატული ნების ნამდვილობა დადგინდება, ის სამართლებრივი შედეგები უნდა შეფასდეს, რაც მითითებული ნების გამოხატვას მოჰყვება.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარის აღიარება, შეიძლება არ წარმოადგენდეს **ვალის კონსტიტუციურ („აბსტრაქტულ“) აღიარებას,** არ წარმოშობდეს ახალ სამართალურთიერთობას და შესაბამისად, არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში ექცეოდეს, თუმცა, აღნიშნული აღიარება, შეიძლება **ადასტურებდეს არსებულ სამართალურთიერთობას (ვალის დეკლარაციული „კაუზალური“ აღიარება),** ან კიდევ, აღიარება შეიძლება ვალდებულებითსამართლებრივი ბმისაგან თავისუფალი იყოს და **მხოლოდ ფაქტის ამსახველ ინფორმაციას შეიცავდეს.** სამივე შემთხვევაში აღიარება სხვადასხვა სამართლებრივი შედეგების დადგომას იწვევს.

2. აღიარება

2.1. ფაქტის აღიარება

აღიარება შეიძლება იყოს ვალდებულებითსამართლებრივი ბმისაგან თავისუფალი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა აღიარება არ შეიძლება ვალის აღიარებად იქნეს მიჩნეული[10]**.** აღიარება შეიძლება აღწერდეს ან ადასტურებდეს ხდომილებას, მაგრამ არ წარმოადგენდეს ვალდებულების არსებობის აღიარებას. მაგალითად, თუ ავტოავარიის შედეგად ერთ-ერთი დაზარალებული ამბობს, რომ ის მეორე ავტომობილს დაეჯახა, აღნიშნული აღიარება, თავისთავად არ ნიშნავს რაიმე ვალდებულების აღიარებას, ვინაიდან მხოლოდ დაჯახების ფაქტი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის საკმარისი არ არის, ვინაიდან მიუხედავად მისი ქმედების მართლწინააღმდეგობისა, მას ზიანის ანაზღაურება შეიძლება არ დაეკისროს, თუ დაადასტურებს, რომ შეჯახება მისი ბრალის გარეშე მოხდა. ვალის არსებობის აღიარებას არ წარმოადენს ასევე მოვალის განმარტება მასზედ, რომ სესხის ხელშეკრულების საფუძველზე თანხა მიიღო. სესხის ხელშეკრულების საფუძველზე თანხის მიღების აღიარება მისი დაბრუნების ვალდებულების აღიარებას არ ნიშნავს. სესხის სახით მიღებული თანხა შეიძლება დაბრუნებას არ დაექვემდებაროს ხანდაზმულობის, გაქვითვის გზით ფულადი ვალდებულების შეწყვეტისა და სხვა საფუძვლით. **ამდენად, ფაქტების მითითება, რომელიც, თავისი არსით, აღიარებას შეიძლება წარმოადგენდეს, ყოველთვის არ არის ვალის აღიარების ეკვივალენტი. შესაბამისად, შეიძლება სახეზე იყოს აღიარება, მაგრამ არა ვალის, არამედ ფაქტის.** მხარის მიერ ამგვარი ფორმით გამოთქმული აღიარება არის ერთ-ერთი მტკიცებულება, რომელიც მტკიცებულების შეფასებისათვის დადგენილი წესით ფასდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამგვარ აღიარებას სა-

[10] *Habersack*, Münchener Kommentar, BGB, §781, Rn.4.

სამართლოსათვის წინასწარ დადგენილი ძალა არ აქვს[11]. ფაქტის აღიარება ვალის დეკლარაციული აღიარებისაგან იმით განსხვავდება, რომ ფაქტის აღიარება ვალის არსებობის დადასტურების მიზანს ემსახურება. ის ერთ-ერთი გარემოებაა, რომელმაც ვალის არსებობის დადასტურებას შეიძლება შეუწყოს ხელი. შესაბამისად, მხოლოდ მასზე აპელირებით ვალის არსებობა დადასტურებულად არ მიიჩნევა. ვალის დეკლარაციული აღიარება კი ვალის არსებობას ადასტურებს[12].

2.2. ვალის დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარება

ვალის დეკლარაციული აღიარების დროს სახეზეა არამხოლოდ აღიარება (ცალმხრივი ნების გამოვლენა, გამოხატული ამათუ იმ ქმედებაში), არამედ ხელშეკრულება. მითითებული ხელშეკრულებით მხარეები ვალის არსებობას ადასტურებენ. დეკლარაციული ვალის აღიარების დანიშნულება ვალის არსებობის თაობაზე ეჭვებისა და შემდგომი გაუგებრობების თავიდან აცილებაა. დეკლარაციული ვალის აღიარების მიზანია არსებული ვალდებულების დადასტურება, მტკიცების პროცესის გამარტივება, შემდგომი დავის თავიდან აცილება[13], სადავო საკითხების მოწესრიგება[14], მათ შორის, ყველა იმ ფაქტისა, თუ არგუმენტის გაქარწყლება, რომელიც ვალის არსებობას გამორიცხავს, ან თუნდაც, ეჭვქვეშ დააყენებს. შესაბამისად, დეკლარაციული ვალის აღიარება ფორმასავალდებულო გარიგება არ არის. დეკლარაციული ვალის აღიარების სამართლებრივი შედეგი ვალის არსებობის დადასტურება და შემდგომი დავების თავიდან აცილებაა, ხოლო დავის შემთხვევაში, მტკიცების პროცესის გამარტივება.

დეკლარაციული ვალის აღიარება, ხშირ შემთხვევაში, „კაუზალურ ვალის აღიარებადაც“ იწოდება, უფრო მეტიც, დეკლარაციული ვალის აღიარება პრაქტიკაში „კაუზალურ ვალის აღიარებად არის ცნობილი“[15]. **კაუზალურობის განმაპირობებელი ფაქტორი იმაში მდგომარეობს, რომ აღიარება დამოუკიდებელ თვითმყოფად საფუძველს კი არ ეყრდნობა, არამედ არსებულ საფუძველს (კაუზას).**

დეკლარაციულ ვალის აღიარებას კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს. იგი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გამოვლინებად მიიჩნევა[16]. შესაბამისად, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მისი ნამდვილობისათვის კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვა საჭირო არ არის[17]. დეკლარაციული ვალის აღიარება ახალ ხელშეკრულებას არ წარმოადგენს, შესაბამისად, იგი ახალ მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს. იგი არსებული სამართალურთიერთობის ფარგ-

---

[11] BGH WM 1974, 410.

[12] *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.359.

[13] *Staudinger/Marburger*, S.55, 55 ff nach *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, Band II/2, Besinderer Teil, C.H. Beck, München, 1994, S.32.

[14] Habersack, Münchener Kommentar, BGB, §781, Rn.3

[15] *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, Band II/2, Besinderer Teil, C.H. Beck, München, 1994, S.33.

[16] *Habersack*, Münchener Kommentar, BGB, §781, Rn.3.

[17] *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.359.

ლებში წარმოქმნილ მოთხოვნას აღიარებს. შესაბამისად, როგორც წესი, ხანდაზმულობის ვადის დენაზე ზეგავლენას არ ახდენს [18].

დეკლარაციული ვალის აღიარების გავრცელებულ ფორმად მიიჩნევა მოვალის შეპირება მასზედ, რომ ვალს მალე გადაიხდის. დეკლარაციული ვალის აღიარების გავრცელებული ფორმაა ურთიერთშედარების აქტები, შემაჯამებელი აქტები, მხარის განცხადება დარჩენილი ვალდებულების განაწილვადების თაობაზე და ა. შ.

341-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი. ნორმის სისტემური, ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტების მიხედვით, გადახდა (ანგარიშსწორება) და მორიგება ვალის აღიარებად არის მიჩნეული, რომლის ნამდვილობისათვის ფორმის დაცვა საჭირო არ არის. ამგვარი ფორმით გამოხატული ვალის აღიარება სწორედაც, რომ **ვალის დეკლარაციულ და არა კონსტიტუციურ აღიარებად მიიჩნევა**[19]**.** გადახდა რეალური ქმედებაა. მორიგება კი ურთიერთდათმობაა, რომლითაც დავა ან დაურწმუნებლობა აღმოიფხვრება.

დეკლარაციული ვალის აღიარების დანიშნულება არსებული სამართალურთიერთობის დადასტურებაა. შესაბამისად, როდესაც სახეზეა ბუღალტრული აქტი, ურთიერთშედარების აქტი და სხვა სახის ვალის კაუზალური აღიარებანი, მითითებული მტკიცებულებებით **უკვე არსებული (და არა ახალი) სამართალურთიერთობა დასტურდება.** როგორც ზემოთ აღინიშნა, ვალის დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარება, განსხვავებით ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარებისაგან, ხანდაზმულობის ვადის დენას თავიდან არ იწყებს. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი შეიცავს ერთ საინტერესო დანაწესს, რომლის მიხედვითაც, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად მოთხოვნის არსებობას აღიარებს. მითითებული ნორმის შესაბამისად, ვალის დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარებით „ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება“. ამდენად, ისმის კითხვა, **თუ რით განსხვავდება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის თვალსაზრისით, დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარება კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარებისაგან? პასუხი მარტივია. დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, უკვე ხანდაზმული მოთხოვნის ვადას კი არ აღადგენს, არამედ ხანდაზმულობის მიმდინარე ვადის შეწყვეტას იწვევს. კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარება კი ხანდაზმულობის ვადის დენას თავიდან იწყებს მაშინაც, როდესაც არსებული სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნა უკვე ხანდაზმულია.** მითითებული მსჯელობის თვალსაჩინოების მიზნებისათვის, თუ ბუღალტრული ურთიერთშედარების აქტი 2015 წელ-

[18] იქვე, გვ. 361.
[19] *Habersack*, Münchener Kommentar, BGB, §781, Rn.3.

საა შედგენილი, თუმცა, მასში ასახული მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა 2011 წელს ამოიწურა, **ურთიერთშედარების აქტი, როგორც ვალის დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარება, უკვე ხანდაზმული მოთხოვნის ვადას არ აღადგენს.** თუ ბუღალტრული ურთიერთშედარების აქტი 2015 წელსაა შედგენილი, ხოლო მასში მოცემული მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის დენა 2013 წელს დაიწყო და ბუღალტრული ურთიერთშედარების აქტის შედგენის დროისათვის, მოთხოვნა ჯერ კიდევ ხანდაზმული არ არის, **ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება და ბუღალტრული ურთიერთშედარების აქტის შედგენის დროიდან ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან იწყება.** იმ შემთხვევაში, თუ ნაცვლად ბუღალტრული ურთიერთშედარების აქტისა, სახეზეა ახალი გარიგება (ვალის კონსტიტუციური, „აბსტრაქტული“ აღიარება), **ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან იწყება, მიუხედავად იმისა, მოვალემ ხანდაზმული მოთხოვნა აღიარა, თუ არა.**

2.3. ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარება

ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარება კანონით მოწესრიგებული სამართალურთიერთობაა, კერძოდ, მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი აწესრიგებს. ასეთ შემთხვევაში, სახეზეა მხარეთა ნება ახალი სამართალურთიერთობის ჩამოყალიბების თაობაზე. ვალის აღიარება კონსტიტუციურია, ანუ ვალდებულების შესრულების **დამოუკიდებელ საფუძველს ქმნის, თუ ვალის აღიარება ისეთი შინაარსისაა, საიდანაც მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძვლის არსებობა დგინდება**[20]. ხშირ შემთხვევაში, ვალის კონსტიტუციურ აღიარებას, „აბსტრაქტულ“ გარიგებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი სახელდების საფუძველი ხელშეკრულების შინაარსში უნდა ვეძებოთ. ვალის კონსტიტუციური („აბსტრატული“) აღიარების დროს ხელშეკრულებაში, როგორც წესი, **არ ჩანს, თუ რამ განაპირობა მოვალის მხრიდან ვალის აღიარება.** თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებაში პირდაპირაა მითითებული, თუ რა სამართალურთიერთობა უძღოდა ვალის აღირებას. მიუხედავად ამისა, იგი დამოუკიდებელი გარიგებაა. **ვალის კონსტიტუციური აღიარების, როგორც დამოუკიდებელი გარიგების ბუნებაზე, ზეგავლენას არ ახდენს მისი ფორმალური ბმა წინმსწრებ სამართალურთიერთობასთან.** მაგალითისათვის, ვალის აღიარების ხელშეკრულებაში შეიძლება ჩანდეს, თუ რა სამართალურთიერთობა უძღოდა წინ მოვალესა და კრედიტორს, რამ განაპირობა მოვალის მხრიდან კრედიტორის სასარგებლოდ ვალის აღიარება, თუმცა, აღნიშნულ გარემოებას **ვალის აღიარების ბუნების განსაზღვრის მიზნებისათვის სამართლებრივი დატვირთვა არ** გააჩნია. შესაბამისად, ვალის კონსტიტუციური აღიარება დამოუკიდებელია ვალის წარმოშობის საფუძვლებისაგან, რაც მის აბსტრაქტულ ბუნებას განაპირობებს[21]. შედარებისათვის, ნასყიდობის

[20] *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, Band II/2, Besinderer Teil, C.H. Beck, München, 1994.

[21] *Habersack*, Münchener Kommentar, BGB, §781, Rn.1.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მყიდველს ნასყიდობის საფასურის გადახდის ვალდებულება ეკისრება. ვალის აღიარების ხელშეკრულება კი ვალის წარმოშობის საფუძვლებს არ იცნობს[22]. თუმცა, აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებიდან შეიძლება ნათლად ჩანდეს, რომ მოვალე ვალდებულებას ამა თუ იმ წინმსწრები ხელშეკრულებიდან გამომდინარე აღიარებს. მითითებული ჩანაწერი ვალის აღიარების ხელშეკრულების აბსტრაქტულ ბუნებას არ ცვლის და, მით უფრო, აღნიშნულ ვალის აღირებას დეკლარაციულ ვალის აღიარებად არ აქცევს, ვინაიდან კრედიტორს მოვალის მიმართ ვალდებულების შესრულების თაობაზე მოთხოვნის უფლება სწორედ **ვალის აღიარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოეშობა და არა წინმსწრები ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან.** სწორედ აღნიშნული პრინციპი განაპირობებს ხანდაზმულობის ვადის დენის თავიდან დაწყებას, განსხვავებით ვალის დეკლარაციული აღიარებისაგან. ვალის აღიარების ხელშეკრულების მიხედვით განისაზღვრება ასევე ვალდებულების შესრულების ადგილი, განსჯადი სასამართლო და ა. შ. ვალის აბსტრაქტული აღიარების, როგორც დამოუკიდებელი გარიგების, ინდიკატორია ასევე ის გარემოება, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულება ნამდვილია, მიუხედავად იმისა, ნამდვილია, თუ არა ის გარიგება, რომლიდან გამომდინარე ვალდებულებაც მოვალემ ვალის აღიარების ხელშეკრულებით ცნო[23].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვალის აღიარება **ორმხრივი გარიგებაა.** აღნიშნული დასკვნის საფუძველს კანონის ტექსტის სიტყვა-სიტყვითი განმარტება იძლევა, რომლის მიხედვითაც, „იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა, (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება“ (სსკ[24] 341). შესაბამისად, ვალის აღიარების ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ვალის ცალმხრივი აღიარება, ანუ მოვალის მხრიდან ვალის წერილობითი შეპირება. აუცილებელია, რომ მითითებული აღიარება კრედიტორის მიერ მიღებულ იქნეს, რაც ასევე საჭიროებს წერილობით ფორმას[25]. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულება წერილობითი ფორმით ორმხრივად ხელმოწერილი უნდა იყოს. თუ გარიგების დადებისას შედგენილია ერთი და იმავე შინაარსის რამდენიმე დოკუმენტი, მაშინ საკმარისია თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტის ეგზემპლარს, რომელიც შესაბამისი მხარისთვისაა განკუთვნილი (სსკ 71). ამდენად, ვალის აღიარების ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი ვალის აღიარების ხელწერილების გაცვლაც საკმარისია. იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ვალდებულებას

---

[22] *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, Band II/2, Besinderer Teil, C.H. Beck, München, 1994, S.26.

[23] იქვე, გვ. 27.

[24] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. შემდგომში: სსკ.

[25] *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, Band II/2, Besinderer Teil, C.H. Beck, München, 1994, S.26.

წერილობით ცალმხრივად აღიარებს და დოკუმენტის დედანს კრედიტორს გადასცემს, მითითებული აღიარება კრედიტორისათვის მოთხოვნის წარმოშობის საფუძველია. შესაბამისად, სასამართლოში, მტკიცებულების სახით, კრედიტორის მიერ წარდგენილი დოკუმენტის დედანი იმთავითვე დადასტურებაა ფაქტისა, რომ კრედიტორმა მითითებული აღიარება მიიღო და სასარჩელო მოთხოვნაც აღნიშნულ აღიარებას დააფუძნა (სსკ 327)[26]. თუმცა, მხოლოდ მოვალის მიერ ხელმოწერილი ვალის აღიარება მოვალისათვის არ წარმოადგენს მტკიცებულებას მასზედ, რომ კრედიტორმა აღიარება მიიღო. ამისათვის, მას კრედიტორის მიერ ხელმოწერილი ვალის აღიარება ესაჭიროება.

ამდენად, **ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარების პირობებში,** ახალი სამართალურთიერთობის საფუძველი **ახალი ორმხრივი ხელშეკრულებაა.** მხარეებს უფლებამოვალეობები სწორედ **აღნიშნული ახალი ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოეშობათ.** შესაბამისად, უფლებამოვალეობათა ნამდვილობა **ახალი გარიგების ნამდვილობაზეა დამოკიდებული.** მითითებული ხელშეკრულება **ფორმასავალდებულოა**[27]. ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარების დროს სამართალურთიერთობის **ახალი საფუძველი ჩნდება, საიდანაც მოთხოვნა წარმოიშობა**[28]. შესაბამისად, **ხანდაზმულობის ვადაც თავიდან იწყება**[29]. ვალის აღიარება და შესაბამისად, ახალი სამართალურთიერთობის წარმოშობა (ვალის კონსტიტუციური „აბსტრაქტული“ აღიარება) ძველ სამართალურთიერთობას არ აქარწყლებს[30]. შესაბამისად, მოთხოვნა შეიძლება ძველი სამართალურთიერთობიდანაც არსებობდეს, თუ იგი ხანდაზმული არ არის[31]. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მსგავს ჩანაწერს არ ითვალისწინებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია შესრულება (სსკ 427) ან სხვა შესრულება (სსკ 428), თუ კრედიტორი სხვა შესრულებას დაეთანხმება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლად კრედიტორის წინაშე ახალი ვალდებულების კისრებას არ მიიჩნევს. შესაბამისად, თუ მოვალე კრედიტორის წინაშე ვალს აღიარებს, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ძველი სამართალურიერთობიდან გამომდინარე ვალდებულება შეწყვეტილია, თუ, რა თქმა უნდა, **ვალის აღიარების ხელშეკრულება მსგავს დათქმას არ შეიცავს.** აღნიშნული მსჯელობის პრაქტიკული დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულება, როგორც წესი, პრაქტიკაში იდება მაშინ, როდესაც მოთხოვნა ძველი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ხანდაზმულია, ან როდესაც კრედიტორს, ძველი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, ვალდებულების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ აქვს **(კრედიტორის ინ-**

---

[26] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.09.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/2202-14.
[27] *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.360.
[28] იქვე, გვ. 361.
[29] იქვე, გვ. 361.
[30] იქვე, გვ. 361.
[31] იქვე, გვ. 360.

ტერესი). ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულება ფორმდება ასევე მაშინაც, როდესაც მოვალეს ვალდებულების შესასრულებლად ვადა სჭირდება **(მოვალის ინტერესი).** შესაბამისად, იგი თანახმაა, ახალი ხელშეკრულება ახალი ვადით გააფორმოს. ასეთ შემთხვევაში, სიფრთხილეა საჭირო, კერძოდ, **ახალი ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს დათქმას მასზედ, რომ ახალი გარიგებით კრედიტორი ძველი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებზე უარს ამბობს.** წინააღმდეგ შემთხვევაში, კრედიტორს მოთხოვნის უფლება ახალი ხელშეკრულებიდანაც წარმოეშობა, რომელიც, თავის მხრივ, ძველი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებას აქარწყლებს.

ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარება მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენაა, შესაბამისად, მისი გამოყენება კანონით უფრო მკაცრად მოწესრიგებულ ისეთ ურთიერთობებში, როგორიცაა, მემკვიდრეობითი და საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობები, შეზღუდულია. შესაბამისად, სიფრთხილეა საჭირო, რომ კანონით მოწესრიგებულ ურთიერთობებში ვალის არსებობის აღიარების თაობაზე გამოვლენილმა თავისუფალმა ნებამ კანონით დადგენილი მართლწესრიგი და ზნეობის ნორმები არ დაარღვიოს, წინააღმდეგ შეთხვევაში, ამვარი აღიარება კანონწინააღმდეგობის ან ამორალურობის საფუძვლით, ბათილად მიიჩნევა[32]. ამ მიმართებით საინტერესოა, ვალის კონსტიტუციური „აბსტრაქტული“ აღიარების შინაარსის ნამდვილობის ანალიზი მაშინ, როდესაც ერთ მხარეს ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტია, ხოლო მეორე მხარეს – მომხმარებელი. მომხმარებელი კი ვალს არსებითი საყოფაცხოვრებო პროდუქტის, მაგალითად, წყლის, ელექტროენერგიისა და ა. შ. შეწყვეტის პირობებში აღიარებს, თანაც ისე, რომ იგი აღიარებული ვალდებულების ხანდაზმულ ხასიათს ვერ აცნობიერებს. ამდენად, როდესაც ვალდებულების აღიარება ბაზარზე მოქმედი „ძლიერი“ მხარის (მიმწოდებლის) მიერ არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდების პირობებში ხდება, თანაც ისე, რომ „სუსტი“ მხარის (მომხმარებლის) მიერ ვალის აღიარების მიზანი საყოფაცხოვრებო პროდუქტის მიწოდების დაუყოვნებელი განახლებაა, ასეთი აღიარება სასამართლოს მიერ ბათილ აღიარებად მიიჩნევა.[33]

ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარების დროს კანონით გათვალისწინებული ის წესები მოქმედებს, რომელიც გარიგების ნამდვილობისათვისაა სავალდებულო, შესაბამისად, უცილოდ ბათილად მიიჩნევა ვალის აღიარების ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ფორმის დაუცველადაა დადებული (სსკ 69), კანონით გათვალისწინებულ მართლწესრიგს და ზნეობის ნორმებს არღვევს (სსკ 54), ნების გამოვლენა მოჩვენებითი, ან თვალთმაქცურია (სსკ 56) და ა. შ., რაც შეეხება გარიგების ბათილობის საცილო საფუძვლებს, იძულება და მოტყუება სამართალურთიერთობის მოვალემ უნდა ამტკიცოს. შეცდომა კი, როგორც ვალის აღიარების ბათილობის წინაპირობა, პრაქტიკაში თითქმის არ გვხვდება იმ მარტი-

---

[32] *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.361.

[33] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.01.2019 განჩინება, საქმეზე №2ბ/7192-18.

ვი მიზეზის გამო, რომ ვალის კონსტიტუციური აღიარება სწორედაც, რომ შემდგომი გაუგებრობების თავიდან აცილების მიზანს ემსახურება[34]. შესაბამისად, საცილო გარიგებათაგან, ვალის აღიარების ხელშეკრულების ბათილობა, ყველაზე ნაკლებ სავარაუდო, შეცდომის საფუძვლითაა.

ვალის კონსტიტუციური „აბსტრაქტული“ აღიარების ხელშეკრულება ფორმასავალდებულო გარიგებაა, ანუ მისი ნამდვილობისათვის კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვაა საჭირო. კანონით დადგენილი ფორმა კი მარტივი წერილობითია, რომელიც დაცულად ჩაითვლება, თუ მხარეები ვალის აღიარების ხელშეკრულებას ორმხრივად ხელს მოაწერენ, ან ცალმხრივად ხელმოწერილ წერილობით დოკუმენტებს გაცვლიან. ამასთან, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულების **ფორმის ნაკლს მისი შესრულება ასწორებს,** რაც იმას ნიშნავს, რომ ფორმადაუცველი ვალის აღიარების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული შესრულება ნამდვილად მიიჩნევა[35] და ამგვარი ნაკლის არსებობის პირობებში, შესრულება, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე, დაბრუნებას არ ექვემდებარება. ამგვარი დასკვნის ნორმატიულ საფუძველს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა, რომლის მიხედვითაც, თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა აუცილებელი არ არის. ამავე კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც, მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარების ბათილობის სამართლებრივი შედეგია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. ამ შემთხვევაში, მოთხოვნის საფუძველი, კრედიტორის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამდიდრებაა. თუ შესრულება ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარების საფუძველზე განხორციელდა, ვითომ-კრედიტორი ვალდებულია, მიღებული უკან დააბრუნოს. უკან დაბრუნების ვალდებულება ვითომ კრედიტორს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე წარმოეშობა. ასეთ შემთხვევაში, მისი არგუმენტი მასზედ, რომ მოვალეს ვალდებულება ვალის კონსტიტუციურ („აბსტრაქტულ“) აღიარებამდე არსებული ნამდვილი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე გააჩნდა, მხედველობაში არ მიიღება, რადგან შესრულება ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარების საფუძველზე განხორციელდა და აღნიშული საფუძვლის ბათილობა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ფაქტობრივი წინაპირობაა [36].

---

[34] *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.361.

[35] *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, Band II/2, Besinderer Teil, C.H. Beck, München, 1994, S.29.

[36] *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.362.

3. ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) და დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარების შედარებითსამართლებრივი ანალიზი

შედარებითსამართლებრივი მიზნებისათვის, ვალის დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარება **ფორმას არ საჭიროებს,** მაშინ, როდესაც, ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარება **ფორმასავალდებულო ორმხრივი გარიგებაა.** მტკიცების თვალსაზრისით, ფორმასავალდებულოობის გამო, ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარება მარტივი დასამტკიცებელია. მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტის გათვალისწინებით, ვალის დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარებაც კრედიტორმა უნდა ამტკიცოს. მტკიცებულებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცებულების ნებისმიერი სახე, მხარეთა ახსნა-განმარტება, წერილობითი, თუ ნივთიერი მტკიცებულება, მოწმის ჩვენება და ა. შ.

ვალის დეკლარაციულ („კაუზალურ“) და კონსტიტუციურ („აბსტრაქტულ“) აღიარებას შორის **ძირითად განმასხვავებელ ნიშნად, გარდა ფორმასავალდებულოობისა, ხანდაზმულობის ვადის დენის საკითხი მიიჩნევა.** ვალის დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარების დროს, ძველი სამართალურთიერთობა დასტურდება, მაშინ, როდესაც ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარების შემთხვევაში, ახალი გარიგება იდება და შესაბამისად, **ხანდაზმულობის ვადის დენაც თავიდან იწყება.**

ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) და დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარება ერთმანეთისაგან **ვალის აღიარების მიზნითა და დანიშნულებითაც განსხვავდება.** როგორც ზემოთ აღინიშნა, ვალის დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარების მიზანი ძველი სამართალურთიერთობის დადასტურებაა, მაშინ, როდესაც კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) ვალის აღიარების დანიშნულება ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობაა[37].

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარებისა და ვალის დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარების ურთიერთგამიჯვნა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა **მხარეთა ნებას ენიჭება.** სწორედ მხარეთა ნების განმარტების გზით უნდა გადაწყდეს, თუ რამდენად სურდათ მხარეებს წინმსწრები სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულების აღიარების მიზნით, ახალი გარიგების დადება. ამ მხრივ, ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ ვალის კონსტიტუციურ („აბსტრაქტულ“) აღიარებას ძველი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების „უზრუნველყოფის“ ფუნქციაც გააჩნია[38], ვინაიდან ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარება ძალაშია მაშინაც, როდესაც წინმსწრები სამართალურთიერთობა ბათილია, რაც იმას ნიშნავს,

---

[37] იქვე, გვ. 362.

[38] BGH NJW 2000, 2984 nach Habersack, Münchener Kommentar, BGB, §781, Rn.1.

რომ შესრულება, ძველი გარიგების ბათილობის საფუძვლით, უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, ვინაიდან ვალდებულების წარმოშობის საფუძველი ახალი ხელშეკრულებაა (ვალის კონსტიტუციური „აბსტრაქტული“ აღიარება), რომელიც ფორმის ნაკლის გამო, კიდეც, რომ ბათილი იყოს, შესრულება აღნიშნულ ნაკლს ასწორებს და დაბრუნებას არ ექვემდებარება[39].

4. ვალის პოზიტიური და ნეგატიური აღიარება

ვალის აღიარება შეიძლება პოზიტიური ან ნეგატიური შინაარსის მატარებელი იყოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი ვალის პოზიტიურ აღიარებას ითვალისწინებს. ვალის არსებობის აღიარების გვერდით **არსებობს ვალის ნეგატიური აღიარება.** ეს არის შემთხვევა, როდესაც კრედიტორის მოთხოვნის უფლება ისპობა, რადგან იგი მოვალესთან დადებული ხელშეკრულებით აღიარებს, რომ მისი მოთხოვნა არ არსებობს, ანუ ხელშეკრულების მეშვეობით, კრედიტორი უარს ამბობს მოთხოვნის არსებობაზე. ამდენად, თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით მოწესრიგებული ვალის აღიარების დროს სახეზე გვაქვს ვალის არსებობის აღიარება მოვალის (ვალის დამდგენი, „კონსტიტუციური“ აღიარება) მხრიდან, რაც ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას იწვევს, ნეგატიური ვალის აღიარების დროს კი ადგილი აქვს კრედიტორის მხრიდან აღიარებას, რომ მოთხოვნა არ არსებობს, რაც წყვეტს მასსა და მოვალეს შორის არსებულ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას და ახალ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას აღარ წარმოშობს. **ამდენად, ნეგატიური ვალის არსებობის აღიარება, რაღა თქმა უნდა, 341-ე მუხლის მოწესრიგების რეჟიმში არ ექცევა და არც ის სამართლებრივი შედეგები წარმოიშობა, რასაც ვალის არსებობის აღიარება იწვევს. ნეგატიური ვალის აღიარების მიმართ ის სამართლებრივი შედეგები ვრცელდება, რაც ვალის პატიების მიმართ. შესაბამისად, ნეგატიური ვალის აღიარება, ანუ აღიარება იმისა, რომ კრედიტორს მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება არ აქვს, წყვეტს ვალდებულებას**[40]**.** ამდენად, ნეგატიური ვალდებულების აღიარების პირობებში კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ მოთხოვნა, რომელიც შესაბამისი მტკიცებულებებით დასტურდება, ქარწყლდება მოვალის მიერ ნეგატიური ვალის აღიარების ხელწერილის წარმოდგენით. საპროცესოსამართლებრივად, თუ მოსარჩელის მოთხოვნას, ვალდებულების შესრულების თაობაზე, უპირისპირდება მოპასუხის შესაგებელი ვალის არარსებობის აღიარების შესახებ, სასარჩელო მოთხოვნა არ კმაყოფილდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვალის ნეგატიური აღიარება **ვალის პატიების კონტექსტში** განიხილება[41]. შესაბამისად, იგი საქართველოს სა-

---

[39] *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.363.

[40] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.12.2013 გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/3431-13, რომელიც დაუშვებლად იქნა ცნობილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით.

[41] *Kropholler*, BGB Studienkommentar, C.H. Brck, Münich, 2011, S. §397 II.

მოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში ექცევა[42]. ვალის ნეგატიური აღიარების მიმართ ვალის აღიარების ნამდვილობისათვის კანონით გათვალისწინებული ნამდვილობის წინაპირობები (მაგ.: ფორმა) არ გამოიყენება[43]. ასევე ვალის აღიარების ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ვალის პატიებისათვის კრედიტორის ცალმხრივი განცხადება მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლების თაობაზე საკმარისია, თუმცა, აუცილებელია, რომ ცალსახად და არაორაზროვნად დგინდებოდეს, თუ რა სახის, რა ოდენობითა და რა ფარგლებში ათავისუფლებს კრედიტორი მოვალეს მის წინაშე არსებული დავალიანებისაგან.

5. ვალის საპროცესოსამართლებრივი აღიარება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა, თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და სასამართლო გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად.

ვალის მატერიალურსამართლებრივ აღიარებას არ უთანაბრდება პროცესზე გაკეთებული აღიარება. იგი მხოლოდ საპროცესოსამართლებრივ აღიარებას წარმოადგენს[44]. საპროცესოსამართლებრივი აღიარება მხოლოდ მხარეთა დისპოზიციის ფარგლებში ფასდება. შესაბამისად, იგი მხოლოდ იმ სამართლებრივი შედეგების დადგომას იწვევს, რასაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი ითვალისწინებს. ეს არის მხარის საპროცესოსამართლებრივი ნება, მისი აღიარება, **ყოველგვარი დამატებითი მტკიცებულებების შემოწმების გარეშე, პროცესის დამთავრებას დაედოს საფუძვლად**[45]**.** ამ მიმართებით, აღიარება, როგორც მხარის ახსნა-განმარტება, **მტკიცებულებაა, რომელიც სასამართლომ შეიძლება საკმარის საფუძვლად ჩათვალოს და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების შეფასების გარეშე, გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად.** ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მხარის მიერ რაიმე გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება **უნდა შეეხებოდეს უშუალოდ დავის საგანს და არა ნებისმიერ სხვა გარემოებას.** გარდა ამისა, მხარე შეიძლება ადასტურებდეს რაიმე კონკრეტულ ფაქტს, მაგრამ იმისათვის, რომ მითითებული ფაქტის დადასტურება აღიარებად დაკვალიფიცირდეს, **ზუსტად იმ ფაქტის დადასტურება უნდა მოხდეს, რომელზედაც მოწინააღმდეგე მხარე თავის მოთხოვნას აფუძნებს**[46]**.** ამასთან, მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ მხარის აღიარება, რომელიც კრედიტორის

---

[42] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.02.2015 განჩინება, საქმეზე №2ბ/4400-14.
[43] *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.360.
[44] იქვე, გვ. 360.
[45] იქვე, გვ. 360.
[46] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.12.2013 განჩინება, საქმეზე №ას-266-254-2013.

წინაშე მატერიალურსამართლებრივადაა პასუხისმგებელი. შესაბამისად, სხვა ნებისმიერი გარემოების დადასტურებას კანონმდებლობა საპროცესოსამართლებრივ აღიარებად არ მიიჩნევს და მასზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის მოქმედებას არ ავრცელებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო პროცესზე გაცხადებული აღიარება მხოლოდ საპროცესოსამართლებრივი მიზნებისათვის გამოიყენება და იმ შედეგების დადგომას არ იწვევს, რასაც ვალის მატერიალურსამართლებრივი (კონსტიტუციური „აბსტრაქტული“ და დეკლარაციული „კაუზალური“) აღიარება.

6. მორიგება, როგორც ვალის აღიარების ფორმა

ვალის მატერიალურსამართლებრივი (კონსტიტუციური „აბსტრაქტული“ და დეკლარაციული „კაუზალური“) აღიარება, რიგ შემთხვევებში, მორიგების გზით ხდება. მორიგება, თავის მხრივ, არსებული სამართალურთიერთობის ფარგლებში დავისა, თუ გაუგებრობის თავიდან აცილებას ემსახურება. მაგალითისათვის, როდესაც მხარეებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის დეტალები გაუგებარი ან სადავოა, მხარეები უფლებამოსილნი არიან, ასეთი გაუგებრობები და სადავო საკითხები დავის გარეშე, იმავე სამართალურთიერთობის ფარგლებში, მორიგების გზით აირიდონ თავიდან. გაუგებრობა ან სადავოობა შეიძლება ეხებოდეს სამართალურთიერთობის პირობებს, სამართლებრივ შედეგებს და ა. შ. [47]. ამგვარი რეგულირება, ორმხრივი გარიგების დადების გზით ხდება. მისი მთავარი დანიშნულება მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობის ფარგლებში წარმოქმნილი პრობლემებისა, თუ გაუგებრობების თავიდან აცილებაა. ამგვარ სამართლებრივ მექანიზმს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 360-ე მუხლი ითვალისწინებს, რომლის შესაბამისადაც, ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის დავა ან დაურწმუნებლობა აღმოიფხვრება ურთიერთდათმობის (მორიგების) გზით, თუ ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ეს მორიგება ემყარება სინამდვილის შეუსაბამო გარემოებებს, და დავა ან დაურწმუნებლობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს, რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა სცოდნოდათ. დაურწმუნებლობას უთანაბრდება, როცა რაიმე მოთხოვნის განხორციელება საეჭვოა.

სამოქალაქო კოდექსის 360-ე მუხლით გათვალისწინებულ მორიგების მაგალითს წარმოადგენს მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობებში პროცენტის გადახდის ვადის დაკონკრეტება, გაზრდა, შეთანხმებულზე მცირე პროცენტზე მორიგება, თანხის დამატება, ვალდებულების შესრულების ვადის გაზრდა და ა. შ. მორიგების დანიშნულება ძირითადი გარიგების ფარგლებში გაუგებრობების თავიდან აცილებაა, თუმცა, ამავდრულად, მორიგებას ახასიათებს ის, რომ მხარეები იმავე სამართალურთიერთობის ფარგლებში რჩებიან, არ იცვლება უზრუნველყოფის ღონის-

[47] *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.365.

ძიებები და ა. შ. მორიგების გზით მხოლოდ სამართალურთიერთობის გარკვეული დეტალების დაზუსტება, დაკონკრეტება ხდება. ამიტომაც, მორიგება ხშირად „დამდგენ“, „დამაზუსტებელ“ გარიგებად მიიჩნევა[48]. მორიგება, თავის მხრივ, სამართლებრივი შედეგების წარმოშობის მიზნებისათვის კანონით გათვალისწინებული ნამდვილობის ყველა მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს, მართლწესრიგს, ზნეობის ნორმებს და ა. შ. იგი არ უნდა ცვლიდეს კანონით დადგენილ იმპერატიულ წესებს, როგორიცაა, მშობლის ვალდებულება შვილების რჩენის თაობაზე, შრომისუუნარო მეუღლის რჩენის მოვალეობა, კანონით დადგენილი ქორწინების ასაკი, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობა და ა. შ.[49]. მორიგების დანიშნულება მხარეთა წინააღმდეგობისა და შემდგომი გაუგებრობების თავიდან აცილებაა, ამიტომ მორიგების ბათილობა შეცდომის საფუძვლით, ნაკლებ სავარაუდოა. მორიგების დანიშნულების გათვალისწინებით, იგი მხოლოდ მაშინაა სახეზე, როდესაც უდავოა მხარეთა ორმხრივი თანხმობა სამართალურთიერთობის დეტალების დაზუსტების, დაკონკრეტების ან თუნდაც შეცვლის თაობაზე, თუმცა, მხარეთა შეთანხმების სამოქალაქო კოდექსის 360-ე მუხლით გათვალისწინებულ გარიგებად კვალიფიკაციის მიზნებისათვის, აუცილებელია სახეზე იყოს მხარეთა „ორმხრივი კომპრომისი, დათმობა (gegenseitige Nachgeben)“. ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ ამგვარი კომპრომისი ორივე მხრიდან თანაბარი სიმძიმის იყოს. არ არის აუცილებელი ასევე მორიგებას ხანგრძლივი მოლაპარაკებები უძღოდეს წინ. საკმარისია, მაგალითისათვის, კრედიტორის თანხმობა მოვალისათვის ვალდებულების შესრულების ვადის გადავადების თაობაზე[50]. მორიგება ფორმასავალდებულო გარიგება არ არის[51]. მისი მაღალი პრაქტიკული მნიშვნელობა სწორედ მის სიმარტივეში მდგომარეობს. თუმცა, თუ მორიგება ისეთი საკითხის მოწესრიგებას ეხება, რომლისთვისაც კანონი სავალდებულო ფორმას აწესებს, მაშინ მორიგება ამ ფორმას უნდა აკმაყოფილებდეს[52]. სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, მორიგებამ გარკვეული პირობის მოდიფიცირება (შეცვლა) შეიძლება გამოიწვიოს, ხოლო, რიგ შემთხვევებში, მორიგება მხოლოდ ხელშეკრულების პირობის, სამართალურთიერთობის ამა თუ იმ გარემოების დაზუსტებას ეხება. მორიგება ორმხრივად მავალდებულებელი გარიგებაა, შესაბამისად, სამართალურთიერთობა იმ შეცვლილი, თუ დაზუსტებული გარემოებების ფარგლებში უნდა გაგრძელდეს, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ. მორიგების პირობების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში, მორიგების პირობები სასამართლო წესით შეიძლება დაექვემდებაროს შესრულებას (პირველადი მოთხოვნა) ან შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას (მეორადი მოთხოვნა).

---

[48] იქვე, გვ. 365.

[49] BGHY 14, 387, nach *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.365.

[50] BGHZ 39, 64, nach Esser/Weyers, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.366.

[51] *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.366.

[52] იქვე, გვ. 366.

მოთხოვნის გამომრიცხავ შეპასუხებას თვით მორიგების მომწესრიგებელი მუხლი შეიცავს, კერძოდ, მორიგებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები არ წარმოიშობა, თუ მორიგება ემყარება სინამდვილის შეუსაბამო გარემოებებს, და დავა ან დაურწმუნებლობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა სცოდნოდათ. ასეთ შემთხვევაში, მორიგების ბათილობის წინაპირობა კანონის საფუძველზე შეცილების უფლების გამოყენებაა, რაც საერთო სასარჩელო წარმოების ფარგლებში შეგებებული სარჩელის აღძვრით უნდა განხორციელდეს, თუ სარჩელით მორიგების კრედიტორი მორიგებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებას ითხოვს. მორიგების პირობათა ბათილობა, 360-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით, დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოების გზითაც შეიძლება იქნეს მიღწეული. ამისათვის, მორიგების პირობების ბათილად ცნობის მოთხოვნით აღიარებითი სარჩელი უნდა აღიძრას.

სასამართლო პრაქტიკა იცნობს დავის გარკვეულ კატეგორიებს, როდესაც მხარეთა შორის გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დადებული გარიგებები (მხარეთა შეთანხმებები ვალდებულების შესრულების დროის, შესრულებული სამუშაოს საფასურისა და ა. შ. თაობაზე) სასამართლომ მორიგებად შეაფასა[53]. ამ მიმართებით, პალატამ განმარტა, რომ „როდესაც სახელშეკრულებო თავისუფლებასა და მისგან წარმოშობილ სამართლებრივ შედეგებზეა საუბარი, **უნდა შეფასდეს გამოვლენილი ნების თავისუფლება და ის ფაქტი, რამაც აღნიშნული ნების გამოვლენა განაპირობა... ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში,** იმ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი, თუ რამ განაპირობა ხელშეკრულების მხარის მიერ ნებაყოფლობით დამატებითი ვალდებულების საკუთარ თავზე აღება.... მითითებული მუხლის გამოყენების წინაპირობებია მხარეთა შორის დავის ან დაურწმუნებლობის არსებობა, ამასთან, მართალია, მითითებული მუხლი ვალდებულებითი სამართლის თავშია მოცემული, თუმცა, იგი გამოიყენება, მიუხედავად მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი ბუნებისა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შორის საოჯახო, მემკვიდრეობით, თუ სხვა სამართალურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილი დავა ან დაურწმუნებლობა შეიძლება აღმოიფხვრას ურთიერთდათმობის გზით. მითითებული ურთიერთდათმობა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს „კონსტიტუციური“ ან „დეკლარაციული“ ხასიათის. მორიგება, თავისი არსით, არსებული სამართალურთიერთობის ახლებურ მოწესრიგებას წარმოადგენს. იგი, პირველ რიგში, უთანხმოების, გაუგებრობის აღმოფხვრას, სასამართლო წესით დავის თავიდან აცილებას ემსახურება. სამართალურთიერთობის ამგვარი ფორმირება, სხვა არაფერია, თუ არა სახელშეკრულებო თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლინება, რა დროსაც მხარეები შეზღუდულნი არ არიან, ერთი სამართალურთიერთობის ფარგლებში მოდიფიცირება გაუკეთონ იმ პირობებს, რომლებიც, მათი აზრით, გაუგებრობასა და უთანხმობას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ მორიგება მხარეთა დისპოზიციური ნების ერთ-ერთი გამოვლინებაა, მორიგების გზით დაუშვებელია ისეთ

[53] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.11.2013 გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/1084-13.

პირობებზე შეთანხმება, რომელიც თავისი არსით, იძულებით არის განპირობებული ან მესამე პირების უფლებებს ლახავს. მუხლის გამოყენების მიზნებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მხარეთა ნებას, თავიდან აიცილონ უთანხმოება, გაუგებრობა, ვალდებულების შეუსრულებლობა და, თუნდაც, სამომავლო სასამართლო დავა. ამასთან, აღნიშნული ნება უნდა განაპირობებდეს მხარეთა მხრიდან გარკვეულ დათმობებზე (კომპრომისზე) წასვლას. ნიშანდობლივია, რომ დათმობა (კომპრომისი) შეიძლება იყოს ორმხრივიც და ცალმხრივიც, მთავარია, რომ მითითებული დათმობა (კომპრომისი) მიზნად ისახავდეს სახელშეკრულებო პირობათა მოდიფიცირების გზით, კონტრაგენტისათვის ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შესაძლებლობის მიცემას. ამასთან, მხარე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ არა მითითებული დათმობა (კომპრომისი), სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა. გარდა ამისა, ფაქტები, რომლებიც აღნიშნულ კომპრომისს განაპირობებს, შეიძლება სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს, თუმცა, მორიგების (დათმობის, კომპრომისის) ეტაპზე მხარე მას რეალურად უნდა აღიქვამდეს და ეს განაპირობებდეს მისი მხრიდან გარკვეულ დათმობაზე წასვლას. **ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მორიგება ჩვეულებრივი გარიგებაა, რომელიც გარიგების ნამდვილობისათვის კანონით გათვალისწინებულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს**[54]**.** დაუშვებელია მორიგების გზით მესამე პირთათვის რაიმე ვალდებულების დაწესება. მორიგება შეიძლება შეეხოს მესამე პირს, თუმცა, იმგვარი სახით, რომ მორიგების მხარემ მორიგების გზით მესამე პირის მიმართ მოთხოვნის უფლებაზე თქვას უარი (pactum de non petendo). მორიგება ვალდებულებითსამართლებრივ კონტექსტში შეიძლება წარმოადგენდეს ცვლილებას გარიგებაში ან ახალ გარიგებას[55].

7. სხვისი ვალის აღიარება და ვალის გადაკისრება

ვალის აღიარება უნდა განხორციელდეს **უფლებამოსილი პირის, ანუ მოთხოვნის უფლების მქონე – კრედიტორის წინაშე**[56], ხოლო რაც შეეხება მოვალეს, რომელიც ცალმხრივად ვალდებულების არსებობას აღიარებს, იგი შეიძლება იყოს ის მესამე პირი, რომელიც ცალმხრივი აღიარებით კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულებას კისრულობს. თუმცა, ვალის აღიარების კრედიტორთან მიმართებით ის მესამე პირად არ განიხილება. ვალის აღიარების ხელწერილით ხდება ვალის ამღიარებლის მხრიდან მოთხოვნის უფლების მქონე პირთან ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის აღიარება, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში მიიჩნევა, რომ ვალის ამღიარებელი ვალს, კრედიტორთან არსებული სამართალურთიერთობის საფუძველზე, **როგორც თავის ვალს,** ისე აღიარებს[57]. **შესაბამისად, სხვისი ვალის გადახდის ვალდებულების კისრება, ვალის აღიარებად არ განიხილება.**

---

[54] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.11.2013 გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/1084-13.
[55] *Habersack*, Münchener Kommentar zum BGB, § 779, 6. Auflage 2013, Rn.5.
[56] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.09.2012 განჩინება, საქმეზე №ას-413-391-2012.
[57] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.09.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/2202-14.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის შესაბამისად, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მესამე პირს აქვს მოვალის ვალდებულების შესრულების უფლება. **თუმცა, კრედიტორი უფლებამოსილი არ არის შესრულება მოსთხოვოს მესამე პირს. მესამე პირისაგან შესრულების მოთხოვნის წარმოშობისათვის დამოუკიდებელი სამართლებრივი საფუძვლის არსებობაა საჭირო** [58]**. ამგვარ საფუძველს, ხშირ შემთხვევაში, სხვისი ვალის აღიარება წარმოადგენს.**

ამდენად, ვალის აღიარებისაგან უნდა განვასხვავოთ **სხვისი ვალის აღიარება და ვალის გადაკისრება.** სხვისი ვალის აღიარების ნორმატიულ რეგულირებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, არ შეიცავს. ორივე შემთხვევაში სხვისი ვალის აღიარებას სასამართლო პრაქტიკა აწესრიგებს [59] [60].

სხვისი ვალის აღიარების დროს მესამე პირი კრედიტორის წინაშე კისრულობს იმ ვალდებულების შესრულების მოვალეობას, რომელიც მის პირად ვალდებულებას (მოვალის ვალი) არ წარმოადგენს. მაგალითისათვის, როდესაც ორ პირს შორის არსებობს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა და მესამე პირი კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულების შესრულების მოვალეობას თავის თავზე იღებს. კრედიტორის თანხმობა საჭირო არ არის, ვინაიდან **ადგილი არ აქვს მოვალის შეცვლას, მის ჩანაცლებასა და ვალის მესამე პირისათვის გადაკისრებას**, უფრო მეტიც, ასეთ შემთხვევაში, სახეზეა სოლიდარული ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორი უფლებამოსილია ვალდებულების შესრულება **მოსთხოვოს როგორც მოვალეს ან მესამე პირს, ასევე ორივე მათგანს, სოლიდარულად**[61]. სხვისი ვალის აღიარება თავდებობისაგან მკვეთრად განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტია, ვინაიდან თავდებობას ძირითად ვალდებულებასთან **აქცესორული ბმა და სუბსიდიური ხასიათი** გააჩნია. იგივე არ შეიძლება ითქვას სოლიდარულ თავდებობაზე. **სხვისი ვალის აღიარებასა და სოლიდარულ თავდებობას შორის მეტი მსგავსებაა**, მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია, პასუხისმგებლობის სოლიდარული ხასიათი, თუმცა, არსებობს განსხვავებაც, მაგალითისათვის, თავდებობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმის დაცვა, თავდებობის ზღვრული თანხის გათვალისწინება და ა. შ. თუმცა, გაბატონებული შეხედულების მიხედვით, მთავარი განსხვავება იმაშია, თუ რა ინტერესი აქვს, ერთი მხრივ, თავდებსა და, მეორე მხრივ, მესამე პირს, მოვალის ვალდებულების დაფარვის მიმართ. როგორც წესი, მესამე პირი, სოლიდარული თავდებისაგან იმით

---

58 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.09.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/2202-14.

59 BGH WM 1976, 1109; NJW 1981,47 nach *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.359.

60 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.09.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/2202-14.

61 http://www.juraindividuell.de/artikel/schuldbeitritt/

განსხვავდება, რომ **მას შესრულების მიმართ საკუთარი ეკონომიკური ინტერესი აქვს,** მაგალითისათვის, როცა, მესამე პირი აღნიშნული შესრულებით მოვალის მიმართ თავის ვალდებულებას ფარავს. თავდებს კი, როგორც წესი, შესრულების მიმართ თავისი დამოუკიდებელი ინტერესი არ გააჩნია. მისი შესრულება მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ინტერესებშია. თავდებობა მხოლოდ და მხოლოდ მოვალის მხრიდან ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება[62].

ვალის გადაკისრების ნორმატიულ რეგულირებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თავის თავზე მესამე პირმაც აიღოს (ვალის გადაკისრება). **ასეთ შემთხვევაში მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. სწორედ მითითებული გარემოებაა ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი სხვისი ვალის აღიარებასა და ვალის გადაკისრებას შორის.**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი აწესრიგებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ვალის გადაკისრებას ადგილი აქვს კრედიტორსა და მესამე პირს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, სადაც ცალსახაა კრედიტორის ნება მესამე პირის მიერ ვალდებულების საკუთარ თავზე აღების თაობაზე. აღნიშნული გარიგების სამართლებრივი შედეგია ის, რომ მესამე პირი იკავებს მოვალის ადგილს, ანუ აღნიშნული გარიგებით თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულება წყდება და კრედიტორს თავდაპირველი მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება აღარ გააჩნია. შესაბამისად, მესამე პირსა და კრედიტორს შორის ურთიერთობის ვალის გადაკისრებად კვალიფიკაციის მიზნებისათვის, აუცილებელია, ცალსახად და არაორაზროვნად დადგინდეს კრედიტორის ნება მასზედ, რომ **მესამე პირმა მოვალის ადგილი დაიკავოს.** ამ მხრივ, საკანონმდებლო თვალსაზრისით, ნიშანდობლივია, რომ **საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ე.წ. ექსპრომისიის ცნებას არ ითვალისწინებს**[63]**,** რა დროსაც მესამე პირი, მართალია, კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულებას კისრულობს, თუმცა, იგი თავდაპირველი მოვალის ადგილს არ იკავებს, არამედ თავდაპირველ მოვალესთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი **ექსპრომისიის გამომრიცხველ დათქმას შეიცავს**, კერძოდ, თუ დადგინდა ვალის გადაკისრების წინაპირობების არსებობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის კონტექსტში, ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულების შეწყვეტაზე მეტყველებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 205-ე მუხლის ბოლო წინადადება, რომლის მიხედვითაც, ახალ მოვალეს უფლება არა აქვს გაქვითოს ის მოთხოვნები, რომლებიც თავდაპირველ მოვალეს ეკუთვნოდა. თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულების შეწყვეტაზე აპელირებს ასევე ამავე კოდექსის 206-

---

[62] *Medicus*, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13.Auflage, 2006, S.193-194.

[63] *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 217, თბილისი, 2010.

ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის გამოყენების მიზნებისათვის, სახეზე უნდა იყოს კრედიტორსა და მესამე პირს შორის ხელშეკრულება. ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ვალის გადაკისრება დასაშვებია კრედიტორსა და მესამე პირს შორის **ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.** კანონი არ საუბრობს გარიგებაზე, შესაბამისად, დაუშვებელია ნორმის ინტერპრეტაცია იმგვარად, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მითითებული ხელშეკრულება განიმარტოს, როგორც მიღებასავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მეორე მხარეს (მოთხოვნის მფლობელს) მიუვიდა[64]. მაშასადამე, განსხვავებით მესამე პირის ვალის აღიარებისაგან, ვალის გადაკისრება ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებაა, რა დროსაც, მესამე პირი, კრედიტორის თანხმობით თავდაპირველი მოვალის ადგილს იკავებს. ასეთ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა მესამე პირის ბონიტეტს ენიჭება[65].

წინამდებარე კვლევის საჭიროება განხილული თემატიკის აქტუალობამ განაპირობა. ამ მიმართებით განსაკუთრებით აღსანიშნავი საკვლევ საკითხთან დაკავშირებული არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და ქართულ ენაზე თეორიული მასალის ნაკლებობაა. ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ ვალის აღიარება მჭიდრო კავშირშია მომიჯნავე სამართლებრივ ინსტიტუტებთან, შესაბამისად, მითითებული საკითხის კვლევა საინტერესოა, როგორც სამართლის თეორიის, ასევე სასამართლო პრაქტიკისათვის. სამართლის ინსტიტუტების გამიჯვნა და მათი ცალკეული ანალიზი გერმანულ წყაროებზე დაყრდნობით მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმათა იდენტურობითაა გამოწვეული. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვალის აღიარებასთან დაკავშირებული რიგი საკითხები ნორმატიულად მოწესრიგებული არ არის და მათ შექმნაში, ჩამოყალიბებასა და განვითარებაში უდიდეს როლს შედარებითსამართლებრივი კვლევა და სასამართლო პრაქტიკა თამაშობს. ამიტომ პრაქტიკის სწორი მიმართულებით განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანია თითოეული საქმის სწორად გადაწყვეტის მიზნისა და ამავდროულად, აღნიშნული მიმართულებით სამართლის თეორიის განვითარების საქმეში.

კვლევის შედეგად, ნათელი გახდა **ვალის კონსტიტუციურ („აბსტრაქტულ“) აღიარებასა და ვალის დეკლარაციულ („აღიარებას“)** შორის განსხვავება. თითოეული მათგანის მნიშვნელობა და ზეგავლენა სამართლებრივ შედეგებზე. კვლევამ აჩვენა ვალის **პოზიტიური და ნეგატიური აღიარების** აქტუალობა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. ამავდროულად, კვლევამ აღწერა ნორმატიული

---

64 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.09.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/2202-14.

65 http://www.juraindividuell.de/artikel/schuldbeitritt/

ბაზის ნაკლებობით განპირობებული პრობლემატიკა და სასამართლო პრაქტიკის დანიშნულება, განსაკუთრებით, ნეგატიურ აღიარებასთან დაკავშირებით სამართლის განვითარების საქმეში. მითითებულ კონტექსტში გაკეთებულ იქნა სამოქალაქო კოდექსის **341-ე მუხლისა და 448-ე მუხლის შედარებითსამართლებრივი ანალიზი.** ამავე კვლევის მიხედვით, ნათელი გახდა სამოქალაქო კოდექსის **341-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი და მისი ბმა ამავე კოდექსის 360-ე მუხლით გათვალისწინებულ მორიგებასთან**. წინამდებარე ნაშრომმა აჩვენა ასევე საპროცესოსამართლებრივი აღიარების არსი და მისი გამიჯვნის აუცილებლობა მატერიალურსამართლებრივი აღიარებისაგან. ნორმატიული ბაზის არარსებობის მიუხედავად კვლევამ აღწერა პრაქტიკაში მეტად აქტუალური საკითხი, კერძოდ, საკუთარი და სხვისი ვალის აღიარების, ასევე ვალის გადაკისრების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, მათ შორის, თავდებობასა და სოლიდარულ თავდებობასთან კავშირში.

1. თავდებობის არსი

თავდებობა, ქართული სამართლის მიხედვით, უზრუნველყოფის ვალდებულებითსამართლებრივი საშუალებაა. იგი ვალდებულების პიროვნული უზრუნველყოფის ღონისძიებაა, რომელიც საკრედიტო ურთიერთობებში ინტენსიურად გამოიყენება [1]. თავდებობის მეშვეობით კრედიტორს, გარდა მოვალის ქონებისა, თავდების ქონებაზეც აქვს წვდომა[2]. უზრუნველყოფის ღონისძიების ღირებულება დამოკიდებულია თავდების ქონების ღირებულებაზე[3]. ამიტომ, აღნიშნული ღონისძიება უზრუნველყოფის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. თუმცა, თავდების ქონების ოდენობა და ღირებულება, როგორც წესი, წინასწარ განსაზღვრული არ არის. უფრო მეტიც, იგი თავდებობის ხელშეკრულების ფარგლებში შეიძლება არაერთგზის შეიცვალოს, ვინაიდან თავდებობა, მსგავსად სანივთოსამართლებრივი უზრუნველყოფებისა (იპოთეკა, გირავნობა), თავდების ქონებას არ მიჰყვება. თავდების ქონება თავდებობის განმავლობაში შეიძლება მესამე პირებზეც გასხვისდეს. თუმცა, გასხვისება თავდებობით ნაკისრი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნებს არ უნდა ემსახურებოდეს, ანუ გარიგება მოჩვენებით ხასიათს არ უნდა ატარებდეს.

2. თავდების ქონების თაობაზე დადებულ გარიგებათა ნამდვილობა

თავდებობის ფარგლებში თავდების ქონების თაობაზე დადებული გარიგების მოჩვენებითობა, მოსარჩელის (კრედიტორის) მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა. მხოლოდ ფაქტი მასზედ, რომ ქონება თავდებობის ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებშია გასხვისებული, უპირობოდ, გარიგების მოჩვენებითობის საფუძვლით, გარიგების ბათილობას არ იწვევს[4]. გარიგების მოჩვენებითობის შემოწმების თვალსაზრისით, საინტერესოა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „გარიგების მოჩვენებითობის საფუძვლით ბათილად ცნობის მიზნით, მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმფციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. მითითებული გარემოებების (გარიგების მოჩვენებითობა) დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც

[1] *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2012, გვ. 182.

[2] *Medicus*, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13. Auflage, Verlag: C.H.Beck, München, 2006, S.189.

[3] იქვე, გვ. 189.

[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.01.2015 განჩინება, საქმეზე №ას-1341-1379-2014.

ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან, თუნდაც, მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე კეთილსინდისიერად მოქმედებდა, რისი გაქარწყლებაც მოსარჩელეს ევალება. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგება ნათესავებს (მაგალითად, მამა-შვილს შორის) ან სხვა ოჯახის წევრებს შორის იდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოჯახის წევრებისათვის არსებული ვალდებულებების თაობაზე ცნობილია[5]. ასეთ ვითარებაში მოვალის მიერ თავისი შვილისათვის ნივთის მიყიდვა შეიძლება გარკვეული აუცილებლობით იყოს განპირობებული, მაგრამ ზუსტად მოვალესა და შემძენს ეკისრება ტვირთი, ამტკიცოს, თუ რამ განაპირობა და სადავო პერიოდში ხელშეკრულების დადების რა აუცილებლობა არსებობდა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოებები (სადავო პერიოდში ხელშეკრულების დადების აუცილებლობა) არ დადასტურდა, ქონების შემძენს კეთილსინდისიერების ინსტიტუტი ვერ იცავს[6].

ზემოთ მოხმობილი პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ გარიგების მოჩვენებითად მიჩნევის მიზნებისათვის, შესაძლოა, სასამართლოს მხრიდან შესამოწმებელი იყოს პრეზუმფციები, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მტკიცების საგანში არ შედის. ამასთან, პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც იგი მოქმედებს (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია). როგორც ვნახეთ, საკასაციო პალატამ ოჯახის წევრებს შორის გარიგების დადება იმ პერიოდში, როდესაც ქონების გამსხვისებელს ვალდებულება ჰქონდა შესასრულებელი, მიიჩნია იმ ვარაუდის დაშვების საფუძვლად, რომ ოჯახის წევრებისათვის ცნობილია არსებული ვალდებულებებისა და, ასევე, მათი ოჯახის წევრის მიერ ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების თაობაზე. ასეთ შემთხვევებში მტკიცების ტვირთი ეკისრება გამსხვისებელსა და ქონების შემძენს, რა დროსაც მათ უნდა ამტკიცონ, თუ რა გარემოებებმა განაპირობეს გარიგების დადების აუცილებლობა[7]. უფრო მეტიც, ჩუქების შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დასაჩუქრებულს კეთილსინდისიერება საერთოდ არ იცავს[8]. აღნიშნული მსჯელობა, ზოგადად, გარიგების მოჩვენებითობას ეხება (არა თავდების მიერ ქონების გასხვისებას), უფრო კონკრეტულად კი იმ შემთხვევას, როდესაც გარიგების ერთი მხარე მოვალეა, ხოლო მეორე მხარე – მესამე პირი, რომელიც მოვალის ქონებას უსასყიდლოდ იძენს.

რაც შეეხება თავდების მიერ ქონების გასხვისებას, საგულისხმოა, რომ კანონი თავდებობის ფარგლებში (დროის მონაკვეთში) **თავდებს ქონების გასხვისებას არ უკრძალავს.** იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თავდებობა პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებაა, თავდები იმ ქონებით აგებს პასუხს, რომელიც მას კრედიტორის მიერ **მოთხოვნის წარდგენის დროისათვის აქვს.** შესაბამისად,

[5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.04.2010 განჩინება, საქმეზე №ას-571-879-09.
[6] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.07.2013 განჩინება, საქმეზე №ას-1439-1357-2012.
[7] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.06.2015 განჩინება, საქმეზე №ას-1341-1379-2014.
[8] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.06.2015 განჩინება, საქმეზე №ას-643-611-2013.

მხოლოდ თავდებობის არსებობის ფაქტი თავდების მიერ თავისი ქონების გასხვისების ბათილობას არ იწვევს. აღნიშნული გარიგების ბათილობა, დიდწილად, კრედიტორის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობაზეა დამოკიდებული, რომლითაც გარიგების მოჩვენებითობა უნდა დადასტურდეს. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორმა გარიგების დადების თაობაზე თავდებისა და მესამე პირის (ქონების შემძენის) ორმხრივი მოჩვენებითი (ფიქციური) ნება ვერ დაადასტურა, გარიგება არ გაბათილდება [9].

3. თავდებობის ხელშეკრულება

თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის გარიგების ნამდვილობის ზოგადი წესები მოქმედებს. თავდებობის ხელშეკრულება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი ფორმის ნაკლის, არსებითი პირობების ბუნდოვანების ან კიდევ თავდების ქმედუუნარობის, ან შეზღუდული ქმედუნარიანობის საფუძვლით[10]. თავდებობის ნამდვილობა, როდესაც უზრუნველყოფილი შესრულების ღირებულება თავდების ქონებრივ მდგომარეობას მნიშვნელოვანწილად აღემატება, გარიგების ამორალურობის კონტექსტში შეიძლება შემოწმდეს. მაგალითისათვის, როდესაც მოვალე თავის ვალდებულებას საკუთარი დამოუკიდებელი შემოსავლების არმქონე ოჯახის წევრების თავდებობით უზრუნველყოფს. სასამართლო პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როდესაც შემოსავლის არმქონე ოჯახის წევრების თავდებობა, სამოქალაქო კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად იქნა მიჩნეული და ბათილად იქნა ცნობილი [11]. თავდებობის ამორალურობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია: აშკარა შეუსაბამობა თავდებობით უზრუნველყოფილ თანხასა და თავდების გადახდისუნარიანობას შორის; მაგალითისათვის, როდესაც თავდებს, მინიმუმ, იმ ოდენობით შემოსავალი არ აქვს, რომლითაც პერიოდულად ვადამოსულ დავალიანებას, თუნდაც, პროცენტს დაფარავს[12].

4. თავდებობის ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტები

თავდებობის ხელშეკრულება თავდებსა და კრედიტორს შორის იდება. მითითებული ხელშეკრულება კრედიტორს არამოვალე პირის მიმართ მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს. აღნიშნული ხელშეკრულებით დასტურდება თავდების ვალდებულება, შეასრულოს მესამე პირის მოვალეობა **და არა თავისი ვალდებულება.** ეს არსებითი გარემოებაა, ვინაიდან თავდებობის მითითებულ ნორმატიულ შინაარსზე დაყრდნობით, **ვალდებულებაზე საბოლოოდ პასუხისმგებელ სუბიექტს მოვალე წარმოადგენს და არა თავდები**, შესაბამისად, თუ თავდებობის ხელშეკრულებიდან

---

[9] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.01.2015 განჩინება, საქმეზე №ას-1341-1379-2014.

[10] *Brox/Walker*, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag C.H. Beck, §32, Rn.8

[11] BVerfGE 89, 214; NJ 1994, 2749.

[12] BGH DB 2000, 767; NJW 20101, 815.

გამომდინარე თავდები ძირითადი მოვალის წინაშე ვალდებულებას შეასრულებს, თავდებს რეგრესის წესით ძირითადი მოვალისაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა[13]. ამდენად, თავდებობის ხელშეკრულების მონაწილე პირებს კრედიტორი, თავდები და ძირითადი მოვალე უნდა წარმოადგენდნენ[14]. თუმცა, მითითებულ დანაწესს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის შესაბამისად, თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება. შესაბამისად, კანონი თავდებობის ნამდვილობისათვის მხოლოდ თავდების წერილობით განცხადებას ასახელებს, ანუ **თავდებობა ცალმხრივი მიღებასავალდებულო გარიგებაა,** რომლის ნამდვილობისთვისაც კანონი მარტივ წერილობით ფორმას ითხოვს. კრედიტორის მიერ აღნიშნული ნების მიღების წერილობით (ხელმოწერით) დადასტურების ვალდებულებას კანონი არ აწესებს. **საკმარისია თავდების წერილობით გამოხატული ნების კრედიტორამდე მისვლა**[15]. რაც შეეხება თავდებობის დოკუმენტში ზღვრული თანხის მითითებას, აღნიშნული პირობა თავდებობის არსებით პირობას წარმოადგენს და სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის მიხედვით, გარიგების ნამდვილობაზე ახდენს გავლენას, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ თავდებობის ხელშეკრულებაში თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა მითითებული არ არის, ამგვარი ხელშეკრულება ბათილად მიიჩნევა[16].

5. თავდებობის ხელშეკრულების შინაარსი

თავდებობის ხელშეკრულებით თავდები ვალდებულებას კისრულობს, **მოვალის (და არა თავისი) ვალდებულება შეასრულოს.** თავდების მოტივს, თუ რატომ იღებს იგი მესამე პირის მიმართ ვალდებულებას, თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს[17]. თავდებობის არსიდან გამომდინარე, თავდებს ვალდებულების შესრულების შემდეგ, ძირითადი მოვალისაგან უკუმოთხოვნის უფლება აქვს[18]. უკუმოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ თავდები მოვალის ხანდაზმულ მოთხოვნას შეასრულებს. უკუმოთხოვნის საპირისპიროდ შეიძლება წარდგენილ იქნეს შესაგებელი (უკუმოთხოვნის გამომრიცხველი გარემოება), კერძოდ კი, თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის გარიგება, მაგა-

---

[13] *Medicus*, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13. Auflage, Verlag: C.H.Beck, München, 2006, S.190.

[14] იქვე, გვ. 190.

[15] *კროპჰოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, §766, ველი 1, თბილისი, 2014.

[16] თბილისის საქალაქო სასამართლოს 05.04.2016 გადაწყვეტილება, საქმეზე №2/1908-15.

[17] *Medicus*, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13. Auflage, Verlag: C.H.Beck, München, 2006, S.190.

[18] იქვე, გვ. 190.

ლითად, ე.წ. „უფასო თავდებობის“ თაობაზე, ასევე ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ და ა. შ.[19]

ხშირად სადავოა ისეთ თავდებობათა ნამდვილობა, როდესაც თავდების ქონება ძირითად ვალდებულებას არ უზრუნველყოფს, მაგალითისათვის, როდესაც თავდებობით უზრუნველყოფილი თანხა თავდებობით უზრუნველყოფილ ქონებას ბევრად აღემატება [20], ან კიდევ როდესაც, თავდები არასრულწლოვანია[21].

6. თავდებობის ხელშეკრულების ფორმა

თავდებობის ხელშეკრულება წერილობით ფორმას მოითხოვს. თავდებობის ხელშეკრულების წერილობითი ფორმა ისეთ არსებით პირობებს უნდა ასახავდეს, როგორიცაა, მაგალითად, კრედიტორის დასახელება, რომლის მიმართაც თავდები მოვალის ვალდებულების შესრულების მოვალეობას კისრულობს და მოვალის დასახელება, რომლის ვალდებულებაც თავდებობითაა უზრუნველყოფილი. თავდებობის არსებით პირობას წარმოადგენს ასევე თავდებობის ზღვრული თანხა, რომლის ფარგლებშიც თავდები კრედიტორის წინაშე ვალდებულებას კისრულობს[22]. თავდებობის აღნიშნული პირობები თავდებისათვის დაცვითი ფუნქციის მატარებელია [23]. თავდებობის ფორმის ნაკლს შესრულება ასწორებს[24]. თავდებობის ზღვრული თანხა თავდებობის ხელშეკრულების ფორმის ნაკლად განიხილება[25], შესაბამისად, აღნიშნული ნაკლის გამო თავდებობის ხელშეკრულება ბათილად მიიჩნევა[26]. თავდებობის ფორმის ნაკლი არ აღმოიფხვრება მხარის მითითებით მასზედ, რომ იგი თავდებია და მისი პასუხისმგებლობა ზეპირი ურთიერთშეთანხმებით სესხის ზღვრული თანხით არის შემოფარგლული[27]. სასამართლო პრაქტიკაში არსებობს გადაწყვეტილებები, რომლის მიხედვითაც, მარტოოდენ გენერალური ხელშეკრულების არსებობა ამავე გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული ყველა კრედიტისთვის თავდებთა პასუხისმგებლობას არ წარმოშობს, რადგან, ასეთ შემთხვევაში, დარღვეულია თავდებების ვალდებულების განსაზღვრულობის პრინციპი, კერძოდ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაცემული კრედიტის ოდენობისა და აღნიშნულ კრედიტთან მიმართებით თავდების პასუხისმგებლობის ფარგლების თაობაზე თავდების ექსპლიციტური თანხმობის ვალდებულება არსებობს. შესაბამისად, ასეთ პირობებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის კონტექსტში თავდებობის ხელშეკრულების ყველა არსე-

---

19 იქვე, გვ. 191.
20 იქვე, გვ. 191.
21 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.11.2018 განჩინება, საქმეზე №2ბ/3694-18.
22 *კროპჰოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, §766, ველი 1, თბილისი, 2014.
23 *Medicus*, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13. Auflage, Verlag: C.H.Beck, München, 2006, S.191.
24 იქვე, გვ. 191.
25 თბილისის საქალაქო სასამართლოს 05.04.2016 გადაწყვეტილება, საქმეზე №2/1908-15.
26 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.01.2017 განჩინება, საქმეზე №2ბ/2955-16.
27 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.01.2017 განჩინება, საქმეზე №2ბ/2955-16.

ბითი პირობა შეთანხმებული არ არის და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არც პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხაა განსაზღვრული[28], თუმცა, საგულისხმოა, რომ ამ მიმართებით ჯერ ერთიანი განზოგადებული პრაქტიკა ჩამოყალიბებული არ არის. ფორმის დაცვა აუცილებელი არ არის, თუ ვინმე თავდებობის შესახებ თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში განაცხადებს. ფორმის დაცვის აუცილებლობა მდგომარეობს ასევე იმაში, რომ თავდებობა გაიმიჯნოს **სხვისი ვალის აღიარების** ინსტიტუტისაგან, რომელიც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს[29].

სხვისი ვალის აღიარების ნორმატიულ მოწესრიგებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, არ შეიცავს. ორივე შემთხვევაში, სხვისი ვალის აღიარებას სასამართლო პრაქტიკა არეგულირებს[30] [31].

სხვისი ვალის აღიარების დროს მესამე პირი კრედიტორის წინაშე კისრულობს იმ ვალდებულების შესრულების მოვალეობას, რომელიც მის პირად ვალდებულებას (მოვალის ვალი) არ წარმოადგენს. მაგალითისათვის, როდესაც ორ პირს შორის არსებობს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა და მესამე პირი კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულების შესრულების მოვალეობას თავის თავზე იღებს. ასეთ შემთხვევაში, კრედიტორის თანხმობა საჭირო არ არის, ვინაიდან **ადგილი არ აქვს მოვალის შეცვლას, მის ჩანაცვლებასა და ვალის მესამე პირისათვის გადაკისრებას**, უფრო მეტიც, ასეთ დროს, სახეზეა სოლიდარული ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორი უფლებამოსილია ვალდებულების შესრულება **მოსთხოვოს როგორც მოვალეს ან მესამე პირს, ასევე ორივე მათგანს, სოლიდარულად**[32]. სხვისი ვალის აღიარება თავდებობისაგან მკვეთრად განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტია, ვინაიდან თავდებობას ძირითად ვალდებულებასთან **აქცესორული ბმა და სუბსიდური ხასიათი** აქვს. იგივე არ შეიძლება ითქვას სოლიდარულ თავდებობაზე. **სხვისი ვალის აღიარებასა და სოლიდარულ თავდებობას შორის მეტი მსგავსებაა**, მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია, პასუხისმგებლობის სოლიდარული ხასიათი, თუმცა, არსებობს განსხვავებაც, მაგალითისათვის, თავდებობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმის დაცვა, თავდებობის ზღვრული თანხის გათვალისწინება და ა. შ.. გაბატონებული შეხედულების მიხედვით, მთავარი განსხვავება იმაშია, თუ რა ინტერესი აქვს, ერთი მხრივ, თავდებსა და, მეორე მხრივ, მესამე პირს, მოვალის ვალდებულების დაფარვის მიმართ. როგორც წესი, მესამე პირი, სოლიდარული თავდებისაგან იმით განსხვავდება, რომ **მას შესრულების მიმართ საკუთარი ეკონომიკური**

[28] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.02.2018 განჩინება, საქმეზე №2ბ/5372-16.
[29] *Medicus*, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13. Auflage, Verlag: C.H.Beck, München, 2006, S.192.
[30] BGH WM 1976, 1109; NJW 1981,47 nach *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.359.
[31] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.09.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/2202-14.
[32] http://www.juraindividuell.de/artikel/schuldbeitritt/

ინტერესი აქვს, მაგალითისათვის, როცა, მესამე პირი აღნიშნული შესრულებით მოვალის მიმართ თავის ვალდებულებას ფარავს. თავდებს კი, როგორც წესი, შესრულების მიმართ თავისი დამოუკიდებელი ინტერესი არ გააჩნია. მისი შესრულება მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ინტერესებშია. თავდებობა კი მოვალის მხრიდან ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება[33].

7. თავდებობის აქცესორული ბუნება

თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება **აქცესორული ბუნებისაა.** შესაბამისად, მისი არსებობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული. თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე **სამომავლო და პირობითი ვალდებულებებისათვის,** ანუ თავდების ვალდებულება, შეასრულოს კრედიტორის წინაშე მესამე პირის ვალდებულება, დამოკიდებულია სამომავლო ან/და პირობითი ვალდებულების დადგომაზე[34]. ძირითადი ვალდებულების ბათილობის შემთხვევაში, თავდების ვალდებულება არ წარმოიშობა. შესაბამისად, ძირითადი ვალდებულების ბათილობის პირობებში მოვალის კონდიქციურ ვალდებულებას თავდებობა არ უზრუნველყოფს[35]. თავდებობა უზრუნველყოფს ძირითად ვალდებულებას თავდებობის ზღვრული თანხის ფარგლებში. ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია თავდებობის გავრცელება მოვალის ბრალით გაზრდილ ვალდებულებაზე (პირგასამტეხლო, ვადაგადაცილების პროცენტი, შესრულების ნაცვლად ზიანი და ა. შ.), თუმცა, მხოლოდ თავდებობის ზღვრული თანხის ფარგლებში. გარიგების საფუძველზე პასუხისმგებლობის ფარგლების შემდგომში გაფართოება თავდების მიმართ არ ვრცელდება. გარიგებით პასუხისმგებლობის შემცირება კი პირიქით, თავდების სასარგებლოდ დაუყოვნებლივ მოქმედებს[36]. თავდებობის გავრცელება ახალი გარიგებიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე დაუშვებელია[37], ისევე როგორც სანივთოსამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებების გავრცელებაა დაუშვებელი ახალ, მათ შორის, ახალი პირობებით რესტრუქტურიზებულ გარიგებებზე[38]. თავდებობის აქცესორული ბუნება ვლინდება ასევე იმაში, რომ კრედიტორის მიერ მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში, მოთხოვნა კვლავ თავდებობით უზრუნველყოფილი რჩება[39]. **იგივე წესი არ მოქმედებს ძირითადი მოვალის შეცვლის შემთხვევაში.** ვალდებული პირის ცვლილება (ვალის გადაკისრება), თავდების თანხმობის გარეშე, დაუშვებელია. თავდების თანხმობის გარეშე ვალის გადაკისრების პირობებში **თავდების პასუხისმგებლობა ახალი მოვალის ვალ-**

---

[33] *Medicus*, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13.Auflage, C.H.Beck, München, 2006, S.193-194.
[34] იქვე, გვ. 193.
[35] იქვე, გვ. 193.
[36] *კროპჰოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, §767, ველი 2, თბილისი, 2014.
[37] *Medicus*, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13.Auflage, C.H.Beck, München, 2006, S.193.
[38] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1280-1300-2011.
[39] *Medicus*, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13.Auflage, C.H.Beck, München, 2006, S.193.

დებულებებზე აღარ ვრცელდება[40]. თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, თავდებს ყველა იმ შესაგებლის წარდგენის უფლება აქვს, რაც ძირითად მოვალეს გააჩნია, მაშინაც, როცა ძირითად მოვალეს აღნიშნულ შესაგებლებზე უარი აქვს ნათქვამი[41]. თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს სადავო გახადოს ის გარიგება, რომელიც საფუძვლად უდევს მის ვალდებულებას. იგივე წესი ვრცელდება მაშინაც, თუ ძირითად მოვალეს კრედიტორის მიმართ აღმჭურველი უფლებები, მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლის, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის, და ა. შ. უფლება აქვს[42]. **თუმცა, მითითებულ უფლებათა გამოყენება თავდებს პირადად არ შეუძლია.** მას უფლება აქვს მხოლოდ უარი თქვას თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებაზე. თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამონაკლისს წარმოადგენს წესი, რომლის მიხედვითაც, თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვალა, **თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე.** მემკვიდრის შეზღუდული პასუხისმგებლობის წესი გამომდინარეობს მისი პასუხისმგებლობიდან მხოლოდ მიღებული სამკვიდრო აქტივის ფარგლებში. იგივე წესი ვრცელდება თავდების მიმართ, თუ ძირითადი მოვალე გადახდისუუნარობის რეჟიმში აღმოჩნდება. აღნიშნული გარემოებები თავდების პასუხისმგებლობას არ ამცირებს. მითითებული გამონაკლისი აიხსნება თავად თავდებობის მიზნიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც, **თავდებმა მთელი თავისი ქონებით უზრუნველყოს კრედიტორი, იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი მოვალე კრედიტორს ვერ უზრუნველყოფს**[43].

თუ ძირითადმა მოვალემ გადახდის ვადას გადააცილა, კრედიტორმა ამის შესახებ თავდებს უნდა აცნობოს. თავდების მოთხოვნით კრედიტორმა ნებისმიერ დროს უნდა მიაწოდოს მას ცნობები ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ. თუ კრედიტორი არ შეასრულებს ერთ-ერთ ამ მოქმედებას, მაშინ იგი თავის მოთხოვნებს თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით კარგავს, რა ოდენობითაც შეუსრულებლობა ზიანს გამოიწვევდა. სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლის ზემოაღნიშნულ დანაწესს სასამართლო პრაქტიკა ხშირად იყენებს. აღნიშნული მუხლის გამოყენების წინაპირობაა, თავდების მითითება მასზედ, რომ იგი მოვალის მიერ ვადის გადაცილების თაობაზე ინფორმირებული არ იყო. კრედიტორის მიერ საწინააღმდეგო მტკიცების განუხორციელებლობის შემთხვევაში, სასამართლო თავდებისათვის დასაკისრებელ თანხას იმ ოდენობით ამცირებს, რა ოდენობითაც ვალდებულება თავდებისათვის დარღვევის შეუტყობინებლობის ვადაში გაიზარდა. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში, **შემცირებას ვადაგადაცილების პირგასამტეხლო ექვემდებარება ხოლმე**.[44] სასამართლოს განმარტებით, კრედიტორის მხრიდან მოვალის

---

[40] იქვე, გვ. 193.
[41] იქვე, გვ. 193.
[42] იქვე, გვ. 193.
[43] იქვე, გვ.194.
[44] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.12.2001 გადაწყვეტილება, საქმეზე №3კ/815-01.

მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ თავდებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა **თავდების პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლებას არ იწვევს.** აღნიშნული მხოლოდ მისი პასუხისმგებლობის შემცირების საფუძველია. ამასთან, შემცირება ვრცელდება იმ ზიანზე, რომელიც კრედიტორის მიერ თავდებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობით დგება და რომელიც არ დადგებოდა კრედიტორს თავდების მიმართ თავისი ვალდებულება ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ჯეროვნად რომ შეესრულებინა.[45]

თავდებობის აქცესორული ბუნების კონტექსტში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს **თავდებობა სოლიდარული თავდებობისაგან.** ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ მიუხედავად სოლიდარული თავდებობისა, თავდებობას მაინც აქცესორული ბუნება აქვს და ისევეა დაკავშირებული ძირითად ვალდებულებასთან, როგორც ჩვეულებრივი თავდებობის შემთხვევაში. სოლიდარული თავდებობის დროს კრედიტორს, სოლიდარული თავდების მიმართ, ძირითადი მოვალისაგან ყოველგვარი იძულებითი აღსრულების გარეშე, შეუძლია მოთხოვნის წარდგენა. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, თავდებობის აქცესორული ხასიათი შენარჩუნებულია და სოლიდარული თავდებობა არსებობს იქამდე, სანამ არსებობს ძირითადი ვალდებულება[46]. შესაბამისად, სოლიდარული თავდების მიერ მოვალის დაკმაყოფილება თავდებს მოვალის მიმართ უკუმოთხოვნის უფლებას წარმოუშობს.

8. სუბსიდიური და სოლიდარული თავდებობა

„სუბსიდიური თავდებობის“ ცნებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს. თავდებობის ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები განმარტავს თავდებისა და სოლიდარული თავდების ფუნქციურ დანიშნულებასა და მის მიმართებას კრედიტორსა და ძირითად მოვალესთან. შინაარსობრივი სხვაობის უკეთ დანახვის მიზნით, სასურველია თავდები სახელდებულ იქნას „სუბსიდიურ თავდებად“, რათა იგი მკვეთრად გაიმიჯნოს სოლიდარული თავდებისაგან. **თავდებობის სუბსიდიური ხასიათი ვლინდება იმაში, რომ თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.** თავდების მითითებული შესაგებელი თავდების უფლებაა, შესაბამისად, იგი შეიძლება დაეთანხმოს მის მიმართ მოთხოვნას და არ გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლით გათვალისწინებული შესაგებელი, ვინაიდან აღნიშნული შესაგებლის გამოყენება თავდებისათვის შეიძლება ზიანის მომტანი იყოს. მაგალითისათვის, თუ თავდები დარწმუნებულია, რომ მოვალე გადახდისუუნაროა, მის მიმართ იძულებითი ღონისძიებების წარმოება **დამატებით აღსრულების ხარჯებს მოითხოვს,** რომელზეც პასუხისმგებლობა თავდებს დაეკისრება[47]. კრედიტორი უფლებამოსილია, მოვა-

[45] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.02.2017 განჩინება, საქმეზე №ას-1153-1108-2016.
[46] იქვე, გვ. 194.
[47] იქვე, გვ. 194.

ლის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე მოთხოვნა მხოლოდ სოლიდარულ თავდებს წარუდგინოს. თუმცა, არც სოლიდარული თავდებობაა უპირობო. სოლიდარული თავდების მიმართ წარდგენილი მოთხოვნა საფუძვლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, **თუ დასტურდება, რომ ძირითადმა მოვალემ ვალდებულება დაარღვია და იგი, ვალდებულების შესრულების თაობაზე უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა არ არსებობს გაფრთხილების ვალდებულება, თუ მისი გადახდისუუნარობა აშკარაა.** საპროცესოსამართლებრივად, თავდების მიმართ მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, მოსარჩელემ (კრედიტორმა) უნდა დაადასტუროს ვალდებულების დარღვევისა და მოვალის უშედეგოდ გაფრთხილების ფაქტი, ან გარემოება, რომელიც გაფრთხილების აუცილებლობას გამორიცხავს, მაგალითად, მოვალის გადახდისუუნარობა.

პრაქტიკაში, როგორც წესი, უფრო ხშირად სოლიდარული თავდებობის ინსტიტუტი გამოიყენება. თავდებობის სოლიდარული ხასიათი კრედიტორს მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს, როგორც სოლიდარული თავდების, ასევე ძირითადი მოვალის მიმართ, საკუთარი არჩევით, რომელიმე მათგანის მიმართ წინმსწრები იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე. მითითებულ არჩევანს პრაქტიკული დანიშნულება აქვს, რასაც ხშირად ბანკები და სხვა საფინანსო ორგანიზაციები მიმართავენ.

შედეგობრივი თვალსაზრისით, სოლიდარული თავდების პასუხისმგებლობა სოლიდარულია ძირითად მოვალესთან ერთად კრედიტორის წინაშე, რაც შეეხება **სოლიდარული თავდებისა და ძირითადი მოვალის ერთმანეთს შორის ურთიერთობას,** იგი სოლიდარული ვალდებულების მომწესრიგებელი რეგულაციებით არ წესრიგდება. სოლიდარულ თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის ურთიერთობა ძირითადი ვალდებულების შესრულების შემდეგ ერთმანეთის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლზე დაყრდნობით რეგულირდება, რომლის მიხედვითაც, თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ. სოლიდარულ თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის ურთიერთობაზე არ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის დანაწესი, რომლის შესაბამისადაც, მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. როდესაც შეუძლებელია მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით. ამდენად, თავდები, მიუხედავად იმისა, იგი სოლიდარულია, თუ სუბსიდიური, ძირითად ვალდებულებასთან მაინც აქცესორულად არის დაკავშირებული[48].

[48] *Medicus*, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13. Auflage, Verlag: C.H.Beck, München, 2006, S.194.

9. თავდებობის ურთიერთმიმართება სანივთოსამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებებთან

კიდევ ერთი გარემოება, რაც თავდებობას უკავშირდება, მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს, მისი, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების, რანგირებული ურთიერთმიმართება სანივთოსამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებებთან. დღევანდელი მდგომარეობით, სრულად გაზიარებული გაბატონებული შეხედულების თანახმად, თავდებობა და სანივთო უზრუნველყოფა კანონით თანაბარსაფეხურიანი უზრუნველყოფის საშუალებებია. შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილია მოთხოვნა დაიკმაყოფილოს, როგორც სანივთო, ასევე ვალდებულებითსამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებებიდან[49]. ერთის გამოყენება, არ გამორიცხავს უზრუნველყოფის მეორე ღონისძიების გამოყენებასაც, თუ უზრუნველყოფის ერთი ღონისძიებით ვალდებულება სრულად არ შესრულდა. მაგალითისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შედეგად ვალდებულება სრულად არ იფარება, ვალდებულება შეწყვეტილად არ ითვლება, თუ აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სხვა საშუალება არსებობს. მითითებული პრინციპი მოქმედებს მაშინაც, როდესაც იპოთეკის ხელშეკრულებაში არ არსებობს დათქმა იპოთეკის საგნის არასაკმარისობის შემთხვევაში აღსრულების მოვალის სხვა ქონებაზე მიქცევის თაობაზე[50].

10. თავდებობა და ვალის პატიება

ვალის პატიება ძირითადი მოვალისათვის ათავისუფლებს თავდებ პირებსაც. თავდების გათავისუფლება ვალის გადახდისაგან არ ათავისუფლებს ძირითად მოვალეს ვალდებულების შესრულებისაგან. ერთ-ერთი თავდების გათავისუფლება ვალის გადახდისაგან ათავისუფლებს სხვა თავდებ პირებსაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „ვალის პატიება, რასაც შედეგად შეიძლება ვალდებულების შეწყვეტა მოჰყვეს, თავის მხრივ, წარმოადგენს ორმხრივ გარიგებას, სადაც გარკვევით უნდა აისახოს მხარეთა ნება, მიმართული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისაკენ. იგი ორმხრივი შეთანხმებაა და მიზნად უნდა ისახავდეს მატერიალური სამართლით რეგულირებული შედეგის მიღწევას – მიუღებელი შესრულებისაგან მოვალის გათავისუფლებას“. ამდენად, კრედიტორის ნების შეფასება ვალის პატიებად ნათელი და არაორაზროვანი უნდა იყოს. ამასთან, უნდა დგინდებოდეს კრედიტორმა ვალი მოვალეს აპატია, თუ თავდებს. თუ ვალი თავდებს აპატია, კრედიტორმა მოთხოვნა სხვა თავდებების მიმართ დაიტოვა, თუ არა. საკასაციო პალატის განმარტებით, „როდესაც მხარე უარს აცხადებს სოლიდარული თავდების მიმართ წარდგენილ მოთხოვნაზე, თუ მხარეთა ნება არ იქნება მიმართული სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინე-

[49] *კროპჰოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, §774, ველი 8, თბილისი, 2014.
[50] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.08.2011 განჩინება, საქმეზე №ას-164-158-2011.

ბული შედეგის მიღწევაზე, არ შეიძლება ვალის პატიების სამართლებრივი შედეგი მხოლოდ ვარაუდზე დაყრდნობით დადგინდეს... მოსარჩელის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული თავდების მიმართ წარდგენილ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი, ეს გარემოება არც მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ვალის პატიებას, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლით კანონმდებელმა დაადგინა, რომ სხვა სოლიდარული მოვალეებისათვის ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს გათავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით[51]. ამდენად, როგორც საპროცესო, ასევე მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ ერთი სოლიდარული თავდებისათვის გულისხმობს, თუ არა, დანარჩენი სოლიდარულად მოვალე სუბიექტების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას[52]. როგორც წესი, მხარე იყენებს უფლებას მოთხოვნა მხოლოდ იმ სოლიდარული მოვალის მიმართ წარადგინოს, რომელსაც ქონება აქვს. აღნიშნული გარემოება, როგორც წესი, არ ნიშნავს იმას, რომ კრედიტორი სხვა სოლიდარულ მოვალეებს (თავდებებს) ვალს პატიობს. კრედიტორი მხოლოდ შესაძლებლობას იყენებს სამართლებრივი დავა ლიკვიდური მოვალის მიმართ აწარმოოს. ამიტომ სასამართლოს დასკვნა, რომ ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ სარჩელის აღძვრა, ან თუნდაც მორიგება, სხვა სოლიდარულ მოვალეებს (თავდებებს) ვალდებულებისაგან ათავისუფლებს, მცდარია. ამგვარი დასკვნა მხოლოდ კრედიტორის ნების კვლევის შედეგად უნდა დადგინდეს. საპროცესო – სამართლებრივი თვალსაზრისით, ყოველთვის მიზანშეწონილია, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის (თავდების) მიმართ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, სხვა სოლიდარული მოვალეები (თავდებები) მესამე პირად იქნენ სამართალწარმოების პროცესში ჩართულნი, რადგან აღნიშნული სამართალწარმოება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს, რადგან აღნიშნული წარმოების მოვალეს მათ მიმართ, რეგრესის წესით, მოთხოვნის უფლება უჩნდება, თუ რაღა თქმა უნდა, კრედიტორმა მათ მიმართ მოთხოვნაზე უარი არ განაცხადა (ვალის პატიება).

11. თავდებობის გამიჯვნა მომიჯნავე ინსტიტუტებისაგან

ა) ვალის თავის თავზე აღება

ვალის თავის თავზე ამღები სუბიექტი თავდები არ არის. იგი ვალდებულების შესრულებას კისრულობს და ამასთან, მითითებულ ვალდებულებას თავისად მიიჩ-

[51] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.11.2013 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1087-1018-2012.

[52] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.10.2010 განჩინება, საქმეზე №ას-379-352-2010.

ნევს. მას აღნიშნული ვალდებულების მიმართ საკუთარი სამართლებრივი, თუ ეკონომიკური ინტერესი აქვს[53]. საეჭვოობის შემთხვევაში, ადგილი აქვს თავდებობას, თუ ვალის საკუთარ თავზე აღებას, საკითხი თავდებობის სასარგებლოდ წყდება[54]. ვალის თავის თავზე აღების დროს ვალის გადაკისრება ხდება, შესაბამისად, ვალის თავის თავზე აღების ნამდვილობისათვის აუცილებელია კრედიტორის თანხმობა, რადგან ასეთ ვითარებაში კრედიტორის წინაშე შესრულებაზე ვალდებულ სუბიექტად ვალის თავის თავზე ამღები სუბიექტი რჩება. თუ ვალის თავის თავზე აღებას კრედიტორი არ დაეთანხმა, ვალის თავის თავზე ამღები პირი ძირითად მოვალესთან ერთად კრედიტორის წინაშე სოლიდარულად აგებს პასუხს. შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილია მოთხოვნა წარუდგინოს, როგორც მოვალეს, ასევე ვალდებულების თავის თავზე ამღებ სუბიექტს სოლიდარულად.

ბ) გარანტია

გარანტიასთან დაკავშირებული ხელშეკრულება თავდებობისაგან განსხვავდება. გარანტიის ხელშეკრულების შემთხვევაში, გარანტი ძირითადი ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად კისრულობს მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულებას ან მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებას[55]. ამ მიმართებით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ საბანკო გარანტია (bank guarantee) და საგარანტიო წერილი (letter of credit). აღნიშნულ ორ ინსტიტუტს შორის არის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. საგარანტიო წერილი უზრუნველყოფს დაგეგმილი ტრანზაქციის (გადახდის) ერთჯერად განხორციელებას, მაშინ, როდესაც საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ბენეფიციარისათვის დანაკარგის შემცირებას ან თავიდან აცილებას, თუ დაგეგმილი ტრანზაქცია (შესრულება) მოვალემ არ განახორციელა. საგარანტიო წერილის (letter of credit) შეთანხმებული წინაპირობების არსებობისას, ბანკი კრედიტორის მიმართ გადახდას (შესრულებას) ახორციელებს, მაშინ როდესაც, საბანკო გარანტიის არსებობის დროს, ბანკი შესრულებას მხოლოდ მაშინ ახდენს, თუ მოვალემ (პრინციპალმა) კრედიტორის (ბენეფიციარის) წინაშე ვალდებულება არ შეასრულა. საგარანტიო წერილი ბანკის ან სხვა საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული წერილობითი გარანტიაა, მასზედ, რომ იგი ვალდებულების შესრულების დადასტურების შემთხვევაში განახორციელებს გადახდას. საბანკო გარანტია კი ბანკის მიერ ნაკისრი ვალდებულებაა, მაშინ განახორციელოს გადახდა, თუ მოვალემ მასზე დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა.

ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს **აკრედიტივი და საბანკო გარანტია**. აკრედიტივი საბანკო გარანტიისაგან იმით განსხვავდება, რომ აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნე-

---

53 *Brox/Walker*, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag C.H. Beck, §32, Rn.2.

54 იქვე, ველი 3.

55 იქვე, ველი 4.

ლი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა, ან გაანაღდოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი, ანდა დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები. რაც შეეხება საბანკო გარანტიას, საბანკო გარანტიით ქართული კანონმდებლობის მიხედვით, მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. **ამდენად, აკრედიტივის გახსნით, საკრედიტო დაწესებულება აკრედიტივის გამხსნელის დავალებით რემიტენტს (მესამე პირს) უხდის ფულად თანხას, მაშინ, როდესაც გარანტი ბენეფიციარს მხოლოდ მაშინ უხდის თანხას, როდესაც პრინციპალი ნაკისრ ვალდებულებას არღვევს.** შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საბანკო გარანტია არააქცესორული, დამოუკიდებელი გარიგებაა, მისი გაცემა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევაზეა დამოკიდებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეთა შორის **უპირობო გარანტიაა** შეთანხმებული, რა დროსაც გარანტია იმ გარემოების კვლევის (მითითების) გარეშე გაიცემა, პრინციპალმა ვალდებულება დაარღვია, თუ არა.

თავდებობა, საბანკო გარანტიისაგან განსხვავებით, აქცესორული ბუნებით ხასიათდება, მაშინ, როდესაც საბანკო გარანტია დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა. იგი ძირითად ვალდებულებაზე მიბმული არ არის. მას არც სუბსიდიური ბუნება აქვს. ბენეფიციარი გარანტს პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევისთანავე მიმართავს. რაღა თქმა უნდა, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დამოუკიდებელი ხასიათი თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ მის გამოყენებას წინაპირობები არ გააჩნია. მისი გამოყენების წინაპირობა **პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევაა,** შესაბამისად, მისი გამოყენება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პინციპალი ვალდებულებას არ ან არაჯეროვნად შეასრულებს. გარდა იმ შემთხვევებისა, თუ სახეზე არ გვაქვს **უპირობო გარანტია, რომლის დროსაც, გარანტი ბენეფიციარს მოთხოვნისთანავე აკმაყოფილებს,** მიუხედავად იმისა, პრინციპალმა ვალდებულება დაარღვია, თუ არა. ამიტომაც, უპირობო გარანტია აკრედიტივის მსგავს ინსტიტუტად განიხილება და, ხშირ შემთხვევაში, მათი მახასიათებლების ურთიერთგამიჯვნა ძნელდება. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად გარანტიის დამოუკიდებელი ბუნებისა, გარანტმა პრინციპალთან კონტაქტი უნდა შეინარჩუნოს, რომელსაც ბენეფიციარისაგან მიღებული მოთხოვნის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს[56]. იმისათვის, რომ გარანტმა მასზე დაკისრებული ვალდებუ-

[56] *Eberhardt*, Erscheinungsformen der Bankgarantie, http://home.uni-leipzig.de/bankinstitut/dokumente/1999-07-14-01.pdf, S.3.

ლება შეასრულოს, აუცილებელია დადგეს ის შემთხვევა, რომლის დადგომის მიზნებისათვისაც გარანტია შეთანხმდა. გარანტის მიერ ბენეფიციარის წინაშე ვალდებულების პირობებში საგარანტიო შემთხვევის მატერიალურსამართლებრივი მხარე არ მოწმდება. გარანტია გაიცემა, თუ ფორმალურ-პროცედურულად გარანტი იმ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რომლებიც საგარანტიო პირობებით შეთანხმდა. მაგალითისათვის, ქართული კანონმდებლობის, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საბანკო გაანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში, ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გარანტია გაიცა (სსკ[57] 885). მართალია, გარანტი მატერიალურსამართლებრივად ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ფაქტს არ ამოწმებს, თუმცა, გარდა ფორმალურ-პროცედურული პირობების შემოწმებისა, თუ ბენეფიციარი აშკარად არაკეთილსინდისიერად იქცევა და ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიუხედავად გარანტისაგან შესრულებას მაინც ითხოვს, გარანტმა ბენეფიციარს თანხა არ უნდა გადაუხადოს[58]. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ გარანტი განხორციელებულ შესრულებას, რეგრესის წესით, პრინციპალისაგან ინაზღაურებს, თუმცა, თუ გარანტმა შესრულება გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან, ზოგადად, კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევით განახორციელა, პრინციპალი გარანტის წინაშე რეგრესული ანაზღაურების ვალდებულებისაგან თავისუფლდება. გარანტი გადაცემულის უკან დაბრუნებას უსაფუძვლოდ გამდიდრებული ბენეფიციარისაგან მოითხოვს[59].

ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით განმარტებულია, რომ მიუხედავად საბანკო გარანტიის კანონით გათვალისწინებული დამოუკიდებელი (არააქცესორული) ბუნებისა და მისი დამოუკიდებლობისა ძირითადი ვალდებულებისაგან, მისი გაცემის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის, აუცილებელია, რომ საბანკო გარანტია აკმაყოფილებდეს ასევე ორ მნიშვნელოვან წინაპირობას, კერძოდ, **ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს და მისი წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ გარანტიით განსაზღვრულ ვადაში.** მითითებული წესი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის მიხედვითაც, გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, **თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს,** ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ. გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს

[57] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. შემდგომში: სსკ.

[58] *Eberhardt*, Erscheinungsformen der Bankgarantie, http://home.uni-leipzig.de/bankinstitut/dokumente/1999-07-14-01.pdf, S.4.

[59] იქვე, გვ. 5.

მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ[60] [61]. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია, კანონი გარანტისათვის ფულადი თანხის გაცემის დამოუკიდებელ ვალდებულებას აწესებს, თუმცა, გარანტი მაინც ვალდებულია ბენეფიციარისათვის თანხის გადახდამდე, **გონივრული წინდახედულობის ფარგლებში,** შეამოწმოს თანხის გადახდის თაობაზე წარდგენილი მოთხოვნის საფუძვლები და გარანტიის ვადა, ვინაიდან **კანონი გარანტიის სახით გაცემულ ფულად თანხას არამართლზომიერად მიიჩნევს, თუ ბენეფიციარის მოთხოვნა თანხის გაცემის თაობაზე გარანტიის პირობებს არ შეესაბამება.** შესაბამისად, გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გაცემული ფულადი თანხის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის უნდა დადგინდეს გარანტიის ხელშეკრულების პირობები და მისი მოქმედების ვადა. ამ მიმართებით, უნდა განიმარტოს, რომ **არსებობს საბანკო გარანტიის არაერთი სახე**[62].

როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულია საბანკო გარანტიის შემდეგი სახეები:

ა) **გადახდის გარანტია (Payment Guarantee),** რომელიც გარანტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. იგი უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარისათვის ხელშეკრულებით გათვალისიწნებული გადახდების განხორციელებას;

ბ) **სატენდერო გარანტია (Bild Bond; Tender Bond).** აღნიშნული სახის გარანტიის მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული შემთხვევა, როცა ტენდერის მონაწილე უარს აცხადებს ხელშეკრულების გაფორმებაზე. სატენდერო გარანტია იმითაც გამოირჩევა გარანტიის სხვა სახეებისაგან, რომ მისი ღირებულება, როგორც წესი, დაბალია;

გ) **შესრულების გარანტია (Perfomance Bond).** ასეთი სახის გარანტიები იცავენ ბენეფიციარს ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისაგან;

დ) **საავანსო გადახდის გარანტია (Advance Payment Guarantee).** საავანსო გადახდის ძირითად მიზანს წარმოადგენს გაცემული ავანსის მიზანმიმართული გამოყენების უზრუნველყოფა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ე) **კრედიტის უზრუნველყოფის გარანტია (Security for credit line).** ასეთი ტიპის გარანტია უზრუნველყოფს კრედიტის დაბრუნებადობას.

ზოგადად, საბანკო გარანტია, მიუხედავად მისი სახისა და დანიშნულებისა, პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი სხვადასხვა სახის ვალდებულე-

---

[60] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.07.2013 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1353-1277-2012.

[61] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.03.2009 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-781-996-08.

[62] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.02.2015 გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/3772-14.

ბის ჯეროვანი შესრულების გარანტიას წარმოადგენს. საბანკო გარანტიის, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენება აქტუალურია იმ შემთხვევებში, როდესაც მეწარმეს ბიზნეს პროექტების განხორციელებისათვის **კრედიტი კი არ სჭირდება, არამედ გარანტია, რომ ბანკი პრობლემების წარმოშობის დროს მისცემს მას ფულად სახსრებს მოვალის ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ.** თუმცა, საბანკო გარანტიის სხვადასხვა სახე სამართალურთიერთობის სხვადასხვა მიზანს ემსახურება, **შესაბამისად, საბანკო გარანტიის ფარგლებში გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ გაცემული ფულადი თანხა, ყოველთვის არ შეესაბამება იმ პირობებს, რომელიც პრინციპალსა და გარანტს შორის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.** აღნიშნულ გარემოებას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო გარანტიის სახით გაცემული თანხის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის, რადგან **თანხის გაცემის მართლზომიერება განსაზღვრავს, საბოლოო ჯამში, გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხა, რეგრესის წესით, პრინციპალისაგან უნდა იქნეს ანაზღაურებული, თუ მითითებული თანხა, როგორც უსაფუძვლოდ მიღებული, ბენეფიციარისაგან უნდა იქნეს გამოთხოვილი.** აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით კი უნდა დადგინდეს, გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის თანხის გადახდა ემსახურებოდა, თუ არა იმ მიზნებს, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ამ მიმართებით კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების განმარტებას, მისი არსის დადგენას და ხელშეკრულების მიზნის იდენტიფიცირებას, რაც, საბოლოო ჯამში, მოგვცემს პასუხს კითხვაზე – **ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტიის თანხის გაცემის თაობაზე შეესაბამებოდა, თუ არა გარანტიის პირობებს.** აღნიშნულ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში, გარანტის მოთხოვნა პრინციპალისაგან რეგრესის წესით თანხის ანაზღაურების თაობაზე, **დასაბუთებულია,** ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში – **დაუსაბუთებელი,** შესაბამისად, თუ დადგინდა, რომ ბენეფიციარმა თანხა უსაფუძვლოდ მიიღო, გარანტს თანხის გამოთხოვის უფლება ამავე თანხის უსაფუძვლოდ მიმღები სუბიექტისაგან – **ბენეფიციარისაგან წარმოეშობა.**

სასამართლო პრაქტიკის განზოგადებული დასკვნით, გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ გაცემული თანხა რეგრესის წესით პრინციპალისაგან ანაზღაურებას ექვემდებარება, თუ ბენეფიციარის მოთხოვნა, თანხის გაცემის თაობაზე, შეესაბამებოდა გარანტიის პირობებს, კერძოდ, იმ მიზნებსა და ამოცანებს, რისთვისაც საბანკო გარანტიის ხელშეკრულება დაიდო. **ამ მიმართებით, საგულისხმოა, თავად გარანტის პასუხისმგებლობა, გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეამოწმოს გაცემული თანხის მართლზომიერება და მისი შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიზნებთან**[63]**.**

[63] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.02.2015 გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/3772-14.

გ) პატრონაჟი

პატრონაჟი თავდებობის მსგავსი ინსტიტუტია, თუმცა, იგი კლასიკურ თავდებობას არ წარმოადგენს. პატრონაჟის ძალით, შვილობილი კომპანია იღებს ფინანსურ სარგებელს ფინანსური ინსტიტუტებისაგან, რა დროსაც „დედა-კომპანია“ იძლევა შვილობილი კომპანიისათვის ფინანსური დახმარების ვალდებულებას. ასეთ შემთხვევაში, ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილი არ არის მოთხოვნა „დედა-კომპანიას“ წარუდგინოს, თუმცა, თუ შვილობილი კომპანია ვალდებულებას არ შეასრულებს, ან არაჯეროვნად შეასრულებს, ფინანსური კომპანია უფლებამოსილია „დედა-კომპანიას“ ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს[64].

12. თავდებობის შეწყვეტა

თავდებობის შეწყვეტის მიმართ ვალდებულების შეწყვეტის ზოგადი წესები მოქმედებს, რაღა თქმა უნდა, თავდებობის მომწესრიგებელი ნორმების სპეციფიკის გათვალისწინებით. თავდებობის აქცესორული ბუნების გამო, თავდებობა ძირითადი ვალდებულების შეწყვეტაზეა დამოკიდებული. **შესაბამისად, თავდებობა, ძირითადი ვალდებულების შეწყვეტით წყდება.**

ძირითადი ვალდებულების შეწყვეტის მიუხედავად კი თავდებობა შეიძლება შეწყდეს ან თავდების პასუხისმგებლობა შემცირდეს, **თუ კრედიტორმა თავდების საზიანოდ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები შეამცირა.** მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების თავდების საზიანოდ შემცირებად კი მიჩნეულ უნდა იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა სანივთოსამართლებრივი საშუალებების შემცირება, მაგალითად, ქონების გირავნობის ან იპოთეკისაგან გამოთავისუფლება. ამგვარი შეღავათები თავდების საზიანოდ მოქმედებს ძირითადად მაშინ, როდესაც სახეზეა სუბსიდიური თავდებობა, ანუ როდესაც თავდებს გააჩნია შესაგებელი, რომლის მიხედვითაც, მისგან აღსრულება ძირითადი მოვალისაგან აღსრულების გარეშე ვერ განხორციელდება. სოლიდარული თავდებობის დროს კი აღსრულების რიგითობას ადგილი არ აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორი უფლებამოსილია, მიუხედავად სანივთო სამართლებრივი უზრუნველყოფებისა, კრედიტორმა აღსრულება პირდაპირ სოლიდარული თავდებისაგან დაიწყოს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სოლიდარული თავდების მდგომარეობა უარესდება, ვინაიდან თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების დროს, მასზე იპოთეკით ან გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნა გადადის, შესაბამისად, თუ კრედიტორს იპოთეკასა და გირავნობაზე უარი აქვს ნათქვამი, თავდები მოთხოვნას არაუზრუნველყოფილი სახით იძენს[65]. თუმცა, იპოთეკა, გირავნობა და თავდებობა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებია, **რომლებზეც სოლიდარული უზრუნველყოფის პრინციპი**

[64] *Brox/Walker*, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag C.H. Beck, §32, Rn.3-4.
[65] *Looschelders*, Schuldrecht, Besonderer Teil, Carl Heymanns Verlag, München 2007, S.962.

მოქმედებს[66]**,** რაც იმას ნიშნავს, რომ თუ „ს“-ს „გ“-ს მიმართ 100 000 ევროს ოდენობით ვალდებულება გააჩნია, ვალდებულება უზრუნველყოფილია „ჰ“-ს ქონებაზე იპოთეკითა და „ბ“-ს თავდებობით და „ბ“ ვალდებულებას „გ“-ს მიმართ სრულად შეასრულებს, მასზე „გ“-ს მოთხოვნა „ს“-ს მიმართ გადადის, რომელიც „ჰ“-ს ქონებაზე იპოთეკითაა უზრუნველყოფილი. ამ შემთხვევაში, „ბ“ და „ჰ“ ერთმანეთს შორის პასუხისმგებლობას სოლიდარული პასუხისმგებლობის წესების შესაბამისად ინაწილებენ, ამიტომ „ჰ“-ს ქონება მხოლოდ „ბ“-ს მოთხოვნის ნახევარს (ამ შემთხვევაში 50 000 ევროს) უზრუნველყოფს[67].

თავდებს თავდებობისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს ასევე მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება, თუმცა, აღნიშნული მოთხოვნა თავდებს წარმოეშობა მოვალის და არა კრედიტორის მიმართ. მოვალე ვალდებულია კრედიტორის წინაშე ვალდებულება შეასრულოს ან თავდებს მოთხოვნის უზრუნველყოფა შესთავაზოს. თუ თავდების ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა, მეტად სავარაუდოა, რომ მოვალე ვალდებულებას ვერ შეასრულებს და ვერც დამატებით უზრუნველყოფას შესთავაზებს, შესაბამისად, თავდების მოთხოვნა მოვალის მიმართ მისი კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან გათავისუფლების თაობაზე, როგორც წესი, განუხორციელებელი რჩება.

თავდებობა შეწყვეტილად უნდა იქნეს მიჩნეული ასევე **ვალის გადაკისრების შემთხვევაში,** ვინაიდან პიროვნული უზრუნველყოფის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თავდები კონკრეტული მოვალის ვალდებულებას უზრუნველყოფს. მოვალის შეცვლა კი, თავდების თანხმობის გარეშე, თავდების ვალდებულებას წყვეტს. თუმცა, **იგივე წესი არ უნდა გავრცელდეს მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში,** ვინაიდან ასეთ ვითარებაში მოვალის ადგილს მისი მემკვიდრე იკავებს, რომელიც მამკვიდრებლის აქტივის ფარგლებში მის უფლებამონაცვლედ გვევლინება[68].

თავდების ვალდებულების შეწყვეტის წინაპირობაა ასევე **თავდებობის ვადის ამოწურვა.** ეს ის შემთხვევაა, როდესაც თავდებობა ინდივიდუალურად განსაზღვრული, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადით იდება. თავდებობის ან ხელშეკრულების ვადის გასვლა კი თავდებობის შეწყვეტის წინაპირობაა.

თავდების ინიციატივით თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია **უვადო ხელშეკრულების არსებობის პირობებში.** ასეთ ვითარებაში თავდებისათვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შეზღუდვა მძიმე ტვირთად დააწვებოდა მას, რადგან უვადო ხელშეკრულების დროს პიროვნული უზრუნველყოფის ღონისძიება განუსაზღვრელი ვადით იქნებოდა გამოყენებული[69]. თავდების მიერ

---

[66] BGHZ 108, 179 (182ff), nach *Looschelders*, Schuldrecht, Besonderer Teil, Carl Heymanns Verlag, München 2007, S.986.

[67] *Erman/Herrmann*. §774, Rn.15 nach *Looschelders,* Schuldrecht, Besonderer Teil, Carl Heymanns Verlag, München 2007, S.986.

[68] *Looschelders*, Schuldrecht, Besonderer Teil, 8. Auflage, Vahlen Verlag, München 2013, S.354 f.

[69] იქვე, გვ. 354.

უვადო ხელშეკრულების პირობებში, თავდებობის ცალმხრივი შეწყვეტა ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით უნდა განხორციელდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდებმა კრედიტორს (და, სავარაუდოდ, მოვალესაც) ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ 3 თვით ადრე უნდა აცნობოს. იგივე წესი მოქმედებს ვადიანი ხელშეკრულების შემთხვევაში 5 წლის გასვლის შემდეგ (სსკ 903). შეტყობინების მისვლიდან სამი თვის ამოწურვისთანავე ხელშეკრულება მართლზომიერად შეწყვეტილად ჩაითვლება, **თუმცა, ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა თავდებს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს.** ასეთ შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია, გადაწყვიტოს, თავდები პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს, თუ ვალდებულების დაუყოვნებელი შესრულება მოითხოვოს[70]. თუ უვადო ხელშეკრულების პირობებში სამთვიანი ვადის დაცვით თავდებმა ხელშეკრულების შეწყვეტა მოითხოვა, ხოლო კრედიტორი თავდების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას არ დაეთანხმა, თავდებმა კრედიტორის წინაშე ხელშეკრულების შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებები სრულად უნდა შეასრულოს.

13. თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შედეგები

თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ. ძირითადი მოვალის შესაგებლები, რომლებიც გამომდინარეობს მასსა და თავდებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან (დავალება, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და ა. შ.), ხელუხლებელი რჩება. როდესაც თავდები კრედიტორის წინაშე ძირითადი მოვალის ვალდებულებას ასრულებს, **კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ არ წყდება, არამედ თავდებზე გადადის, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, ადგილი აქვს კრედიტორის შეცვლას კანონის ძალით, ე.წ. Cessio Legis**[71]**.** ამ შემთხვე-

---

[70] იქვე, გვ. 354.

[71] *legalzession* – სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც კანონის ძალით მოთხოვნის გადასვლას აღნიშნავს. განსხვავებით მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებისაგან (ცესია), Cessio Legis-ის დროს მოთხოვნა ძველი კრედიტორიდან (ცედენტი) ახალ კრედიტორზე (ცესიონერი) კანონის საფუძველზე გადადის. Cessio Legis-ის მაგალითებია: (1) თუ კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე, მაშინ ყოველი პირი, რომელსაც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულებით შეიძლება დაკარგოს უფლება ამ ნივთზე,უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი. როცა მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე (372). (2) მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (473). (3) უძრავი ნივთის მესაკუთრე უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი, როცა მოთხოვნის შესრულების ვადა უკვე დადგა, ან როცა პირადი მოვალე უფლებამოსილია შეასრულოს შესაბამისი მოქმედება. თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე მაშინ, როცა მესაკუთრე კრედიტორს დააკმაყოფილებს (292). (4) ყოველი მესამე პირი, რომლის უფლებრივი მდგომარეობაც გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად შეიძლება გაუარესდეს, უფლებამოსილია დააკმაყოფილოს მოგირავნის მოთხოვნა და ამ გზით შეიძინოს მისი უფლებები დამგირავებლისა და შესაძლო მოვალე მესამე პირის მიმართ (269.3). (5) თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს,მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს (832). Cessio Legis – ანგლოამერიკული

ვაში, თუ ვალდებულება უზრუნველყოფილია უზრუნველყოფის აქცესორული საშუალებებით (იპოთეკა, გირავნობა), თავდებზე მოთხოვნა უზრუნველყოფილი სახით გადადის. თუმცა, იპოთეკა, გირავნობა და თავდებობა მოთხოვნის უზრუნველყოფის ის საშუალებებია, **რომლებზეც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სოლიდარული უზრუნველყოფის პრინციპი მოქმედებს**[72]**, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთთან შიდა ურთიერთობებში სოლიდარული ვალდებულებების მომწესრიგებელი წესების შესაბამისად მოქმედებენ (სსკ 473).**

მოვალეს შეუძლია თავდებს ყველა ის შესაგებელი წარუდგინოს, რომელიც კრედიტორის მიმართ გააჩნდა და რომელიც თავდებთან შიდასამართალურთიერთობიდან გამომდინარე აქვს. მათ შორის, შესაგებელი ხანდაზმულობასთან დაკავშირებით (სსკ 905). საგულისხმოა, რომ კრედიტორის მოთხოვნის თავდებზე გადასვლით (კრედიტორის შეცვლით) ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან არ იწყება[73] და თუ თავდები ხანდაზმულ მოთხოვნას შეასრულებს, იგი კრედიტორისაგან შესრულებას უკან ვერ გამოითხოვს (სსკ 144.2) და, თუ მოვალე შესრულებაზე უარს ხანდაზმულობის საფუძველზე იტყვის, თავდები კრედიტორის მიმართ განხორციელებულ შესრულებას ვერც მოვალისაგან აინაზღაურებს (სსკ 144.1).

14. არასრულწლოვანთა თავდებობა

წარმომადგენლის მეშვეობით არასრულწლოვანი ნებისმიერ სამართალურთიერთობაში შეიძლება შევიდეს, თუმცა, აღნიშნული გარიგებები იმთავითვე „ბავშვის საუკეთესო ინტერესს“ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, **მორალური ქცევის სტანდარტი,** შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაჰირების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს. ამდენად, გარიგების ბათილობისას უნდა არსებობდეს ამ ნორმის რომელიმე კომპონენტის დარღვევით დადებული ხელშეკრულება. **გარიგება ამორალურია, თუ ის სო-**

სამართლის მიხედვით ხშირად სუბროგაციად იწოდება (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-581-549-2011, 5 სექტემბერი, 2012 წელი).

[72] BGHZ 108, 179 (182ff), nach *Dirk Looschelders*: Schuldrecht. Besonderer Teil. Carl Heymanns Verlag, München 2007, S.986.

[73] *Looschelders*, Schuldrecht, Besonderer Teil, Carl Heymanns Verlag, München 2007, Rn. 978.

ციალური სამართლიანობის პრინციპს ეწინააღმდეგება და ხელშეკრულების მხარეს შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში აყენებს. ამგვარი კატეგორიის დავებში, შემოწმების საგანი არის არა გარიგების მონაწილეთა ქცევა ზნეობასთან მიმართებაში, არამედ გარიგების, მისი შინაარსის მიმართება ზნეობასთან. „ბავშვის საუკეთესო ინტერესის“ ინტერპრეტაციის კონტექსტში აღსანიშნავია, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ სამოქალაქო სამართალში მოქმედი ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნება. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ცნების დეფინიცია რეგლამენტირებული არ არის, იგი კომპლექსური ხასიათისაა და მისი შეფასებისას მრავალი ფაქტორი მიიღება მხედველობაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „სასამართლო უდიდეს მნიშვნელობას მიანიჭებს ბავშვის საუკეთესო ინტერესს, რომელიც მისი ხასიათიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე შეიძლება მშობლის ინტერესების მიღმა არსებობდეს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, მშობელს არ აქვს უფლება მიიღოს ისეთი ზომა, რომელიც რაიმე სახით ვნებას მიაყენებს ბავშვის ჯანმრთელობას ან/და მის განვითარებას“.[74] ამავე სასამართლოს მიერ სხვა გადაწყვეტილებებში განვითარებული მსჯელობის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესისა და მშობლის ქმედების პროპორციულობის შესაფასებლად სასამართლომ მხედველობაში მრავალი ფაქტორი უნდა მიიღოს, ამგვარი ფაქტორების ამომწურავი ჩამონათვალი რეგლამენტირებული არ არის, შესაბამისად, მათი იდენტიფიცირება ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარეობს, თუმცა, ფაქტორები, რომლებსაც სასამართლო გვერდს ვერ აუვლის, არის ასაკი, ბავშვის მოწიფულობა, მისი გამორჩეული სურვილები, ბავშვის მშობლებთან და ნათესავებთან კავშირი და ა.შ.“[75]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს ამკვიდრებს, რომელიც არასრულწლოვანის ქონებრივი ინტერესების უზრუნველყოფისკენ არის მიმართული. აღნიშნული კოდექსის 1198-ე მუხლი, რომელიც დასათაურებულია, როგორც „მშობელთა მოვალეობანი შვილების მიმართ“, ერთმანეთისგან მიჯნავს მშობლის უფლება-მოვალეობებს შვილების მიმართ (პირველი-მეხუთე ნაწილები) და მშობლის, როგორც კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილებას (მეექვსე ნაწილი). მიუხედავად იმისა, რომ მშობლის უფლება შვილის მიმართ და მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირების მიმართ ერთმანეთისგან სამართლებრივი შინაარსით განსხვავებული ცნებებია, წარმომადგენლობითი

[74] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე „სომერფელდი გერმანიის წინააღმდეგ“ (Sommerfeld v. Germany), [GC], no. 31871/96, § 64, ასევე საქმეზე „ნულინგერი და შურუკი შვეიცარიის წინააღმდეგ“ (Neulinger and Shuruk v. Switzerland), [GC], no. 41615/07, § 134).

[75] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „Y. C. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Y. C. v. United Kingdom), no. 4547/10, § 134–135.

უფლებამოსილების განხორციელებისას მშობელი, იმავდროულად, ატარებს საკუთრივ მშობლის უფლება-მოვალეობებს შვილის მიმართ. შედეგად, შვილის ქონებასთან დაკავშირებული გარიგების დადებისას იგი ვალდებულია, არასრულწლოვანი შვილის საუკეთესო ინტერესები დაიცვას. ამ მიმართებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საქმეზე განვითარებული მსჯელობა, რომლის თანახმად, „ბავშვის უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-3 მუხლის მიზანია, უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, სახელმწიფო, თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები. ეს ნიშნავს, რომ ბავშვის სახელით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. **ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის იმ საპროცესო უფლების მსგავსი, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს, ქმედების პროცესში ისეთი ნაბიჯები დანერგოს, რომლითაც ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება იქნება უზრუნველყოფილი**“[76].

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან. სასამართლო განმარტავს, რომ ეკონომიკურ ექსპლუატაციაში სხვა მრავალს შორის **მისი ქონებით არამიზნობრივად, ბავშვის ინტერესების საზიანოდ სარგებლობა, ბავშვის ქონების ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ განკარგვა იგულისხმება.** ბავშვის ქონებით არამიზნობრივი სარგებლობა სახეზეა, როდესაც სარგებლობას ბავშვის ქონების შემცირება ან მისი სრული მოსპობა სდევს თან და, ამასთან, ამგვარი სარგებლობის მიზანს ბავშვის ინტერესი არ ამართლებს. მშობლის უფლება-მოვალეობების სისტემა ქონებრივი და არაქონებრივი შინაარსით განიხილება, თუმცა, ორივე შემთხვევაში მათი რეალიზაცია **„ბავშვის საუკეთესო ინტერესის“ პრინციპის** განუხრელი დაცვით უნდა ხორციელდებოდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანი ბავშვების თავდებობა, გაფორმებული თუნდაც, დედის ანდა მამის კანონიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, არასრულწლოვანთა ეკონომიკურ ექსპლოატაციას წარმოადგენს, რაც აღნიშნული გარიგებების ბათილად ცნობის საფუძველია. სასამართლოს განმარტებით, **თავისი შინაარსიდან გამომდინარე, თავდებობის ხელშეკრულება წარმოუდგენელია ბავშვისთვის რაიმე სახის, მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთის მომტანი იყოს. იგი ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას ისეთ მნიშვნელოვან ვალ-**

[76] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი N. 71776/12).

დებულებას უკავშირდება, როგორიც მის მაგივრად ნაკისრი ვალდებულების შესრულებაა, ხოლო აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დაცვითი მექანიზმების ამოქმედება ხდება. მოცემულ შემთხვევაში, ასეთ მექანიზმს კი, ბავშვების საკუთრებაში არსებული ქონების დაყადაღება და შემდეგ მისი სარეალიზაციოდ მიქცევა წარმოადგენს. შესაბამისად, ცალსახაა, რომ აღნიშნული ტიპის ხელშეკრულება ბავშვს გადამეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს, რაც მისი სტაბილური განვითარებისთვის, ფსიქოემოციური და ეკონომიური მდგომარეობისთვის ცალსახა უარყოფით შედეგს იწვევს. არასრულწლოვანი ბავშვისთვის, რომელიც თავად მოვლასა და მზრუნველობას საჭიროებს, ასეთი ვალდებულების დაკისრება, ზნეობის ნორმებს ეწინააღმდეგება და სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 61-ე მუხლების თანახმად, უცილოდ ბათილ გარიგებას წარმოადგენს.[77]

[77] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.11.2018 განჩინება, საქმეზე №2ბ/3694-18.

1. სოლიდარული ვალდებულების არსი

ა) ერთი მოთხოვნა რამდენიმე მოვალის მიმართ

მოვალეთა სიმრავლის პირობებში სოლიდარული ვალდებულება სამართალურთიერთობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. სოლიდარული ვალდებულების არსი მდგომარეობს იმაში, რომ **ერთზე მეტ (რამდენიმე) მოვალეს კრედიტორის წინაშე საერთო (ერთი) ვალდებულება გააჩნიათ. კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულება, მისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ მოვალეს მთლიანად ან ნაწილობრივ მოსთხოვოს, თუმცა, საერთო ჯამში, ვალდებულება მხოლოდ ერთხელ უნდა შესრულედეს**[1].

თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

სოლიდარული ვალდებულება კრედიტორისათვის, მოვალეთა სიმრავლის პირობებში, **სამართალურთერთობის ერთ-ერთი ყველაზე უზრუნველყოფილი ფორმაა**[2]. აღნიშნული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა სოლიდარული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი ისეთი შესაძლებლობები, როგორიცაა, მაგალითად კრედიტორის უფლება, სოლიდარულ მოვალეთაგან თავად აირჩიოს მოვალე, რომლისგანაც შესრულებას მოითხოვს. რაღა თქმა უნდა, აღნიშნული უფლება უზრუნველყოფს კრედიტორს, შესრულება ყველაზე ლიკვიდური მოვალისაგან მოითხოვოს. შესაბამისად, კრედიტორი შესრულებას მაშინაც იღებს, როდესაც მის წინაშე სოლიდარულად ვალდებული ერთი ან თუნდაც რამდენიმე მოვალე გადახდისუუნაროა. თუ ერთი სოლიდარულად ვალდებული მოვალეთაგანი გადახდისუნარიანია, კრედიტორის მოთხოვნის შესაბამისად, კრედიტორის წინაშე ვალდებულების სრულად შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი იგი ხდება. სოლიდარული მოვალე, რომელსაც კრედიტორი აირჩევს, მისი ვალდებულების გამორიცხვის ან შემცირების მიზნით, დანარჩენი სოლიდარულად ვალდებული სუბიექტების გადახდისუუნარობაზე აპელირებას ვერ მოახდენს. იგი კრედიტორის წინაშე სრულად არის პასუხისმგებელი მაშინაც, როდესაც სხვა სოლიდარულ მოვალეებთან „შიდა ურთიერთობაში“, ამ უკანასკნელთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, გათანაბრებას ვერ შეძლებს, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, კრე-

[1] *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.430.

[2] იქვე, გვ. 430.

დიტორისათვის გადახდილ თანხას, მისი წილის გამოკლებით, დანარჩენი სოლიდარული მოვალეებისაგან ვერ აინაზღაურებს.

ქართულ კერძო სამართალში სოლიდარული ვალდებულების არსი საკანონმდებლო დონეზეა განმარტებული, რაც **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლშია ასახული**. ნორმა დეფინიციურ ხასიათს ატარებს და სოლიდარული ვალდებულებისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს შეიცავს. ნორმის მიხედვით, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს (სსკ[3] 463). ამდენად, არსებობს სოლიდარული ვალდებულებისათვის კანონით დადგენილი და სასამართლო პრაქტიკით განმარტებული სახასიათო ნიშნები, რომელთა არსებობის პირობებში თანამედროვე კერძო სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა სოლიდარულ ვალდებულებას ადგენს[4].

ბ) სოლიდარული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი ნიშნები

კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტების მიხედვით, სოლიდარული ვალდებულების არსებობისათვის, აუცილებელია: ა) ერთ კრედიტორს რამდენიმე მოვალე ჰყავდეს; ბ) ყველა მოვალე კრედიტორის წინაშე „ერთ შესრულებაზე“ ვალდებული სუბიექტი იყოს; გ) თითოეული მოვალე ვალდებულების მთლიან შესრულებაზე პასუხიმგებელი იყოს; დ) კრედიტორს ვალდებულების შესრულების ერთჯერადი მოთხოვნის უფლება ჰქონდეს[5]; ამასთან, აუცილებელი არ არის შესრულების საგანი იდენტური იყოს, საკმარისია შესრულება კრედიტორის ერთ ინტერესს ემსახურებოდეს (მაგალითად, ვალდებულების ნატურით შესრულება და მისი ფულადი კომპენსაცია)[6]. ასევე აუცილებელი არ არის მოვალეების ვალდებულება ერთსა და იმავე სამართლებრივ საფუძველს ეფუძნებოდეს[7].

კანონი არაფერს ამბობს, თუმცა, კერძო სამართლში გავრცელებული შეხედებულების მიხედვით, სოლიდარული ვალდებულების არსებობისათვის აუცილებელია, რომ მოვალის მიმართ **ვალდებულება თანაბარსაფეხუროვანი იყოს**[8]**.** ვალდებულება თანაბარსაფეხუროვანია, როდესაც, კრედიტორი უფლებამოსილია, კანონითა, თუ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული **რაიმე რანგირებისა, თუ პრივილეგიების გარეშე, ვალდებულების შესრულება, თავისი არჩევით,**

---

[3] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. შემდგომში: სსკ.

[4] *Medicus/Lorenz*, SR I, Rn. 8, 14 f.,26 nach Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Auflage, Verlag C.H.Beck, S.431.

[5] *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.432.

[6] BGHZ 43, 227 nach *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.430.

[7] *Ehmann*, Bürgerliches Gesetzbuch, 12., Auflage, Verlag Dr. Otto Schmidt, Köln, S.1754, Rn.11.

[8] BGH; BGHZ 106, 313, 319, 137, 76, 82; BGH NJW 2004, 2892, 2893, nach *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.432.

ერთ, რამდენიმე, ან ყველა სოლიდარულ მოვალეს მოსთხოვოს, მაგალითად, თანაბარსაფეხუროვან სოლიდარულ ვალდებულებად მიიჩნევა, როდესაც: ა) მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებას რამდენიმე პირი ჩადის. აღნიშნული პირები, დელიქტის ფარგლებში, სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი (სსკ 998); ბ) ერთი ნასყიდობის საგნის გადაცემის ვალდებულებას რამდენიმე პირი კისრულობს. აღნიშნულ შემთხვევაში, ნასყიდობის საგნის გადაცემაზე რამდენიმე გამყიდველი ხელშეკრულების საფუძველზეა სოლიდარულად ვალდებული (სსკ 477, 462); გ) იგივე წესი ვრცელდება, როდესაც სესხს რამდენიმე პირი ერთობლივად იღებს (სსკ 623, 462). სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაბრუნებაზე მსესხებლები სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი; დ) დაქირავებულ ბინაში მესამე პირი ხანძარს აჩენს. მესამე პირის მხრიდან გაჩენილი ხანძრით მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი დამქირავებელი და ხანძრის გამჩენი მესამე პირია, ანუ მოცემულ შემთხვევაში, სამართლებრივი საფუძველი განსხვავებულია, რადგან დამქირავებელი ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზეა პასუხისმგებელი, ხოლო მესამე პირი დელიქტის (სსკ 992), თუმცა, მოთხოვნა ერთია, კრედიტორის ინტერესი ორივე მოვალის მიმართ იდენტური და შესაბამისად, ვალდებულებაც სოლიდარულია (სსკ 992). იგივე უნდა ითქვას ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევ მძღოლსა (სსკ 992) და ამავე ავტოსატრანსპორტო საშუალების განმკარგავზე (სსკ 999.4), რომელთა პასუხისმგებლობა დაზიანებული ავტომობილის მეპატრონის მიმართ განსხვავებულ სამართლებრივ საფუძველს ემყარება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მოთხოვნა ერთია, ერთ ინტერესს ემსახურება და, შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნის მოვალეებიც სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი.

გ) სოლიდარული ვალდებულების გამომრიცხავი გარემოებები

სოლიდარული ვალდებულების არსებობის დადგენის მიზნებისათვის, გარდა კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა, შეფასებულ უნდა იქნეს, სახეზე ხომ არ არის სოლიდარული ვალდებულების გამომრიცხავი წინაპირობები. სოლიდარული ვალდებულების გამომრიცხავ ერთ-ერთ გარემოებად კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოთხოვნათა არათანაბარსაფეხუროვანება სახელდება[9].

მოთხოვნათა თანაბარსაფეხუროვანება შეიძლება გამორიცხული იყოს როგორც კანონით, ასევე ხელშეკრულებით. მაგალითად, კანონით არის განსაზღვრული, რომ მოთხოვნა თანაბარსაფეხუროვანი არ არის, როდესაც იგი მოვალესა და თავდებს მიემართება[10]. ამგვარი დასკვნის საფუძველია სამოქალაქო კოდექსის დანაწესი, რომლის მიხედვითაც, თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას (სსკ 894). თუმცა, სამოქალაქო კოდექსი იძლევა ასევე სოლიდარული თავდების ცნებას, რომლის მიხედვითაც, თუ თავდები კისრულობს

[9] *MüKo, Bydlinski* 12. Auflage, Verlag C.H.München, 2012, §421, Rn.70.
[10] *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.433, Rn.10.

პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა (სსკ 895). ამდენად, თავდებობის ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები განმარტავს თავდებისა და სოლიდარული თავდების ფუნქციურ დანიშნულებასა და მის მიმართებას კრედიტორსა და ძირითად მოვალესთან. თავდების პასუხისმგებლობა სუბსიდიურია, რაც ვალდებულებათა თანაბარსაფეხუროვანებასა და, შესაბამისად, სოლიდარულობას გამორიცხავს. **თავდებობის სუბსიდიური ხასიათი იმაში ვლინდება, რომ თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.** კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე მოთხოვნა მხოლოდ სოლიდარულ თავდებს წარუდგინოს. ამდენად, მოვალე და თავდები კრედიტორის წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებენ სოლიდარულად პასუხს, თუ სახეზეა სოლიდარული და არა „ჩვეულებრივი", „სუბსიდიური" თავდებობა. თუ ხელშეკრულებაში არ არსებობს პირდაპირი მითითება თავდებობის სოლიდარულ ბუნებაზე, მიიჩნევა, რომ თავდებობა ჩვეულებრივი, ანუ სუბსიდიურია.

ვალდებულებათა თანაბარსაფეხუროვანება სახეზე არ არის ასევე მშობლისა და ზიანის მიმყენებლის მხრიდან სარჩოს გადახდის მოვალეობის წარმოშობის შემთხვევაში, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალებული შრომის უნარს დაკარგავს. მართალია, შრომისუუნარო შვილის რჩენის ვალდებულება მშობელს კანონით აქვს დაკისრებული, თუმცა, აღნიშნული ვალდებულება, დელიქტით ზიანის მიმყენებელი პირის ვალდებულებასთან ერთად, სარჩო უხადოს დაზარალებულს, თანაბასაფეხუროვან და, შესაბამისად, სოლიდარულ ვალდებულებად არ მიიჩნევა[11]. მაგალითად, პირისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, ზიანის შედეგად გაზრდილი საჭიროებებისათვის ზიანის მიმყენებელია პასუხისმგებელი (სსკ 992). ამ მიმართებით, მშობლის მოვალეობა, არჩინოს თავისი შრომისუუნარო შვილი, მხოლოდ სუბსიდიურ ვალდებულებად უნდა იქნეს განხილული (სსკ 1213)[12].

ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც სახეზე ერთი ვალდებულებაა და აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი რამდენიმეა, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს **მოთხოვნათა თანაბარსაფეხუროვანება და, შესაბამისად, მათი სოლიდარულ ვალდებულებად მიჩნევის კანონისმიერი შესაძლებლობა.** კანონისმიერ შესაძლებლობებში, პირველ რიგში, კანონმდებლის ნება იგულისხმება, რომელსაც ვალდებულების სოლიდარულობის კონტექსტში შეფასების მიზნით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითისათვის, საგულისხმოა, რომ კანონმდებელი მოთხოვნის კანონისმიერი

[11] BGH NJW 2204, 2892, 2893, nach *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34. Auflage, Verlag C.H.Beck, S. 430.

[12] *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S. 433, Rn. 10.

დათმობის შემთხვევებს (Cessio legis) სოლიდარული ვალდებულების საფუძვლად არ განიხილავს[13]. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება კანონისმიერ დანაწესს მასზედ, რომ „ვალდებულების შესრულების შემდეგ მოთხოვნა გადადის“. შესაბამისად, იქ, სადაც კანონმდებელი მოთხოვნის გადასვლის შესაძლებლობას აწესებს, აღნიშნული დანაწესით, მოთხოვნის სოლიდარულობას გამორიცხავს[14]. მაგალითად, დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ზიანის ანაზღაურების უფლება მზღვეველისაგან აქვს, ხოლო აღნიშნული შესრულების პირობებში მზღვეველზე ყველა ის უფლება გადადის, რაც დამზღვევს ზიანის მიმყენებელი მესამე პირის მიმართ აქვს (სსკ 832).

სამართლის დოქტრინა, ვალდებულების სოლიდარულად მიჩნევის გამომრიცხველ გარემოებად შესრულების არაერთგვაროვნებასაც მიიჩნევს[15], რასაც სასამართლო პრაქტიკა არ იზიარებს[16] [17].

2. საპროცესო თანამონაწილეობა სოლიდარული ვალდებულების არარსებობის პირობებში

როგორც ზემოთ აღინიშნა, კრედიტორს მოვალეთა მიმართ, ერთი მოთხოვნა და ამ მოთხოვნის შესრულების ერთი ინტერესი შეიძლება ჰქონდეს, თუმცა, სოლიდარული ვალდებულება გამორიცხული იყოს, მაგალითად, მოვალისა და თავდების დროს, ზიანის მიმყენებლისა და სადაზღვევო კომპანიის შემთხვევაში და ა. შ. ასეთ ვითარებაში მოვალეთა ვალდებულება, მართალია, სოლიდარულად არ განიხილება, თუმცა, აღნიშნული გარემოება კრედიტორის მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში თანამონაწილეობას არ გამორიცხავს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი (სსსკ[18] 86.1, „გ“). მაგალითად, კრედიტორის სასარჩელო მოთხოვნა ზიანის მიმყენებლისა და სადაზღვევო კომპანიის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი არ უნდა გახდეს, იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ მის წინაშე პასუხისმგებელი პირი უნდა აირჩიოს და მოპასუხედ ერთ-ერთი, ზიანის მიმყენებელი ან სადაზღვევო კომპანია უნდა დაასახელოს. ამით, სასამართლო მოსარჩელეს უფლებას ართმევს, მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების თაობაზე ამოწერილ სააღსრულებო ფურცელში მის წინაშე პასუხისმგებელი ყველა მოვალის მითითება უზრუნველყოს.

---

13 იქვე, გვ. 433, ველი 10.
14 იქვე, გვ. 433, ველი 11.
15 *MüKo, Bydlinski* 12.Auflage, Verlag C.H.München, 2012, §421, Rn.71.
16 BGHZ 43, 227, nach *MüKo, Bydlinski* 12. Auflage, Verlag C.H.München, 2012, §421, Rn.70.
17 *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.432.
18 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. შემდგომში: სსსკ.

ამდენად, შესაძლებელია, სახეზე არ იყოს სოლიდარული ვალდებულება, თუმცა, აღნიშნული გარემოება ზეგავლენას არ ახდენს მოპასუხეთა საპროცესო თანამონაწილეობის შესაძლებლობაზე. მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოთხოვნის არაერთგვაროვნების პირობებში სოლიდარული ვალდებულება გამორიცხულია.

3. სოლიდარული ვალდებულების სამკუთხედი

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს სოლიდარულ მოვალეთა ურთიერთობა კრედიტორთან, **ე.წ. „გარე ურთიერთობა“ და სოლიდარულ მოვალეთა ურთიერთობა ერთმანეთს შორის, ე.წ. „შიდა ურთიერთობა“.** კრედიტორის მოთხოვნა სოლიდარული მოვალეების მიმართ და, შესაბამისად, „გარე ურთიერთობა“ არსებობს იქამდე, სანამ კრედიტორის მოთხოვნა მოვალეების მიმართ **სრულად არ დაკმაყოფილდება.** შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებამდე მოვალეებს ვალდებულება კრედიტორის წინაშე აქვთ (ე.წ. „გარე ურთიერთობა“). აღნიშნული ვალდებულება სოლიდარულია, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორს აქვს ერთი (საერთო) მოთხოვნა რამდენიმე მოვალის მიმართ. კრედიტორი უფლებამოსილია მოთხოვნა წარუდგინოს ერთ, რამდენიმე ან ყველა სოლიდარულ მოვალეს, თავისი არჩევით. კრედიტორის მოთხოვნა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ **სრული და ჯეროვანი შესრულებით წყდება**, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მოვალე ასრულებს ვალდებულებას. ვალდებულება სრულად შეიძლება ერთმა სოლიდარულმა მოვალემ შეასრულოს, ან რამდენიმე სოლიდარულმა მოვალემ ნაწილ-ნაწილ, რაც საერთო ჯამში, ერთ სრულ შესრულებას იძლევა. კრედიტორი კი უფლებამოსილია, მხოლოდ ერთი სრული შესრულება მიიღოს. მას შემდეგ რაც კრედიტორის წინაშე ვალდებულება სრულად შესრულდება, მოვალეები ერთმანეთის მიმართ **გათანაბრების მოთხოვნას იძენენ (ე.წ. „შიდა ურთიერთობა“)**. მაგალითისათვის, თუ კრედიტორს ოთხი სოლიდარული მოვალის (A, B, C, D) მიმართ 100 000 ლარის მოთხოვნის უფლება აქვს, ხოლო სოლიდარულ ვალდებულებას სრულად მხოლოდ ერთი (A) შეასრულებს, სოლიდარული ვალდებულების სრულად შემსრულებელი მოვალე (A) დანარჩენი მოვალეებისაგან გათანაბრების უფლებას იძენს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი (A) მათგან (B, C, D), „შიდა ურთიერთობის ფარგლებში“ 75 000 ლარის ანაზღაურებას მოითხოვს, თუ რაღა თქმა უნდა, მოვალეები კრედიტორის წინაშე თანაბარწილად არიან პასუხისმგებელნი. კრედიტორის წინაშე კი კანონი მოვალეთა თანაბარი წილის შესაბამისად პასუხისმგებლობას ადგენს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით, სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით წარმოშობილი ერთი ვალდებულებისათვის პასუხისმგებელი რამდენიმე მოვალე მოსარჩელის წინაშე პროცესუალური თანამონაწილეები არიან. ამ შემთხვევაში, რადგან სარჩელის საგანს საერთო უფლება არ წარმოადგენს, **სახეზეა ფაკულტატური და არა სავალდებულო თანამონაწილეობა**. შესაბამისად, თუ მოსარჩელე მის წინაშე პასუხისმგებელ პირად სხვადასხვა სამარ-

თლებრივ საფუძველზე დაყრდნობით რამდენიმე მოპასუხეს დაასახელებს, აღნიშნული მოსარჩელის უფლებაა და სასამართლომ მოსარჩელეს მოვალის არჩევის ვალდებულება არ უნდა დააკისროს. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ერთი თანხა ეკისრება რამდენიმე მოვალეს. გადაწყვეტილება აღსრულდება მხოლოდ ერთი თანხის ფარგლებში. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილშიც აღნიშნოს მოვალეთა პასუხისმგებლობა სოლიდარულია, თუ, არა. მაგალითად, დამზღვევის (A) ავტომანქანას ზიანი მიაყენა ორმა ახალგაზრდამ (B)-მ და (C)-მ. დამზღვევს აღნიშნული ავტომანქანა დაზღვეულ ჰყავდა სადაზღვევო კომპანიაში (D). A-მ სარჩელი აღძრა B-ს, C-ს და D-ს მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნა ერთია, მთხოვნაზე პასუხისმგებელი სუბიექტი – რამდენიმე, პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი – სხვადასხვა. B და C პასუხიმგებელნი არიან სოლიდარულად, დელიქტის საფუძველზე (სსკ 998), სადაზღვევო კომპანია კი სახელშეკრულებო ურთიერთობაზე დაყრდნობით (სსკ 799). თუმცა, ვინაიდან კანონმდებელი მოთხოვნის კანონისმიერი დათმობის შემთხვევებს (სსკ 832) (Cessio legis) სოლიდარული ვალდებულების საფუძვლად არ განიხილავს[19], ამიტომ A-ს წინაშე სოლიდარულად პასუხისმგებლები B და C არიან, ხოლო D-ს რაც შეეხება, იგი, მართალია, A-ს წინაშე პასუხისმგებელია, მაგარმ B-სა და C-ს თან ერთად სოლიდარულ პასუხისმგებლობას არ იზიარებს[20]. შესაბამისად, თუ A სარჩელს სამივე მოპასუხის წინაშე აღძრავს (B, C და D), სარჩელის საფუძვლიანობის პირობებში, ზიანის ანაზღაურების სახით თანხა სამივეს დაეკისრება, თუმცა, განიმარტება, რომ B და C სოლიდარულად პასუხისმგებელი სუბიექტები არიან. აღნიშნული განმარტება მნიშვნელოვანია არა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნებისათვის, არამედ მოვალეთა შორის, ე.წ. „შიდა ურთიერთობის“ შემდგომი რეგულირების უზრუნველყოფისათვის. აღნიშნული დოქტრინალური მსჯელობის პარალელურად, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში დამზღვევი იშვიათ შემთხვევაში სთხოვს ზიანის მიმყენებელს ზიანის ანაზღაურებას, ვინაიდან მან იცის, რომ მის ზიანს ხელშეკრულების საფუძველზე, მყარი ფინანსური ინსტიტუცია – სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს, ხოლო მას შემდეგ, რაც სადაზღვევო კომპანია დამზღვევს ზიანს აუნაზღაურებს, დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა მესამე პირს წაუყენოს (სსკ 832).

4. მოვალეთა ე.წ. „გარე ურთიერთობა“ კრედიტორის მიმართ

ა) სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება

კრედიტორის წინაშე ყველა სოლიდარულად ვალდებული მოვალე თანაბარმნიშვნელოვნად პასუხისმგებელია, ანუ, თითოეული მოვალე კრედიტორის წინაშე

---

[19] *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.433, Rn.10.

[20] იქვე, გვ. 433, ველი 10.

არსებული დავალიანებისათვის სრულად არის პასუხისმგებელი. კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ სოლიდარული მოვალეების ვალდებულება არსებობს იქამდე, სანამ სოლიდარული ვალდებულება სრულად არ შესრულდება.

ბ) სოლიდარულ მოვალეთა ე.წ. „საერთო ეფექტის“ მქონე ქმედებები (გარემოებები)

ერთი სოლიდარულად ვალდებული პირის მიერ ვალდებულების შესრულება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან დანარჩენ სოლიდარულ მოვალეებსაც ათავისუფლებს. იგივე წესი მოქმდებს, თუ მოვალე, შედეგობრივი თვალსაზრისით, შესრულების ეფექტის მქონე მოქმედებას შეასრულებს, მაგალითად, ვალდებულებას გაქვითავს (სსკ 442) ან თანხას დეპოზიტზე განათავსებს (სსკ 434).

ამდენად, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებას ან შესრულების მსგავსი სამართლებრივი შედეგის მქონე ქმედებას ე.წ. „საერთო ეფექტი“ აქვს, ანუ ყველა დანარჩენი სოლიდარული მოვალის მიმართ ვრცელდება და მათ კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან ათავისუფლებს.

ე.წ. „საერთო ეფექტი“ აქვს ასევე კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების დაყოვნებას (სსკ 470), მაგალითად, თუ გამსესხებელმა თანხა ორ მსესხებელს ასესხა ერთი თვის ვადით, ხოლო ერთი თვის თავზე, ზუსტად, ვალდებულების შესრულების დღეს გამსესხებელს ერთ-ერთმა სოლიდარულმა მოვალემ სესხად მიღებული თანხა მიუტანა, ხოლო კრედიტორმა თანხის მიღებაზე უარი იმ მოტივით თქვა, რომ მას თანხის მიღება მეორე მსესხებლისგან სურდა, მეორე მსესხებელი (თავისთავად პირველ მსესხებელთან ერთად) ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლდება, თუ პირველ მსესხებელს უკანა გზაზე თავს დაესხნენ და კრედიტორისათვის გადასაცემი ფული მოპარეს[21] (სსკ 392).

ე.წ. „საერთო ეფექტის“ მქონეა ასევე ზიანის მიმყენებლებთან ერთად დაზარალებულის თანაბრალეულობა ზიანის დადგომაში[22]. მაგალითად, თუ ავტომანქანის შეჯახების შედეგად K-ს ავტომანქანა დაზიანდა, ხოლო K-ს ავტომანქანას A-ს კუთვნილი ავტომანქანა დაეჯახა, რომელსაც B მართავდა, ასეთ შემთხვევაში, A და B სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი K-ს წინაშე. A-ს და B-ს პასუხისმგებლობა K-ს წინაშე შემცირდება, თუ ზიანის დადგომაში მისი (K-ს) თანამონაწილეობა დადგინდება. ვალდებულების ოდენობა, K-ს თანაბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით, ორივე სოლიდარულ მოვალეს შეუმცირდება.

---

[21] იქვე, გვ. 434, ველი 13.

[22] BGHZ 90, 86, 90 f. nach *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.434, Rn.13.

გ) სოლიდარულ მოვალეთა ე.წ. „ინდივიდუალური ეფექტის“ მქონე ქმედებები (გარემოებები)

ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესთან დაკავშირებული ფაქტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ პირის მიმართ, თუ ვალდებულებითი ურთიერთობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (სსკ 468). კანონი **მოვალეთა ე.წ. „ინდივიდუალური ეფექტის“ მქონე ქმედებებად ასახელებს ერთ-ერთი მოვალის მიერ ვადის გადაცილებას (სსკ 470.2), ან ერთ-ერთი სოლიდარული** მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას ან შეწყვეტას (სსკ 476). თეორიაში, **სოლიდარულ მოვალეთა ე.წ. „ინდივიდუალური ეფექტის“ მქონე გარემოებებად სახელდება ასევე ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების გართულება, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება**[23].

დ) სოლიდარულ მოვალეთა ე.წ. „საერთო და ინდივიდუალური ეფექტის“ მქონე ქმედებების (გარემოებების) მნიშვნელობა საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით

სოლიდარული მოვალეების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში საერთო წესების დაცვით შედის. საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით, პრობლემას წარმოშობს გარემოება, როდესაც სოლიდარული მოვალეების მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას ერთი ან რამდენიმე (ყველა არა) ასაჩივრებს. ასეთ დროს დგება აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის პრობლემა. სასამართლო პრაქტიკით, სოლიდარული მოვალეები პროცესში სავალდებულო თანამონაწილეები არ არიან. შესაბამისად, პროცესში თითოეული მათგანი ინდივიდუალურ სუბიექტად გამოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულის საპროცესოსამართლებრივ ქმედებას მის მიმართ ინდივიადუალური ეფექტი აქვს. მაგალითისათვის, თუ სოლიდარულ მოვალეთაგან შესაგებელს ერთი შემოიტანს, ხოლო მეორე კი არა, მეორე სოლიდარული მოვალის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღება[24]. ამ მიმართებით სასამართლო განმარტავს, რომ „სოლიდარული მოვალეები სავალდებულო თანამოპასუხეები არ არიან, რადგან მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შესაძლებელია საქმის განხილვა ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის მონაწილეობის გარეშე. ასეთ დროს მოპასუხე მხარეს პირთა სიმრავლე მათი სუბიექტური გაერთიანებით შეიძლება აიხსნას, ანუ სახეზეა მხარეთა ფაკულტატური და არა სავალდებულო თანამონაწილეობა, რადგან თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზეა ვალდებული. მოვალეთა ეს ცალკეული ვალდებულებები, სწორედ ერთი საერთო მიზნით არიან და-

---

[23] *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.434, Rn.15.

[24] თბილისის სააპელაციო პალატის 25.02.2017 განჩინება, საქმეზე №2ბ/6816-16. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.09.2017 განჩინებით, საქმეზე №ას-948-884-2017.

კავშირებულნი და ერთ მთლიანობას, ერთ სოლიდარულ ვალდებულებას ქმნიან. ეს დასკვნა გამომდინარეობს სოლიდარული ვალდებულების მომწესრიგებელი ნორმებიდან, კერძოდ, ზემოაღნიშნულ საპროცესო წესებთან ერთად, სარჩელის მატერიალური უფლების მარეგულირებლი ნორმებია სამოქალაქო კოდექსის 465-ე და 469-ე მუხლები. მითითებული ნორმების თანახმად კი, კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს, როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება. სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს არ ართმევს უფლებას შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც. მითითებულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, პალატა მიდის დასკვნამდე, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია, თუ სახეზე არ არის სავალდებულო თანამონაწილეობის წინაპირობები[25]. სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86–ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო თანამონაწილეობის მიზანია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დაჩქარება, ხარჯების შემცირება, ერთმანეთის შეუსაბამო ან საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების თავიდან აცილება; აქვე, საგულისხმოა, რომ 86-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 87-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომ თანამონაწილენი სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს, ანუ თანამონაწილეები როგორც ერთად, ისე დამოუკიდებლად ახორციელებენ მათი საპროცესო უფლებების დაცვას საკუთარი შეხედულებით. ამდენად, ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესაგებლის წარდგენა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ეს საპროცესო მოქმედებები შესრულებულად იქნეს მიჩნეული დანარჩენი სოლიდარულად ვალდებული პირების მიმართაც, რის გამოც არ არსებობს დანარჩენი მოვალეების მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის კანონით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებები[26]. იგივე წესი ვრცელდება იმ სოლიდარული მოვალის მიმართ, რომელიც მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს[27], თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართებით თეორია და სასამართლო პრაქტიკა ერთგვაროვანი არ არის, რადგან არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, თუ სოლიდარული მოვალეების მიმართ მოთხოვნის საფუძველი საერთოა, ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესაგებლის წარმოდგენა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტა-

---

[25] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 23.10.2015 განჩინება, საქმეზე №ას-555-526-2015.

[26] თბილისის სააპელაციო პალატის 25.02.2017 განჩინება, საქმეზე №2ბ/6816-16. საპელაციო პალატის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.09.2017 განჩინება, საქმეზე №as-948-884-2017.

[27] *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.434, Rn.15.

ნას დანარჩენების მიმართაც გამორიცხავს. იმავე ლოგიკით, ერთი სოლიდარული მოვალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრება დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართ გამოტანილი გადაწვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისათვის შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს.

ე) კრედიტორის მიერ სოლიდარული მოვალისათვის ვალის პატიება

ზოგადი წესის მიხედვით, ვალის პატიება ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობაა, თუმცა, სოლიდარული მოვალისათვის ვალის პატიება, შედეგობრივი თვალსაზრისით, გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც ათავისუფლებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს (სსკ 449). კრედიტორის მიერ სოლიდარული მოვალისათვის ვალის პატიება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განმარტებას საჭიროებს. განმარტების მიზნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა კრედიტორის ნებას ენიჭება, კერძოდ, ნების განმარტების გზით დგინდება კრედიტორის მიერ სოლიდარული მოვალისათვის ვალის პატიება, შედეგობრივი თვალსაზრისით, მხოლოდ ერთ სოლიდარულ მოვალეს ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, თუ ყველა სოლიდარული მოვალისათვის ვალდებულების შეწყვეტის წინაპირობად განიხილება. კრედიტორის ნება ვალის პატიების ნების გამოვლენის დროისათვის დგინდება. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია, თუ რა სახის ნება იქნა კრედიტორის მხრიდან მოვალის მიმართ გამოხატული. სწორედ გამოხატული ნების განმარტების გზით უნდა დადგინდეს, კრედიტორი ვალდებულებისაგან მხოლოდ ერთ სოლიდარულ მოვალეს ათავისუფლებს, თუ მისი ნება ვალდებულებისაგან გათავისუფლების თაობაზე ყველა სოლიდარული მოვალისაკენ მიემართება[28].

თუ კრედიტორი ვალდებულებას ყველა სოლიდარულ მოვალეს პატიობს, ვალის პატიების სამართლებრივი შედეგი ყველა სოლიდარული მოვალისათვის ვალდებულების შეწყვეტაა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი ვალდებულებას მხოლოდ ერთ სოლიდარულ მოვალეს პატიობს, მაშინ კრედიტორს დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნის გამოყენების უფლება აქვს, თუმცა, მხოლოდ გათავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით[29] (სსკ 449). მაგალითად, თუ კრედიტორს ოთხი სოლიდარული მოვალის (A, B, C, D) მიმართ 100 000 ლარის მოთხოვნის უფლება აქვს, ხოლო სოლიდარული ვალდებულების შესრულებას მხოლოდ B-ს, C-ს და D-ს სთხოვს, უნდა გაირკვეს, კრედიტორი A-ს ვალს პატიობს, თუ, უბრალოდ, მთლიანი ვალდებულების შესრულებას მხოლოდ B-ს, C-ს და D-ს სთხოვს. თუ კრედიტორი A-სგან ვალდებულების შესრულებას იმ საფუძველზე არ ითხოვს, რომ მას ვალს პატიობს, მაშინ, 449-ე მუხლის კონტექსტში, უნდა დადგინდეს, A-ს მთლიან ვალს პატიობს, თუ მის წილს, ვინაიდან 449-ე მუხლის მიხედვით, ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათ-

[28] იქვე, გვ. 434, ველი 13.
[29] იქვე, გვ. 434, ველი 13.

ვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. თუ კრედიტორი A-ს თავის წილ ვალს პატიობს, მაშინ კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ, გათავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით, მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, კრედიტორის მიერ A-სთვის მისი წილი ვალდებულების პატიების შედეგად, სხვა სოლიდარულად ვალდებული პირების მიმართ 75 000 ლარის მოთხოვნის უფლება აქვს. A-ს წილ ვალდებულებად მხოლოდ 25 000 ლარის მიჩნევა, ეფუძნება სოლიდარული ვალდებულების პრინციპს, რომლის მიხედვითაც, როდესაც შეუძლებელია მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით (სსკ 473).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „ვალის პატიება, რასაც შედეგად შეიძლება ვალდებულების შეწყვეტა მოჰყვეს, თავის მხრივ, წარმოადგენს ორმხრივ გარიგებას, სადაც გარკვევით უნდა აისახოს მხარეთა ნება, მიმართული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისაკენ. იგი ორმხრივი შეთანხმებაა და მიზნად უნდა ისახავდეს მატერიალური სამართლით რეგულირებული შედეგის მიღწევას – მიუღებელი შესრულებისაგან მოვალის გათავისუფლებას“. ამდენად, კრედიტორის ნების შეფასება ვალის პატიებად ნათელი და არაორაზროვანი უნდა იყოს. ამასთან, უნდა დგინდებოდეს კრედიტორმა ვალი მოვალეს აპატია, თუ თავდებს. თუ ვალი თავდებს აპატია, კრედიტორმა მოთხოვნა სხვა თავდებების მიმართ დაიტოვა, თუ არა. საკასაციო პალატის განმარტებით, „როდესაც მხარე უარს აცხადებს სოლიდარული თავდების მიმართ წარდგენილ მოთხოვნაზე, თუ მხარეთა ნება არ იქნება მიმართული სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შედეგის მიღწევაზე, არ შეიძლება ვალის პატიების სამართლებრივი შედეგი მხოლოდ ვარაუდზე დაყრდნობით დადგინდეს... მოსარჩელის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ წარდგენილ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი, ეს გარემოება არც მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ვალის პატიებას, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლით კანონმდებელმა დაადგინა, რომ სხვა სოლიდარული მოვალეებისათვის ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს გათავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით[30]. ამდენად, როგორც საპროცესო, ასევე მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ ერთი სოლიდარული თავდებისათვის გულისხმობს, თუ არა, დანარჩენი სოლიდარულად მოვალე სუ-

[30] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.11.2013 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1087-1018-2012.

ბიექტების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას[31]. როგორც წესი, მხარე იყენებს უფლებას მოთხოვნა მხოლოდ იმ სოლიდარული მოვალის მიმართ წარადგინოს, რომელსაც ქონება გააჩნია. აღნიშნული გარემოება, როგორც წესი, არ ნიშნავს იმას, რომ კრედიტორი სხვა სოლიდარულ მოვალეებს ვალს პატიობს. კრედიტორი მხოლოდ შესაძლებლობას იყენებს სამართლებრივი დავა ლიკვიდური მოვალის მიმართ აწარმოოს. ამიტომ სასამართლოს დასკვნა, რომ ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ სარჩელის აღძვრა, ან თუნდაც მორიგება, სხვა სოლიდარულ მოვალეებს ვალდებულებისაგან ათავისუფლებს, მცდარია. ამგვარი დასკვნა მხოლოდ კრედიტორის ნების კვლევის შედეგად უნდა დადგინდეს. საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით, ყოველთვის მიზანშეწონილია, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, სხვა სოლიდარული მოვალეები მესამე პირად იქნენ სამართალწარმოების პროცესში ჩართულნი, რადგან აღნიშნული სამართალწარმოება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს, რადგან აღნიშნული წარმოების მოვალეს მათ მიმართ, რეგრესის წესით, მოთხოვნის უფლება უჩნდება, თუ რაღა თქმა უნდა, კრედიტორმა მათ მიმართ მოთხოვნაზე უარი არ განაცხადა, ხოლო თუ კრედიტორმა მათ (მესამე პირად ჩართული დანარჩენი სოლიდარული მოვალეების) მიმართ მოთხოვნაზე უარი თქვა (ვალი აპატია), მოპასუხედ დასახელებული სოლიდარული მოვალე მოსარჩელის წინაშე მხოლოდ მისი წილი ვალდებულების ფარგლებშია პასუხისმგებელი.

5. მოვალეთა ე.წ. „შიდა ურთიერთობა“

ა) გათანაბრების მოთხოვნა

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოლიდარული ვალდებულებისათვის დამახასიათებელია, რომ კრედიტორი უფლებამოსილია ვალდებულების სრულად შესრულება, თავისი არჩევით, ერთ ან რამდენიმე სოლიდარულ მოვალეს მოსთხოვოს. აღნიშნული კრედიტორის უფლებაა, რითაც იგი ყველაზე ლიკვიდური მოვალისაგან შესრულების სწრაფად და დაუბრკოლებლად მიღების შესაძლებლობითაა უზრუნველყოფილი. თუმცა, კრედიტორის აღნიშნული უფლება სამომავლოდ ე.წ. „გათანაბრების“ საჭიროებას წარმოშობს, ვინაიდან ივარაუდება, რომ ერთმა სოლიდარულმა მოვალემ კრედიტორის წინაშე სხვა პირთა (მოვალეთა) ვალდებულებაც შეასრულა, რითაც ვალდებულების შემსრულებელმა მოვალემ ქონებრივი დანაკლისი განიცადა, ხოლო დანარჩენ მოვალეებს ნამეტი დანაზოგი შეექმნათ. შესაბამისად, ამგვარი ვითარება ე.წ. „გათანაბრებას“ საჭიროებს, რასაც კანონი მოვალეთა შიდა ურთიერთობებში რეგრესის წესით უზრუნველყოფს. აღნიშნულ წესს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც, მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ

[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.10.2010 განჩინება, საქმეზე №ას-379-352-2010.

თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სსკ 373). ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ აღნიშნული უფლება მოვალეზე სუბროგაციის გზით კი არ გადადის, არამედ დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს, რომელსაც ხანდაზმულობის ათვლის დამოუკიდებელი ვადა გააჩნია[32]. ამგვარი სამართლებრივი შედეგი დაკავშირებულია ფაქტთან მასზედ, რომ სოლიდარული მოვალე სოლიდარული ვალდებულების შესრულებით კრედიტორის წინაშე მოვალეთა ვალდებულებას წყვეტს. შესაბამისად, მას სხვა სოლიდარულ მოვალეთა წილი ვალდებულების შესრულების მომენტიდან აღნიშნული შესრულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა, თავისი წილი ვალდებულების გამოკლებით.

სოლიდარული ვალდებულება არსებობს იქამდე, სანამ ვალდებულება სრულად არ შესრულდება. მართალია, კრედიტორი უფლებამოსილია მის წინაშე პასუხისმგებელი სოლიდარულად ვალდებული პირი თავად აირჩიოს, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობა მხოლოდ კრედიტორის მიერ არჩეულ სოლიდარულ მოვალეს აქვს. აღნიშნული უფლება კრედიტორის უფლებაა და ასევე ის სარგებელი (პრივილეგია), რაც სოლიდარულ ვალდებულებაში კრედიტორს უფრო დაცულს ხდის. სოლიდარული ვალდებულების შესრულების მოვალეობა კი, თავისი წილის პროპორციულად, ყველა სოლიდარული მოვალის ვალდებულებაა. თუ თითეულმა მოვალემ სოლიდარული კრედიტორის წინაშე თავისი წილი ვალდებულება არ შეასრულა, აღნიშნული ვალდებულება სხვა სოლიდარულად მოვალის შესასრულებელი შეიძლება გახდეს. სწორედ ამის გამო მიიჩნევა, რომ სოლიდარულ მოვალეს, კრედიტორის წინაშე თავისი წილი ვალდებულების შესრულების თაობაზე, სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართაც გააჩნია ვალდებულება[33], რისი დარღვევაც სხვა სოლიდარულ მოვალეებს, საერთო წესის მიხედვით (სსკ 394, 408) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს[34].

ბ) წილთა პროპორცია გათანაბრებაში

სოლიდარული მოვალე, რომელიც სოლიდარულ ვალდებულებას სრულად შეასრულებს, დანარჩენი სოლიდარული მოვალეებისაგან უკუმოთხოვნის (რეგრესის) უფლებას იძენს. რეგრესზე პასუხისმგებელი სოლიდარული მოვალეები რეგრესზე უფლებამოსილი მოვალის წინაშე თავინთი წილის შესაბამისად არიან პასუხისმგებელნი. შესაბამისად, ისინი ერთმანეთის მიმართ წილობრივ და არა სოლიდარულ მოვალეებად განიხილებიან[35]. მაგალითად, კრედიტორს ოთხი სოლიდარული მოვალის (A, B, C, D) მიმართ 1 200 ლარის მოთხოვნის უფლება აქვს,

---

[32] *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.435, Rn.15.

[33] BGH NJW 1994, 2231,2232 nach *Müko, Bydlinski*, /426 Rn.12.

[34] BGH NJW 1974, 693, 694 nach *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.435, Rn.15.

[35] *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.435, Rn.17.

ხოლო სოლიდარულ ვალდებულებას სრულად მხოლოდ ერთი (A) შეასრულებს, სოლიდარული ვალდებულების სრულად შემსრულებელი მოვალე (A) დანარჩენი მოვალეებისაგან გათანაბრების უფლებას იძენს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი (A) მათგან (B, C, D), „შიდა ურთიერთობის ფარგლებში“ თითოეულისაგან 300 ლარს, საერთო ჯამში, 900 ლარის ანაზღაურებას მოითხოვს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მოვალე ვალაუვალია, მაშინ მისთვის განსაზღვრული წილი ყველა სხვა გადახდისუნარიან მოვალეს შორის თანაზომიერად ნაწილდება, ანუ განსახილველ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მოვალე, მაგალითად, B ვალაუვალი აღმოჩნდა, მისი წილი ვალდებულება თავის თავზე დანარჩენმა სოლიდარულად ვალდებულმა პირებმა უნდა აიღონ, შესაბამისად C და D სოლიდარული ვალდებულების სრულად შემსრულებელი მოვალის მიმართ (A) ვალაუვალი მოვალის (B) წილ პასუხისმგებლობას თანაბრად იღებენ, თითოეული 100 ლარის ფარგლებში (300:3).

მოვალეთა ე.წ. „შიდა ურთიერთობაში“ პასუხისმგებლობა წილობრივია. კანონი ამბობს, რომ მოვალეები ერთმანეთს შორის შიდა ურთიერთობებში თანაბარი წილით აგებენ პასუხს, თუ მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის სხვაგვარად განსაზღვრა შეუძლებელია (სსკ 473.2). მოვალეთა ე.წ. „შიდა ურთიერთობაში“თითოეული მოვალის პასუხისმგებლობის წილის განსაზღვრა სხვადასხვა გზით ხდება, კერძოდ, ხშირად მოვალეები აღნიშნულ საკითხს ერთმანეთთან დადებული ხელშეკრულებით აწესრიგებენ. რიგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობაში წილობრივი მონაწილეობა საქმის გარემოებებიდან დგინდება. მაგალითისათვის, თუ მოვალეთა სოლიდარული პაუხისმგებლობა კრედიტორის მიმართ ბრალეულმა ქმედებამ წარმოშვა, „შიდა ურთიერთობაში“ ისინი ერთმანეთის მიმართ თავიანთი ბრალის ხარისხის შესაბამისად აგებენ პასუხს[36].

გ) გათანაბრების დამაბრკოლებელი გარემოება

გათანაბრების დამაბრკოლებელ გარემოებად განიხილება შემთხვევები, როდესაც სოლიდარული კრედიტორი სოლიდარულ მოვალეს მის წილ ვალდებულებას მთლიანად ან ნაწილობრივ აპატიებს.

კრედიტორის მიერ მხოლოდ ერთი სოლიდარული მოვალისათვის ვალის პატიება, მას უფლებას ართმევს, სხვა დანარჩენ სოლიდარულ მოვალეებს მთლიანი ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს. საწინააღმდეგოს დაშვების პირობებში, ანუ თუ კრედიტორი ერთ სოლიდარულ მოვალეს მისი წილი ვალდებულების შესრულებისაგან გაათავისუფლებს, თუმცა, მის წილ შესრულებას სხვა სოლიდარულ მოვალეებს მოსთხოვს, ვალდებულებისაგან გათავისუფლებული სოლიდარული მოვალე, საბოლოო ჯამში, აღნიშული ვალდებულებისათვის მაინც პასუხისმგებელი აღმოჩნდება, ვინაიდან თუ მის წილ ვალდებულებას დანარჩენი სოლიდარული

[36] BGH NJW 1983, 623 nach *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.435, Rn.19.

მოვალეები შეასრულებენ, მათ გათავისუფლებული მოვალის მიმართ რეგრესის უფლება გაუჩნდებათ. ვალდებულებისაგან გათავისუფლება კი კრედიტორისა და გათავისუფებული მოვალის სამართალურთიერთობაში მოქმედებს. გათავისუფლებული მოვალე დანარჩენი სოლიდარული მოვალეების წინაშე რეგრესისაგან ვერ გათავისუფლდება იმ არგუმენტეზე დაყრდნობით, რომ კრედიტორმა მას, მისი წილი ვალდებულება აპატია. სწორედ აღნიშნული უსამართლო შედეგის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, სხვა სოლიდარული მოვალეებისათვის ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს გათავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.

მაგალითად, A და G, რომელიც A-ს მანქანით მგზავრობს, შეთანხმდებიან, რომ საგზაო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, A G-ს წინაშე პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი იქნება. A-სა და B-ს გაუფრთხილებელი მოქმედებით, ავტოსაგზაო შემთხვევა დადგა, რითაც G-ს 2 000 ლარის ზიანი მიადგა. განსახილველ შემთხვევაში, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე შეთანხმება A-ს G-ს წინაშე სრულად ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ G ზიანის ანაზღაურებას სრულად ვერც B-სგან ვერ მოითხოვს. G ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს B-სგან იმდენად, რამდენადაც იგი A-სთან შიდა ურთიერთობაში პასუხისმგებელი იქნებოდა. თუ ავტოსაგზაო შემთხვევა A-სა და B-ს თანაბარი ბრალეულობით (50%-50%) დადგა, მაშინ G-უფლებამოსილია B-ს ზიანის ანაზღაურება 1 000 ლარის ოდენობით მოთხოვოს.

ამდენად, იგულისხმება, რომ სოლიდარულ ვალდებულებაში ერთ-ერთი მოვალის მიმართ ვალის პატიება ან პასუხისმგებლობის შეზღუდვა სხვა სოლიდარულ მოვალეს ტვირთად არ უნდა დააწვეს. ვალის პატიების დროს ქონებრივი დანაკლისის რისკის მატარებელი ვალის მპატიებელი კრედიტორია და არა ის სოლიდარული მოვალე, რომელსაც კრედიტორმა ვალი არ აპატია[37].

დ) შესრულების სამართლებრივი შედეგები

ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს შესრულებისაგან დანარჩენ მოვალეებს. ეს წესი მოქმედებს კრედიტორთან მოვალის მიერ განხორციელებული გაქვითვის მიმართაც (სსკ 467). ვალდებულება შესრულებით წყდება. იგივე წესი ვრცელდება სოლიდარულ ვალდებულებაზეც. სოლიდარული ვალდებულების შეწყვეტის მიზნებისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი მოვალე ასრულებს ვალდებულებას. **სოლიდარული ვალდებულება წყდება, თუ ერთ-ერთი მოვალე სრულად, ან ყველა (ან ერთზე მეტი) მოვალე**

[37] *MüKo, Bydlinski* 12.Auflage, Verlag C.H.München, 2012, §426, Rn.57.

ნაწილ-ნაწილ, თუმცა, საერთო ჯამში, სრულად შეასრულებს ვალდებულებას. შესაბამისად, სოლიდარული ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი ვალდებულების სრულად შესრულებაა. ამ მიმართებით მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი და რამდენი სოლიდარული მოვალე ასრულებს ვალდებულებას. ვალდებულების შეწყვეტის მიზნებისათვის, მთავარია, რომ **ვალდებულება სრულად შესრულდეს.** ამდენად, სოლიდარული ვალდებულების სრულად შესრულებით სოლიდარული ვალდებულება წყდება (სსკ 427), რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი მოვალის მიერ ვალდებულების სრულად შესრულებით, კრედიტორის წინაშე, ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან ყველა მოვალე თავისუფლდება.

შესრულების მიმართ ვალდებულების შემწყვეტი შესრულების ზოგადი წესები მოქმედებს. შესაბამისად, **ყოველი მოქმედება** არ იწვევს ვალდებულების შესრულებას და ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგის დადგომას (სსკ 427). ვალდებულების შესრულება ნიშნავს **იმ მოქმედების შესრულებას** (ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას), რომლის მოთხოვნის უფლებაც კრედიტორს აქვს (კრედიტორის მოთხოვნის რელატიური ბუნება)[38]. **სწორედ ასეთი მოქმედება (ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) წარმოადგენს ვალდებულების ობიექტს**[39]**.**

ამდენად, ვალდებულების შემწყვეტი შესრულება ჯეროვანი შესრულებაა, ანუ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ყველა სოლიდარული მოვალისათვის კრედიტორის წინაშე ვალდებულების შემწყვეტ შესრულებად, თუ შესრულება ჯეროვანია. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს ვალდებულების შესრულებას კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, იმ გონიერი მოლოდინის ფარგლებში, რაც შესრულების მიმღებს აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიმართ ჰქონდა. ვალდებულების შესრულების ჯეროვანება ვალდებულების შესრულების მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კანონისმიერი ან ხელშეკრულებისმიერი მოთხოვნის დაცვას არ ნიშნავს, მაგალითად, ვალდებულების უნაკლო (ნივთობრივი, უფლებრივი), ხარისხიან, შეთანხმებული ოდენობით, დათქმულ დროს ან დათქმულ ადგილას შესრულებას. შესრულების ჯეროვანება ყველა ზემოთ დასახელებული ობიექტური ფაქტორის ერთობლიობაა და ვალდებულების ყოველგვარი დარღვევის გარეშე შესრულებას ნიშნავს.

6. მოთხოვნის გადასვლა

სოლიდარული მოვალე, რომელიც კრედიტორის მოთხოვნას სრულად დააკმაყოფილებს, დანარჩენი სოლიდარული მოვალეებისაგან უკუმოთხოვნის (რეგრესის) უფლებას იძენს, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, ვალდებულების შემსრულებელ სოლიდარულ მოვალეზე კრედიტორის მოთხოვნის უფლება გადადის (სუბროგა-

[38] *ჭეჭელაშვილი,* სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 22.
[39] *ახვლედიანი,* ვალდებულებითი სამართალი, გვ. 37.

ცია), რომლის რეალიზების შედეგად ქონებრივი მდგომარეობს გათანაბრება ხდება (რეგრესი). მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლი მოთხოვნის გადასვლაზე არაფერს ამბობს[40], თუმცა, ნორმის შინაარსიდან ცალსახაა, რომ კრედიტორის მოთხოვნა დანარჩენი მოვალეების მიმართ ვალდებულების შემსრულებელ მოვალეზე გადადის (სსკ 473.1).

7. სუბროგაცია, რეგრესი, ცესია

ა) სუბროგაციისა და რეგრესის ურთიერთმიმართება

სუბროგაციისა და რეგრესის არსსა და ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება არსებობს, თუმცა, დღეს გავრცელებული გაბატონებული მოსაზრების შესაბამისად, სუბროგაცია მოთხოვნის გადასვლას ასახავს, რომლის რელატიური შედეგი რეგრესი, ანუ უფლებებში გათანაბრებაა[41]. მაგალითისათვის, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებით, დანარჩენ სოლიდარულ მოვალეთა ვალდებულება ყოველმხრივ (სრულად) კი არ წყდება, არამედ მხოლოდ კრედიტორის მიმართ, რომლის ადგილს ვალდებულების შემსრულებელი მოვალე იკავებს (სსკ 473). იგივე წესი ვრცელდება მზღვეველზე, რომელიც მას შემდეგ, რაც დამზღვევს მიყენებულ ზიანს აუნაზღაურებს, ზიანის მიმყენებლისაგან გადახდილი თანხის (გაწეული შესრულების) ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას იძენს (სსკ 832). მოთხოვნის უფლება კი ახალ კრედიტორზე ისეთსავე მდგომარეობაში გადადის (სუბროგაცია), როგორშიც იგი ძველი მფლობელის ხელში იყო (სსკ 198.1). მოთხოვნის გადასვლით ახალ კრედიტორზე მისი უზრუნველყოფის საშუალებებიცა და მოთხოვნასთან დაკავშირებული სხვა უფლებებიც გადადის (სსკ 201). დამატებით უფლებებთან ერთად მოთხოვნის გადასვლის საპირწონედ, მოვალე ახალი კრედიტორის მიმართ ყველა იმ შესაგებელს ინარჩუნებს, რაც მას ძველი კრედიტორის მიმართ ჰქონდა. მაგალითად, მოვალემ შეიძლება ახალი კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების გამომრიცხველი ისეთი შესაგებელი წარადგინოს, როგორიც ხანდაზმულობაა. შესაბამისად, მოთხოვნის გადასვლის გზით კრედიტორმა შეიძლება ნატურალური, აღუსრულებელი მოთხოვნა მიიღოს[42]. სუბროგაციის გზით არარსებული უფლება არ „ცოცხლდება“, ახლად „არ წარმოიშობა“, იგი ახალ კრედიტორზე ისეთსავე მდგომარეობაში გადადის, როგორც ძველი კრედიტორის ხელში იყო. თუ პირი სუბროგაციის გზით მოპოვებული უფლების რეალიზაციის შედეგად მოვალისაგან შესრულებას ვერ მიიღებს, მას თავდაპირველი კრედიტორის მიმართ მოთხოვნის უფლება არ უჩნდება.

---

[40] განსხვავებით იდენტური შინაარსის მატარებელი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 426-ე მუხლისა, რომლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ რა ფარგლებშიც სოლიდარული მოვალე კრედიტორს დააკმაყოფილებს, იმ ფარგლებში გადადის კრედიტორის მოთხოვნა დანარჩენი მოვალეების მიმართ მასზე.

[41] *Hasse*, Der Regress im Sozial- und Privatversicherungsrecht als Regelungsgegenstand der Gesamtschuld, Duncker§Humblot, Berlin, 1992, S.80.

[42] იქვე, გვ. 81.

ბ. ცესია

ვინაიდან სუბროგაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი **მოთხოვნის ე.წ. „ტრანსპორტირების“ ფუნქციაა,** ამიტომ სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ლიტერატურაში ხშირად სუბროგაციასა და ცესიას იდენტური შინაარსის სამართლებრივ ტერმინებად მიიჩნევენ[43]. თუმცა, ცესია და სუბროგაცია განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტებია, ამიტომ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კონტექსტში, მნიშვნელოვანია. ამ მიმართებით, პირველ რიგში, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ **ცესია სახელშეკრულებო სამართლის პირმშოა.** ცესია, ანუ მოთხოვნის დათმობა **მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზეა შესაძლებელი.** სწორედ ამ შესაძლებლობის საკანონმდებლო რეგლამენტაციას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე ისეთსავე მდგომარეობაში გადადის, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ (სსკ 198.1). ამდენად, აღნიშნული ნორმის კონტექსტში ცედენტსა და ცესიონერს შორის მოთხოვნის დათმობის გარიგება იდება, რომლის ძალითაც მოთხოვნის მფლობელი (ცედენტი) მოთხოვნის მიმღებს (ცესიონერს) მის კუთვნილ უფლებას ისეთსავე მდგომარეობაში გადასცემს (სსკ 198.2), როგორშიც ძველი მფლობელის ხელში იყო, ყველა იმ დამატებითი უფლებით, რაც მოთხოვნის პირვანდელ მფლობელს გააჩნდა, მათ შორის, იპოთეკა, გირავნობა (სსკ 201.1).

მოთხოვნის სახელშეკრულებო დათმობის ინსტიტუტისაგან განსხვავდება **მოთხოვნის კანონისმიერი დათმობა, ე.წ. საკანონმდებლო ცესია (Cessio Legis). ლიტერატურაში სუბროგაცია სწორედ მოთხოვნის კანონისმიერი დათმობის ინსტიტუტთან იგივდება**[44]**.** შესაბამისად, სუბროგაცია (Cessio Legis) სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულების შედეგად მოთხოვნის გადასვლის შესაძლებლობას **კანონი პირდაპირ ადგენს.** კანონის ძალით მოთხოვნის გადასვლის მაგალითებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 269.3[45], 292.1.2[46], 372[47];

---

[43] იქვე, გვ. 81.

[44] Ferid, aaO., 2 E 116; Weill/Terre, aaO., 1046 nach *A. Hasse*, Der Regress im Sozial- und Privatversicherungsrecht als Regelungsgegenstand er Gesamtschuld, Duncker§Humblot, Berlin, 1992, S.81.

[45] სსკ 269.3. ყოველი მესამე პირი, რომლის უფლებრივი მდგომარეობაც გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად შეიძლება გაუარესდეს, უფლებამოსილია დააკმაყოფილოს მოგირავნის მოთხოვნა და ამ გზით შეიძინოს მისი უფლებები დამგირავებლისა და შესაძლო მოვალე მესამე პირის მიმართ.

[46] სსკ 292.1. უძრავი ნივთის მესაკუთრე უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი, როცა მოთხოვნის შესრულების ვადა უკვე დადგა, ან როცა პირადი მოვალე უფლებამოსილია შეასრულოს შესაბამისი მოქმედება.

292.2. თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე მაშინ, როცა მესაკუთრე კრედიტორს დააკმაყოფილებს.

[47] 372 – თუ კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე, მაშინ ყოველი პირი, რომელსაც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულებით შეიძლება დაკარგოს უფლება ამ ნივთზე,უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი. როცა მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე.

905[48]; 890[49], 832[50] მუხლები, ხოლო ხელშეკრულების ძალით მოთხოვნის გადასვლა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის მიხედვით ხდება[51]. სუბიექტი, რომელიც სუბროგაციის ძალით მოთხოვნას იძენს, მას რეგრესის, ანუ გათანაბრების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა. ნიშანდობლივია ასევე აღინიშნოს, რომ მოთხოვნის სახელშეკრულებო გადასვლის მარეგულირებელი ნორმები (ცესია) მოთხოვნის კანონისმიერ გადასვლაზეც მოქმედებს (სუბროგაცია) (სსკ 207).

სახელშეკრულებო ცესიისაგან განსხვავებით კანონისმიერი ცესიისათვის დამახასიათებელია მოთხოვნის გადასვლა **არა სრულად, არამედ მხოლოდ იმ ნაწილში (იმ მოცულობით), რა ნაწილშიც (რა მოცულობითაც) პირი კრედიტორის წინაშე ვალდებულებას ასრულებს.** შესაბამისად, იგი კრედიტორის ადგილს იმ მდგომარეობაში იკავებს, რა მდგომარეობაშიც კრედიტორი შესრულების მიღების დროს იყო. თუ პირი მოთხოვნას ნაწილობრივ შეასრულებს, იგი კრედიტორის ადგილს მხოლოდ აღნიშნული შესრულების ნაწილში იკავებს. მოვალის გადახდისუუნარობის პირობებში, ახალი კრედიტორის უფლების რეალიზაციით თავდაპირველი კრედიტორის უფლება არ უნდა შეიზღუდოს. თავდაპირველ კრედიტორს თავისი მოთხოვნის ნაწილში მოვალისაგან დაკმაყოფილების უპირატესი უფლება აქვს[52].

სუბროგაციის ფართო ინტერპრეტაცია დაუშვებელია, ვინაიდან მისი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოთხოვნის გადასვლას კანონი ადგენს[53]. შესაბამისად, სუბროგაციას, ანუ მოთხოვნის კანონისმიერ გადასვლას ადგილი არ აქვს იქ, სადაც კანონი ამგვარ შესაძლებლობას არ ადგენს. აღნიშნულ პრინციპს ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში, სუბროგაცია დაუშვებელია, ვინაიდან სიცოცხლის დაზღვევის დროს კანონი სუბროგაციას არ ითვალისწინებს[54].

---

[48] 905 – თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ. ძირითადი მოვალის შესაგებლები, რომლებიც გამომდინარეობს მასა და თავდებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან, ხელუხლებელი რჩება.

[49] 890 – გარანტის უფლება, მოითხოვოს პრინციპალისაგან რეგრესის წესით იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით, განისაზღვრება პრინციპალთან გარანტის იმ შეთანხმებით, რომლის შესასრულებლადაც გაიცა გარანტია.

[50] 832 – თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს,მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს.

[51] 199.1 – მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). მოვალესთან შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მოვალის პატივსადები ინტერესი.

[52] Grundsatz: „Nemo contra se subrogasse censetur"; Ferid, aaO.,2 E 154; Weill/Terre, aaO., 1046 nach *A. Hasse*, Der Regress im Sozial- und Privatversicherungsrecht als Regelungsgegenstand er Gesamtschuld, Duncker§Humblot, Berlin, 1992, S.83.

[53] *Zweigert/Kötz*, aaO., Bd.2 S.150, Rn. ff nach A.Hasse, Der Regress im Sozial- und Privatversicherungsrecht als Regelungsgegenstand er Gesamtschuld, Duncker§Humblot, Berlin, 1992, S.82.

[54] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.02.2012 განჩინება, საქმეზე №ას-663-624-2011.

1. გარიგების ფორმის ფუნქცია

იმისათვის, რომ სამოქალაქო ბრუნვა არ შეფერხდეს, გარიგებების ნამდვილობისათვის რაიმე სპეციალური ფორმის დაცვა იშვიათ შემთხვევაშია საჭირო. ფორმის თავისუფლების პრინციპიდან არსებობს გამონაკლისი. გარიგების ფორმის თავისუფლებიდან გამონაკლისი დაიშვება ფორმასავალდებულოობის მიმართ მაღალი ინტერესის არსებობის შემთხვევაში. მაღალი ინტერესი კი, როგორც წესი, განპირობებულია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა **დაცვის ფუნქციით.** გარდა დაცვითი ფუნქციისა, მხედველობაშია მისაღები ასევე სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა **ინფორმირებულობის ფუნქცია**, რა დროსაც ხელშეკრულების შინაარსის დამმოწმებელი პირი, მაგალითად, ნოტარიუსი, მხარეებს აღნიშნული ხელშეკრულების შინაარსს და მის სამართლებრივ შედეგებს განუმარტავს. ინფორმირებულობის ფუნქციის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი გარიგებების შემთხვევაში, რომელსაც მხარეებისათვის განსაკუთრებული სამართლებრივი შედეგი მოაქვს, მაგალითისათვის, გარიგების ნოტარიული დამოწმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შენარჩუნებულია იმ სამისდღეშიო რჩენის ხელშკრულებების მიმართ, რომელიც უძრავი ქონების გადაცემას უკავშირდება (სსკ[1] 942), სანოტარო დამოწმებას მოითხოვს ასევე საქორწინო ხელშეკრულება (სსკ 1173). გარიგების ფორმის ფუნქციათაგან აღსანიშნავია ასევე გარიგების შინაარსის **გათვალსაჩინოებისა და მტკიცების პროცესის** გაიოლების ფუნქცია. აღნიშნული ფუნქციის გამო, ხშირად გარიგების ფორმას მხარეები ხელშკრულებით თავად ითვალისწინებენ [2].

2. გარიგების კანონით ანდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმა

კანონი გარიგების ზეპირად ან წერილობით დადების შესაძლებლობას იძლევა. გარდა **მარტივი წერილობითი ფორმის** გარიგებისა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არსებობს გარიგების **რთული წერილობითი ფორმით** დადების ვალდებულება. რთულ წერილობით ფორმაში იგულისხმება **გარიგების შინაარსის (საჯარო აქტის ფორმით) ან ხელმოწერების დამოწმების ვალდებულება (კერძო აქტის ფორმით). გარიგების შინაარსის ნოტარიული დამოწმება** ნიშნავს იმას, რომ ნოტარიუსი ამოწმებს გარიგების შინაარსს, რა დროსაც გარიგების მხარეებს განუმარტავს გარიგების არსს, მისი მოქმედების პირობებს, სამართლებრივ შედეგებსა და ა. შ (სსკ 942). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარიგე-

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. შემდგომში: სსკ.

[2] *Wendtland*, Beck'scher Online-Kommentar BGB, *Bamberger/Roth*, 39. Edition, Rn1.

ბის ნოტარიული დამოწმების ვალდებულებას ორ შემთხვევაში ითვალისწინებს, კერძოდ, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც გარიგება უძრავი ქონების გადაცემას ეხება (სსკ 1173) და საქორწინო ხელშეკრულების დადების დროს (სსკ 311[1]).

გარიგების მონაწილეთა ხელმოწერების დადასტურების შემთხვევაში კი ნოტარიუსი მხოლოდ გარიგების მხარეების ხელმოწერების ნამდვილობას ამოწმებს[3]. ხელმოწერების დამოწმების ვალდებულებას კანონი მაშინ ადგენს, როდესაც გარიგება უძრავი ქონების თაობაზე მარეგისტრირებელი ორგანოს გარეთ იდება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ხელმოწერათა ნოტარიული დადასტურება **გარიგების ფორმის ნამდვილობისათვის წაყენებულ მოთხოვნას არ წარმოადგენს,** რადგან კანონი უშვებს მხარეთა მიერ უძრავი ქონების თაობაზე გარიგების დადებას ხელმოწერების ნოტარიული დამოწმების გარეშეც, თუმცა, იმისათვის რომ ამგვარი ხელშეკრულება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი გახდეს, აუცილებელია, რომ ხელშეკრულება მარეგისტრირებელ ორგანოში ულებამოსილი პირის თანდასწრებით შედგეს (სსკ 311[1]). **საგულისხმოა, რომ ასეთ დროს, გარიგების მონაწილეთა ხელმოწერების ნოტარიული დადასტურება, კანონით გათვალისწინებული სავალდებულო პირობა არ არის.**

ამდენად, **გარიგების ხელმოწერათა სანოტარო დამოწმება ემსახურება გარიგების ხელმომწერ პირთა იდენტიფიცირებას და არა მხარეთა ნების ნამდვილობის დადგენასა და გარიგების შინაარსის შემოწმებას.** თუ გარიგების ხელმოწერათა დამოწმება სანოტარო წესით არ მოხდა, აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მხარეები ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მარეგისტრირებელ ორგანოში და გარიგებაზე ხელმოწერა უფლებამოსილი პირის წინაშე შეასრულონ. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ **არც ნოტარიუსთან ხელმოწერათა დადასტურების დროს და არც მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერების დამოწმების შემთხვევაში, მხარეთა ნება და გარიგების შინაარსი არ მოწმდება**. **ხელმოწერის დამოწმებას მხოლოდ ერთი დანიშნულება გააჩნია. ხელმოწერის დამოწმების დროს დგინდება ხელმოწერა ეკუთვნის, თუ არა ხელმომწერ პირს. შესაბამისად, ხელმოწერების დამოწმება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გარიგების ფორმად.** თუ მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირი გარიგებით განსაზღვრული უფლების რეგისტრაციას ისე მოახდენს, რომ მხარეთა ხელმოწერებს კანონით დადგენილი წესით, **სამსახურებრივი შტამპით,** არ დაამოწმებს, აღნიშნული გარიგება ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებად არ მიიჩნევა[4].

კიდევ ერთი არგუმენტი, თუ რატომ ითვლება, რომ ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება უძრავი ქონების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ფორმას

---

[3] სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-15 მუხლი.

[4] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.09.2016 გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/5432-15.

არ წარმოადგენს, მდგომარეობს იმაში, რომ სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი უძრავი ნივთის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისათვის **მარტივ წერილობით ფორმას ადგენს**[5]. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ გამყიდველმა საკუთრების უფლების გადაცემაზე უარი განაცხადა და მყიდველს საჯარო რეესტრში არ წაყვა, საჯარო რეესტრი აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველს **ნასყიდობის საგნის მესაკუთედ ვერ დაარეგისტრირებს, რადგან მარეგისტრირებელი ორგანოსათვის უცნობია ხელშეკრულებაზე არსებული მეორე ხელმოწერის ნამდვილობის თაობაზე.** მარეგისტრირებელი ორგანოსათვის ნოტარიულად დაუდასტურებელი ხელშეკრულების ნამდვილობის პრეზუმფცია არ მოქმედებს. მარეგისტრირებელი ორგანო რომ ხელმოწერას ენდოს, ხელმოწერა მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით უნდა განხორციელდეს ან მარეგისტრირებელი ორგანოს გარეთ ნოტარიულად უნდა დამოწმდეს. თუმცა, ამავე ხელშეკრულებაზე დაყრდნობით **მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნას მყიდველს სასამართლო დაუკმაყოფილებს, რადგან დაადგენს, რომ მხარეთა შორის დადებული მარტივი წერილობითი ხელშეკრულება კმარი ფორმადაცული საფუძველია უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის**[6]. ხელშეკრულებაზე არსებული ხელმოწერა კი მისი სიყალბის დადასტურებამდე, ნამდვილად ითვლება. რაც შეეხება აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ნოტარიულად დამოწმებულ ხელმოწერებს, ისინი (ხელმოწერები) მარტოოდენ იმ მიზანს ემსახურება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმომწერთაგან მხოლოდ ერთმა, როგორც წესი, ის ერთი მხარე მყიდველია ხოლმე, რომლის ინტერესებშიც მის სახელზე საკუთრების რეგისტრაცია წარმოადგენს, გამყიდველისაგან დამოუკიდებლად, საჯარო რეესტრში, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთარ თავზე ნაყიდი ქონების დარეგისტრირება შეძლოს.

ა) გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმა

იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი გარიგების ნამდვილობისათვის სპეციალური ფორმის დაცვის ვალდებულებას არ აწესებს, **მხარეები უფლებამოსილნი არიან გარიგების ნამდვილობისათვის სპეციალური ფორმა თავად გაითვალისწინონ.** მხარეებს შეუძლიათ ასევე გარიგების ნამდვილობის პირობად კანონით გაუთვალისწინებელი ნებისმიერი ფორმა დააწესონ[7]. **ხელშეკრულებით გათვალისწინებული სავალდებულო ფორმის არსებობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთშეთანხმებით, გარიგება აღნიშნული ფორმის დაუცველად დადონ.** ასეთ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ მხარეები კონკლუდენტური მოქმედებით გარიგების ნამდვილობის სხვა ფორმაზე შეთანხმდნენ

---

[5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.09.2017 განჩინება, საქმეზე №ას-202-191-2017.

[6] იქვე.

[7] *Wendtland*, Beck'scher Online-Kommentar BGB, *Bamberger/Roth*, 39. Edition, Rn 6.

და აღნიშნული შეთანხმებით უკვე არსებული გარიგების კონკრეტულ ფორმასთან დაკავშირებული პირობა შეცვალეს[8]. თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გარიგების ფორმას ამავე გარიგების ნამდვილობას უკავშირებენ, აღნიშნული პირობა ხელშეკრულებიდან უნდა იკვეთებოდეს. შესაძლებელია, რომ მხარეები გარიგების წერილობით ფორმაზე მხოლოდ იმიტომ შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული გზით გარიგების შინაარსის მარტივად გათვალსაჩინოება შეძლონ ან მტკიცების პროცესი გაამარტივონ **(გარიგების ფორმის დეკლარაციული მნიშვნელობა)**. თუ ხელშეკრულებიდან არ ჩანს გარიგების ფორმასავალდებულოობის დანიშნულება, იგულისხმება, რომ მისი დაცვა გარიგების ნამდვილობის პირობას უკავშირდება **(გარიგების ფორმის კონსტიტუციური მნიშვნელობა)**[9].

სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, კანონი ადგენს, რომ ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ **ბათილია კანონით გათვალისწინებული ფორმასავალდებულო გარიგება, ფორმის დაუცველობის შემთხვევაში.** რაც შეეხება მხარეთა მიერ გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილ ფორმას, მისი დაუცელობა **ყოველთვის არ იწვევს გარიგების ბათილობას, ვინაიდან მხარეების მიერ შეთანხმებული გარიგების ფორმა ისევ მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს.** მაგალითად, თუ მხარეები გარიგების ფორმაზე შეთანხმდნენ, თუმცა, გარიგებით გათვალისწინებული პირობები მათივე შეთანხმებით ფორმასავალდებულო გარიგების დადების გარეშე შეასრულეს, აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მხარეებმა კონკლუდენტური მოქმედებით გარიგების ფორმისათვის წაყენებული მოთხოვნა თავადვე სხვა ფორმით ჩაანაცვლეს [10].

თუ მხარეთა შეთანხმებით გარიგების ფორმას **დეკლარაციული ხასიათი აქვს**, ანუ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ფორმის მიზანი გარიგების შინაარსის გათვალსაჩინოება ან კიდევ მტკიცების პროცესის გამარტივებაა, ფორმისდაუცველად დადებული გარიგება **ბათილი არ არის.** თუ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ ფორმას **კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს,** ანუ მხარეები გარიგების ფორმას გარიგების ნამდვილობის პირობად მიიჩნევენ, ასეთ შემთხვევაში, ფორმისდაუცველად დადებული გარიგება ისევე ბათილია, როგორც კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველად დადებული გარიგება[11].

ბ) გარიგების კანონით გათვალისწინებული ფორმა

გარიგების კანონით გათვალისწინებული ფორმა სავალდებულოა მთელი გარიგებისათვის, მისი შემადგენელი ყველა ნაწილისათვის და ასევე ყველა იმ დათქმისათვის, რომელიც ამ გარიგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ფორმასავალდებულოობა ვრცელდება აღნიშნულ გარიგებაში ცვლილების შეტანაზე, დამატებით გარიგებაზე და ა. შ. მხარეები უფლებამოსილნი არ არიან შეცვალონ გარიგების

[8] იქვე, ველი 7.
[9] იქვე, ველი 9.
[10] იქვე, ველი 2.
[11] იქვე, ველი 17.

ნამდვილობისათვის კანონით დადგენილი ფორმა. კანონით დადგენილი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია.

გარიგების ფორმასავალდებულოობა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც [12] [13]. აღნიშნულ დანაწესს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც (სსკ 327.2).

ფორმასავალდებულო გარიგების დასადებად უფლებამოსილების მინიჭებაზე არ ვრცელდება გარიგების ფორმის პირობა. უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა. ნების გამოვლენას არ სჭირდება ის ფორმა, რომელიც აუცილებელია იმ გარიგების დასადებად, რომლისთვისაც გაცემულია უფლებამოსილება (სსკ 107).

ფორმასავალდებულო გარიგების გაუქმება შესაძლებელია გარიგების ფორმისათვის დადგენილი აუცილებელი ფორმის დაცვის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მაგალითად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს (სსკ 563). ხელშეკრულების გაუქმებისათვის აუცილებელი ფორმის დაცვა სავალდებულოა მაშინ, როდესაც გაუქმების სამართლებრივი შედეგი სპეციალური ფორმის დაცვის გარეშე არ მიიღწევა. მაგალითად, უძრავ ქონებაზე დადებული გარიგების გაუქმება რეგისტრირებული მესაკუთრის შეცვლას არ გამოიწვევს, თუ მხარეები აღნიშნულის თაობაზე წერილობით არ შეთანხმდებიან.

კანონით გათვალისწინებული ფორმის ნაკლის გამო გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლება აქვთ როგორც **გარიგების მხარეებს, ასევე იმ მესამე პირებს, რომელთა უფლება ფორმადაუცველი გარიგებით შეილახა**. გარიგების ფორმადაუცველობა გარიგების ბათილობის ის პირობაა, რომელიც სასამართლოს მხრიდან საკუთარი ინიციატივით კვლევის საგანი ხდება. ფორმადაუცველი გარიგება ბათილად მიიჩნევა მაშინაც, როდესაც მხარეები მას ეთანხმებიან და ნამდვილად მიიჩნევენ[14]. ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში მათ ახალი ხელშეკრულების დადების შესაძლებობა აქვთ, მარტოოდენ დადასტურებით კი გარიგების ფორმის ნაკლი ვერ გამოსწორდება[15]. იგივე წესი ვრცელდება მაშინაც, როდესაც მხარეთა ნება უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე მოწმეთა ჩვენებით უტყუარად დგინდება, თუმცა, სასამართლო ზეპირ გარიგებას, თუნდაც, მხარეთა კონკლუდენტური მოქმედებებით დადასტურებულს, უძრავი ქონების ნასყიდობის ფორმის სუროგატად ვერ მიიჩნევს[16].

---

[12] *Wendtland*, Beck'scher Online-Kommentar BGB, *Bamberger/Roth*, 39. Edition, Rn 10.

[13] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 21.03.2108 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-875-817-2017.

[14] *Wendtland*, Beck'scher Online-Kommentar BGB, *Bamberger/Roth*, 39. Edition, Rn 16.

[15] იქვე, ველი 17.

[16] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.01.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1242-2018.

4. გარიგების ფორმადაუცველობის სამართლებრივი შედეგები

გარიგების ფორმადაუცველობა მის ბათილობას იწვევს, ხოლო ფორმის დაუცველად დადებული გარიგების ბათილობისას მიღებული შესრულება მხარეებმა, როგორც უსაფუძვლოდ მიღებული, უკან უნდა დააბრუნონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესრულება ფორმის ნაკლს ასწორებს[17].

ამდენად, როგორც წესი, **გარიგების ფორმადაუცველობა, მის ბათილობას იწვევს**. თუმცა, გარიგების ფორმადაუცველობის შემთხვევაში, შესაძლებელია კანონით გათვალისწინებული **სხვა შედეგიც დადგეს**. მაგალითისათვის, მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულება ერთ წელზე მეტი ვადით წერილობით უნდა გაფორმდეს. **ფორმის დაუცველობის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული (სსკ 569)**. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. თუ ეს ფორმა არ არის დაცული, **მაშინ ივარაუდება, რომ ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით (სსკ 593)**.

კიდევ ერთი ზოგადი წესის მიხედვით, **გარიგების ბათილობა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას იწვევს,** თუმცა, კანონი გარკვეულ გამონაკლისებს უშვებს, როდესაც გარიგების ბათილობის მიუხედავად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა დაუშვებელია, კერძოდ, საუბარია ისეთ გარიგებებზე, როდესაც გარიგებით გათვალისწინებული პირობები უკვე შესრულებულია და გარიგება მხოლოდ და მხოლოდ ex nunc, ანუ გაბათილების მომენტიდან მიიჩნევა ბათილად. ამგვარი მოწესრიგება, როგორც წესი, შრომითი ხელშეკრულებების ბათილობის შემთხვევაში მოქმედებს [18].

ფორმის ნაკლი კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება შესრულებით გასწორდეს. ფორმის ნაკლი შესრულების მომენტიდან (ex nunc) სწორდება. შესაბამისად, გარიგება ნამდვილად შესრულების მომენტიდან ითვლება. აქვე აღსანიშნავია, რომ შესრულებით გარიგების მარტოოდენ ფორმის ნაკლი სწორდება და არა აღნიშნული გარიგების ბათილობის სხვა საფუძველი, როგორიცაა მაგალითად, კანონწინააღმდეგობა, მართლწინააღმდეგობა, ამორალურობა და ა. შ. შესრულება ფორმის ნაკლს ყოველთვის არ ასწორებს. საგულისხმოა, რომ შესრულება **კანონით განსაზღვრულ** ფორმის ნაკლს **მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში ასწორებს.** ქართული კანონმდებლობა შესრულებით ფორმის ნაკლის გასწორების ერთ შემთხვევას იცნობს, კერძოდ, თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა აუცილებელი არ არის (სსკ 234.2).

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარიგების ფორმადაუცველობა, ზოგადი წესის მიხედვით, გარიგების ბათილობას იწვევს, ხოლო ბათილი გარიგების სამართლებრივი შედეგი ბათილი გარიგების საფუძველზე განხორციელებული შესრულე-

---

[17] იქვე, ველი 20.

[18] *Wendtland*, Beck'scher Online-Kommentar BGB, *Bamberger/Roth*, 39. Edition, Rn 22.

ბის უკუქცევაა, სხვაგვარად თუ ვიტყვით, **გარიგების ბათილობა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას იწვევს, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სამართლებრივი საფუძველი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლია.** როგორც ზემოთ აღინიშნა, ფორმის ნაკლის გამო გარიგების ბათილობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების წინაპირობები იშვიათ შემთხვევაშია სახეზე, რადგან გარიგების ფორმის ნაკლთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებთან მიმართებით ორივე მხარეა პასუხისმგებელი. თუმცა, შესრულების კონდიქციის დროს გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით შეიძინა (სსკ 979.1). ამასთან, კონდიქციის დროს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ყოველთვის ის უპირობო შედეგი არ არის, რასაც მხარეები ყველა შემთხვევაში მიიღებენ, რადგან თუ მიმღებმა დაადასტურა, რომ იგი შესრულებით არ გამდიდრებულა, კერძოდ, მან გადაცემული ქონება (სიკეთე) მოიხმარა, სხვას უსასყიდლოდ გადასცა, გადაცემული ნივთი განადგურდა, გაუარესდა ან სხვა საფუძვლების გამო იგი არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა, ასეთ დროს გადაცემული ქონება (სიკეთე) უკან დაბრუნებას არ ექვედებარება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ **ფორმის ნაკლით განპირობებული გარიგების ბათილობისას, მხარემ უნდა იცოდეს** გარიგების ბათილობის თაობაზე და, თუ მან არ იცის ამის შესახებ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, აღნიშნული უცოდინარობა **უხეშ გაუფრთხილებლობად კვალიფიცირდება და მიმღებს, გადაცემული საგნის დაღუპვის ან გაფუჭების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურება მაინც ეკისრება.** თუმცა, საგულისხმოა, რომ გადაცემული საგნის გაფუჭება ან განადგურება მისი (მიმღების) ბრალით უნდა იყოს გამოწვეული (სსკ 981.3). სასამართლო პრაქტიკაც ამგვარად ვითარდება, კერძოდ, საკასაციო პალატამ არაერთგზის განმარტა, რომ მხარეთა ზეპირი ნება უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე წარმოადგენდა ბათილს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოშობილა და სახეზეა შესრულების კონდიქციის შემადგენლობა (976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). საკასაციო პალატის განმარტებით, შესრულების კონდიქცია გულისხმობს ვითომ **კრედიტორის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას**, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძველი, ან ამგვარი საფუძველი ნორმაში მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობის გამო, არ წარმოშობილა, ან შეწყდა. შესრულების კონდიქციისას, ისევე, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის მახასიათებელი მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნებაა, ამ კანონისმიერი ვალდებულების მთავარი მიზანი იმ ქონებრივი ბალანსის აღდგენაა, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვითომ კრედიტორის გამდიდრება. კონდიქციური ვალდებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: მოპასუხის გამდიდრება; ამის შესაბამისად, მო-

სარჩელის ქონებრივი დანაკლისი; მატერიალურ/არამატერიალურ სიკეთეთა ამ გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა [19] [20].

ფორმის ნაკლის მხედველობაში მიუღებლობა, გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც გარიგების ბათილობით **გამოუსწორებელი შედეგები დგება. გამოუსწორებელ შედეგად არ მიიჩნევა მხოლოდ ფაქტი მასზედ, რომ გარიგება შესრულებულია ან ბათილი გარიგებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნა დაუშვებელია**[21]**.** იმისათვის, რომ ამგვარი გამონაკლისი იქნას დაშვებული, აუცილებელია, რომ გარიგების შინაარსი ერთმნიშვნელოვნად და არაორაზროვნად ირკვეოდეს. ამასთან, მხარე, რომელიც გარიგების ნამდვილად მიჩნევას ითხოვს, თავად უნდა სჯეროდეს აღნიშნული გარიგების ნამდვილობა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მეორე მხარემ იგი თავისი გამოცდილებითა და უპირატესობით განზრახ შეცდომაში შეიყვანა[22]. ფორმის ნაკლის მხედველობაში მიუღებლობა დასაშვებია მაშინ, როდესაც სახეზეა გარიგების ერთ-ერთი მხარის მიერ კეთილსინდისიერების სტანდარტის უხეში ხელყოფა და გარიგების ბათილობა გარიგების ერთ-ერთ მხარეს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აგდებს. ამასთან, **ფორმის ნაკლის მხედველობაში მიუღებლობა და გარიგების ნამდვილად მიჩნევა დაუშვებელია მაშინ,** როდესაც მხარეს გარიგების ბათილობის შედეგად შეუძლია უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე თავისი უფლებების აღდგენა ანდა ზიანის ანაზღაურება. **ფორმის ნაკლის მხედველობაში მიუღებლობა და გარიგების ნამდვილად მიჩნევა დასაშვებია მხოლოდ მაშინ,** როდესაც გარიგების ერთი მხარე არაკეთილსინდისიერად იღებდა სარგებელს გარიგებიდან, ხოლო გარიგების ფორმის ნაკლზე მხოლოდ მაშინ მოახდინა აპელირება როდესაც მხარე უსაფუძვლო გამდიდრებითაც ვეღარ აღიდგენს თავს უფლებებში[23]. ფორმის ნაკლის საფუძვლით გარიგების ბათილობის მოთხოვნის შემთხვევაში, სასამართლო საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, **თავისი ინიციატივით,** ამოწმებს ხომ არ არსებობს გარიგების გაბათილებაზე უარის თქმის საფუძვლები, ვინაიდან გარიგების ბათილობა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტს და დაუშვებლად ხელყოფს მეორე მხარის უფლებებს[24]. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ არც ქართული დოქტრინა და არც სასამართლო პრაქტიკა კანონით გათვალისწინებული ფორმის ნაკლის შესრულებით გასწორების შესაძლებლობას არ უშვებს, რადგან მიიჩნევა, რომ აღნიშნული დაშვება Contra Legem ნორმის განმარტებად განიხილება. თუმცა, საგულისხმოა, რომ მართლწესრიგი უნდა იყოს სამართლი-

[19] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.04.2016 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-344-329-2016.

[20] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.06.2016 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-243-231-2016.

[21] *Wendtland*, Beck'scher Online-Kommentar BGB, *Bamberger/Roth*, 39. Edition, Rn 26.

[22] იქვე, ველი 25.

[23] იქვე, ველი 25.

[24] იქვე, ველი 26.

ანი. როდესაც კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტება იძლევა უსამართლო შედეგს, მაშინ ნორმა უნდა განვმარტოთ contra legem, ანუ ტექსტის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ[25]. თუმცა, აღნიშნული შესაძლებლობა გამოყენებულ უნდა იქნეს უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, კერძოდ, მარტოოდენ მაშინ, როდესაც მართლწესრიგმა მხარის მხრიდან უფლების ბოროტად სარგებლობის სამართლებრივი შედეგების სიმძიმე ვერ გაითვალისწინა და, თუ არა ნორმის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგო განმარტება, კეთილსინდისიერი მხარისათვის უკიდურესად უკანონო შედეგი დგება.

5. საჯარო რეესტრის რეგისტრაციისა და გარიგების ფორმის ფუნქცია

გავრცელებული მცდარი შეხედულების მიხედვით, საჯარო რეესტრის ჩანაწერი გარიგების ფორმად მიიჩნეოდა. აღნიშნული შეხედულების საფუძვლად ხშირად სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი სახელდებოდა, რომლის მიხედვითაც, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მოცემულ შემთხვევაში, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს გარიგების დადება და გარიგებით გათვალისწინებული საკუთრების უფლების გადასვლა შემძენზე. ამ მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამართალი თვისობრივად „ერთიანობის პრინციპის“ გზას დაადგა[26], რომლის მიხედვითაც, ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულებების დაყოფა არ ხდება და ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება ერთიან აქტად განიხილება[27]. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, საქართველოში სხვა არაერთი კონტინენტური ევროპის სამართლებრივი წესრიგის (ავსტრია, ნიდერლანდები) მსგავსად, კაუზალური სისტემა მოქმედებს. შესაბამისად, იმიჯნება უფლების გადაცემის საფუძველი („კაუზა“) და ნივთის გადაცემა. კაუზალური სისტემის პირობებში სანივთო გარიგების ნამდვილობა უშუალოდ არის დამოკიდებული მისი საფუძვლის ნამდვილობაზე[28].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქონების (მოძრავი, უძრავი) გადაცემის თაობაზე ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება იდება, მოძრავი ნივთის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ნამდვილად მიჩნევის მიზნებისათვის ხელშეკრულების ფორმის ვალდებულება არ არსებობს, ხოლო უძრავი ქონების შემთხვევაში, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას (სსკ 323). ამდენად, ფორმადაცული ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება მხარეს წარმოუშობს საკუთრების გადაცემის მოთ-

---

25 *ხუბუა*, Contra Legem საქართველოს სახელით?, მიუნხენი, 2015.
26 *ზოიძე*, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 41.
27 *ჭანტურია*, უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 2001, გვ. 86.
28 *კერესელიძე*, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, 2009, გვ. 2018.

ხოვნის უფლებას. შესაბამისად, საკუთრების გადაცემა არა ახალი გარიგება, ე.წ. „სანივთო გარიგება“, არამედ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების შესრულება, ანუ ე.წ. „რეალაქტია“. მაგალითისათვის, თუ ნივთის (მოძრავი, უძრავი) თაობაზე ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო, აღნიშნული ხელშეკრულება მყიდველს თანხის გადახდის, ხოლო გამყიდველს ნივთის გადაცემის ვალდებულებას წარმოუშობს (სსკ 477). მოძრავ ნითზე საკუთრების უფლების გადაცემა **თავად ნივთის გადაცემით ხორციელდება** (სსკ 186), ხოლო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა **შემძენზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით ხდება** (სსკ 183). ამდენად, **საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია არა გარიგების ფორმა, არამედ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაა.** თუ ფორმადაცული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას არ ასრულებს, კერძოდ, მოძრავ ნივთს არ გადასცემს, ხოლო უძრავი ქონების შემთხვევაში, საჯარო რეესტრში არ მიდის და ქონების გადაცემის თაობაზე უფლებამოსილი პირის წინაშე ნებას არ აფიქსირებს, ასეთ შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოვალეობას გამყიდველს სასამართლო აკისრებს, თუმცა, სასარჩელო მოთხოვნის აღსრულებადობის თვალსაზრისით, სასამართლო გამყიდველს მოძრავი ნივთის გადაცემის ვალდებულებას უწესებს, ხოლო უძრავი ქონების შემთხვევაში – მყიდველს ნაყიდი ქონების მესაკუთრედ ცნობს, რაც საჯარო რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის განხორციელების წინაპირობაა. ამდენად, მოძრავი ნივთის შემთხვევაში, ნივთის გადაცემა, ხოლო უძრავი ქონების შემთხვევაში, მესაკუთრის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია **ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების შესრულება, ანუ რეალაქტია და არა სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება.** გამიჯვნის პრინციპის მომხრეთა მოსაზრების მიხედვით, ე.წ. „სანივთო გარიგების“ უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მას განსაზღვრულობა ახასიათებს, კერძოდ, სანივთო გარიგებით ცალსახაა, თუ რომელ ნივთზე, რა მახასიათებლებით იდება გარიგება (Bestimmtheitsgrundsatz)[29]. თუმცა, განსაზღვრულობის პრინციპი იმთავითვე ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების არსებითი პირობაა, კერძოდ, ხელშეკრულება დადებულად მხოლოდ მაშინ ითვლება, თუ მხარეები **მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ** საამისოდ გათვალისწინებული ფორმით (სსკ 327), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული არ არის (გვაროვნული ნივთი) და არც შესრულების ხარისხია შეთანხმებული, ასეთ ვითარებაში, ნებისმიერი გვაროვნული ნივთით განხორციელებული საშუალო ხარისხის შესრულება ჯეროვან შესრულებად ითვლება (სსკ 380, 382).

[29] *ჭეჭელაშვილი*, „საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე“, ქართული კერძო სამართლის კრებული, თბილისი, გვ. 192.

6. საჯარო რეესტრის რეგისტრაციისა და ხელმოწერის სანოტარო წესით დადასტურების მნიშვნელობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში კერძო სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, ე.წ. „ერთიანობის პრინციპი“ მოქმედებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების ნამდვილობის პირობებში ხელშეკრულებიდან გამომდინარე ქმედებათა განხორციელება ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების შესრულებაა და არა სანივთო ხელშეკრულების დადება. ხელშეკრულება კი ნამდვილად იმ შემთხვევაში ითვლება, თუ მასში არსებითი პირობებია შეთანხმებული და კანონით (ან ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ფორმით არის დადებული. ზოგადი წესის მიხედვით, მოძრავი ქონების თაობაზე ხელშეკრულება ფორმასავალდებულო არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ზეპირადაც შეიძლება დაიდოს, ხოლო რაც შეეხება უძრავ ქონებას, უძრავი ქონების თაობაზე ხელშეკრულება მარტივი წერილობითი ფორმით იდება (სსკ 323). ხელმოწერების დადასტურების ვალდებულება (სსკ 311^1.1), უძრავი ქონების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ფორმას არ წარმოადგენს, რადგან მისი ფუნქცია, მხოლოდ ის არის, რომ თუ უძრავი ქონების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებას საჯარო რეესტრში ერთი მხარე მიიტანს, მარეგისტრირებელი ორგანო მეორე (გამოუცხადებელი) მხარის ხელმოწერის ნამდვილობაში დარწმუნდეს, ხოლო იმ შემთხევევაში, თუ მარეგისტრირებელ ორგანოში ქონების მყიდველიც გამოცხადდება და გამყიდველიც. ისინი ხელშეკრულებას იქვე დადებენ, რაც ხელმოწერების სანოტარო წესით დადასტურების გარეშე რეგისტრაციის საფუძველი გახდება (სსკ 311^1,1). აღნიშნულ თეორიულ მსჯელობას იზიარებს სასამართლო პრაქტიკაც, კერძოდ, სასამართლო პრაქტიკით, უძრავი ნივთის ნასყიდობაზე შეთანხმების **ნამდვილობისთვის კანონმა იმპერატიულად დაადგინა კონკრეტული ფორმა,** კერძოდ, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელია **წერილობითი ფორმა (სსკ 323).** როგორც ყველა გარიგებისთვის, უძრავი ნივთის ნასყიდობისთვისაც გადამწყვეტია ნების გამოვლენის სამართლებრივი ვარგისიანობა. კანონით დადგენილი წესის თანახმად, **თუ ნება გამოვლენილია სამართლებრივი ფორმის დაუცველად, სამართლებრივი შედეგი არ მიიღწევა (სსკ 59).** ნასყიდობის ხელშეკრულება კონსესუალურია და იგი დადებულად ითვლება მის ყველა არსებით პირობაზე საამისოდ **დადგენილი ფორმით მხარეთა შეთანხმების მომენტიდან.** შესაბამისად, **ხელშეკრულების ძალაში შესვლა ნივთის გადაცემაზე დამოკიდებული არ არის.** ამასთან, ხელშეკრულების მიზანი და ინტერესი, რასაკვირველია, საკუთრების უფლების გადაცემაშია და იგი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ უფლების გადაცემას ემსახურება (სსკ 477). **ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც ერთიანი ხელშეკრულება, ერთობლივად უნდა იქნეს განხილული და იგი მისი შესრულების, კერძოდ, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით საკუთრების უფ-**

ლების გადაცემის ვალდებულებას წარმოშობს[30]**. რაც შეეხება საჯარო რეესტრის რეგისტრაციის დანიშნულებას,** სამოქალაქო კოდექსის არცერთი ნორმა არ განიხილავს უძრავი ნივთის **საჯარო რეესტრში** რეგისტრაციას **გარიგების ფორმად** [31]. 183-ე მუხლის შესაბამისად, საჯაო რეესტრში რეგისტრაცია არ წარმოადგენს ფორმას, არამედ მხოლოდ იმას განსაზღვრავს, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების კანონით დადგენილი წესით წერილობით **გაფორმების** შემდეგ, მოპოვებული საკუთრების უფლების აღრიცხვა პუბლიცირებულ უფლებათა ანუ **საჯარო რეესტრში** უნდა მოხდეს[32]. საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია გარიგების ფორმად არ ითვლება, ვინაიდან გარიგების ფორმა შეიძლება იყოს მხოლოდ ზეპირი ან წერილობითი, ხოლო თავის მხრივ, წერილობითი ფორმა, შეიძლება მარტივ და რთულ წერილობით ფორმად დავაკვალიფიციროთ იმისდამიხედვით, ხელშეკრულბის ნამდვილობისათვის მხოლოდ ხელმოწერებია საკმარისი, თუ გარიგების შინაარსი სანოტარო წესით უნდა იქნეს დადასტურებული. სამოქალაქო კოდექსი უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების ნამდვილობისათვის მარტოოდენ მარტივი წერილობითი ფორმის ვალდებულებას ადგენს (სსკ 323)[33]. იგივე წესი გაავრცელა სასამართლომ სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის წესით უძრავი ქონების შეძენის მიმართ, კერძოდ განმარტა, რომ სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო საშუალებას აძლევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ელექტრონული აუქციონის ვებგვერდზე სარეალიზაციოდ განათავსოს თავისი ქონება. ეს ხდება მომხმარებლის ხელშეწყობისთვის, გამოავლინოს პოტენციური მყიდველი, რომელიც ყველაზე მაღალ ფასად შეიძენს სარეალიზაციოდ გამოტანილ ქონებას, **ხოლო ქონების ნასყიდობის შესახებ შეთანხმება უნდა განხორციელდეს აუქციონში გამარჯვებულ პირსა და უძრავი/მოძრავი ქონების ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შორის ხელშეკრულების გაფორმებით.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლის სუბიექტის მიერ ნებაყოფლობით აუქციონზე განკარგულ უძრავ ქონებაზე ნასყიდობის **გაფორმებისა** და საკუთრების წარმოშობის რაიმე განსხვავებულ წესს არ ადგენს. შესაბამისად, **გარიგების ფორმისადმი** შესაბამისობის საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით უძრავი ქონების გასხვისებისთვის დადგენილი ზოგადი წესების შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ გაიმარჯვა აუქციონში, არ წარმოადგენს საკუთრების უფლების გადაცემის საფუძველს, ამის შემდეგ საჭიროა აუქციონში გამარჯვებულსა და ოფერენტს (ქონების გამყიდველს) შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. აუქ-

[30] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.01.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1242-2018.
[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.12.2013 განჩინება, საქმეზე №ას-1529-1443-2012.
[32] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.09.2017 განჩინება, საქმეზე №ას-202-191-2017.
[33] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.055.2018 განჩინება, საქმეზე №ას-1216-1136-2017.

ციონში მონაწილეობა და გამარჯვება არც წინარე ხელშეკრულებად განიხილება, რადგან წინარე ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ძირითადი ხელშეკრულების ნამდვილობის წესები გამოიყენება (სსკ 327.3), შესაბამისად, აღნიშნული სამართალურთიერთობის მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ უფლება-მოვალეობები მარტოოდენ ხელშეკრულების მომზადებიდან წარმოეშობათ, რაც ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს და არა ძირითადი ხელშეკრულების დადების მავალდებულებელ გარემოებას (სსკ 317.3)[34].

[34] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.03.2016 განჩინება, საქმეზე №ას-898-848-2015.

პირგასამტეხლო

1. პირგასამტეხლოს კანონისმიერი დეფინიცია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

2. პირგასამტეხლოს არსი, ფუნქცია და თავისებურებები

პირგასამტეხლო წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის მიხედვითაც, მოვალე ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის ან ვალდებულების სხვა სახის დარღვევისათვის იხდის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფულად თანხას. ამდენად, პირგასამტეხლოს გამოყენებისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პირგასამტეხლო შეიძლება არსებობდეს მხოლოდ **ფულადი თანხის სახით.** ამასთან, იდენტიფიცირებადი უნდა იყოს ფულადი თანხის **ოდენობა.** პირგასამტეხლოს სახით გარკვეული ოდენობის ფულად თანხაზე უნდა არსებობდეს **მხარეთა შეთანხმება.** შეთანხმება მოითხოვს **წერილობით ფორმას.** პირგასამტეხლოს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების, გამოყენების წინაპირობაა **ვალდებულების შეუსრულებლობა ან ვალდებულების დარღვევა.** პირგასამტეხლოს მიზანია **ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილება,** ხოლო ვალდებულების დარღვევის პირობებში **ე.წ „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფა,** რაც, რაღა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ფაქტობრივი ზიანის ეკვივალენტ ფულად თანხას და არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ემსახურება. შესაბამისად, **პირგასამტეხლოს მოთხოვნის პარალელურად ვალდებულების შესრულების მოთხოვნა დაუშვებელია,** თუ, რა თქმა უნდა, დარღვევა ვადაგადაცილებაში არ მდგომარეობს, ხოლო პირგასამტეხლოსთან ერთად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სავსებით შესაძლებელია.

პირგასამტეხლოს ფუნქცია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა. იგი კრედიტორის მხრიდან ვალდებულების შესრულების მიზნით მოვალეზე „ზეწოლის“ განხორციელების ერთგვარი ბერკეტია, ამასთან, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს მიღების მიზნით, კრედიტორი ზიანის მტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლებულია [1].

[1] BGH MDR 2000, 827; OLG Celle BauR 2001, 1108; OLG Rostock NZM 2004, 460, 461 nach *Janoschek*, Beck’scher Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Edition 31, §339, Rn.1.

ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია აქვს: **ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს** ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. **მეორე მხრივ კი, პირგასამტეხლო განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებას ემსახურება,** იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად.[2] [3] **აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივ წინაპირობას ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს. გარდა ვალდებულების შეუსრულებლობისა, პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი ასევე, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება შეიძლება გახდეს. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება კი, თავის მხრივ, შეიძლება საბანკო გარანტიით იყოს უზრუნველყოფილი. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან საბანკო გარანტია, დამოუკიდებელი, არააქცესორული ბუნებისაა და, როგორც წესი, შესრულებას ანაცვლებს, ხოლო შესრულებისა და პირგასამტეხლოს ერთად მოთხოვნა კი დაუშვებელია, ამიტომ სასამართლო, საბანკო გარანტიის გამოთხოვის პირობებში, პირგასამტეხლოს მოთხოვნას, როგორც წესი, შემდეგი მოტივაციით არ აკმაყოფილებს, კერძოდ,** პირგასამტეხლოს გადახდის მიზანს კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა წარმოადგენს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს ოდენობა ყოველი კონკრეტული ვალდებულების დარღვევის თანაბარზომიერი უნდა იყოს, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი გადახდა ვალდებულების დარღვევით კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის მაკომპენსირებელ ფუნქციას უნდა ასრულებდეს და, ამავდროულად, მხარეებს გარიგებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვან და დროულ შესრულებას აიძულებდეს, შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც შესრულების მიღება დასტურდება, შესრულების არაჯეროვანების (ვადაგადაცილების) საფუძვლით კი საბანკო გარანტიის გამოთხოვა მოხდა, ამიტომ **იმავე დარღვევისთვის დამატებით პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის მე-8 და 115-ე მუხლებით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპს ეწინააღმდეგება.**[4]

პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის აქვს, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია, ვალდებულების დარღვე-

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.05.2015 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1158-1104-2014.

[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.02.2016 განჩინება, საქმეზე №ას-1265-1187-2015.

[4] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.01.2019 განჩინება, საქმეზე №2ბ/7291-18.

ვის ფაქტი...“, „პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა“.[5]

პირგასამტეხლოს დარიცხვის პერიოდი ვალდებულების დარღვევის მომენტიდან იწყება და ვალდებულების სრულად (ჯეროვნად) შესრულების მომენტით წყდება. იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულება იძულებითი აღსრულების გზებით ხდება, ასეთ ვითარებაში მზარდი მოთხოვნის დარიცხვის შეწყვეტის მომენტი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, კერძოდ, საგულისხმოა, რომ სადავო საკითხის საკანონმდებლო რეგულაცია მოცემულია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონში. დასახელებული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესით იმ გადაწყვეტილებათა აღსრულებისას, რომლებითაც გათვალისწინებულია კრედიტორის მოთხოვნის ზრდა ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვის შედეგად, სააღსრულებო წარმოების დაწყების დღიდან შეწყდება კრედიტორის მოთხოვნის ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვა, გარდა საგადასახადო მოთხოვნის შემთხვევებისა. კრედიტორის მოთხოვნის ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვა გაგრძელდება იმ დღიდან, როდესაც აღსრულების ეროვნული ბიურო ამ კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად დაუბრუნებს კრედიტორს სააღსრულებო ფურცელს. აღნიშნულთან მიმართებით, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ **პირგასამტეხლოს დარიცხვის დასრულების მომენტის განსაზღვრა (გადაწყვეტილების) აღსრულებამდე პერიოდზე მითითებით არ გულისხმობს სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანის თაობაზე დაწყებული სამართალწარმოებისას უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში აღსრულების შეჩერებულ პერიოდს. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი ადგენს, რომ განგრძობითი პირგასამტეხლოს დარიცხვის პერიოდში არ მოიაზრება გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების პერიოდი – ანუ, ის დროის მონაკვეთი, როდესაც სააღსრულებო წარმოების განხორციელება შეჩერებული იქნა სწორედ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით.** ამავე საკითხზე

[5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.01.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1373-2018, ამავე სასამართლოს 28.12.2016 განჩინება, საქმეზე № ას 848-814-2016, ამავე სასამართლოს 19.11.2015 განჩინება, საქმეზე №ას-816-767-2015, ამავე სასამართლოს 22.11.2016 განჩინება, საქმეზე №ას-953-918-2016.

ნამსჯელი აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას კერძო საჩივრის განხილვის ფარგლებში.[6]

3. პირგასამტეხლოს აქცესორული ბუნება

პირგასამტეხლო აქცესორული ბუნებისაა. მისი ნამდვილობა დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების ნამდვილობაზე. არანამდვილი (ბათილი) ძირითადი ვალდებულების შემთხვევაში არ არსებობს ის ვალდებულება, რომლის უზრუნველყოფასაც პირგასამტეხლო ემსახურება, შესაბამისად, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაც არ წარმოიშობა. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება არსებობს იქამდე, სანამ არსებობს ძირითადი ვალდებულების შესრულების მოვალეობა. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაც აღარ არსებობს[7], თუ, რა თქმა უნდა, მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (იხ. ხელშეკრულების გასვლისათვის დაწესებული **საჯარიმო თანხის (Reugeld) სამართლებრივი ანალიზი**).

პირგასამტეხლოს აქცესორული ბუნება განაპირობებს იმ ფაქტსაც, რომ პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობას წარმოადგენს არამხოლოდ ვალდებულების დარღვევა, არამედ **ვალდებულების ბრალეული დარღვევა.** ამდენად, პირგასამტეხლო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის ზიანის მიყენების მიუხედავად, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მისმა ბრალეულმა ქმედებამ გამოიწვია. **უფრო მეტიც, ვადაგადაცილებისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლოს პირობებში,** ვალდებულების დათქმულ ვადაში შესრულების შეუძლებლობა, რაც მოვალის ბრალეული ქმედებით არ არის განპირობებული, ვადაგადაცილებად და, შესაბამისად, ვალდებულების დარღვევად საერთოდ არ მიიჩნევა. ამგვარ რეგულირებას შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

პირგასამტეხლოს აქცესორული ბუნებით არის გამოწვეული ასევე ძირითადი ვალდებულების ხანდაზმულად მიჩნევის პირობებში პირგასამტეხლოს ხანდაზმულობაც[8]. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლის მიხედვით, მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა. საქართველოს სამოქალაქო

---

[6] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.02.2018 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1488-1408-2017.

[7] BGHZ 109, 230, 232 = NJW 1990, 832; BAG NJW 1992, 1646; OLG Naumburg VIZ 2004, 246, 248, nach *Janoschek*, Beck'scher Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Edition 31, §339, Rn.2.

[8] *Erman/Westermann* Rn 4; *Soergel/Lindacher* Rn 29 nach *Janoschek*, Beck'scher Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Edition 31, §339, Rn.2.

კოდექსის 145-ე მუხლის კონტექსტში, დამატებით მოთხოვნებში სწორედაც, რომ ისეთი უფლებები იგულისხმება, რომლებიც კანონის ან შეთანხმების ძალით უზრუნველყოფენ მოთხოვნის შესრულებას და არ არსებობენ ძირითადი მოთხოვნის გარეშე დამოუკიდებლად, ესენია გირაო, თავდებობა, პირგასამტეხლო და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებები. გარდა ამისა, დამატებითი შეიძლება იყოს სხვა მოთხოვნებიც, მაგალითად, პროცენტის მოთხოვნის უფლება.[9]

პირგასამტეხლოს აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს შესრულების ადგილის მიმართ ძირითადი ვალდებულების შესრულების ადგილის მიმართ არსებული წესები მოქმედებს. იგივე წესი ვრცელდება პირგასამტეხლოდან გამომდინარე დავის სასამართლო წესით განსჯადობის მიმართაც[10].

პირგასამტეხლოს მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტია ის, ვისაც ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს მიღებაზე უფლებამოსილი სუბიექტი შეიძლება იყოს მესამე პირიც, რომელსაც შესრულების მიღების უფლება აქვს მინიჭებული[11].

4. პირგასამტეხლოსა და მოვალის გარანტიის ურთიერთგამიჯვნა

პირგასამტეხლოს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების მხოლოდ ფულადი სახით არსებობა, საკანონმდებლო პირობაა. პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის (სსკ[12] 417 I). მნიშვნელოვანია იმ საკითხზე ყურადღების გამახვილება, თუ რამდენად შეიძლება შეასრულოს **„სხვა სახის შესრულებამ“** პირგასამტეხლოს ფუნქცია. მაგალითისათვის, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ამგვარ შესაძლებლობას უშვებს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის მიხედვით, თუ პირგასამტეხლოს სახით ადგილი აქვს ფულადი თანხის გადახდის ნაცვლად სხვა ვალდებულების შესრულების შეპირებას, მაშინ გამოიყენება 339-341-ე მუხლები[13], ანუ პირგასამტეხლოს მომწესრიგებელი ნორმები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პირგასამტეხლოს, როგორც მხარეთა შორის განსაზღვრული ფულადი თანხის ჩანაცვლება „სხვა სახის შესრულებით“ და მასზე პირგასამტეხლოს მომწესრიგებელი ნორმების გავრცელება დაუშვებელია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს მოთხოვნის უზრუნველყოფის სახით მოვალის გარანტიის ცნებას, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნისაგან განსხვავებული შესრულება, რომელსაც მოვალე უპირობოდ კისრულობს

---

[9] *ახვლედიანი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გვ. 338-339, თბილისი, 1999 წ..

[10] *Janoschek*, Beck’scher Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Edition 31, §339, Rn.1.

[11] *Janoschek*, Beck’scher Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Edition 31, §339, Rn.1.

[12] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. შემდგომში: სსკ.

[13] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მთარგმნელი – *ქეჭელაშვილი*, 2010 წლის პირველი მარტის მდგომარეობით, სიესტა, თბილისი, 2010.

ვალდებულების დარღვევის ან ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. მოვალის გარანტიამ შეიძლება ჩაანაცვლოს ან არ ჩაანაცვლოს შესრულება[14]. ამდენად, მართალია, ქართული კანონმდებლობა პირგასამტეხლოს სახით, ფულადი თანხის ალტერნატივად „სხვა სახის შესრულებას“ არ იცნობს, თუმცა, ძირითადი ვალდებულებისაგან განსხვავებულ შესრულებას, მოვალის გარანტიის სახით, ითვალისწინებს, მაგრამ მას, განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან, პირგასამტეხლოს მომწესრიგებელი ნორმები არ არეგულირებს.

5. პირგასამტეხლოს ფორმა

პირგასამტეხლოს თაობაზე შეთანხმება საჭიროებს ორმხრივი ნების გამოვლენას. ცალმხრივი აღიარება პირგასამტეხლოს თაობაზე გამოვლენილ ნებას ნამდვილად არ აქცევს და, შესაბამისად, არც მისი მოთხოვნის უფლებას წარმოშობს[15]. პირგასამტეხლოს თაობაზე შეთანხმებიდან მკაფიოდ უნდა ირკვეოდეს პირგასამტეხლოს არსებითი პირობები, კერძოდ, ძირითადი ვალდებულება და მისი დარღვევისათვის დაწესებული ფულადი თანხის ოდენობა[16].

ხელშეკრულებაში პირგასამტეხლო ყოველთვის „პირგასამტეხლოდ“ არ არის სახელდებული. ხშირად ხელშეკრულებაში ვალდებულების უზრუნველყოფის სახით მითითებული თანხა ჯარიმად, საურავად, გადასახდელად და ა. შ. იწოდება, რაც, როგორც წესი, პირგასამტეხლოს სინონიმებია. თუმცა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, თითოეული მათგანის არსის, ფუნქციისა და დანიშნულების გარკვევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მათ მიმართ პირგასამტეხლოს მარეგულირებელი ნორმების გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, რაც დადგინდება გამოყენებული ტერმინების არსობრივი იდენტურობა პირგასამტეხლოსთან.

შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას (სსკ 418 II). წერილობითი ფორმით პირგასამტეხლოს თაობაზე შეთანხმების არარსებობის პირობებში, შეთანხმება ბათილად მიიჩნევა, ფორმის დაუცველობის საფუძვლით. სასამართლო პრაქტიკაში ხშირად დგას აღიარებული პირგასამტეხლოს პრობლემა, შესაბამისი წერილობითი შეთანხმების არარსებობის მიუხედავად. მაგალითად, სასარჩელო მოთხოვნა პირგასამტეხლოს თაობაზე, რომლის საფუძველი შესაგებლით შეცილებული არ არის ან უფრო მეტიც, დადასტურებულია, არ წარმოადგენს პირგასამტეხლოს დაკისრების ფაქტობრივ წინაპირობას, რადგან არ არსებობს მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოების, პირგასამ-

---

[14] *დარჯანია,* „უზრუნველყოფილი ცესია და მოვალის გარანტია“, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2012, გვ.76-77.

[15] *BGHZ 21, 370, 372 = NJW 1956, 1793; OLG Brandenburg NJW-RR 2012, 982; KG WRP 1986, 680, nach Janoschek*, Beck’scher Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Edition 31, §339, Rn.2.

[16] *Palandt/Grüneberg* Vor § 339 Rn 3, nach *Janoschek*, Beck’scher Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Edition 31, §339, Rn.2.

ტეხლოს თაობაზე წერილობითი შეთანხმების დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, არ არსებობს პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. ასეთ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს არსებობის თაობაზე არც სარჩელში მითითებული გარემობა ითვლება დამტკიცებულად, შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, არც დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღება. [17]

პირგასამტეხლოს გადახდის პირობები, როგორც წესი, მითითებულია ძირითად ხელშეკრულებაში. თუმცა, შესაძლებელია, რომ მხარეებმა ხელშეკრულება პირგასამტეხლოს შესახებ ცალკე შეადგინონ. ასეთი შეთანხმების არსებით პირობებს წარმოადგენს პირგასამტეხლოს ოდენობაზე და იმ ვალდებულებაზე მითითება, რომელსაც პირგასამტეხლო უზრუნველყოფს[18]. პირგასამტეხლოს თაობაზე შეთანხმების ცალკე ხელშეკრულებაში ასახვა არ იწვევს მის ნამდვილობას, თუ ძირითადი ვალდებულების შემცველი ხელშეკრულება ბათილია, ვინაიდან პირგასამტეხლოს ნამდვილობა დამოკიდებულია არა იმ ხელშეკრულების ნამდვილობაზე, რომელიც პირგასამტეხლოს თაობაზე შეთანხმებას შეიცავს, არამედ იმ ძირითადი ვალდებულების ნამდვილობაზე, რომლის უზრუნველყოფასაც პირგასამტეხლო ემსახურება.

6. ვალდებულების დარღვევა, როგორც პირგასამტეხლოს გამოყენების აუცილებელი წინაპირობა

პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების წარმოშობის წინაპირობაა ვალდებულების დარღვევა. ვალდებულების დარღვევის შედეგად ზიანის დადგომა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლების წარმოშობაზე ზეგავლენას არ ახდენს. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინაც, როდესაც ხელშეკრულების დარღვევამ ზიანის დადგომა არ გამოიწვია. ამდენად, პირგასამტეხლოს მოთხოვნის აუცილებელი წინაპირობაა მხოლოდ ვალდებულების დარღვევა. ვალდებულება შეიძლება მდგომარეობდეს აქტიურ მოქმედებასა ან უმოქმედობაში. ვალდებულების დარღვევა კი შეიძლება გამოიხატოს ვალდებულების შეუსრულებლობასა ან არაჯეროვან შესრულებაში. ამასთან, უმნიშვნელო დარღვევა სამოქალაქო ბრუნვაში მოქმედი კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული[19]. აღნიშნული წესი არ ვრცელდება ვადაგადაცილებისათვის დაწესებული პირგასამტეხლოს მიმართ, რა დროსაც ვადაგადაცილების ხანგრძლივობა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებაზე ზეგავლენას არ ახდენს. ვალდებულების „მნიშვნელოვანი“, თუ „უმნიშვნელო“ დარღვევა შეფასებითი კატეგორიებია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი შეფასება სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული. ერთი მხრივ, ვალდებულების ე.წ. „უმნიშვნელო“

---

[17] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.05.2018 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1468-1388-2017.

[18] *Валявина, Губаева и дрг*. 2005. Коментарий к Гражданскому Кодексу Российской Федерации. Часть II. Издательство Проспект. Москва, С:659.

[19] *Janoschek*, Beck’scher Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Edition 31, §339, Rn.6.

დარღვევა შეიძლება არ გახდეს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი, თუმცა, საკმაოდ „მნიშვნელოვან“ დარღვევას წარმოადგენდეს პირგასამტეხლოს დაკისრების მიზნებისათვის. მითითებული საკითხი სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა, კერძოდ, ვალდებულების დარღვევა (ვადაგადაცილება), რომელიც სასამართლომ უმნიშვნელოდ მიიჩნია და მხარეს არ მისცა აღნიშნული საფუძვლით ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ჩათვალა, რომ წარმოადგენდა პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველს. ცალსახაა, რომ ვადაგადაცილების პირობებში პირგასამტეხლოს გამოყენების წინაპირობა – ვალდებულების დარღვევა, ვადაგადაცილებაში მდგომარეობს, შესაბამისად, აღნიშნული დარღვევა (ვადაგადაცილება) შესაბამისი სახელშეკრულებო დათქმის არსებობისას (პირგასამტეხლოზე წერილობითი ფორმით შეთანხმების არსებობის პირობებში) პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია. ასეთ ვითარებაში ვადაგადაცილების ხანგრძლივობას მნიშვნელობა არ აქვს. ვადაგადაცილების ხანგრძლივობა შეიძლება შეფასების საგანი გახდეს ამ საფუძვლით ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის მართლზომიერების შემოწმების მიზნით.[20]

პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებას მხოლოდ ვალდებულების ბრალეული დარღვევა არ წარმოშობს[21]. პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მაშინაც, როდესაც მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა განპირობებულია მოვალის კანონიერი წარმომადგენლის ან იმ პირთა მოქმედებით, რომლებიც მან თავის ვალდებულებათა შესასრულებლად გამოიყენა[22] (სსკ 396). იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა მოვალეს შესრულების საგანი სხვა პირისაგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო (სსკ 397). პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება ვალდებულების ორმხრივი დარღვევის დროს ორივე მხარეს აქვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევამ გამოიწვია. ასეთ შემთხვევაში პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება აქვს იმ მხარეს, რომლის ვალდებულების დარღვევაც არა მისი ბრალეული მოქმედების, არამედ მეორე მხარის მხრიდან ვალდებულების დარღვევითაა განპირობებული[23].

მტკიცების ტვირთის განაწილების მხრივ კრედიტორმა უნდა ამტკიცოს ვალდებულების დარღვევა და პირგასამტეხლოს თაობაზე წერილობითი ფორმით შეთანხმების არსებობა, ხოლო მოვალის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ან ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რაც მოვალის ბრალით არ არის განპირობებული. შედარებითსამართლებრივი მიზნებისათვის, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მტკიცების ტვირთის მომწესრიგებელ ცალკე ნორმას შეიცავს, კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის

---

[20] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 17.10.2011 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1326-1346-2011.

[21] *Janoschek*, Beck’scher Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Edition 31, §339, Rn.3.

[22] *Janoschek*, Beck’scher Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Edition 31, §339, Rn.6.

[23] *Janoschek*, Beck’scher Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Edition 31, §339, Rn.6.

345-ე მუხლის შესაბამისად, თუ მოვალე სადაოდ ხდის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას იმის მტკიცებით, რომ მან შეასრულა თავისი ვალდებულება, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს ვალდებულების შესრულება, თუ ნაკისრი შესრულება არ მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში[24].

7. პირგასამტეხლოს გამიჯვნა სხვა მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან

პირგასამტეხლო უნდა გაიმიჯნოს ხელშეკრულების გასვლისათვის დაწესებული **საჯარიმო თანხისაგან (Reugeld).** ხელშეკრულებიდან გასვლისათვის დაწესებული საჯარიმო თანხა არ წარმოადგენს ე.წ. „ჯარიმას“ ვალდებულების დარღვევისათვის, არამედ იგი ხელშეკრულებაში დარჩენის ალტერნატივაა. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ხელშეკრულებიდან გასვლის გამოსყიდვას ემსახურება. აქვე აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების გასვლისათვის ჯარიმას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 353-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზე საჯარიმო თანხის სანაცვლოდ[25]. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების გასვლისათვის საჯარიმო თანხის დაწესების ინსტიტუტს არ იცნობს. იგი ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას მხოლოდ ხელშეკრულების დარღვევის წინაპირობების არსებობისას უშვებს (სსკ 352 I). შესაბამისად, მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული ხელშეკრულების დარღვევის გარეშე ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მხარეთა ურთიერთშეთანხმებული საჯარიმო თანხა პირგასამტეხლოს ფუნქციას შეიძენს, თუ არა. თუ მხარეები გაითვალისწინებენ ხელშეკრულებიდან ვალდებულების დარღვევის გარეშე გასვლის უფლებას, რისთვისაც ე.წ. საჯარიმო თანხაზე შეთანხმდებიან, აღნიშნული თანხა პირგასამტეხლო ვერ იქნება, ვინაიდან მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით დაადგინეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება და მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგები, შესაბამისად, ასეთი შეთანხმების არსებობის პირობებში ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დარღვევად და არც ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგად აღარ მიიჩნევა, რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესებული საჯარიმო თანხა პირგასამტეხლო არ იქნება.

პირგასამტეხლო უნდა გაიმიჯნოს ასევე ბესგან, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს (სსკ 421), თუმცა, ბე პირგასამტეხლოსაგან განსხვავებით, ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში არ გამოიყენება. ბეს გადახდით ხელშეკრულების დადების ფაქტი დასტურდება. შესაბამისად, პირი, რომელიც ბეს სახით თანხას იხდის, ამით ხელშეკრულების დადების ფაქტს ადასტურებს, საწინააღმდეგო მოწინააღმდეგე მხარემ უნდა ამტკიცოს.

---

[24] *კროპჰოლერი*, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოცემა, გამომცემლობა ბექი, 2013 წ. გვ. 240.
[25] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), მთარგმნელი და რედაქტორი *ქეჭელაშვილი*, მუხლის 353.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ასევე პირგასამტეხლოს და **ერთიანი თანხის სახით ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება.** აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლო შეიძლება არსებობდეს არამარტო პერიოდულად გადასახდელი თანხის სახით, არამედ ერთიანი თანხის სახითაც, თუმცა, მნიშვნელოვანია იმის იდენტიფიცირება, თუ რა დანიშნულება აქვს ერთიან თანხას, რომელსაც მხარეები ვალდებულების დარღვევისათვის აწესებენ. თუ ერთიანი შეთანხმებული თანხის სახით მხარეები იმ ზიანის ოდენობის ანაზღაურებას ისახავენ მიზნად, რომელიც ჰიპოთეტურად ხელშეკრულების მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევით შეიძლება მიადგეს, მაშინ ზიანის ანაზღაურების სახით ერთიანად დაწესებული თანხა პირგასამტეხლოდ არ მიიჩნევა. ზიანი კი შეცილებადი კატეგორიაა და ვალდებულების დარღვევის პირობებში მტკიცებას საჭიროებს. შესაბამისად, თუ შეთანხმებული თანხა ზიანის ანაზღაურებას ემსახურება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მქონე პირი ვალდებულია, ამტკიცოს ზიანის მიყენების ფაქტი და ოდენობა[26]. აღნიშნულ განსხვავებას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან თუ ერთიანად დაწესებული თანხა, თავისი არსით, პირგასამტეხლოა, მისი შემცირება დასაშვებია, ხოლო ზიანის მიმართ პირგასამტეხლოს მარეგულირებელი ნორმები არ გამოიყენება. ზიანი მტკიცებას საჭიროებს. ზიანის სახით ერთიანად დაწესებული თანხის შემცირება, მსგავსად პირგასამტეხლოსი, გერმანიის სასამართლო პრაქტიკითაც დაუშვებელია[27].

8. პირგასამტეხლოს ურთიერთმიმართება ვალდებულების შესრულებასა და ზიანის ანაზღაურებასთან

ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს გადახდა. ამასთან, **პირგასამტეხლოსა და ვალდებულების შესრულების ერთდროულად მოთხოვნა დაუშვებელია,** მაშინ როდესაც შესაძლებელია **პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურების ერთდროულად მოთხოვნა** (სსკ 419). შესაბამისად, კრედიტორმა უნდა აარჩიოს, მოითხოვოს შესრულება, თუ პირგასამტეხლო. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ორივე შემთხვევაში დასაშვებია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც. გამონაკლისი, როდესაც კრედიტორი უფლებამოსილია შესრულების პარალელურად პირგასამტეხლოც მოითხოვოს, **ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობაა** (სსკ 419 I). იგივე წესი ვრცელდება შესრულების მიღების ვადის გადაცილების მიმართაც (სსკ 390). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესრულების პარალელურად პირგასამტეხლოს მოთხოვნა გამორიცხული არ არის, როდესაც საქმე **არაჯეროვან შესრულებას ეხება.** ასეთ დროს იგულისხმება, რომ კრედიტორმა არაჯეროვანი შესრულება მიიღო, რაც მარტოოდენ ვადაგადაცილე-

[26] *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, C.H.Beck München, 2010, S:109.

[27] BGH NJW 1970, 29, 32 nach *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, C.H.Beck München, 2010, S:112.

ბას არ გულისხმობს, მაგალითისათვის, პირს მომსახურების ფარგლებში უხარისხო პროდუქტი მიეწოდა. აღნიშნულ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს დარიცხვა არაჯეროვან შესრულებას ემსახურება, თუ მხარეთა შეთანხმებით პირგასამტეხლო ამგვარი არაჯეროვანებისათვის წერილობით გათვალისწინებული იყო. **შესაბამისად, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების პირობებში პირგასამტეხლოს დაკისრება კანონშესაბამისი და მართლზომიერია, ვინაიდან, ვალდებულება არაჯეროვნადაა შესრულებული, რაც პირგასამტეხლოს მოთხოვნის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.**[28]

პირგასამტეხლო, თავისი არსით, ის **ე.წ. „ჰიპოთეტური მინიმალური ზიანის ანაზღაურებაა“**, ამავდროულად, ვალდებულების ჯეროვნად, ვადაში შესრულების მიზნით, **„მოვალეზე ზეწოლის ბერკეტია“,** რასაც მხარეები ურთიერთშეთანხმებით ვალდებულების დარღვევის შემთხვევისათვის აწესებენ. პირგასამტეხლოს ფუნქცია ვალდებულების დარღვევის პრევენციასა და სავარაუდო მინიმალური ზიანის ანაზღაურებაში მდგომარეობს. შესაბამისად, პირგასამტეხლოზე შეთანხმების არსებობის პირობებში, „მინიმალური ზიანი“ მტკიცებას არ საჭიროებს. ხელშეკრულების დარღვევით დამდგარი ზიანი ყოველთვის არ არის პირგასამტეხლოთი უზრუნველყოფილი ე.წ. „მინიმალური ზიანის“ ეკვივალენტი. უფრო მეტიც, ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანი ხშირად აღემატება პირგასამტეხლოთი უზრუნველყოფილ ე.წ. „მინიმალურ ზიანს“ ან შესაძლებელია იყოს მასზე ნაკლები, თუმცა, აღნიშნული ზეგავლენას არ ახდენს პირგასამტეხლოს ოდენობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანი აღემატება პირგასამტეხლოთი უზრუნველყოფილ ე.წ. „მინიმალურ ზიანს“, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. კრედიტორი ვალდებულია ამტკიცოს ზიანის ოდენობა[29].

9. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირგასამტეხლოს დაკისრება ზიანის ანაზღაურებას არ გამორიცხავს, უფრო მეტიც, თუ ფაქტობრივად დამდგარი ზიანი მიყენებულ ზიანს აღემატება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობასაც იძლევა. პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს. თუმცა, ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ **„შეუსაბამოდ მაღალი“** პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კა-

[28] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.02.2015 გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/3112-14.
[29] *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, C.H.Beck München, 2010, S:111.

ტეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ. პირგასამტეხლოს „აშკარა შეუსაბამობის“ თაობაზე მტკიცებულებებს წარადგენს პირი, რომელიც მის შემცირებას ითხოვს.

პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება, შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული[30]. პირგასამტეხლოს დაკისრებით უნდა მოხდეს კრედიტორის დანაკარგების კომპენსირება და არა მისი გამდიდრება. ამით აიხსნება ის, რომ ზოგადი წესით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება იმ ფარგლებში, რომელიც ვერ დაიფარა პირგასამტეხლოთი. აქედან გამომდინარე სასამართლომ უნდა შეაფასოს პირგასამტეხლოსა და მოვალის მიერ დაშვებული დარღვევით გამოწვეული შედეგების თანაფარდობა. ამასთან, დარღვევის შედეგებს მიეკუთვნება არა მხოლოდ ქონებრივი ზიანი, არამედ კრედიტორის არაქონებრივი უფლებებისადმი მიყენებული ზიანი[31].

პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ასევე კრედიტორის ეკონომიკური ინტერესი. აღნიშნულ გარემოებებზე სასამართლო მსჯელობს მხარის მოთხოვნის შესაბამისად და მხოლოდ ამგვარი წინაპირობის არსებობისას, პირგასამტეხლოს ოდენობის მართლზომიერება-არამართლზომიერებასთან დაკავშირებული ფაქტების შეფასების შემდეგ, შეუძლია გამოიყენოს სასამართლოს დისკრეცია, რაც გულისხმობს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებას[32]. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება და გარკვეულ ნიშნულამდე მისი დაყვანა **არ წარმოადგენს საერთო სტანდარტს, განზოგადებულ წესს.** მისი განსაზღვრა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, რაღა თქმა უნდა, ამავე საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე ხდება.[33]

პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსსა

---

[30] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 15.11.2011 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-988-1021-2011.

[31] *Валявина, Губаева и дрг*. 2005. Коментарий к Гражданскому Кодексу Российской Федерации. Часть II. Издательство Проспект. Москва, С:658.

[32] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.09.2012 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-819-771-2012.

[33] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.11.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/2831-14.

და მის თანმდევ სამართლებრივ, თუ ეკონომიკურ შედეგებს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რამდენად აცნობიერებდა მითითებულ პირობას მხარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას. ამდენად, თუ მხარე აღჭურვილია ადვოკატით, სამეწარმეო ურთიერთობებში გამოცდილი სუბიექტია და ა. შ. ივარაუდება, რომ ასეთ ვითარებაში შეთანხმებული პირგასამტეხლო, თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალი, შეესაბამება მხარეთა ნამდვილ ნებას და შემცირებას არ ექვემდებარება, მაგალითად, შედარებითსამართლებრივი ანალიზისათვის, გერმანიის სავაჭრო კოდექსის მიხედვით, მეწარმე სუბიექტის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს შემცირება არ ხდება[34], პირგასამტეხლოს შემცირება დაუშვებელია ასევე მაშინ, როდესაც პირგასამტეხლო უკვე ნებაყოფლობით გადახდილია[35]. იგივე მოსაზრებას იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლო, შესაბამისად, პირგასამტეხლოს შემცირების საფუძვლების მტკიცების ტვირთს მეწარმე სუბიექტს აკისრებს და ამასთან, განმარტავს, რომ მეწარმე სუბიექტი, რომელიც თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენის საფუძველზე თანხმდება პირგასამტეხლოს კონკრეტულ ოდენობას, შემდგომში მოკლებულია შესაძლებლობას, სათანადო არგუმენტაციის არ არსებობის პირობებში მოითხოვოს პირგასამტეხლოს შემცირება, მით უფრო, თუ ის დამაჯერებლად ვერ ასაბუთებს, რატომ არის შეუსაბამოდ მაღალი შეთანხმებული პირგასამტეხლო.[36] სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის დანაწესის გამოყენებისას, სასამართლომ უნდა შეაფასოს კონტრაჰენტთა, როგორც ხელშემკვრელ პირთა, სტატუსი და როდესაც საკითხი მეწარმე სუბიექტის მიერ შეუსრულებელ ვალდებულებას ეხება, მას ფიზიკური პირისაგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით უნდა მოეთხოვოს შეუსრულებელი ვალდებულების გამო მხარისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია.[37] თუმცა, აღნიშნული, რაღა თქმა უნდა, არ გულისხმობს მეწარმე სუბიექტისათვის შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობის გამორიცხვას, მით უფრო, ისეთ პირობებში, როდესაც მხარეთა შორის პირგასამტეხლოს დაანგარიშების წესი აშკარად ზიანის მომტანია ერთი მხარისათვის, რადგან იგი მთლიანი ვალდებულების მოცულობიდან ანგარიშდება და არა დარღვეული ვალდებულების ღირებულებიდან. ასეთი შეთანხმება, როგორც წესი, ტენდერების არსებითი პირობაა, რამაც კომპანიათა გადახდისუუნარობამდე მიყვანა შეიძლება გამოიწვიოს, ამიტომ, ასეთ დროს სასამართლოს ფუნქცია ნორმის იმგვარი განმარტებაა, რომ მხარეებმა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღონ და არა მარტოოდენ ნორმის ფორმალური გამოყენებით – კანონიერი გადაწყვეტილება. ამიტომ, ამ საკითხთან მიმართებით სასამართლომ განმარტა, რომ ტენდერში

---

[34] გერმანიის სავაჭრო კოდექსი, მუხლი 348.

[35] *Brox/Henssler*, Handelsrecht, C.H.Beck München, 2009, Rn:380.

[36] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.11.2018 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1451-1371-2017.

[37] საქართველოს უზენაესი სასამართლო 23.05.2017 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1031-992-2016.

გამარჯვებულ კომპანიას აქვს კანონიერი ნდობა სახელმწიფო ორგანო ქცევის კეთილსინდისიერების მიმართ, რაც იმაში გამოიხატება, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციის გამოყენებამ **კომპანია გადახდისუუნარობის პირას არ უნდა მიიყვანოს.** სანქციის სახით დაწესებული პირგასამტეხლო უნდა ატარებდეს იმ სამართლებრივ მიზანს, რაც მას **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი ანიჭებს, მით უფრო, მაშინ, როდესაც სახეზეა ისეთი პირობები, როდესაც ვალდებულების შესრულების გართულება არამხოლოდ შემსრულებლის, არამედ თავად დამკვეთის ბრალითა და ფორს-მაჟორული გარემოებებითაც არის განპირობებული**.[38]

საინტერესოა ასევე იმ საკითხის მიმოხილვა, **თუ რა ფარგლებში შეუძლია სასამართლოს მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევა.** აღსანიშნავია, რომ კანონით დადგენილი გამონაკლისი – სასამართლო ჩაერიოს კერძო სამართლის სუბიექტებს შორის, თავისუფალი ნების ავტონომიის პირობებში, დადებულ გარიგებით გამოვლენილ ნებაში, **შეეხება მხოლოდ პირგასამტეხლოს ოდენობას და იგი სუსტი მხარის დაცვისა და მოვალის ხარჯზე კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილების ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება.** თუმცა, სასამართლოს უფლებამოსილება შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს მის შეუზღუდავ უფლებამოსილებას – ჩაერიოს მხარეთა ნების ავტონომიაში და თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე დადებული გარიგების პირობები შეცვალოს, **ანუ იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულებით მხარეები ცალსახად და არაორაზროვნად არიან შეთანხმებულნი პირგასამტეხლოს ოდენობის გამოთვლის პრინციპზე, სასამართლო არ არის უფლებამოსილი საკუთარი გადაწყვეტილებით ხელშეკრულების მხარეებს პირგასამტეხლოს გამოთვლის სხვაგვარი პრინციპი დაუწესოს, მას (სასამართლოს) შეუძლია მხოლოდ პირგასამტეხლოს ოდენობა შეამციროს, თუ მხარეთა მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლოს დაანგარიშების წესის შედეგად, პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალი აღმოჩნდა. იგივე უნდა ითქვას იმ შემთხვევაზე, როდესაც ხელშეკრულებით პირგასამტეხლოს გამოთვლის პრინციპი შეთანხმებული არ არის და მხარეებმა კონსენსუსს მხოლოდ ოდენობის შესახებ მიაღწიეს, ასეთ დროს სასამართლო უფლებამოსილია, კრედიტორის მოქმედების ფარგლები შეამოწმოს და სამოქალაქო სამართალში მოქმედი კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, განსაჯოს, თუ რამდენად სამართლიანი პრინციპით მოხდა პირგასამტეხლოს გამოთვლა.**[39]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც პირგასამტეხლოს პრაქტიკული კვლევის მიზნებს ემსახურება მდგომარეობს იმაში, რომ პირგასამტეხლოს შემცირებაზე უფლებამოსილი სუბიექტი – სასამართლო, პირგასამტეხლოს მართლზომიერებისა და ლეგიტიმურობის შეფასებას იწყებს მხოლოდ მხარეთა მიერ შეჯიბ-

[38] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.10.2015 გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/7137-14
[39] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.01.2019 განჩინება, საქმეზე №2ბ/1330-17

რებითობის ფარგლებში პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის პირობებში. იმ შემთხვევაში, თუ მხარე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებას არ მოითხოვს ან მოითხოვს სამართალწარმოების იმ ეტაპზე, როდესაც ახალი მოთხოვნის წარდგენა დაუშვებელია, სასამართლო თავისი ინიციატივით, შესაბამისი პროცესუალურად ნამდვილი შეცილების უფლების გარეშე, პირგასამტეხლოს ვერ შეამცირებს, თუნდაც, იგი შეუსაბამოდ მაღალი იყოს. უფრო მეტიც, მხარემ უნდა ამტკიცოს, თუ რატომ არის პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი. ამდენად, პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის თაობაზე წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის პირობებში მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა, თუ სხდომაზე გამოუცხადებლობა, მოთხოვნილი პირგასამტეხლო დაკისრებას იწვევს, თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალის, ვინაიდან შეთანხმებული პირგასამტეხლოს „შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ“ მიჩნევას, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეცილება და მტკიცება სჭირდება. რა ხდება მაშინ, როდესაც მოპასუხე პირგასამტეხლოს ოდენობას კი არ ხდის სადავოდ, არამედ საერთოდ გამორიცხავს პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობების არსებობას? თუ სასამართლო პირგასამტეხლოს წინაპირობების არსებობას დადასტურებულად მიიჩნევს, დგება საკითხი, შესაძლებელია, თუ არა პირგასამტეხლოს ოდენობასთან მიმართებით შესაბამისი შეცილების გარეშე, მისი შემცირება. ასეთ ვითარებაში, ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს **მხარის ნება** იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არათუ პირგასამტეხლოს ოდენობას ხდის სადავოდ, არამედ საერთოდ პირგასამტეხლოს დაკისრებას არ ეთანხმება. შესაბამისად, ასეთ პირობებში, პირგასამტეხლოს ოდენობა შეცილებულად უნდა იქნეს მიჩნეული და თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობები არსებობს, მის ოდენობაზე უნდა იმსჯელოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა, რომელიც ე.წ. მინიმალური ზიანის ან, თუნდაც, ჰიპოთეტურად დაშვებული პრეზუმირებული ზიანის ანაზღაურებას ემსახურება, თუმცა, მისი მიზანი არა ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, არამედ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა. პირგასამტეხლოს გამოყენების წინაპირობაა ვალდებულების დარღვევა. იგი გამოიყენება მაშინაც, როდესაც დარღვევა უმნიშვნელოა და ასევე მაშინაც, როდესაც დარღვევას ზიანი არ მოჰყოლია. თავის მხრივ, პირგასამტეხლო ზიანის ანაზღაურებას არ გამორიცხავს, თუ, რა თქმა უნდა, ვალდებულების დარღვევის შედეგად სახეზეა ზიანი, რომლის კომპენსირება პირგასამტეხლოთი არ მოხდა. პირგასამტეხლოს ოდენობა მტკიცებას არ საჭიროებს, თუმცა, დასაშვებია სასამართლო წესით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება.

პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას

შესავალი

სამოქალაქო სამართალურთიერთობებში მხარეები საკუთარ უფლება-მოვალეობებს თავისუფალი კონტრაჰირების ფარგლებში ახორციელებენ, რა დროსაც ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ მათ შინაარსს, გამოყენების წინაპირობებს, დარღვევის შემთხვევაში, სამართლებრივ შედეგებს და ა. შ. თუმცა, ისეთ ვითარებაში, როდესაც მხარეები სამართალურთიერთობის ინდივიდუალურ პირობებზე არ თანხმდებიან, მათ შორის, უფლება-მოვალეობათა რეგულირება კანონით გათვალისწინებული წესით ხორციელდება. ასეთ შემთხვევაში კი, სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების პროგნოზირების თვალსაზრისით, ნორმის შინაარსის ნათელ და მკაფიო ხასიათს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. **ქვეყანაში მოქმედი კანონი მისი გამოყენებით განპირობებული სამართლებრივი შედეგების პროგნოზირების გარანტიაა. ქვეყანაში მოქმედი მართლწესრიგის პირობებში სამართალურთიერთობის მონაწილემ, სასამართლო სამართალწარმოების გზით, კანონით წინასწარ განჭვრეტადი სამართლებრივი შედეგი უნდა მიიღოს. დაწერილი სამართლის ქვეყნის (კონტინენტური ევროპის) სამართლებრივ წესრიგს სწორედ აღნიშნული უპირატესობა აქვს.** მითითებულ წესრიგს ნორმის ბუნდოვანება არღვევს, რადგან ბუნდოვანი ნორმა მისი არაერთგვაროვანი განმარტების წინაპირობაა, შესაბამისად, სამოქალაქო სამართალურთიერთობის მხარისათვის, რომელიც ბუნდოვანი ნორმით განსაზღვრულ წესრიგს არღვევს, კანონით გათვალისწინებული რისკები არაპროგნოზირებადია, ვინაიდან მისთვის უცნობია ის მართლწესრიგი, რომელსაც ნორმა ადგენს. ასეთ ვითარებაში, ნორმის სწორად განმარტების საქმეში განსაკუთრებული როლი სამართლის ნორმათა სწორ იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ ორგანოს – სასამართლოს ენიჭება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი სწორედ იმ ნორმათაგანია, რომლის განმარტება სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებულ ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს და ბევრ სამართლებრივ პრობლემას აღმოფხვრის. მითითებული ნორმის სწორი განმარტების საჭიროება კი განსაკუთრებით აქტუალურია იმ განსხვავებული სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, რაც ნორმის არაერთგვაროვან განმარტებას უკავშირდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი სამოქალაქო სამართალურთიერთობის ერთ-ერთ საკვანძო ნორმათაგანია. ნორმის აქტუალობას მისი შინაარსი განაპირობებს. ნორმის დანიშნულება ფულადი ვალდებულებების რღვევის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. სასამართლო საქმეთა უდიდესი ნაწილი კი სწორედ ფულადი ვალდებულებიდან გამომდინარე დავებს ეხება. ამასთან, აღ-

სანიშნავია, რომ მითითებული მუხლი აწესრიგებს არამხოლოდ სასესხო და საკრედიტო, არამედ ნებისმიერი სამართალურთიერთობიდან წარმოშობილ (ნასყიდობა, ნარდობა, მომსახურება და ა. შ.) ფულად ვალდებულებას[1].

1. ნორმის ისტორიული ანალიზი

403-ე მუხლი სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლთაგანია, რომელმაც ისტორიული სახეცვლილება განიცადა. 2007 წლის 29 ივნისამდე რედაქციით, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებდა, ვალდებული იყო გადაცილებული დროისათვის **კანონით განსაზღვრული პროცენტი გადაეხადა.** კრედიტორს კანონით განსაზღვრულ პროცენტზე მეტის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა, **თუ საამისო სხვა საფუძველი არსებობდა.** მუხლის ამავე რედაქციით მოვალისათვის პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დაუშვებელი იყო[2].

აღნიშნულ ნორმასთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკა ასე თუ ისე ერთგვაროვანი იყო. სასამართლოს განმარტებით, კანონით გათვალისწინებულ პროცენტში ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთი იგულისხმებოდა. ამასთან, ვინაიდან ბანკთაშორის აუქციონზე პროცენტის ოდენობა ფიქსირებული არ იყო და დროთა განმავლობაში იცვლებოდა, ამიტომ პროცენტის დადგენაც ვადაგადაცილების პერიოდისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად ხდებოდა[3]. საპროცენტო განაკვეთი, როგორც წესი 2%-დან 3%-მდე მერყეობდა. ამასთან, ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის პროცენტის დადგენა არამხოლოდ მაშინ ხდებოდა, როდესაც ფულადი ვალდებულება სარგებლიანი იყო, არამედ მაშინაც, როდესაც, ფულადი ვალდებულებისათვის სარგებელი განსაზღვრული არ იყო. შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული პროცენტის დაკისრების წინაპირობას მხოლოდ და მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება წარმოადგენდა. ამასთან, კანონით გათვალისწინებული პროცენტის დაკისრებისათვის ზიანის მტკიცება საჭირო არ იყო. ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება იმთავითვე ზიანის არსებობას გულისხმობდა, შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული პროცენტის დაკისრება ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით განპირობებულ იმ „მინიმალური ზიანის“ ანაზღაურებას უზრუნველყოფდა, რომელსაც მტკიცება არ სჭირდებოდა. პროცენტის ოდენობას კი სადავო პერიოდისათვის ბანკთაშორისი აუქციონი განსაზღვრავდა[4]. ამდენად, სამოქალაქო კოდექსი ციფრობრივად არ ადგენდა პროცენტის ზღვრულ ოდენობას[5], თუმცა, აღნიშნული ოდენობა თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში განმარტებული იყო როგორც ბანკთაშორისი საკრედიტო

---

1 *Palandt,* Bürgerliches Gesetzbuch, C.H.Beck, 73. Auflage, 2014, §289, Rn.6.

2 https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?impose=translateEn§publication=23

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.03.2002 გადაწყვეტილება, საქმეზე №3კ/1224-01.

4 საქართველოს უზენაესი სასმართლოს 2011 განჩინება, საქმეზე №ას-1336-1176-2011.

5 *ჭანტურია, ზოიძე, ნინიძე, შენგელია, ხეცურიანი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 5, 2001, გვ. 427-431.

აუქციონზე დადგენილი განაკვეთის ზღვრული ოდენობა[6] და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეს უნდა ემტკიცებინა, თუ რა წარმოადგენდა სადავო პერიოდში ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე სესხისათვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ზღვრულ ოდენობას[7]. ამასთან, კრედიტორს კანონით გათვალისწინებული პროცენტის მოთხოვნის უფლება გააჩნდა არამარტო სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების გამოტანამდე ვადის მოცულობით, არამედ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებამდეც[8].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის 2007 წლის 29 ივნისამდე მოქმედი რედაქცია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 288-ე მუხლის შინაარსს იმეორებდა, იმ განსხვავებით, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი კანონით გათვალისწინებული პროცენტის გამოთვლის წესს თავად ადგენდა, კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 288-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას ფულად ვალდებულებას პროცენტი ერიცხებოდა, ხოლო ვადის გადაცილების პროცენტს საბაზისო განაკვეთს დამატებული წლიური ხუთი პროცენტი შეადგენდა. საბაზისო განაკვეთს კი ამავე კოდექსის 247-ე მუხლი განმარტავდა, რომლის შესაბამისადაც, საბაზისო საპროცენტო განაკვეთი 3,62 პროცენტი იყო. შესაბამისად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 288-ე მუხლით დადგენილი პროცენტი, წლიურად, 8,62 პროცენტს შეადგენდა. მითითებული პროცენტი საბაზისო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად მერყეობდა[9].

ამავდროულად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 288-ე მუხლი, ისევე როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის ცვლილებამდე არსებული რედაქცია, საამისო სხვა საფუძვლის არსებობის პირობებში, ვადაგადაცილებისათვის კანონით გათვალისწინებულზე უფრო მაღალი პროცენტის დაკისრების შესაძლებლობას იძლეოდა. „საამისო სხვა საფუძველში“ პირველ რიგში, მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტი იგულისხმებოდა[10].

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 288-ე მუხლი, განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლისაგან, დღესაც იგივე რედაქციით მოქმედებს, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის კანონით გათვალისწინებულ პროცენტს ადგენს, თუ კრედიტორს რაიმე სხვა საფუძვლიდან გამომდინარე უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. კონცეპტუალურად იგივე ინსტიტუტს ინარჩუნებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც, ანუ 403-ე მუხლში 2007 წლის 29 ივნისს განხორციელებული ცვლილების[11] შემდეგ პროცენტის დარიცხვა კვლავ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის ხდება, თუმცა, მოვალეს ნაცვლად კანონით

---

[6] *ლაზარაშვილი, ლობჟანიძე, ლილუაშვილი, ზარნაძე,* სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, 2003, გვ. 34-47.

[7] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.06.2010 განჩინება, საქმეზე №ას-6-345-09.

[8] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.02.2004 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-726-1365-03.

[9] *კროპჰოლერი*, სასწავლო კომენტარი, §288, §247.

[10] *Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, C.H.Beck, 73. Auflage, 2014, §289, Rn.11.

[11] https://matsne.gov.ge/ka/document/view/21904№

გათვალისწინებული პროცენტისა, **მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტი ეკისრება.**

2. ნორმის განახლებული რედაქციის ბუნდოვანება და კვლევის აქტუალობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია[12].

ნორმის შინაარსის არაერთგვაროვან განმარტებას იწვევს საკითხი მასზედ, თუ **რას უკავშირდება მხარეთა შეთანხმება. შეიძლება თუ არა ვადაგადაცილების პროცენტად ხელშეკრულების ვადაში შეთანხმებული პროცენტი მივიჩნიოთ?** თუ მითითებული პროცენტი, როგორც სარგებელი მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მოქმედებს, **ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მოვალეს ფულადი კაპიტალი სარგებლობაში პროცენტის გარეშე რჩება?** აღნიშნულ ბუნდოვანებას ნორმაში არსებული სიტყვათწყობა წარმოშობს. შესაბამისად, გაუგებრობას იწვევს **მხარეთა შეთანხმება უშუალოდ ვადაგადაცილებისათვის პროცენტის დაწესებას ეხება, თუ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ პროცენტში ის სარგებელი იგულისხმება, რომელსაც მხარეები თანხით სარგებლობისათვის აწესებენ.** ნიშანდობლივია, რომ მითითებული საკითხის კვლევა მხოლოდ თეორიული დილემის გადაჭრას არ ემსახურება. 403-ე მუხლის არაერთგვაროვანი განმარტება განსაკუთრებით ნათლად სასამართლო გადაწყვეტილებებში ვლინდება.

3. ნორმის მიზანი და რეგულირების საგანი

403-ე მუხლის გამოყენების წინაპირობებია – **ფულადი ვალდებულების არსებობა, ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება და მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე.** შესაბამისად, 403-ე მუხლის მოწესრიგების რეჟიმში ექცევა ის სამართლებრივი შედეგები, რაც მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებას სდევს თან. ამასთან, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ფულად ვალდებულებაში ნებისმიერი სამოქალაქო სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულება (ნასყიდობა, ნარდობა, მომსახურება და ა.შ.) იგულისხმება. შესაბამისად, მისი მოქმედების არეალი მხოლოდ სასესხო და საკრედიტო ურთიერთობებიდან წარმოქმნილი ფულადი ვალდებულებებით არ შემოიფარგლება[13]. ნორმის მიზანი კრედიტორისათვის ფულადი

[12] საქართველოს 2007 წლის 29 ივნისის კანონი №5127 – სსმ I, №27, 17.07.2007 წ.

[13] BGH NJW 53, 337 nach *Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, C.H.Beck, 73. Auflage, 2014, §289, Rn.6.

ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებით მიყენებული **მინიმალური ზიანის ანაზღაურებაა**[14]. ამასთან, მითითებული მინიმალური ზიანი **პრეზუმირებულია**, რაც იმას ნიშნავს, რომ ვადაგადაცილება ზიანის დადგომის ვარაუდისათვის საკმარისი წინაპირობაა. ვადაგადაცილებით დამდგარი მინიმალური ზიანი მტკიცებას არ ექვემდებარება. იგი ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა, ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებამ კრედიტორს ზიანი მიაყენა, თუ არა[15]. თუ ფაქტობრივად დამდგარი ზიანი პრეზუმირებულზე მაღალია, **სხვაობა ანაზღაურდება**. თუმცა, მითითებული სხვაობა ის ზიანია, რომელსაც **მტკიცება სჭირდება** [16].

4. ნორმის სუბიექტები

403-ე მუხლის სუბიექტები არიან სხვადასხვა სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულების მოვალე და კრედიტორი. მოვალეც და კრედიტორიც, თავის მხრივ, შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, მათ შორის საკრედიტო დაწესებულებები.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, 403-ე მუხლის გამოყენების მიზნებისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული მუხლის სუბიექტთა იდენტიფიცირებას, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკა განსხვავებულად არეგულირებს ვადაგადაცილებისათვის საპროცენტო განაკვეთის დაკისრების საკითხს კრედიტორ – საკრედიტო დაწესებულებებთან მიმართებით[17], განსხვავებით კრედიტორი ფიზიკური პირებისაგან [18], რაც, რაღა თქმა უნდა, საკრედიტო ურთიერთობის სპეციფიკითაც არის განპირობებული და არა მარტოოდენ 403-ე მუხლის ინტერპრეტაციით, რომ არაფერი ითქვას ფიზიკურ პირებს შორის სესხისათვის დაწესებულ შეუსაბამოდ მაღალ, კაბალურ საპროცენტო განაკვეთებზე და ამ გზით კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევასა და უფლების ბოროტად გამოყენებაზე.

5. ნორმის მოქმედების ფარგლები

ა) ვადაგადაცილების პროცენტი ისეთი სახის ფულადი ვალდებულებისათვის, რომელსაც კრედიტორის სასარგებლოდ სარგებელი არ ერიცხება

403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტის დეფინიცია კითხვის ნიშნებს არ იწვევს ისეთი ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების პირობებში, როდესაც **ფულადი ვალდებულება სარგებლიანი არ არის**. **ასეთ ვითარებაში, ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების პროცენტი**

---

[14] *Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, C.H.Beck, 73. Auflage, 2014, §289, Rn.4.

[15] *BGH NJW 11, 3648, BAG DB 01, 2196 nach Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, C.H.Beck, 73. Auflage, 2014, §289, Rn.4.

[16] *Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, C.H.Beck, 73. Auflage, 2014, §289, Rn.12.

[17] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 07.02.2013 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1385-1307-2012.

[18] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.10.2012 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1701-1685-2011.

მოვალეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრება, თუ მხარეები ამგვარი პროცენტის გადახდაზე შეთანხმებულნი იყვნენ. მაგალითისათვის, თუ მყიდველს თანხა საქონლის მიღებიდან 10 დღეში უნდა გადაეხადა, ხოლო მყიდველმა ფულადი ვალდებულება წელიწადსა და 10 დღეში შეასრულა, მყიდველს ფულადი ვალდებულების შესრულების ერთწლიანი ვადაგადაცილებისათვის 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი **მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრება, თუ მხარეები ვადაგადაცილების პროცენტზე შეთანხმებულნი იყვნენ.** თუ მხარეები ვადაგადაცილების პროცენტზე შეთანხმებულნი არ იყვნენ, გამყიდველს ვადაგადაცილების პროცენტის მოთხოვნის უფლება არ აქვს (სსკ[19] 403). ასეთ შემთხვევაში, გამყიდველს მყიდველისაგან ფულადი ვალდებულების არამართლზომიერი დაყოვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს, კერძოდ კი, გამყიდველს შეუძლია, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმებისა და, ამავდროულად, მტკიცების გარეშე, მიუღებელი შემოსავლის სახით, საანაბრე პროცენტი მოითხოვოს (სსკ 411)[20]. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ფული იმდენად ბრუნვაუნარიანი ობიექტია, რომ მისი არამართლზომიერი დაყოვნება, იმთავითვე საანაბრე მოგების დაკარგვას უთანაბრდება და ამავე ოდენობით მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის უფლებას წარმოშობს (სსკ 411), თანაც ისე, რომ მითითებულ ზიანს მტკიცება არ სჭირდება[21], ხოლო იმ შეთხვევაში, თუ კრედიტორი ზიანის სახით, მიუღებელ შემოსავალს ითხოვს, თუმცა, არა საანაბრე პროცენტის, არამედ იმ მოგების სახით, რომელსაც იგი, დაყოვნებული თანხის ბრუნვის შედეგად მიიღებდა, აღნიშნული მოთხოვნა, მტკიცებას საჭიროებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებასა და მოვალის მიერ შემოსავლის დაკარგვას შორის მიზეზობრივი კავშირი უნდა დგინდებოდეს[22]. გარდა ამისა, ისიც აღსანიშნავია, რომ ვადაგადაცილებისათვის პროცენტის შეთანხმება, იმ „პრეზუმირებულ მინიმალურ ზიანზე“ შეთანხმებას უთანაბრდება, რომელიც კრედიტორს ფულადი ვალდებულების დროული შეუსრულებლობით ადგება. ამასთან, ვადაგადაცილების პროცენტი ზიანის ანაზღაურებას არ გამორიცხავს, თუ ვადაგადაცილების შედეგად რეალურად დამდგარი ზიანი „პრეზუმირებულ მინიმალურ ზიანს“ აღემატება[23]. თუმცა, მითითებული ზიანი მტკიცებადი კატეგორიაა და მასზე პრეზუმირების სტანდარტი არ ვრცელდება.

როდესაც 411-ე მუხლის კონტექსტში დაკარგულ მოგებაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია ის განმარტება, რაც სამოქალაქო კოდექსის აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით ერთიანი განზოგადებული პრაქტიკის სახით არსებობს. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ 411-ე მუხლზე დაყრდნობით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას სასამართლო პრაქტიკა ამავე კოდექსის 412-ე მუხლს უკავშირებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ ფაქტორს, თუ რამდენად აცნობიერებდა ან უნდა გაეცნო-

---

19 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. შემდგომში: სსკ.
20 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.11.2018 განჩინება, საქმეზე №ას-820-820-2018.
21 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.01.2014 განჩინება, საქმეზე №ას-828-786-2013.
22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.10.2014 განჩინება, საქმეზე №ას-848-806-2013.
23 *Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, C.H.Beck, 73. Auflage, 2014, §289, Rn.12.

ბიერებინა მოვალეს ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები. ამ მიმართებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა). 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ მდგომარეობა რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა (Totalreparation-ის პრინციპი). ამასთანავე მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობის (განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა) ხარისხი ზიანის დადგომაში. თუმცა, ეს წესი იზღუდება, თუ კრედიტორი თანაბრალეულია. ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგებაც (lucrum cessans). 411-ე მუხლის მიხედვით, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც კრედიტორს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა, მოვალეს რომ ვალდებულება ჯეროვნად შეესრულებინა. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი, თავისი ბუნებით, „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss) გულისხმობს, რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. 411-ე მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს 408-ე მუხლში მოცემულ ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდოობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით არ განისაზღვრება. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში[24]. ანა-

[24] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.06.2012 განჩინება, საქმეზე №ას-630-593-2012.

ლოგიურ დათქმებს შეიცავს ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 8:101-ე (2) და უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე (1) მუხლები. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება.[25] [26]

ამდენად, თუ სასესხო ურთიერთობის პირობებში ვადაგადაცილება, 411-ე მუხლის კონტექსტში, უპირო (შესაბამისი მტკიცების გარეშე) საანაბრე პროცენტის დარიცხვის წინაპირობა შეიძლება გახდეს, სხვა სახის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიუღებელი შემოსავალი მტკიცებას ექვემდებარება. მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნაზე უფლებამოსილმა სუბიექტმა იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს, რომელიც ობიექტურ, რეალურ სურათს შექმნის ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა კრედიტორის სუბიექტური შეფასებით[27].

ბ) ვადაგადაცილების პროცენტი ისეთი სახის ფულადი ვალდებულებისათვის, რომელსაც კრედიტორის სასარგებლოდ სარგებელი ერიცხება

403-ე მუხლის მოქმედების რეჟიმში ექცევა მოვალის მიერ ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგების მოწესრიგება პროცენტის დაკისრების კონტექსტში **არა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში,** არამედ **ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ**. ხელშეკრულების ვადის ამოწურვას უთანაბრდება ასევე **ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა.**

ბ.ა) პროცენტის (სარგებლის) არსი ხელშეკრულების მოქმედების ვადაში

625-ე მუხლის მიხედვით, სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი. პროცენტი ის მოგებაა, რასაც გამსესხებელი თანხის სხვა პირისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემით იღებს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, პროცენტი ის ეკონომიკური მოგებაა, რისთვისაც მისი მესაკუთრე აღნიშნულ ქონებაზე დროებით სარგებლობას თმობს. ამდენად, პროცენტი არსებობს იქამდე, სანამ არსებობს სესხი, შესაბამისად, **პროცენტის გადახდის ვალდებულება არსებობს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის სრულად დაბრუნებამდე.** სწორედ ამიტომ ცალსახად და არაორაზროვნად უნდა ითქვას, რომ სესხის ხელშეკრულებით **გათვალისწინებული პროცენტი, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში,** სარგებელია და არა ვადაგადაცილების პროცენტი [28].

---

[25] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.10.2011 განჩინება, საქმეზე №ას-307-291-2011.

[26] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.05.2019 განჩინება, საქმეზე №ას-201-2019, ასევე ამავე სასამართლოს 02.05.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1851-2018.

[27] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.05.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1851-2018.

[28] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.10.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1701-1685-2011 და ამავე სასამართლოს 30.06.2017 განჩინება, საქმეზე №ას-408-381-2017.

ამდენად, საკითხი ცალსახად და მარტივად დგას, როდესაც ვადაგადაცილებას ადგილი აქვს სესხის ხელშეკრულების ვადის (მოქმედების) ფარგლებში. **ასეთ ვითარებაში ვადაგადაცილებისათვის მოვალე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებელს იხდის (სსკ 625).** მაგალითად, მსესხებელმა გამსესხებლისაგან დროებით სარგებლობაში მიიღო 3 000 ლარი, 6 თვის ვადით, ყოველთვიურად ძირითადი თანხის 2 პროცენტის გადახდით. მსესხებელი სესხის თანხის მიღების დღიდან ყოველთვიურად, 2 თვის განმავლობაში, სესხის ძირითადი თანხის 2%-ს, ანუ 60 ლარს (სსკ 625) იხდიდა. 2 თვის შემდეგ მსესხებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის გადახდა შეწყვიტა, შესაბამისად, ხელშეკრულების ფარგლებში ვადაგადაცილებაში 4 თვის პროცენტი დაგროვდა, რომელზეც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ოდენობა ვრცელდება (სსკ 625). ამდენად, კრედიტორს ძირითადი თანხის დაბრუნებისა და 4 თვის პროცენტის მოთხოვნის უფლება აქვს პირველადი მოთხოვნის ფარგლებში, ნაკისრი ვალდებულების შესრულების სახით (სსკ 361,623, 625).

ბ.ბ) პროცენტის არსი ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ

საკითხი რთულდება და, შესაბამისად, 625-ე მუხლის რეგულირების რეჟიმს სცდება, თუ **მოვალე ფულად ვალდებულებას არ ასრულებს ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ ან თუ ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა. ასეთ შემთხვევაში მოქმედებას იწყებს 403-ე მუხლი,** რომლის როგორც სიტყვასიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი ახსნა-განმარტება იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ ან ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, **ფულადი თანხის ვადის გადაცილებისას მოქმედებს მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცენტი, ანუ ის პროცენტი, რომელზეც მხარეები ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეთანხმდნენ.** მაგალითისათვის, მსესხებელმა გამსესხებლისაგან დროებით სარგებლობაში მიიღო 3 000 ლარი 6 თვის ვადით, ყოველთვიურად ძირითადი თანხის 2 პროცენტის გადახდით. მსესხებელი სესხის თანხის მიღების დღიდან ყოველთვიურად, 6 თვის განმავლობაში სესხის ძირითადი თანხის 2%-ს, ანუ 60 ლარს (სსკ 625) იხდიდა. 6 თვის ვადის ამოწურვის შემდეგ მსესხებელმა ძირითადი თანხის დაბრუნების ვალდებულება არ შეასრულა. სესხის ძირითადი თანხის გადახდის ვადის ამოწურვის შემდეგ გადასახდელი პროცენტის ოდენობა არ შეცვლილა, ვინაიდან მხარეები, ხელშეკრულების ვადაში პროცენტის შეთანხმებით სხვისი კაპიტალით სარგებლობის საზღაურზე შეთანხმდნენ. აღნიშნული საზღაური კი თანხის კრედიტორისათვის სრულად დაბრუნებამდე მოქმედებს. შესაბამისად, პროცენტი შეთანხმებულია. აღნიშნული პროცენტი ხელშეკრულების ვადაში სარგებელია (სსკ 625), ხოლო ვადის ამოწურვის შემდეგ კი ვადაგადაცილების პროცენტი (სსკ 403).

იგივე წესი მოქმედებს ისეთ ვითარებაში, როდესაც სასესხო ურთიერთობა გრძელვადიანია. მაგალითისათვის, მსესხებელმა გამსესხებლისაგან დროებით სარგებლობაში მიიღო 3 000 ლარი 6 წლის ვადით, ყოველთვიურად ძირითადი

თანხის 2 პროცენტის გადახდით. მსესხებელი სესხის თანხის მიღების დღიდან ყოველთვიურად, 6 თვის განმავლობაში იხდიდა სესხის ძირითადი თანხის 2%-ს, ანუ 60 ლარს (სსკ 625). 6 თვის ვადის გასვლის შემდეგ, მოვალემ პროცენტის გადახდა შეწყვიტა, რითაც ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა დაარღვია. კრედიტორმა მოვალეს დაგროვილი დავალიანების დაფარვის მიზნით ვადა განუსაზღვრა. მოვალემ დავალიანება ვერ დაფარა. კრედიტორმა მოვალეს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე აცნობა. ამასთან, ძირითადი თანხის დაუყოვნებლივ დაბრუნება და ასევე თანხის სრულად დაბრუნებამდე შეთანხმებული 2%-იანი სარგებლის გადახდა მოსთხოვა. **კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ საფუძვლიანია როგორც ძირითადი თანხის მოთხოვნის ნაწილში (სსკ 623), ასევე ხელშეკრულების შეწყვეტამდე ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტის დაკისრების ნაწილში (სსკ 625) და ასევე ხელშეკრულების შეწყვეტიდან თანხის სრულად დაბრუნებამდე მოთხოვნის ნაწილში (სსკ 403).**

ამდენად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ **მხარეთა მიერ ხელშეკრულების ვადაში შეთანხმებული პროცენტი (სარგებელი) ეკისრება მოვალეს როგორც ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში ვადაგადაცილებისათვის (სსკ 625), ასევე ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან ან ვადაზე ადრე შეწყვეტიდან თანხის სრულად დაბრუნებამდე (სსკ 403)**.

ამასთან, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ფულად ვალდებულებაზე დაწესებული პროცენტი, **თავისი არსით, კაპიტალით სარგებლობაზე დაწესებული საზღაურია.** შესაბამისად, მოვალე, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაშია ვალდებული, რომ აღნიშნული საზღაური, სარგებლის სახით, გადაიხადოს, ხელშეკრულების ვადის ამოწურვა, რაღა თქმა უნდა, აღნიშნული კაპიტალით სარგებლობას უსასყიდლოს არ ხდის. შესაბამისად, 403-ე მუხლის ჩანაწერი მასზედ, რომ მოვალე ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, სარგებლიანი სესხის არსებობის პირობებში, **არ გულისხმობს მხარეთა ცალკე შეთანხმების აუცილებლობას ვადაგადაცილებული პროცენტის განსაზღვრის თაობაზე.** აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს, ნორმის როგორც სიტყვა-სიტყვითი, ასევე შინაარსობრივი ანალიზი. ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტების მხრივ, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ნორმის მიხედვით, მოვალე ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი და **არა ვადის გადაცილებისათვის მხარეთა მიერ განსაზღვრული პროცენტი.** რაც შეეხება ნორმის შინაარსობრივ მხარეს, ვადაგადაცილების პროცენტი, სხვა არაფერია, თუ არა, **სხვისი კაპიტალით სარგებლობის საზღაური. შესაბამისად, თუ მხარეები კაპიტალით სარგებლობის საზღაურზე შეთანხმებულნი არიან, აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ვადაგადაცილების ფარგლებში, ისევ იგივე საზღაური მოქმედებს. მისი მიღების უფლება კი კრედიტორს, მინიმუმ, მიუღებელი შემოსავლის კონტექსტში აქვს (სსკ 411).** ნორმის სხვაგვარი განმარტება აჩენს კითხვას, თუ რატომ იხდის მოვალე კაპიტალით მართლზომიერი

სარგებლობისათვის შეთანხმებულ პროცენტს, ხოლო არამართლზომიერი სარგებლობისათვის მხოლოდ საანაბრე პროცენტს? შესაბამისად, რატომ ექცევა მოვალე ვადაგადაცილების პერიოდში სხვისი კაპიტალით უფრო შეღავათიანი სარგებლობის რეჟიმში? ნორმის ამგვარი განმარტება ხელს შეუწყობს არაკეთილსინდისიერი მოვალეების რიცხვის გაზრდას, რომლებიც სესხის ხელშეკრულებას მცირე ვადით გააფორმებენ, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ სხვისი კაპიტალით თითქმის უფასოდ ისარგებლებენ.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართებით სასამართლო პრაქტიკა სხვაგვარად განვითარდა, კერძოდ, 403-ე მუხლის განმარტება დამკვიდრდა იმგვარად, რომ თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტზე ვადაგადაცილების დროისათვისაც შეთანხმებული არ არიან, ასეთ ვითარებაში ვადაგადაცილების პერიოდისათვის მოვალეს მხოლოდ საანაბრე პროცენტი ეკისრება და არა მხარეთა შორის შეთანხმებული საპროცენტო სარგებელი, მიუღებელი შემოსავლის სახით. აღნიშნული პრაქტიკის ძირითადი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ თუ მხარე ვერ ახორციელებს სასამართლოსათვის შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას მასზედ, რომ იგი ვადაგადაცილების პერიოდისათვის თანხას იმავე პროცენტით გაასესხებდა, კრედიტორს მიუღებელი შემოსავლის სახით მარტოოდენ საანაბრე პროცენტის მიღების შესაძლებლობა რჩება. აღნიშნული მსჯელობა რაღა თქმა უნდა არ ვრცელდება საკრედიტო დაწესებულებებზე. სასამართლოს განმარტებით, ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, ზიანის მიყენების ფაქტისა და მისი ოდენობის დადგენას განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება[29] საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სესხის ძირითადი თანხის წლიური 8% წარმოადგენს იმ მიუღებელ შემოსავალს, რომელსაც მოსარჩელე ამ თანხის საბანკო ანაბარზე განთავსებით უპრობლემოდ მიიღებდა. ამასთან, თუ გარიგების შინაარსი ბუნდოვანი ან თვალთმაქცურია, ასეთ შემთხვევაში, მხარეს საანაბრე პროცენტის სახით მიუღებელი შემოსავალი მას შემდეგ ერიცხება, რაც ნამდვილი გარიგების შინაარსი დადგინდება, რათა მხედველობაში იქნეს მიღებული მოვალის მოლოდინი და განჭვრეტადობა ხელშეკრულების არსთან და მისთვის დასაკისრებელ ზიანთან მიმართებით (სსკ 412)[30]. **ამდენად, მართალია, მხარეთა შორის შეიძლება ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით დაიდო, თუმცა აღნიშნული გარიგება სინამდვილეში სესხს რომ წარმოადგენდა, მოგვიანებით დადგინდა. შესაბამისად, მოვალეს საანაბრე პროცენტი სწორედ „მოგვიანებით დადგენილი“ პერიოდიდან უნდა დაეკისროს.**[31]

---

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.02.2014 განჩინება, საქმეზე №ას-992-950-2013.
[30] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.10.2018 განჩინება, საქმეზე №160-150-2017.
[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.04.2019 განჩინება, საქმეზე №ას-84-2019.

6. სასამართლო პრაქტიკა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნიშანდობლივია, დაზუსტებით აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკა, 403-ე მუხლის განმარტების მხრივ, ამ ეტაპზე, ერთგვაროვანია. სასამართლო მოვალეს ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მხოლოდ საანაბრე პროცენტს არიცხავს, თუ მხარეთა შეთანხმება ვადაგადაცილების პერიოდისათვის ცალკე პროცენტს არ ითვალისწინებს [32]. სასამართლოს განმარტებით, ვადაგადაცილების პროცენტის დარიცხვა მხოლოდ მხარეთა შორის არსებული სპეციალური შეთანხმების პირობებშია შესაძლებელი [33] [34] [35]. ამასთან, მხარეთა შეთანხმება უნდა იყოს მკაფიო და არაორაზროვანი მასზედ, რომ მხარეები სწორედ ვადაგადაცილებული პერიოდისათვის პროცენტზე თანხმდებიან [36]. შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეთანხმებულ სარგებელს სასამართლო ვადაგადაცილების პერიოდზე არ ავრცელებს და განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც კრედიტორმა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო განიცადა. შესაბამისად, **სარგებელზე შეთანხმება ვადაგადაცილების პროცენტზე შეთანხმებას არ ნიშნავს** [37]. იგივე წესს ავრცელებს სასამართლო ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა კი არ არის განსაზღვრული, არამედ **ვალდებულების შესრულების ვადა** [38]**.** განსხვავებულია სასამართლოს მიდგომა მხარეთა იმგვარი შეთანხმების არსებობის პირობებში, როდესაც მოვალე ვალდებულია სახელშეკრულებო პროცენტი ძირითადი ვალდებულების სრულად შესრულებამდე გადაიხადოს. მხარეთა მითითებულ შეთანხმებას სასამართლო **ვადაგადაცილებული პერიოდისათვის სახელშეკრულებო პროცენტზე შეთანხმებად აფასებს.** შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, სასამართლო მოვალეს პროცენტის გადახდას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულებამდე აკისრებს[39].

ვადაგადაცილების პროცენტზე ზემოაღწერილ პრაქტიკას სასამართლო კრედიტორ საკრედიტო დაწესებულებების მიმართ არ ადგენს და აღნიშნულ მიდგომას იმ მოტივაციით ხსნის, რომ კრედიტის გაცემით გარკვეული მოგების მიღება საბანკო საქმიანობის სფეროში მოღვაწე სუბიექტის კომერციული ინტერესია. სწორედ ამიტომ, ჩვეულებრივი სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელიც უსასყიდლოც შეიძლება იყოს, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება ყოველთვის სასყიდლი-

---

[32] საქართველოს უზენაესი სასამართლო 04.02.2014 განჩინება, საქმე №ას-992-950-2013.
[33] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.11.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1214-1143-2012.
[34] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.11.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1701-1685-2011.
[35] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.06.2017 განჩინება, საქმეზე №ას-408-381-2017.
[36] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.11.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1125-1056-2012.
[37] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.10.2012 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1701-1685-2011.
[38] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.02.2013 განჩინება, საქმეზე №ას-1092-1023-2012.
[39] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.01.2014 განჩინება, საქმეზე №ას-1162-1108-2013.

ანია (სსკ 867). შესაბამისად, საკრედიტო დაწესებულებას, კრედიტის დადგენილ ვადაში დაბრუნების შემთხვევაში, კვლავ შეუძლია მიიღოს ის მინიმალური სარგებელი, რასაც სასესხო ვალუტის დაბრუნებამდე იღებდა. თუმცა, ასეთ ვითარებაში სასამართლო მოვალეს ვადაგადაცილებული პერიოდისათვის შეთანხმებულ სარგებელს 403-ე მუხლზე (ვადაგადაცილების პროცენტი) დაყრდნობით კი არ არიცხავს, არამედ 411-ე მუხლიდან გამომდინარე (მიუღებელი შემოსავალი)[40].

კრედიტორ ფიზიკურ პირებთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკის ანალიზის ფარგლებში, ნიშანდობლივია ყურადღება გამახვილდეს სასამართლო პრაქტიკით განმტკიცებულ კიდევ ერთ მიდგომაზე, რომლის მიხედვითაც, ვინაიდან მხარეებმა შეთანხმებული პროცენტი მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში უნდა გადაიხადონ, ამიტომ, ნებისმიერი გადახდა, რომელიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ ფიქსირდება, **სესხის ძირითადი თანხის დაფარვას ემსახურება და შესაბამისად, მითითებული გადახდები სესხის ძირ თანხას აკლდება[41]. ამდენად, სასამართლო სარგებლიანი სესხის არსებობის პირობებში, ვადაგადაცილების შემდეგ განხორციელებულ ნებისმიერ გადახდას სესხის ძირითად თანხას აკლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამით, სასამართლო კრედიტორის მიერ ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების მიღებას ადგენს. საინტერესოა მითითებული პრაქტიკის განხილვა 378-ე მუხლის კონტექსტში, რომლის მიხედვითაც, მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება ნაწილ-ნაწილ შეასრულოს (ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება), თუკი კრედიტორი ამაზე თანახმაა.** ნორმის მიზანია **კრედიტორის დაცვა** ერთიანად შესასრულებელი ვალდებულების პირობებში ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებისაგან. შესაბამისად, მითითებული ნორმის მიხედვით, მოვალე უფლებამოსილი არ არის ნაწილ-ნაწილ შეასრულოს ერთიანად შესასრულებლი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, კრედიტორი თანახმაა, ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება მიიღოს[42]. **შესაბამისად, როდესაც სასამართლო ადგენს, რომ ვადაგადაცილების შემდეგ მხარეთა შეთანხმებული ოდენობით სარგებლის გადახდა ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც გრძელდება, აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ კრედიტორი ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას იმავე პირობებით დაეთანხმა.** ასეთ ვითარებაში კი, ვადაგადაცილების შემდეგ განხორციელებული შესრულებები ძირითადი ვალდებულების (სესხის ძირი თანხის) შესრულებად არ უნდა დაკვალიფიცირდეს, ვინაიდან აღნიშნული უთიერთობის სამართალშეფასება 378-ე მუხლით დადგენილ წესრიგს ეწინააღმდეგება, რომელიც კრედიტორს, ერთობლივად შესასრულებელი ვალდებულების ფარგლებში, ნაწილ-ნაწილ შესრულებისაგან იცავს.

---

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 07.02.2013 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1385-1307-2012.

[41] საქართველოს უზენაესი სასამართლო 04.02.2014 განჩინება, საქმეზე №ას-992-950-2013.

[42] *MüKo/Krüger*, BGB, 5. Aufl., 2009, § 266, Rn. 1.

7. ვადაგადაცილებისათვის პროცენტის დაკისრების პერიოდი

პროცენტის გადახდის პერიოდისათვის ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტის დაკისრების პერიოდს. **აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მაშინ, როდესაც მოვალის მიერ ვადაგადაცილების გამო კრედიტორი სახელშეკრულებო ურთიერთობას ვადაზე ადრე წყვეტს.** მაგალითისათვის, სასესხო (საკრედიტო) ურთიერთობა ხელშეკრულების შესაბამისად 10 წლიანია. კრედიტორმა მოვალის ბრალით ხელშეკრულება ხელშეკრულების დადებიდან მე-3 წელს შეწყვიტა. საინტერესოა, ვადაგადაცილებული პროცენტი მოვალემ კრედიტორს ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდისათვის უნდა აუნაზღაუროს, ძირითადი თანხის სრულად დაბრუნებამდე პერიოდისათვის, თუ მთელი იმ პერიოდისათვის, რა ვადითაც სასესხო (საკრედიტო) ხელშეკრულება იყო დადებული. თუ ამოვალთ იმ პრინციპიდან, რომ ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტი, თავისი არსით, ის მიუღებელი შემოსავალია, რომელსაც კრედიტორი მიიღებდა: ა) ფულადი თანხა მისი სარგებლობიდან რომ არ გასულიყო; ან ბ) მოვალეს, აღნიშნული თანხა ხელშეკრულებით დადებულ ვადაში რომ დაებრუნებინა, მაშინ **ვადაგადაცილებისათვის პროცენტის, ანუ მიუღებელი შემოსავლის დაკისრება უნდა მოხდეს სესხის სახით გაცემული თანხის სრულად დაბრუნებამდე,** მიუხედავად იმისა, თუ რა ვადით იყო სესხის ხელშეკრულება დადებული და როდის შეწყდა იგი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საპროცენტო სარგებლის მოთხოვნის უფლება მოვალის მიერ მთელი პერიოდისათვის თანხით სარგებლობას არ უკავშირდება. ნებისმიერ მსესხებელთან საბანკო კრედიტის ხელშეკრულების გაფორმება ხდება იმ მოლოდინით, რომ ბანკი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოგებას მიიღებს. საპროცენტო განაკვეთი საბანკო კრედიტისათვის არის კრედიტის ფასი, რაც კრედიტით სარგებლობის გარკვეული ეტაპის დასრულებისას უნდა იყოს გადახდილი. საპროცენტო განაკვეთი უზრუნველყოფს ბანკს, რომ მან დაფაროს ის ხარჯები, რაც დაკავშირებულია დეპოზიტზე მოზიდული სხვისი სახსრების პროცენტების გადახდასთან, შესაბამისი მოგების მიღებასთან და სარესურსო ფონდების გაზრდასთან. მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა კი, ბანკს უფლებას აძლევს, მოითხოვოს, როგორც დამდგარი ზიანის, ისე მიუღებელი შემოსავლის, ანაზღაურება. მიუღებელი შემოსავალი თანხის **კრედიტის გამცემისათვის სარეალიზაციოდ დაბრუნებას უკავშირდება და არა ხელშეკრულების შეწყვეტას.** კონკრეტული საპროცენტო განაკვეთი მოქმედებს მხოლოდ იმ პერიოდისათვის, როდესაც ფულადი რესურსი ბანკის სარგებლობაში არ იმყოფება. იმ მომენტიდან, როდესაც სესხის თანხა კრედიტის გამცემს უბრუნდება, მიუღებელი შემოსავალი აღარ არსებობს, რადგანაც კრედიტორს სრული შესაძლებლობა აქვს სხვაგვარად განკარგოს ეს თანხა, თავიდან გასცეს კრედიტი, ან სხვა საშუალებით მიიღოს მოგება. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა ხელშეკრულების ვადამდე მოშლის, თანხის დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თანხის კრედიტორისათვის დაბრუნების მომენტად შესაბამისი გადაწყ-

ვეტილების აღსრულება ჩაითვლება და არა გადაწყვეტილების გამოტანის ან ხელშეკრულების მოშლის თარიღი[43] [44].

8. შეუსაბამოდ მაღალი სარგებლის შემცირება

ფიზიკური პირებისათვის და საკრედიტო დაწესებულებებისათვის ვადაგადაცილების პერიოდისათვის განსხვავებული საპროცენტო სტანდარტის (მიუღებელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობის) დადგენა, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკურ პირებს შორის ურთიერთობებში შეუსაბამოდ მაღალი საპროცენტო სარგებლის (წლიური 60%-დან 120%-მდე) დაწესებით არის განპირობებული. **თუმცა, მითითებული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია არა სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის იმგვარი განმარტებით, რომ ხელშეკრულების ვადაში შეთანხმებული პროცენტი ვადაგადაცილების პერიოდზე არ მოქმედებს, არამედ გარიგების იმ ნაწილის ბათილად ცნობით, რომელიც შეუსაბამოდ მაღალ პროცენტს ითვალისწინებს. თუმცა, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, რომ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტი იმდენად მაღალი იყოს, რომ კეთილსინდისიერების ფარგლებს სცდებოდეს და ზნეობის საწინააღმდეგო შეთანხმებად ითვლებოდეს[45]. ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ საპროცენტო სარგებლის თაობაზე შეთანხმება მთლიანად ბათილად იქნეს მიჩნეული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარიგების ნაწილის ბათილობას, მისი სხვა ნაწილების ბათილობის გარეშე დასაშვებად მიიჩნევს, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება მისი ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა.** ამდენად, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული პროცენტი შეუსაბამოდ მაღალი იყო, ამგვარი შეთანხმება ზნეობის საწინააღმდეგოდ მიიჩნეოდა და ბათილად ითვლებოდა. მაგალითისათვის, თუ მხარეთა შეთანხმებით სარგებლის სახით თვეში 10% იყო შეთანხმებული, სასამართლო უფლებამოსილი იყო, რომ მითითებული შეთანხმება, როგორც ზნეობის საწინააღმდეგო, ნაწილობრივ ბათილად ეცნო და პროცენტი სესხით სარგებლობის გონივრულ საზღაურამდე დაეყვანა [46]. პროცენტის კანონისმიერ ჩარჩოში მოთავსების მიზანს ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2018 წლის 21 ივლისს განხორციელებული ცვლილება [47], რომლის შესაბამისადაც, მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი. იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი. მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის პროცენტის განსაზღვრისას სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

---

[43] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 21.02.2012 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1586-1585-2011.

[44] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 23.03.2015 განჩინება, საქმეზე №ას-841-805-2014.

[45] BGH Urt. v. 12.03.1981, Az.: III ZR 92/79.

[46] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.06.2017 განჩინება, საქმეზე №ას-408-381-2017.

[47] ამოქმედდა 2018 წლის პირველი სექტემბრიდან. აღნიშნული მუხლის რედაქცია არ ვრცელდება მის ამოქმედებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

9. პროცენტი, ვადაგადაცილების პროცენტი და პირგასამტეხლო – შედარებითსამართლებრივი ანალიზი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიხედვით, სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი. პროცენტი ის მოგებაა, რასაც გამსესხებელი თანხის სხვა პირისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემით იღებს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, პროცენტი ის ეკონომიკური მოგებაა, რისთვისაც მისი მესაკუთრე აღნიშნულ ქონებაზე დროებით სარგებლობას თმობს. ამდენად, პროცენტი არსებობს იქამდე, სანამ არსებობს სესხი, შესაბამისად, **პროცენტის გადახდის ვალდებულება არსებობს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის სრულად დაბრუნებამდე.** სწორედ ამიტომ ცალსახად და არაორაზროვნად უნდა ითქვას, რომ სესხის ხელშეკრულებით **გათვალისწინებული პროცენტი, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში,** სარგებელია და არა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის.

403-ე მუხლის შესაბამისად, ვადის გადაცილებისათვის მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცენტი ის „მინიმალური ზიანია“, რომელსაც კრედიტორი ვადის გადაცილების შემთხვევაში იღებს. ასეთი შეთანხმების არსებობის პირობებში კრედიტორს მოვალის ბრალით ზიანის დადგომის მტკიცების ვალდებულება არ ეკისრება. თუმცა, თუ კრედიტორს იმაზე მეტი ფაქტობრივი ზიანი მიადგა ვიდრე გადაცილების დროისათვის დაკარგული საპროცენტო სარგებელია (მიუღებელი შემოსავალი), ვალდებულია, ამტკიცოს ზიანის დადგომის ფაქტი, გამოწვეული მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის ბრალეული ვადაგადაცილებით. სწორედ აღნიშნული საფუძველია ის, საიდანაც კრედიტორს მიყენებული ზიანის ეკვივალენტური ანაზღაურების მიღების უფლება აქვს, რაც, რაღა თქმა უნდა, უფრო მეტია, ვიდრე ჰიპოთეტურად განსაზღვრული მინიმალური ზიანი.

403-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა მიერ ვადაგადაცილებისათვის შეთანხმებული პროცენტი შეიძლება უფრო მაღალიც კი იყოს, ვიდრე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეთანხმებული სარგებელი. **ვადაგადაცილებისათვის გაზრდილი პროცენტის დაკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ამის თაობაზე მხარეები შეთანხმდებიან.** ვადაგადაცილებისათვის გაზრდილ პროცენტზე შეთანხმება ზიანის ანაზღაურებას არ გამორიცხავს, თუ კრედიტორს ვადაგადაცილებით „უფრო მეტი ზიანი“ მიადგა, ვიდრე გაზრდილი პროცენტია. ვადაგადაცილებისათვის გაზრდილ პროცენტსა და ვადაგადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას შორის ის განსხვავებაა, რომ **ვადაგადაცილებისათვის გაზრდილი პროცენტის მოთხოვნის წინაპირობაა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება. ასეთ დროს მიყენებული ზიანი „ნავარაუდევი ზიანია“ და ცალკე მტკიცება არ სჭირდება,** ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამდგარი ზიანი ვადაგადაცილებისათვის შეთანხმებულ პროცენტს აღემატება, მოვალის ბრალით ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებით ზიანის მიყენება, რომელსაც შეთანხმებული პროცენტი ვერ ფარავს, კრედიტორის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა.

მოვალეს ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის, გარდა 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისა, პირგასამტეხლოც შეიძლება დაეკისროს. ვადაგადაცილების პროცენტის დაკისრება პირგასამტეხლოს დაკისრებას არ გამორიცხავს[48]. ვადაგადაცილების პროცენტისა და პირგასამტეხლოს დარიცხვის წინაპირობები მხარეთა შეთანხმება და ფულადი ვალდებულების შესრულების ვადადარღვევაა. განსხვავება მითითებულ ინსტიტუტთა სამართლებრივ დანიშნულებაშია. პირგასამტეხლოს სამოქალაქო სამართლებრივი სანქცირების ფუნქცია აქვს. იგი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა. ვადაგადაცილების პროცენტიც და პირგასამტეხლოც, ვადაგადაცილების ფარგლებში „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურებას ემსახურება. არცერთი მათგანი ზიანის მტკიცებას არ საჭიროებს. თუ ვადაგადაცილების პროცენტი და პირგასამტეხლო დამდგარ ზიანს სრულად არ ფარავს, სხვაობა ანაზღაურებას ექვემდებარება, თუმცა, მითითებული სხვაობა მტკიცებადი კატეგორიაა და მასზე ზიანის მტკიცების ზოგადი წესები ვრცელდება (სსკ 394). ვადაგადაცილების პროცენტის შემცირება მხოლოდ ამორალურობა/კანონწინააღმდეგობის პირობებში შეიძლება. პირგასამტეხლო კი სასამართლოს მხრიდან რეგულირებადი კატეგორიაა, შესაბამისად, მისი შემცირება სასამართლოს დისკრეციაა, თუ პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია (სსკ 420).

10. პროცენტიდან პროცენტის გადახდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაძლებლობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 2007 წლის 29 ივნისამდე მოქმედი რედაქცია პროცენტიდან პროცენტის გადახდევინებას კრძალავდა, შესაბამისად, მხარეთა შეთანხმება, პროცენტიდან პროცენტის გადახდევინების თაობაზე, როგორც კანონსაწინააღმდეგო, ბათილად მიიჩნეოდა. ვადაგადაცილებით განცდილი დანაკარგის ანაზღაურება კრედიტორს, რაღა თქმა უნდა, შეეძლო, თუმცა, საერთო საფუძველზე. ამისათვის მას ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა უნდა წარედგინა, რა დროსაც ვადაგადაცილება, განცდილი ზიანი და ვადაგადაცილებასა და განცდილ ზიანს შორის კავშირი უნდა ემტკიცებინა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2007 წლის 29 ივნისს განხორციელებული ცვლილების შემდეგ ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას მხარეთა შეთანხმება პროცენტიდან პროცენტის გადახდევინების თაობაზე შესაძლებელი გახდა. ამგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში პროცენტიდან პროცენტის დაკისრება კვლავაც დაუშვებელია. ამასთან, 403-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან ნათლად იკვეთება, რომ **აღნიშნული შეთანხმება „პირდაპირ“ დათქმას უნდა შეიცავდეს,** ანუ პროცენტიდან პროცენტის გადახდის თაობაზე შეთანხმება **„ნაგულისხმევი“ არ უნდა იყოს.** კანონის აღნიშნული მოთხოვნის საპირისპიროდ პროცენტიდან პროცენტის დარიცხვის თაობაზე მხარეთა შეთან-

[48] BGH Urt. v. 07.03.2002, Az.: VII ZR 41/01.

ხმება ხელშეკრულებებში ხშირად იმ ფორმით არის მითითებული, რომ ფულადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში პროცენტი **„ვადაგადაცილებულ თანხას“** ერიცხება. ვადაგადაცილებულ თანხაში კი იგულისხმება როგორც ძირითადი თანხა, ასევე ვადაგადაცილებული პროცენტი და პირგასამტეხლო. ნიშანდობლივია, რომ ამგვარ დათქმას, განსაკუთრებით ხშირად, საკრედიტო დაწესებულებებთან დადებული ხელშეკრულებები შეიცავს. შესაბამისად, მითითებული შეთანხმება საკრედიტო ხელშეკრულებების ერთ-ერთი სტანდარტული პირობაა, ამიტომ სტანდარტულ პირობაში პროცენტიდან პროცენტის მითითება იმგვარი ფორმით უნდა იყოს ასახული, რომ ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტს არ არღვევდეს. აღსანიშნავია, რომ გადასახდელ თანხაზე საპროცენტო სარგებლის დაკისრება პროცენტიდან პროცენტის დარიცხვაზე არსებული შეთანხმებაა. აღნიშნული შეთანხმება კი ნამდვილია, თუ მსესხებელი გადასახდელი თანხის თაობაზე ინფორმირებულია, ანუ თუ ხელშეკრულებაში განმარტებულია, რომ გადასახდელ თანხაში დარიცხული პროცენტიც იგულისხმება, ხოლო მასზე პროცენტის დარიცხვა პროცენტიდან პროცენტის გადახდევინებას გულისხმობს. სხვა შემთხვევაში ამგვარი შეთანხმება „პირდაპირ“ შეთანხმებად არ უნდა მიიჩნეოდეს და, როგორც ბათილი, სამართლებრივ შედეგებს არ უნდა წარმოშობდეს.

დასკვნა

ამდენად, მხარეთა შეთანხმების არსებობის პირობებში, პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება შესაძლებელია. პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებით კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას არ გამორიცხავს[49], თუ, რაღა თქმა უნდა, პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება ზიანს სრულად არ ანაზღაურებს. მტკიცების თვალსაზრისით, პროცენტიდან პროცენტის დაკისრების ფაქტობრივი საფუძველი მხარეთა შეთანხმებაა, ხოლო ზიანი ყოველთვის მტკიცებადი კატეგორიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორმა უნდა დაადასტუროს ვადაგადაცილებით მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, რომელიც პროცენტიდან პროცენტის დარიცხვით არ იფარება.

[49] *Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, C.H.Beck, 73. Auflage, 2014, §289, Rn.1.

წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე

(შედარებითსამართლებრივი ანალიზი)

1. შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს წინასახელშეკრულებო ურთიერთობის, წინარე ხელშეკრულებისა და ბეს ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ურთიერთშედარების მიზნებისათვის აღნიშნული სამი ინსტიტუტის შერჩევა მოხდა იმის გამო, რომ პრაქტიკაში მათი ერთმანეთში აღრევის შემთხვევები ხშირია, რაც შედეგობრივად არასწორი პრაქტიკის დამკვიდრებას უწყობს ხელს, მაშინ, როდესაც აღნიშნული ინსტიტუტების გამოყენება ყოველდღიურ სამართლებრივ ურთიერთობებში არც თუ ისე იშვიათია, შესაბამისად, მათ ურთიერთგამიჯვნას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დავები სასამართლო პრაქტიკაში მწირადაა წარმოდგენილი. აღნიშნული გარემოების საფუძველია მოქალაქეთა არაინფორმირებულობა წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში მათი უფლებებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერი მოპყრობის ვალდებულების თაობაზე. შესაბამისად, ნაშრომში გადმოცემული დებულებები მოქალაქეთა ინფორმირებულობის ფუნქციასაც ატარებს.

2. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებით ვალდებულება შეიძლება **ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც** წარმოიშვას. 317-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, მოლაპარაკების მონაწილეს შეუძლია მეორე მონაწილეს მოსთხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია ხელშეკრულების დასადებად, მაგრამ ეს ხელშეკრულება მეორე მონაწილის ბრალეული მოქმედების შედეგად არ დადებულა. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს **წინასახელშეკრულებო ურთიერთობას, რა დროსაც ურთიერთობის მონაწილეებს ერთმანეთის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების მოვალეობა ეკისრებათ.** აღნიშნული ვალდებულების დარღვევა კი მოთხოვნის უფლებას წარმოშობს. ვინაიდან წინასახელშეკრულებო ურთიერთო-

ბისას სახეზე არ არის ხელშეკრულება, ამიტომ **მხარეებს ერთმანეთის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების (ვალდებულების შესრულების) მოთხოვნის უფლება არ აქვთ. მათ მოლაპარაკების ეტაპზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლიათ.** იმისათვის, რომ მოლაპარაკების მონაწილეს დანახარჯის ანაზღაურების უფლება წარმოეშვას, აუცილებელია, რომ ხარჯის გაწევა ხელშეკრულების დადების მიზნით იყოს განპირობებული და ხელშეკრულების არ დადება მოლაპარაკების მეორე მხარის ბრალეული მოქმედებით იყოს გამოწვეული. თუმცა, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა მხოლოდ ხელშეკრულების დადების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების უფლებას არ წარმოშობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ამავე კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონტექსტში წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას მხარეებს **ერთმანეთის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების მოვალეობა ეკისრებათ, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ვალდებულების დარღვევა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს. მითითებული დანაწესი ემსახურება პრინციპს culpa in contrahendo (ბრალი წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას). შესაბამისად, როდესაც საუბარია ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებზე, culpa in contrahendo საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული ის „სხვა საფუძველია“, საიდანაც ვალდებულება წარმოიშობა.**

ხელშეკრულების მომზადების წინასახელშეკრულებო კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის წინაპირობა ხელშეკრულების მსგავსი, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის არსებობაა. იგი წარმოიშობა იმისგან დამოუკიდებლად, ხელშეკრულება სამომავლოდ დაიდება, თუ არა[1]. წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა **ზიანის ანაზღაურების და არა ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს.** წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების **დადებაზე მოლაპარაკებისას წარმოიშვას.** ხელშეკრულების დასადებად მოლაპარაკების ფარგლებში ნებისმიერი ქმედება ურთიერთნდობაზეა დაფუძნებული, **შესაბამისად, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემის მოვალეობა სამართალურთიერთობის აღნიშნულ ეტაპზეც დაცულია.** აღნიშნული კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა წარმოიშობა **მოლაპარაკების დაწყებით და მთავრდება მოლაპარაკების დასრულებით.** ხელშეკრულების გაფორმებაზე **მოლაპარაკების შეწყვეტა** მხოლოდ მაშინ წარმოშობს წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას, როდესაც მოლაპარაკებების შემწყვეტი, პარტნიორს ხელშეკრულების დადებისადმი დასაბუთებულ მოლოდინს (ნდობას) გაუჩენს. წინასახელშეკრულებო კანონისმიერი

[1] *კროპჰოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, §311, ველი 1.

ვალდებულება ასევე **ხელშეკრულების მომზადებითაც** წარმოიშობა**,** რა დროსაც ერთ მხარეს მეორე მხარის უფლებებზე, სამართლებრივ სიკეთესა და ინტერესებზე ზემოქმედების შესაძლებლობა უჩნდება, მაგალითად, პირი მაღაზიაში შედის სავაჭროდ (და არა მხოლოდ ჭექა-ქუხილისაგან თავის შესაფარებლად), ცუდად დაგებული ლინონიუმის გამო ეცემა და ფეხს იზიანებს[2]. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი სოციალური კონტაქტი წინასახელშეკრულებო კანონისმიერ ვალდებულებას არ წარმოშობს, თუმცა, **საქმიანი კონტაქტი, რომელიც ჯერ არც ხელშეკრულების მომზადებაა და არც ხელშეკრულების მომზადების ფარგლებში განხორციელებული ქმედება, მაგრამ სამომავლოდ ხელშეკრულების დადებას ისახავს მიზნად, ასევე წინასახელშეკრულებო ურთიერთობად მიიჩნევა.** მაგალითისათვის, მაღაზიაში შესვლა დასათვალიერებლად, რა დროსაც ხელშეკრულების დადების ეკონომიკური მიზანი იმ დროისათვის არ არსებობს, თუმცა, მხარეს შესაძლებელია იმავდროულად ან სამომავლოდ რაიმის ყიდვის სურვილი წარმოეშვას.

წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში მესამე პირის ჩართულობა ურთიერთობის მონაწილის (ვინც მესამე პირი ჩართო) პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ დაადასტურებს, რომ მან მესამე პირის შერჩევისას **განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინა.** განსხვავებით სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან, რა დროსაც **მესამე პირის დახმარება ვალდებულების შესრულებისას ხელშეკრულების მხარის პასუხისმგებლობას იწვევს, მიუხედავად იმისა, მან მისი შერჩევისას განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინა, თუ არა**[3]. ამ მიმართებით საგულისხმოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინასახელშეკრულებო ურთიერთობის დროს მოთხოვნა არა **ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებაა, არამედ ზიანის ანაზღაურება.** ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა ის, რომ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე წინასახელშეკრულებო ურთიერთობის სტადიაზე გულისხმიერების ვალდებულებას არღვევს. **culpa in contrahendo-ს შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეები არიან ისინი, რომლებიც განსაზღვრული ხელშეკრულების დადებას ისახავენ მიზნად. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლია, რომლის მიხედვითაც,** მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.

---

[2] იქვე, ველი 2.

[3] *Brox/Walker*, Algemeines Schuldrecht, Verlag C.H. Beck, München, 2010, S.66, Rn.3.

თანაბრალეულობის შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი გამოიყენება, რომლის შესაბამისადაც, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. **რაც შეეხება ხანდაზმულობას, წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებისათვის იმ ხელშეკრულების ხანდაზმულობის ვადები უნდა იქნეს გამოყენებული, რომლის დადებაც გამიზნული იყო**[4]**.**

წინასახელშეკრულებო ურთიერთობების დროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მოიცავს **ხელყოფას და კანონიერ ნდობასთან დაკავშირებულ ინტერესს**. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში უნდა ანაზღაურდეს შენარჩუნების ინტერესი, მაგალითად, ავტომობილის საცდელი ტარების დროს დაზიანების შემთხვევაში უნდა ანაზღაურდეს ავტომობილის სარემონტო სამუშაოების ხარჯები[5]. **პირის ბრალეულობის გამო ხელშეკრულების დაუდებლობისას მოტყუებულ პირს უნდა აუნაზღაურდეს ხელშეკრულების დადების ნდობით და მოლოდინით გაწეული ხარჯები.** მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საჯარო აუქციონის ჩატარება წინასახელშეკრულებო ურთიერთობად მიიჩნია, შესაბამისად, განმარტა, რომ აუქციონის გამარჯვებული ხელშეკრულების დადებას ვერ მოითხოვდა, თუმცა, მას წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, გაწეული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ჰქონდა[6]. რიგ შემთხვევაში დაიშვება შესრულების ინტერესის მოთხოვნა გამონაკლისის სახით, რა დროსაც მხარე **შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას ითხოვს,** მაგალითად, თუ მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება გამყიდველის ბრალით, ფორმის დაუცველობის გამო ბათილია, მაშინ მყიდველს შეუძლია ის ხარჯები მოითხოვოს, რომლის გაწევაც მას მსგავსი მიწის ნაკვეთის შეძენისას დამატებით მოუწევს. მაგრამ იგი ვერ მოითხოვს ხელშეკრულების გაფორმებას და მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემას[7]. დასაშვებია ასევე იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც მართალია, ხელშეკრულების მომზადების მიზანს არ ემსახურება, თუმცა, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტს არღვევს, მაგალითად, პირს ჰგონია, რომ მას მეზობელი, მოლაპარაკების შესაბამისად, მიწას მიჰყიდის, შესაბამისად, მეზობლისვე ნებართვით ანგრევს ძველ ღობეს ახლის აშენების მიზნით, მეზობელი კი ხელშეკრულების დადებას გადაიფიქრებს, ასეთ შემთხვევაში, პოტენციურ მყიდველს აქვს ღობის დემონტაჟისა და ახლის აშენების ხარჯების ანაზღაურების უფლება[8].

---

[4] *კროპჰოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, §311, ველი 5.

[5] იქვე, ველი 6.

[6] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.03.2016 განჩინება, საქმეზე №ას-898-848-2015.

[7] BGH NJW 1965, 812.

[8] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 19.06.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/942-14.

ქართული კანონმდებლობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი) არ ითვალისწინებს წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში მესამე პირის სასარგებლოდ პასუხისმგებლობას, თუმცა, სასამართლო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ამ მიმართებით საგულისხმოა გერმანიის კანონმდებლობა (BGB §311.3) და გერმანიის ფედერალური სასამართლოს (BGH) განმარტებები, რომლის მიხედვითაც, წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა შესაძლებელია, ასევე მესამე პირების სასარგებლოდ წარმოიშვას, მაგალითად, სუპერმარკეტში საყიდლებზე დედასთან ერთად წასულ ბავშვს ფეხი უცურდება სალათის ფურცელზე და დაცემის შედეგად ზიანდება, მანამ სანამ დედა რაიმე ნივთს შეიძენს[9]. ამ შემთხვევაში, ბავშვი, როგორც, მესამე პირი, წინასახელშეკრულებო კანონისმიერ ურთიერთობებში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას იძენს. გერმანიის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა უშვებს ასევე მესამე პირის პასუხისმგებლობას წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში. ამ შემთხვევაში საუბარია იმ მესამე პირზე, რომელიც თავის ავტორიტეტით მოლაპარაკების პროცესზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია, რომ მესამე პირი უნდა მოქმედებდეს საკუთარ ინტერესებში და ცხადი უნდა იყოს, რომ იგი გამიზნული ხელშეკრულების დადებაზე გარანტიას იღებს[10]. ასეთად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ვინმე საკუთარ კომპეტენციაზე მიუთითებს, ან, უბრალოდ, მოლაპარაკებების პროცესში მოდერატორის ფუნქციას ასრულებს [11].

ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თუ დადებულია ფორმადაუცველი გარიგება, გარიგების მხარეს უფლება არ აქვს მოითხოვოს გარიგების დადება, არამედ, მხარეს, რომლის ბრალეული მოქმედებითაც გარიგება არ დაიდო, უნდა დაეკისროს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მეორე მხარეს მიადგა. სასამართლოს განმარტებით: „თუ ერთ-ერთი მხარის ბრალეული ქმედების შედეგად არ დაიდო ხელშეკრულება, მაშინ დაინტერესებულ პირს იმ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს, რომელიც მან ხელშეკრულების დასადებად გასწია (სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები). აღნიშნული ცხადყოფს, რომ ხელშეკრულების მომზადების სტადიაზე წარმოშობილი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ ზიანის (გაწეული ხარჯების) ანაზღაურების დავალდებულებაში და არა (ნასყიდობის) ხელშეკრულების დადების დაკისრებაში, ვინაიდან ეს წინააღმდეგობაში მოვა ისეთ ფუნდამენტალურ პრინციპთან, როგორიცაა ხელშეკრულების თავისუფლების, მათ შორის ხელშეკრულების (დადების) თავისუფლების პრინციპი (სამოქალაქო კოდექსის 319-ე **მუხლის** პირველი ნაწილი)“[12].

---

[9] BGHZ 66,57.

[10] BGHZ 74, 103, 108.

[11] *კროპჰოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, §311, ველი 8.

[12] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.10.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1039-974-2012.

3. წინარე ხელშეკრულება

წინარე ხელშეკრულებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი აწესრიგებს, რომლის მე-3 ნაწილის მიხედვითაც, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც.

წინასახელშეკრულებო ურთიერთობა განსხვავდება წინარე ხელშეკრულებისაგან. წინარე ხელშეკრულების ფუნქციური დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მხარეები წინარე ხელშეკრულების დადებით **ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას იღებენ. შესაბამისად, წინარე ხელშეკრულება, განსხვავებით წინასახელშეკრულებო ურთიერთობებისაგან, ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას წარმოშობს.** როგორც წესი, წინარე ხელშეკრულების დადების აუცილებლობა არსებობს მაშინ, როდესაც მხარეებს ძირითადი ხელშეკრულების დადების ფაქტობრივი ანდა სამართლებრივი წინააღმდეგობები აქვთ და აღნიშნულ დაბრკოლებათა აღმოფხვრას მათი აქტიური ჩართულობითა, თუ მათგან დამოუკიდებლად, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ელიან[13]. წინარე ხელშეკრულება მხარეებს ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას აკისრებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარე ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე უარს განაცხადებს, ხელშეკრულების დადების მიზანი სასამართლო გადაწყვეტილებით მიიღწევა. შესაბამისად, ძირითადი ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულების დადებულად აღიარების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. იმისათვის, რომ წინარე ხელშეკრულების საფუძველზე ძირითადი ხელშეკრულება დაიდოს, აუცილებელია, რომ **წინარე ხელშეკრულებიდან ძირითადი ხელშეკრულების არსებითი პირობები ირკვეოდეს** [14].

წინარე ხელშეკრულება უნდა აკმაყოფილებდეს **ძირითადი ხელშეკრულების ფორმას, შესაბამისად, ძირითადი ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც.** იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება ფორმასავალდებულო არ არის, წინარე ხელშეკრულების დადებისათვის ფორმის დაცვა აუცილებელი არ არის და წერილობითი, ან რთული წერილობითი ფორმით შედგენილი წინარე ხელშეკრულება, სადავოობის შემთხვევაში, **მტკიცების პროცესს ემსახურება.**

წინარე ხელშეკრულება პრაქტიკაში ხშირად მაშინ გამოიყენება, როდესაც ძირითადი ხელშეკრულების დადების დამაბრკოლებელი გარემოება არსებობს. პრაქტიკული თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება **წინარე ხელშეკრულების გამიჯვნას ძირითადი ხელშეკრულებისაგან.** მაგალითად, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სამომავლოდ ვალდებულების შესრულება, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ არსებობს სამომავლოდ ძირითადი ხელშეკრულების

[13] *Brox/Walker*, Algemeines Schuldrecht, Verlag C.H. Beck, München, 2010, S.62.
[14] იქვე, გვ. 63.

დადების ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში ხდება **შესრულების გადადება სამომავლოდ, რაც შეიძლება რაიმე მოვლენის დადგომაზე იყოს დამოკიდებული (პირობითი გარიგება)**[15]**.**

საჯარო რეესტრში რეგისტრაცია გარიგების ნამდვილობისათვის კანონით გათვალისწინებული ფორმა არ არის. საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის მეშვეობით ხდება საკუთრების უფლების გადასვლა უძრავ ქონებაზე. შესაბამისად, საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციას უაღრესად დიდი პრაქტიკული დანიშნულება აქვს, როდესაც გარიგება უძრავ ქონებაზე იდება. წინარე ხელშეკრულება ნამდვილად ითვლება აღნიშნული ხელშეკრულების მარტივი წერილობითი ფორმით გაფორმების დროსაც, თუმცა, გარიგების (წინარე ხელშეკრულების) რეგისტრაციას მნიშვნელობა აქვს გარიგების მომავალი მესაკუთრის კანონიერი ინტერესების დაცვისა და მესამე პირებისათვის. წინარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით მესამე პირი ინფორმირებულია აღნიშნულ ქონებაზე სამომავლო გარიგების დადების ვალდებულების თაობაზე, შესაბამისად, მისი შემძენი კეთილსინდისიერად ვერ მიიჩნევა და მას წინარე ხელშეკრულების მხარესთან გარიგების დადების ვალდებულება წარმოეშობა.

4. ბე

ბე წინარე ხელშეკრულება არ არის, ვინაიდან ბეს მიცემით ხელშეკრულების დადების ვალდებულება კი არ წარმოიშობა, არამედ ხელშეკრულების დადების ფაქტი დასტურდება. საგულისხმოა, რომ ბე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა, შესაბამისად, მისი გადაცემით არა ხელშეკრულების დადების, არამედ მისი შესრულების უზრუნველყოფა ხდება. ბედ მხოლოდ ფულადი თანხა შეიძლება იყოს გამოყენებული. ბეს გადამცემი ვალდებულია ამტკიცოს, რომ გადაცემული თანხა ბეა და არა ავანსი. თუ ბეს გადამცემმა ფულადი თანხის დანიშნულება ვერ დაადასტურა, სადავოობისას იგულისხმება, რომ გადაცემული თანხა ავანსია. მართალია ბეს გადაცემა არც ფორმასავალდებულო გარიგებაა და, მით უფრო, არც ფორმასავალდებულო ქმედება, თუმცა, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ვინაიდან ბეს გადაცემით გარიგება დადებულად ითვლება, ბეს გადაცემა იმ ფორმას უნდა აკმაყოფილებდეს, რომელი გარიგებაც ბეს გადაცემით დადებულად ითვლება. სხვა შემთხვევაში გადაცემული თანხა ავანსად მიიჩნევა. ბეს, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დაცვითი ფუნქციიდან გამომდინარე, თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

---

[15] იქვე, გვ. 63.

ამდენად, განხილულ სამართლებრივ ინსტიტუტთა ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები მდგომარეობს იმაში, რომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ხელშეკრულების არ დადების შემთხვევაში, იმ პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა, ვისი ბრალითაც ხელშეკრულება არ დაიდო. წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ზიანის ანაზღაურების წინაპირობას წარმოადგენს ასევე ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპისა და ერთმანეთის უფლებების მიმართ გულისხმიერი მოპყრობის მოვალეობის დარღვევა. განსხვავებით წინასახელშეკრულებო ურთიერთობებისაგან წინარე ხელშეკრულება, რომელიც ხელშეკრულებისათვის დადგენილ ფორმას უნდა აკმაყოფილებდეს, ხელშეკრულების დადების ვალდებულებას წარმოშობს. ბე წინარე ხელშეკრულება არ არის, ვინაიდან ბეს მიცემით ხელშეკრულების დადება დასტურდება. ბე მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებაა, ამიტომ თუ ბეს გადაცემის შედეგად ვალდებულება არ შესრულდა, იმისდამიხედვით, თუ ვინ დაარღვია ხელშეკრულება, ბე მიმღებს რჩება ან ბეს მიმცემს ორმაგად უბრუნდება, განსხვავებით ავანსისაგან, რომელიც შესასრულებელი ვალდებულების (გადასაცემი თანხის) ნაწილია და არამცდაარამც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. შესაბამისად, მის მიმართ ის წესები მოქმედებს, რაც ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების მიმართ.

ვალუტის კურსის ცვლილების ზეგავლენა სამოქალაქო ურთიერთობებზე

შესავალი

ფული ყველაზე ბრუნვაუნარიანი ობიექტია სამოქალაქო ურთიერთობებში, შესაბამისად, იგი დიდ როლს თამაშობს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრის მიზნებისათვის.

ფული, თავისი ეკონომიკური ფუნქციის მიხედვით, წარმოადგენს საერთო გაცვლით, შეფასების, ღირებულების, შენახვისა და გადაცემის საშუალებას, ანგარიშსწორების ერთეულს[1]. ფული გამოისახება არა მარტო ნაღდ ფულში – მონეტებსა და ბანკნოტებში, არამედ საბანკო დაწესებულებაში გახსნილი მიმდინარე (საანგარიშსწორებო) ანგარიშზე არსებული თანხების ჩანაწერებში. შესაბამისად, ანგარიშსწორება შესაძლებელია, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების წესითა და საბანკო გადარიცხვის გზით[2].

ფულადი ვალდებულება ვალდებულების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კატეგორიაა, შესაბამისად, ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული სასამართლო დავებიც ბევრია. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ მისი მიმოქცევა სამართალურთიერთობებში მხოლოდ ნორმატიული კონტროლით არ შემოიფარგლება. ამ მიმართებით დიდ როლს ნორმათშეფარდების პროცესი და სამოსამართლო სამართალი თამაშობს.

ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული დავები მრავალმხრივ საინტერესოა. განსაკუთრებით აღსანიშნავი კი ნომინალიზმის პრინციპია. ნომინალიზმის პრინციპის ცალკე საკითხად გამოყოფისა და მისი დამუშავების საჭიროება არაერთგვაროვანმა თეორიულმა მიდგომებმა და სასამართლო პრაქტიკამ განაპირობა. ნორმის არაერთგვაროვან განმარტებას კი მითითებული პრინციპის ამსახველი ნორმის ბუნდოვანებამ შეუწყო ხელი.

1. ნომინალიზმის პრინციპი

ნომინალიზმის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ვალდებული პირი კრედიტორს ფულს **იმავე რაოდენობით უბრუნებს,** რაც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამება. ამ დროს ფულის მსყიდველობაუნარიანობა მხედველობაში არ მიიღება.

ნომინალიზმის პრინციპს ქართულ კანონმდებლობაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი ითვალისწინებს. თუმცა, ნორმის ტექსტი

[1] *Palandt*, §245,Rn.1 *ქეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 149.
[2] *ქეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 149.

ჯეროვან განმარტებას საჭიროებს, რადგან მითითებული ნორმის შინაარსი წინააღმდეგობრივია და ზუსტად არ ასახავს ნომინალიზმის პრინციპისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

ნომინალიზმის პრინციპის გამოყენების საჭიროება დგება მაშინ, როდესაც სახეზეა ფულადი ვალდებულება და განსაზღვრულია ფულადი ვალდებულების ოდენობა, თუმცა, **ვალდებულების წარმოშობის დღიდან ვალდებულების შესრულების დღემდე ვალუტის კურსი ან ფულის ერთეული იცვლება.** ნომინალიზმის პრინციპის მიზანი საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, ნომინალიზმის პრინციპის მომწესრიგებელი ნორმის, როგორც სიტყვა-სიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტება, სწორედ აღნიშნული მიზნის გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

ნომინალიზმის პრინციპი სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებას წარმოადგენს. ნომინალიზმის პრინციპის შესაბამისად, ვალდებულების საგანია ფულადი ერთეულის ესა თუ ის რაოდენობა და არა ამ ერთეულთა მსყიდველობაუნარიანობა. **„ნომინალი“** ეწოდება ფულზე აღნიშნული ფულადი ერთეულების რაოდენობას (10 ლარი, 50 ლარი და ა. შ.)[3]. **ნომინალიზმის პრინციპის მიხედვით, მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით (ნომინალით), რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამებოდა.**[4] „ნომინალიზმის“ პრინციპის დასახელება სიტყვა „ნომინალიდან“ მომდინარეობს, რაც ფულზე აღნიშნული ფულადი ერთეულის რაოდენობას გულისხმობს. **„ნომინალიზმი“ ფულადი ვალდებულებების მიმართ მოქმედი მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული ფუძემდებლური პრინციპია**[5]**.** მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს ქვეყნების კანონმდებლობაში ასახული ეს პრინციპი, ვალის გადახდისას ყურადღებას უთმობს არა გადასახდელი ნომინალის მსყიდველობაუნარიანობას, არამედ თავად ნომინალს და ფულადი ნიშნების რაოდენობას.

ნომინალიზმის პრინციპის თანახმად, ვალდებულების საგანი ფულადი ერთეულების რაოდენობაა და არა ფულის მსყიდველობაუნარიანობა, შესაბამისად, სესხის სახით მიღებული 1 000 ლარი, მიუხედავად მსყიდველობაუნარიანობის შეცვლისა, ვალდებულების შესრულების დროისათვის ისევ 1 000 ლარის ოდენობით უნდა დაბრუნდეს.

რიგ შემთხვევებში, ფული ე.წ. „გაცვლით ფუნქციას“ ატარებს, რა დროსაც მას მიღებული საქონლისა, თუ მომსახურების ღირებულების განმსაზღვრელი დანიშნულება აქვს. მიუხედავად ამისა, თუ ქონების, ანდა მომსახურების ფასი ხელშეკრულებით მყარად დადგენილია, ფულის მსყიდველობაუნარიანობის ცვლილება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების ოდენობაზე ზეგავ-

---

[3] *ძლიერიშვილი*, ვალდებულებითი სამართალი, გვ.111.

[4] *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 389, გვ. 347.

[5] იქვე, გვ. 345.

ლენას არ ახდენს და **მის ავტომატურად შეცვლას არ იწვევს.** მაგალითად, თუ ღვინის ქარხანას კომპანიისათვის, ყოველთვიურად, 10 000 ლარის სანაცვლოდ 5 000 ბოთლი ღვინო უნდა მიეწოდებინა, ხოლო ფულის მსყიდველობაუნარიანობის შეცვლის გამო, 1 ბოთლის თვითღირებულება იმდენად გაიზარდა, რომ ფასმა ორჯერ მოიმატა, აღნიშნული გარემოება, ამავე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში, გაზრდილი ფასის გადახდის ვალდებულებას არ წარმოშობს. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების აუცილებლობა შეიძლება დადგეს (სსკ[6] 398), ხოლო ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შეუძლებლობის პირობებში, სახეზე იქნება გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტის კანონისმიერი წინაპირობა (სსკ 399).

იგივე წესი (ნომინალიზმის პრინციპი) არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება, მართალია, გარკვეულ ფულად თანხაშია დაწესებული, თუმცა, აღნიშნული თანხა ნატურით შესრულების სანაცვლოდ არის დადგენილი, ან საკომპენსაციო თანხას წარმოადგენს, ან კიდევ ზიანის ანაზღაურებას ემსახურება. **ასეთ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს ნატურით შესასრულებელი ქონების ეკვივალენტურად, მიყენებული ზიანის პროპორციულად, გადასაცემი ქონების ღირებულების შესაბამისად და ა. შ. მაგალითად, პირს კომპანიისაგან ბინა უნდა მიეღო.** კომპანიამ მასზე დაკისრებული ვალდებულება ვერ შეასრულა, თუმცა, ბინის ნაცვლად 1 კვ.მ. ფართის კომპენსაციის ვალდებულება იკისრა. საკომპენსაციო თანხად კი 150 აშშ დოლარი განსაზღვრა. კომპანიამ დათქმულ ვადაში ვერც კოპენსაციის გადახდის ვალდებულება შეასრულა. პირმა სასამართლოში სარჩელი აღძრა და სარჩელის აღძვრის დროისათვის 1 კვ.მ. ფართის ღირებულების, კერძოდ, 300 აშშ დოლარის ანაზღაურება მოითხოვა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონდა ფულად ვალდებულებას. ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება მხარემ უძრავი ქონების საკომპენსაციოდ აღიარა, შესაბამისად, გადასახდელი თანხა, როგორც კომპენსაცია, უძრავი ქონების ღირებულების ეკვივალენტური უნდა ყოფილიყო[7].

2. ნომინალიზმის პრინციპი სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის წინააღმდეგ

სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის ტექსტის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის მიხედვით, თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამება. შესაბამისად, ნორმა, თავისი სიტყვა-სიტყვითი დანიშნულებით ნომინალიზმის პრინციპისაგან **განსხვავებულ წესს ადგენს** და უთითებს, რომ თუ ფულის ერთეული (კურსი) შეიცვალა, ფულადი ვალდებულე-

[6] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. შემდგომში: სსკ.

[7] საქართველოს უზენაესი სასამართლო 09.03.2006 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-870-1138-05.

ბა იგივე რაოდენობის ნომინალით კი არ უნდა დაბრუნდეს, არამედ მისი მსყიდველობაუნარიანობის გათვალისწინებით, ანუ იმ კურსით, რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობდა. **ნორმის ამგვარი სიტყვა-სიტყვითი განმარტება ეწინააღმდეგება ნომინალიზმის პრინციპის არსს და მის დანიშნულებას, როგორც ეკონომიკური, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით.** აღნიშნული განმარტების შესაბამისად, 1000 ლარიანი სესხის არსებობის პირობებში, თუ შესრულების ვადის დადგომის დროისათვის ლარის კურსმა დაიწია, ანუ ლარის მსყიდველობაუნარიანობა, მაგალითად, 100%-ით შემცირდა, დასაბრუნებელი თანხა 2 000 ლარი იქნება[8]. ამდენად, თუ ნორმა სიტყვა-სიტყვით განიმარტება, მუხლის ნორმაში საუბარია ფულის კურსის რყევაზე, ხოლო მის სამართლებრივ შედეგად მითითებულია ფულის კურსის გადაანგარიშება ვალდებულების წარმოშობის დროს არსებული კურსით[9]. **ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტება ეწინააღმდეგება ნომინალიზმის პრინციპს.** უფრო მეტიც, მისი გამოყენება, ანუ ფულადი ვალდებულების შესრულება იმ კურსის (მსყიდველობაუნარიანობის) გათვალისწინებით, რაც ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობდა, გამოიწვევს ქართული ეროვნული ვალუტის, ლარის, გაძევებას ბრუნვიდან და სრულად უნაყოფოს გახდის სახელმწიფოს მიერ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად ეროვნული ვალუტის გამოცხადებას და უზრუნველყოფის თაობაზე მიღებულ ღონისძიებებს. სახელმწიფო კი დაკარგავს ერთ-ერთ აუცილებელ სახელმწიფოებრივ ატრიბუტს – ეროვნულ ფულს[10]. **სწორედ ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტების შედეგების თავიდან აცილებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ სასამართლო პრაქტიკაში 389-ე მუხლის შინაარსი განსხვავებული პრეცედენტის წყარო გახდა. სასამართლოს განმარტებით,** 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას, ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას. ასევე ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას. მაგალითად, დენომინაცია განიცადა საბჭოთა კავშირის დროს მანეთმა, როდესაც 1000 მანეთის ნომინალი შეიცვალა 1 მანეთის ნომინალით[11]. რაც შეეხება ჰიპერინფლაციას, აღნიშნული თავისთავად ნიშნავს საქონლის ფასებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის უაღრესად სწრაფ ზრდას, რომელიც იწვევს ფულადი ერთეულის მკვეთრ გაუფასურებას, საგადამხდელო ბალანსის მოშლას და ნორმალური სამეურნეო კავშირების დარღვევას. ამ დროს მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო უშვებს დიდი რაოდენობით ფულს, რომელიც რეალური საქონელბრუნვის საჭიროებას აღემატება, რასაც ფულის კურსის მკვეთრი გაუარესება და ოქროს საბაზრო ფასების ზრდა მოსდევს. სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან, ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის მიმართ ზემოთ

---

[8] *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 153.
[9] იქვე, გვ. 153.
[10] *წკეპლაძე*, ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ვალდებულების კურსის შეცვლისას, ქართული სამართლის მიმოხილვა, 6-2003-1, გვ. 194.
[11] *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 389, გვ. 347.

მითითებულ პროცესებს არ ჰქონია ადგილი, ფულადი ვალდებულებების შესრულების დროს დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენება ამავე მუხლის პირდაპირი მნიშვნელობით, შესაბამისი განმარტების გარეშე. მუხლის ამგვარი გამოყენება დაუშვებელია ასევე ფულის კურსის ნორმალური გაუარესების დროსაც, რადგანაც აღნიშნული პროცესი ყველა ქვეყანაში აღინიშნება[12]. ამდენად, მითითებული შეხედულების მიხედვით, სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის ფუნქციური დანიშნულება მდგომარეობს შემდეგში: იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ფულის ნომინალს ცვლის ან კიდევ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას (ძალიან მაღალი ინფლაცია, რომელიც ხშირად განისაზღვრება, როგორც ინფლაცია, რომლის ყოველთვიური დონე, დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში აღემატება 50 პროცენტს[13]). სასამართლო პრაქტიკამ აღნიშნული შედეგების მოწესრიგება იმ სამართლებრივ შედეგს დაუკავშირა, რაც ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან მომდინარეობს, კერძოდ, საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელება ფულის მსყიდველობაუნარიანობის გათვალისწინებით, ანუ იმ კურსით, რომელსაც ვალდებულების წარმოშობის დროს ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, სასამართლომ ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით ის შედეგი დაუშვა, რაც ნომინალიზმის პრინციპიდან არ გამომდინარეობს, უფრო მეტიც, ეწინააღმდეგება მას. **ამდენად, მართალია, სასამართლომ 389-ე მუხლი სიტყვა-სიტყვით განმარტა, თუმცა, სიტყვა-სიტყვითი განმარტებით მიიღო რა ნომინალიზმის პრინციპის საწინააღმდეგო შედეგი, აღნიშნული ნორმის მოქმედება მხოლოდ იმ გარემოებათა წრით შეზღუდა (სახელმწიფოს მიერ ფულის ნომინალის შეცვლა, ჰიპერინფლაცია), რომელსაც საქართველოში ადგილი არ ჰქონია. სწორედ ამ ლოგიკით განიმარტება სასამართლოს დანაწესი მასზედ, რომ თუ სახელმწიფოს მიერ ნომინალის შეცვლას ან ჰიპერინფლაციას არ ექნება ადგილი, 389-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია.**

3. ნომინალიზმის პრინციპი სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის ლოგიკური ახსნა-განმარტების შესაბამისად

თეორიაში არსებული მოსაზრების შესაბამისად, 389-ე მუხლი ეფუძნება ნომინალიზმის პრინციპს. მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით, რაც **ვალდებულების წარმოშობის** დროს შეესაბამება[14]. ამდენად, ფულის ერთეულის კურსის გაზრდა ან შემცირება დასაბრუნებელი თანხის ოდენობაზე ზეგავლენას არ ახდენს **(ნომინალიზმის პრინციპი)**[15]. ფულის კურსის განმარტებასთან მიმართებით, განსაკუთრებით, 389-ე მუხლის კონტექსტში, თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. თეორიაში

---

[12] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.04.2000 გადაწყვეტილება, საქმეზე №3კ/428–2000.
[13] *ურიდია და სხვ.* მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გვ. 483.
[14] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.04.2000 გადაწყვეტილება, საქმეზე №3კ/428.
[15] *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 389, გვ. 346.

არსებული მოსაზრებით, ფულის კურსი ნიშნავს ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ღირებულების ცვლილებას სხვა ქვეყნის ფულის ერთეულის მიმართ [16] [17] [18], რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ფულის მსყიდველობაუნარიანობაზე. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ფულის ერთეულის გაზრდა ან შემცირება, მითუმეტეს 389-ე მუხლის შინაარსის მიხედვით, გულისხმობს მხოლოდ მისი ნომინალური ღირებულების შეცვლას, როგორც ეს, მაგალითად, მოხდა რუსეთში, როდესაც 1 000 რუბლი გაუტოლდა ერთ რუსულ რუბლს, ანუ შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), რასაც საქართველოში ადგილი არ ჰქონია[19] [20] . წმინდა ეკონომიკური გაგებით, ფულის კურსი ნიშნავს როგორც ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ღირებულების ცვლილებას სხვა ქვეყნის ფულის ერთეულის მიმართ, ასევე სახელმწიფოს მხრიდან მისი ნომინალური ღირებულების შეცვლას (ინდექსაციას). **ვინაიდან 389-ე მუხლი არ აკონკრეტებს ფულის ერთეულის (ვალუტის) ცვლილების კონტექსტს, ამიტომ ფულის ერთეულის (კურსის) ცვლილება განხილულ უნდა იქნეს როგორც ფულის ერთეულის ცვლილება სხვა ქვეყნის ვალუტასთან მიმართებით, ასევე სახელმწიფოს მიერ ფულის ნომინალური ღირებულების ცვლილება.**

ფულის კურსის ზემოთმითითებული განმარტების მიმართ იმ სამართლებრივი შედეგის გავრცელება, რაც 389-ე მუხლის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან იკვეთება, გამოიწვევს ისეთი შედეგის დადგომას, რაც ნომინალიზმის პრინციპს ეწინააღმდეგება, კერძოდ, კურსის ყოველი ცვლილება გამოიწვევს ფულადი ვალდებულების გადაანგარიშებას ვალდებულების წარმოშობის დროს არსებული კურსის მიხედვით, **რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება ნომინალიზმის პრინციპს.** ვინაიდან ფულის ერთეულის (კურსის) უნივერსალური განმარტება სახეზეა და ისიც ცალსახაა, რომ 389-ე მუხლი ნომინალიზმის პრინციპის შემცველია, ამიტომ ნორმის სწორი განმარტება ამავე ნორმის ისტორიული, ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად უნდა მოვახდინოთ.

4. სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის ისტორიული კონტექსტი, მისი ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზი

ნომინალიზმის პრინციპი უძველესი პრინციპია. იგი კონტინენტურ ევროპაში ჯერ კიდევ XV საუკუნეში დამკვიდრდა, ხოლო ინგლისში XVIII საუკუნეში გავრცელდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ევროპაში ფულის გაუფასურება ხდებოდა, გაუფასურება ახლდა ოქროს ფულის მონეტებიდან ქაღალდის ფულზე გადასვლასაც[21]. **ასეთ**

---

[16] იქვე, გვ. 346.
[17] *ქეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 152.
[18] *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, გვ. 110.
[19] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.04.2000 გადაწყვეტილება, საქმეზე №3კ/428–2000.
[20] *წკეპლაძე*, ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ვალდებულების კურსის შეცვლისას, ქართული სამართლის მიმოხილვა, 6-2003-1, გვ. 194.
[21] *Brokelind*, Discussion of Some Legal Issues Raised by the Introduction of the Euro, p.10, http://www.cfe.lu.se/upload/LUPDF/CentrumforEuropaforskning/cfewp25.pdf.

მდგომარეობაში, შემოღებულ იქნა ნომინალიზმის პრინციპი, რომლის შესაბამისადაც, ფულის ერთეულის ღირებულებას მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ანგარიშსწორებისას გადამწყვეტი ნომინალი, ანუ ფულის ერთეული იყო, მიუხედავად მისი მსყიდველობაუნარიანობისა. ნომინალიზმის პრინციპი ეკონომიკური კრიზისის პირობებში სამოქმედო გეგმად იქცა. იგი ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენდა[22]. ნომინალიზმის პრინციპის შესაბამისად, მოვალეს კრედიტორისათვის იმ ოდენობით ვალი უნდა დაებრუნებინა, რა ოდენობითაც მიიღო. ოდენობაში ფულის ერთეული, ანუ ნომინალი იგულისხმებოდა. ვალის გაცემიდან დაბრუნებამდე ფულის მსყიდველობაუნარიანობის ცვლილება მხედველობაში არ მიიღებოდა. მაგალითად, 10 აშშ დოლარი ვალი დაბრუნებულად ითვლებოდა მაშინაც, თუ 10 აშშ დოლარის დაბრუნების დროისათვის მისი მსყიდველობაუნარიანობა მნიშვნელოვანწილად განსხვავდებოდა ამავე თანხის დაბრუნების დროისათვის მისი მსყიდველობაუნარიანობისაგან[23]. სამოქალაქო ბრუნვაში აღნიშნული პრინციპის დამკვიდრების ამოსავალი წერტილი ბაზრის ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნება იყო, რა დროსაც ხელშეკრულების შესრულების პრინციპის დაცვა **(*Pacta sunt servanda*)** ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენდა.

თეორიაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების შესაბამისად, 389-ე მუხლი ნომინალიზმის პრინციპს ეფუძნება[24] [25] [26]**.** ნორმის რეგულირების მიხედვით, თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამება. აღნიშნული ნორმის კონტექსტში, ნომინალიზმის პრინციპის გათვალისწინებით, განმარტებას საჭიროებს, **თუ რა იგულისხმება ვალდებულების წარმოშობის დროში.** 389-ე მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით, ვალდებულების წარმოშობის დროში უნდა ვიგულისხმოთ **დრო, როცა ვალდებულება უნდა შესრულდეს, ანუ დრო როცა ვალდებულება ვადამოსულია ან არსებობს კრედიტორის მოთხოვნა და, შესაბამისად, მოვალე ვალდებულია, შეასრულოს ვალდებულება**[27]. 389-ე მუხლის მიხედვით, მოვალემ ფულადი ერთეულის (კურსის) შეცვლისას ვალდებულება იმ ფულადი ერთეულით (კურსით) უნდა შეასრულოს, რომელიც **ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის, ანუ შესრულების დროს არსებობდა.** ამდენად, თუ ვალდებულება იმთავითვე ეროვნულ ვალუტაში იყო, ვალდებულება იგივე ნომინალით ეროვნულ ვალუტაში უნდა შესრულდეს. ხელშეკრულების დადებიდან ვალდებულების შესრულების დღემდე ფულის მსყიდველობაუნარიანობის შეცვლა მხედველობაში არ მი-

---

22 იქვე.

23 *Lenihan*, The Legal Implications of the European Monetary Union under U.S. and New Yourk Law, p.72, http://ec.europa.eu/economy_finance/publications/publication11220_en.pdf.

24 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 389, გვ. 346.

25 *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 152.

26 *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, გვ. 110.

27 *MüKo/Krüger*, BGB, 6. Aufl., 2012, § 371 Rn 1.

იღება. თუ ვალდებულება იმთავითვე უცხოურ ვალუტაში იყო, ნაღდი ანგარიშსწორების წესით ფულადი ვალდებულება „ვალის ვალუტაშიც“, ანუ უცხოურ ვალუტაშიც შეიძლება შესრულდეს, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორების დროს, მისი კონვერტაცია ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღეს არსებული კურსით (უცხოური ვალუტისა და ეროვნული ვალუტის ურთიერთმიმართება) უნდა განხორციელდეს. ხელშეკრულების დღიდან ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღემდე კურსთა ცვლილება (უცხოურ ვალუტასა და ეროვნულ ლარს შორის) მხედველობაში არ მიიღება.

(მაგალითი 1) *თუ 2013 წლის პირველ იანვარს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2 000 ლარის ოდენობით ფულადი ვალდებულება ხელშეკრულების დადებიდან 1 (ერთი) წლის შემდეგ არის შესასრულებელი, ე.ი. ფულადი ვალდებულების შესრულების დრო 2014 წლის პირველი იანვარია, რაც იმას ნიშნავს, რომ 2014 წლის პირველ იანვარს ვალდებულება 2 000 ლარის ოდენობით უნდა შესრულდეს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია 2014 წლის პირველ იანვარს ლარის მსყიდველობაუნარიანობა და მისი მიმართება 2013 წლის პირველ იანვარს ლარის მსყიდველობაუნარიანობასთან.*

(მაგალითი 2) *თუ 2013 წლის პირველ იანვარს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2 000 აშშ დოლარის ოდენობით ფულადი ვალდებულება ხელშეკრულების დადებიდან 1 (ერთი) წლის შემდეგ არის შესასრულებელი, ე.ი. ფულადი ვალდებულების შესრულების დრო 2014 წლის პირველი იანვარია, ამ დღეს ვალდებულება 2 000 აშშ დოლარის ოდენობით უნდა შესრულდეს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია 2014 წლის პირველ იანვარს დოლარის მსყიდველობაუნარიანობა და მისი მიმართება ეროვნულ ვალუტასთან. ვინაიდან ეროვნული ვალუტა ლარია, ამიტომ „ვალის ვალუტის“ კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში უნდა მოხდეს იმ კურსის შესაბამისად, რომელიც ვალდებულების შესრულების დროს, მოცემულ შემთხვევაში, 2014 წლის პირველ იანვარს არსებობდა.*

ორმხრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები, როგორც წესი, ერთდროულად ან დროის იმ „გონივრული“ შუალედით სრულდება, რაც თითოეული მათგანის შესრულებას სჭირდება. ამგვარ სამართალურთიერთობებში ვალუტის კურსის ცვლილების საკითხი ნაკლებად აქტუალურია, რადგან ხელშეკრულების დადებისა და ვალდებულების შესრულების დრო, თითქმის თანხვედრია. შესაბამისად, როდესაც შესასრულებელი ვალდებულება ხელშეკრულების დადებისთანავე წარმოიშობა, ყველა ის რისკი, რაც ვალუტის კურსის ცვლილებას შეიძლება სდევდეს თან, ხელშეკრულებითვე გათვალისწინებულია. ნომინალიზმის პრინციპის გამოყენების საჭიროება, როგორც წესი, მაშინ დგას, როდესაც ვალდებულებათა შესრულება დროში თანხვედრი არ არის. ნომინალიზმის პრინციპი აქტუალურია

ისეთ სამართალურთიერთობაში, როდესაც ხელშეკრულების დადება და ვალდებულების წარმოშობა დროში ერთმანეთს არ ემთხვევა (მაგალითად, სესხი, კრედიტი და ა. შ.), ან როდესაც სახეზეა გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა (მაგალითად, ნასყიდობა განვადებით, 2 წლის განმავლობაში პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულება და ა. შ.).

5. ნომინალიზმის პრინციპის მოქმედების ფარგლები

ნომინალიზმის პრინციპი მხოლოდ ხელშეკრულების ვადაში მოქმედებს, ანუ იგი ვალუტის კურსის შეცვლის პირობებში, ფულადი ვალდებულების გადაანგარიშებას მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იწვევს, თუ ვალდებულება დროულად შესრულდა. **სახელშეკრულებო ვადის დარღვევის შემდეგ, ნომინალიზმის პრინციპი აღარ გამოიყენება, რადგანაც მოვალემ მისი სახელშეკრულებო ვალდებულება იმ დღეს არ შეასრულა, რაც გადახდისათვის იყო განსაზღვრული და ამით კრედიტორი ფულის ღირებულების დანაკარგის წინაშე დაუცველი დატოვა**[28]**.**

ამდენად, ვალუტის კურსის ცვლილება ფულადი ვალდებულების შესრულებაზე დასაბრუნებელი ფულადი ერთეულის (ნომინალის) მხრივ ზეგავლენას არ ახდენს. ნომინალიზმის პრინციპის საწინააღმდეგოდ, გადაანგარიშების ვალდებულება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას, თუ **ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღე და ვალდებულების ფაქტობრივად შესრულების დღე ერთმანეთს არ ემთხვევა, ანუ როდესაც, ადგილი აქვს ვადაგადაცილებას.** ასეთ დროს, კონტრაგენტს კურსთა შორის სხვაობის სახით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს. კონტრაგენტისათვის მიყენებული ზიანი იმ დანაკლისში გამოიხატება, რაც მან ვალდებულების წარმოშობის დროიდან, ანუ იმ დღიდან როდესაც ვალდებულება უნდა შესრულებულიყო, ფაქტობრივ შესრულებამდე, ფულის ერთეულის (კურსის) მისთვის საუარესო ცვლილებით განიცადა. კურსთა შორის სხვაობა, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება. **(მაგალითი 1,2). (მაგალითი 1)** თუ ფულადი ვალდებულება, ნაცვლად 2014 წლის პირველი იანვრისა (როცა ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულო იყო), 2015 წლის პირველ იანვარს შესრულდა და ამ დროის განმავლობაში ეროვნული ვალუტის მსყიდველობაუნარიანობა კრედიტორის საუარესოდ შეიცვალა (შემცირდა), ასეთ შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია 2014 წლის პირველი იანვრიდან (როცა ვალდებულება უნდა შესრულებულიყო) 2015 წლის პირველ იანვრამდე (როცა ვალდებულება შესრულდა) ლარის მსყიდველობაუნარიანობით გამოწვეული სხვაობა მოითხოვოს. **(მაგალითი 2) იგივე წესი ვრცელდება ვალუტის კურსის ცვლილების**

[28] *Kariv*, Contracts Under Monetary Fluctuations: The Legal Effects Of Devaluation, Northwestern University LAW REVIEW, Volume 65, September – October, Number 4, p. 541, http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/illlr65§div=31§collection=journals§set_as_cursor=0§men_tab=srchresults№551.

მიმართაც. თუ ფულადი ვალდებულება 2014 წლის პირველი იანვრის ნაცვლად (როცა ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულო იყო) 2015 წლის პირველ იანვარს შესრულდა და ამ დროის განმავლობაში „ვალის ვალუტის“ ანუ აშშ დოლარის მიმართება (კურსი) ეროვნულ ვალუტასთან შეიცვალა (კურსმა დაიწია), მოვალე ვალდებულია 2014 წლის პირველი იანვრიდან (როცა ვალდებულება უნდა შესრულებულიყო) 2015 წლის პირველ იანვრამდე (როცა ვალდებულება შესრულდა) აშშ დოლარის ეროვნულ ლართან მიმართებით ვალუტის კურსის ცვალებადობით კრედიტორისათვის მიყენებული ზიანი აანაზღაუროს. იგივე წესი ვრცელდება კრედიტორის მიმართაც, თუ იგი ფულადი ვალდებულების შესრულების მიღებას დააყოვნებს და ფულის მსყიდველობაუნარიანობის ცვლილება (გაზრდა) მოვალისათვის ზიანის მომტანი იქნება. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია, რომ ასეთ ვითარებაში ზიანის ანაზღაურების წინაპირობა მოვალის მხრიდან ვალდებულების შესრულების (სსკ 400)[29], ხოლო კრედიტორის მხრიდან შესრულების მიღების ბრალეული ვადაგადაცილებაა (სსკ 391)[30].

ნომინალიზმის პრინციპი ხშირად მძიმე მდგომარეობაში აყენებს კრედიტორს და ერთგვარ შეღავათებს უქმნის მოვალეს, ან პირიქით.[31] თუკი მხარეები ფულის კურსის შესაძლო ცვლილებებს ითვალისწინებენ, მათ ამ ცვლილებათა უარყოფითი შედეგებისაგან თავის დაზღვევის სხვადასხვა შესაძლებლობა აქვთ. თუ ისინი მოსალოდნელი შედეგებისაგან თავს არ დაიზღვევენ, ნომინალიზმის უარყოფითი შედეგები მათი რისკია.[32] აღნიშნული რისკი, ფულის კურსის ცვალებადობის გათვალისწინებით, ხან მოვალის საუარესოდ მოქმედებს და ხან კრედიტორის. თუ ვალის გადახდის მომენტში ფულის მსყიდველობითი უნარი გაზრდილია, ეს კრედიტორის სასარგებლოდ მეტყველებს და მოვალეს უფლება არ აქვს, ვალის დაბრუნებისას ამ გარემოებას თავის სასარგებლოდ დაეყრდნოს. თუ ამ მომენტისათვის ფულის მსყიდველობითი უნარი შემცირებულია, მაშინ ამ რისკის მატარებელი ავტომატურად კრედიტორი ხდება.[33]

6. ნომინალიზმის პრინციპთან დაკავშირებული რისკები

თუ ნომინალიზმი მხარეთა რეალურ ან ნაგულისხმევ განზრახვაზეა დაფუძნებული, მათ რჩებათ თავისუფლება, რომ საწინააღმდეგო განზრახვა ხელშეკრულების პირობებში განაცხადონ, რათა ნომინალიზმთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგებისაგან თავი დაიცვან. თუ ისინი ამ შესაძლებლობას არ გამოიყენებენ, მათ ეკისრებათ რისკიც. **ამგვარად, ხელშეკრულების დადება ვალუტასთან დაკავშირებით მოიცავს „სპეკულაციის“ ელემენტს და რისკის ვარაუდს. ხელშეკრუ-**

[29] სკ-ის მე-400 მუხლის კომენტარი.
[30] სკ-ის 391-ე მუხლის კომენტარი.
[31] *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 389, გვ. 349.
[32] იქვე, გვ. 348.
[33] იქვე, გვ. 349.

ლების მხარეს უფლება არ აქვს დაიჩივლოს, თუ მისი „სპეკულაცია“ მარცხს განიცდის.[34]

ნომინალიზმით განპირობებული რისკებისაგან თავის დაცვის საუკეთესო ბერკეტი, „ვალის ვალუტის“ სახით, მყარი ვალუტის გათვალისწინებაა. დაზღვევის უფრო უკეთეს საშუალებას „ვალის ვალუტასა“ და „გადახდის ვალუტას“ შორის თანაფარდობის დადგენა წარმოადგენს, ანუ ხელშეკრულებაში ფულადი ვალდებულების ღირებულების დამდგენი დებულებების შეტანა[35]**.** მაგალითად, თუ 2013 წლის პირველ იანვარს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის (კურსი 1:75) ოდენობით ფულადი ვალდებულება ხელშეკრულების დადებიდან 1 (ერთი) წლის შემდეგ არის შესასრულებელი, ე.ი. ფულადი ვალდებულების შესრულების დრო 2014 წლის პირველი იანვარია. ვალდებულება უნდა შესრულდეს ეროვნულ ვალუტაში იმ კურსით, რაც ხელშეკრულებით არის დადგენილი, მიუხედავად იმისა, თუ როგორია 2014 წლის პირველ იანვარს დოლარის მსყიდველობაუნარიანობა და მისი მიმართება ეროვნულ ვალუტასთან.

რისკი ნომინალიზმს არ ამართლებს, როდესაც ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილება გონივრულ მოლოდინს მიღმა, ანუ არაგანჭვრეტად რისკს წარმოადგენს. მაგალითად, ჰიპერინფლაცია, ფულის ერთეულის შეცვლა (ინდექსაცია). ასეთ შემთხვევებში, ნომინალიზმის პრინციპის დაცვა მხოლოდ საჯარო წესრიგის დაცვის მოსაზრებით შეიძლება იყოს გამართლებული.[36]

თუმცა, რიგ შემთხვევებში, მაგალითად, ჰიპერინფლაციისა, თუ სახელმწიფოს მხრიდან ფულის ნომინალის შეცვლის დროს (ინდექსაცია) ნომინალიზმის პრინციპის გამოყენებით მხარეთათვის ძალზედ არასამართლიანი შედეგი შეიძლება დადგეს. საერთო სამართლის ქვეყნები აღნიშნულ ხარვეზს სამოსამართლო სამართლის მეშვეობით ასწორებენ, რისი მიღწევაც კონტინენტურ ევროპაში, სამართლის შესაბამისი „დაწერილი“ ნორმის გარეშე, შეუძლებელია. თუმცა, აღნიშნული სისტემის ქვეყნებში დაწერილი სამართლის ნორმებზე დაყრდნობითაც შეიძლება გამოიძებნოს გამოსავალი, მაგალითად, მითითებული მოვლენა განხილულ იქნეს ფორს მაჟორად, ან მინიმუმ შეცვლილ გარემოებებად მაინც, რამაც ხელშეკრულების პირობების შეცვლა, გადახედვა ან შეწყვეტა უნდა გამოიწვიოს[37].

---

[34] *Kariv*, Contracts Under Monetary Fluctuations: The Legal Effects Of Devaluation, Northwestern University LAW REVIEW, Volume 65, September-October, Number 4, p. 542, http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/illlr65§div=31§collection=journals§set_as_cursor=0§men_tab=srchresults№551.

[35] *Hirschberg*, PublicPolicy and Monetary Nominalism, p.530, http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/israel8§div=41§collection=journals§set_as_cursor=0§men_tab=srchresults№540.

[36] *Kariv*, Contracts Under Monetary Fluctuations: The Legal Effects Of Devaluation, Northwestern University LAW REVIEW, Volume 65, September-October, Number 4, p. 542, http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/illlr65§div=31§collection=journals§set_as_cursor=0§men_tab=srchresults№551.

[37] *Brokelind*, Discussion of Some Legal Issues Raised by the Introduction of the Euro,p.10, http://www.cfe.lu.se/upload/LUPDF/CentrumforEuropaforskning/cfewp25.pdf.

7. ნომინალიზმის პრინციპიდან გამონაკლისები

ნომინალიზმის პრინციპის გამოყენება გრძელვადიან ვალდებულებებზე გაუმართლებელია. ეს პრინციპი მეტისმეტად ფართოა. გამონაკლისები დაშვებული უნდა იყოს დროის ხანგრძლივობის შესაბამისად.[38] გრძელვადიან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში, ფულის ერთეულის (კურსის) ცვლილება, შეიძლება განხილულ იქნეს, **როგორც შეცვლილი გარემოება და კონტრაგენტს შეცვლილი გარემოებისადმი ხელშეკრულების პირობების მისადაგება მოეთხოვოს,** თუმცა, შეცვლილ გარემოებად არ განიხილება ფულის კურსის ნებისმიერი ცვლილება, რომლის გათვალისწინება მხარეებს ხელშეკრულების დადების ეტაპზე გონივრული სახელშეკრულებო წინდახედულობის ფარგლებში მოეთხოვებოდათ, მაგალითად, ბინის ღირებულების იმგვარი ზრდა, რომელიც, ფულის კურსის ცვლილების გამო, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ბინის ფასების ზრდის ტენდენციას შეესაბამება. სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების პირობების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება **მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები, კერძოდ, ისეთი გარემოებების არსებობისას,** რისი გონივრული გათვალისწინებაც მხარეებს არ შეეძლოთ და რაც ისეთი მოულოდნელი და განსაკუთრებულია, რომ მისი მხედველობაში მიუღებლობა წინააღმდეგობაში მოვიდოდა კეთილსინდისიერების პრინციპთან. ბინების ფასების ზრდის ტენდენციის პირობებში კი მხარეებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, ევარაუდათ მომავალი წელიწადნახევრის მანძილზე ბინის ფასის კვლავ ზრდის მოსალოდნელობის შესახებ და ამის გათვალისწინებით განესაზღვრათ ბინის საფასურის გადახდის გრაფიკი.[39] სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებების მიმართ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები. ერთ-ერთ ასეთ გამონაკლისად, ფულის კურსის **მნიშვნელოვანი (არსებითი)** ცვალებადობა და **ვალუტის შეცვლა უნდა დასახელდეს, თუმცა, ხელშეკრულების საფუძვლის რღვევა შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოებათა ერთობლივი ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს[40]. იმისათვის, რომ ფულის კურსისა, თუ ვალუტის ცვლილება გრძელვადიან სამართლებრივ ურთიერთობაში მიჩნეულ იქნეს შეცვლილ გარემოებად და წარმოიშვას ხელშეკრულების პირობების მისადაგების ვალდებულება, აუცილებელია, დადგინდეს შემდეგი წინაპირობების არსებობა:** 1. შეცვლილმა გარემოებებმა უნდა გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმება; 2. გარემოება აშკარად უნდა შეიცვალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ; 3. გარემოებების შეცვლის გონივრულად გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს

---

[38] *Hirschberg*, Public Policy and Monetary Nominalism, p.536, http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/israel8§div=41§collection=journals§set_as_cursor=0§men_tab=srchresults№540.

[39] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.08.2008 გადაწყვეტილება, საქმეზე №ს-466-707-08.

[40] *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 389, გვ. 349-351.

შესაძლებელი არ უნდა იყოს, ანუ შეცვლილი გარემოებები არ უნდა შედიოდეს დაზარალებული მხარის კონტროლის სფეროში; 4. ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოებების შეცვლის რისკის დაზარალებული მხარისათვის დაკისრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობა მოქმედებს და 398-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია; 5. ხელშეკრულების შესრულების გართულება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ აშკარად შეცვლილ გარემოებათა გამო, ანუ არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.[41] [42] აღნიშნული წინაპირობების გათვალისწინებით, ფულის კურსის დასაშვები (პროგნოზირებადი, ტენდენციის შესაბამისი) ცვლილება, როგორც წესი, შეცვლილ გარემოებად არ მიიჩნევა, რაც შეეხება მკვეთრ ცვლილებას, მისი პროგნოზირება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კონტროლს მიღმა მოვლენად ითვლება. თუმცა, მარტოოდენ ფულის კურსის მკვეთრი ცვლილება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ვალდებულების საფუძვლის რღვევად. ამისათვის აუცილებელია, დადგინდეს, მიზეზობრივი კავშირი ფულის კურსის მკვეთრ ცვლილებასა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას შორის.

8. ვალუტის ცვლილება

ვალუტის შეცვლაში იგულისხმება ფულის ნიშნების სრული ან ნაწილობრივი შეცვლა ახალი ნიმუშის ფულის გამოშვებით, რაც ფულის რეფორმის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. მაგალითად, საქართველოში განხორციელებული ფულადი რეფორმის შედეგად ჯერ მანეთი შეიცვალა კუპონით, 1-1-ზე თანაფარდობით[43], ხოლო შემდეგ კუპონი ლარით, 1 000 0000 - 1 თანაფარდობით[44]. ასეთ შემთხვევაში გადახდა უნდა მოხდეს შეცვლილი ვალუტით, იმ თანაფარდობით, რაც ფულადი ერთეულების შეცვლის დღეს არსებობდა. ფულის მსყიდველობაუნარიანობა არც ამ შემთხვევაში მიიღება მხედველობაში. მაგალითად, თუ პირმა 1992 წელს 30 000 მანეთი ისესხა, 1996 წელს მან ეს ვალდებულება ლარში უნდა დააბრუნოს იმ თანაფარდობით, რაც ფულადი ერთეულების კურსის შეცვლის დღეს არსებობდა, შესაბამისად, მას ნაცვლად 30 000 მანეთისა, 0,03 ლარის დაბრუნების ვალდებულება ეკისრება[45].

ვალუტის ცვლილება სახელმწიფოში განხორციელებული ისეთი პროცესია, რომლის პროგნოზირება შეუძლებელია. შესაბამისად, მისი რისკის მატარებლები მხარეები ვერ იქნებიან. ამიტომაც, კანონი თავად აწესებს გადაანგარიშების მე-

[41] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.07.2010 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-7-6-2010.
[42] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.10.2011 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1153-1173-2011.
[43] „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონის გამოშვების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის [1]1993წ. 24 მარტის №246 დადგენილება.
[44] „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ლარის გაშვების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995წ. 16 სექტემბრის №363 ბრძანებულება.
[45] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.04.2008 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-820-1137-07.

თოდს, კერძოდ, ვალდებულება იმ კურსით უნდა შესრულდეს, რაც ვალუტათა გადაცვლის დღეს არსებობდა. ვალუტის შეცვლა, როგორც მხარეთა კონტროლს მიღმა არსებული გარემოება, გრძელვადიან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში უფრო მეტი ალბათობით, ვიდრე ფულის ერთეულის (კურსის) ცვლილება, შეცვლილ გარემოებას წარმოადგენს. მხარეები ვალუტის ცვლილებით დამდგარი ზიანის ანაზღაურებისაგან თავისუფლდებიან (სსკ 394). ზიანის ანაზღაურების საკითხი შეიძლება მხოლოდ მაშინ დადგეს, თუ ვალდებულება ვალუტის შეცვლამდე იყო შესასრულებელი. თუ ვალუტის შეცვლის შემდეგ ვალდებულების ვადადარღვევით შესრულებით კრედიტორს ზიანი მიადგა, მას იმ სხვაობის ანაზღაურების უფლება აქვს, რასაც იგი ვალუტის შეცვლამდე მიიღებდა და ვალუტის შეცვლის შედეგად ვეღარ მიიღო. იგივე უნდა ითქვას ვალუტის შეცვლის შემდეგ ვადაგადაცილებაზე, ასეთ შემთხვევაში, ვალდებულება მაინც ვალუტათა გადაცვლის დღეს არსებული კურსით უნდა შესრულდეს, თუმცა, თუ აღნიშნულმა კურსმა ფაქტობრივი შესრულების დღემდე ცვლილება განიცადა, რაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის ზიანის მომტანი იყო, მას აღნიშნული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა აქვს.

სამომხმარებლო კრედიტი

შესავალი

ტერმინი – სამომხმარებლო კრედიტი – გარკვეულ ტერმინოლოგიურ და სამართლებრივ აღრევას იწვევს. სამომხმარებლო კრედიტის ცნება საზოგადოებაში სხვა შინაარსობრივი დატვირთვითაა ცნობილი, ვიდრე წინამდებარე კვლევაში განხილული სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სამომხმარებლო კრედიტი. დღეის მდგომარეობით სამომხმარებლო კრედიტის არსი და დანიშნულება საზოგადოებაში კითხვის ნიშნებს არ ბადებს, რადგან ყველამ იცის, რომ **საკრედიტო ხელშეკრულება – ეს არის გარიგება საკრედიტო ორგანიზაციასა და მსესხებელს შორის, რა დროსაც,** კრედიტორი მსესხებელს, გარკვეული პირობებით, სესხის სახით, ფულად სახსრებს გადასცემს. შესაბამისად, კრედიტორსა და მსესხებელს შორის დგება ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, კრედიტორი გადასცემს ფულად სახსრებს (კრედიტს) მსესხებელს წინასწარ შეთანხმებული ოდენობით და ვადით, ასევე კრედიტორის სარგებლის მითითებით. კრედიტი შეიძლება გაიცეს უზრუნველყოფით (იპოთეკით, გირავნობით, თავდებობით) ან მის გარეშე, და ამ ყველაფერს საკრედიტო ორგანიზაცია განიხილავს ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ინდივიდუალურად. კრედიტი გაიცემა სხვადასხვა მიზნებისათვის და სხვადასხვა პირობებით, როგორც ფიზიკურ პირებზე, ასევე ბიზნესისათვის. კრედიტი შეიძლება გაიცეს, მაგალითად, ავტომანქანის, უძრავი ქონების, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და სხვა საქონლისა, თუ მომსახურების შესაძენად, ასევე სხვა ნებისმიერი მიზნისათვის. კრედიტის სახეებია – ავტოკრედიტი; საბანკო კრედიტი; სახელმწიფო კრედიტი; სესხი; იპოთეკური კრედიტი; კომერციული კრედიტი; კრედიტი იურიდიული პირებისათვის; ლომბარდი; ბანკთაშორისი კრედიტი; საერთაშორისო კრედიტი; საინვესტიციო კრედიტი; **სამომხმარებლო კრედიტი;** რევოლვერული კრედიტი; სინდიცირებული კრედიტი; საექსპერტო კრედიტი; ბიზნეს კრედიტი[1].

ამდენად, **სამომხმარებლო კრედიტი საბანკო კრედიტის ერთ-ერთი სახესხვაობაა.** სამომხმარებლო კრედიტი, რომელიც, ხშირად, **სამომხმარებლო სესხადაც იწოდება,** არის კრედიტი, რომელსაც კრედიტის მიმღები პირადი მოხმარებისათვის, გარკვეული საქონლის ან მომსახურების შესაძენად იღებს. სამომხმარებლო კრედიტით კრედიტის მიმღებს შეუძლია უზრუნველყოს საყოფაცხოვრებო ტექნიკის, წვრილმანი საოჯახო ნივთების, ყოველდღიური მოხმარების საგნების, მოგზაურობის და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. სამომხმარებლო კრედიტი (სესხი), როგორც წესი, მოკლევადიანია, არაუზრუნველყოფილია და მხოლოდ ფიზიკურ პირებზე გაიცემა. შესაბამისად, სხვა სესხებთან შედარებით ყველაზე ძვი-

[1] http://www.lari.ge/menu/17-kreditis-alqimia/13-kreditis-alqimia.html

რია. საპროცენტო განაკვეთი, ძირითადად, სესხის ვადაზე, მოცულობასა და კრედიტის (სესხის) მიმღების შემოსავალზეა დამოკიდებული[2] **(შემდგომში, მარტივი სამომხმარებლო კრედიტი).**

ხელშეკრულებათა ერთიანი ეკონომიკური კავშირი ის ძირითადი ინდიკატორია, რითაც 370-ე მუხლით გათვალისწინებული სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულება საბანკო ურთიერთობებში მოქმედი სამომხმარებლო კრედიტის (მარტივი სამომხმარებლო კრედიტი) ცნებისაგან განსხვავდება. საბანკო ურთიერთობებში დამკვიდრებული ტერმინი – სამომხმარებლო კრედიტი (აქ, მარტივი სამომხმარებლო კრედიტი) არ ქმნის ეკონომიკურ ერთიანობას იმ ხელშეკრულებებთან, რა მიზნითაც კრედიტის მიმღები სამომხმარებლო კრედიტს იღებს. **მართალია, სამომხმარებლო კრედიტი მიზნობრივია, თუმცა, კრედიტის მიმცემი აღნიშნული მიზნის მიღწევის გარანტიას არ იძლევა და არც მიზნის მიუღწევლობის რისკებს იღებს თავის თავზე. იგი საკრედიტო ხელშეკრულების მომზადების ან დადების დროს არც იმ მესამე პირის მონაწილეობას იყენებს, რომელთანაც მსესხებელი მიზნობრივი კრედიტის საფუძველზე სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის.** შესაბამისად, თუ სესხის მიზნობრიობიდან გამომდინარე, სესხის მიმღებს მესამე პირმა ხელშეკრულება დაურღვია, რის საფუძველზეც, სესხის მიმღებს მის მიმართ დასაბუთებული შესაგებლის წარდგენის უფლება წარმოეშვა, სესხის მიმღები აღნიშნული შესაგებლით საკრედიტო დაწესებულების წინააღმდეგ ვერ ისარგებლებს. ამდენად, ყოველდღიურ, საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგიურ კონტექსტში მარტივი სამომხმარებლო კრედიტი (სესხი) **მიზნობრივია**, თუმცა, მიზნობრივ ხელშეკრულებასთან ერთად ეკონომიკურ ერთიანობას არ ქმნის, **რადგან მიზნობრივი ხელშეკრულება საკრედიტო ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელია, როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.** მაგალითად, თუ ტურისტი, ტურისტული მოგზაურობისათვის მიზნობრივი სესხის მიღების შემთხვევაში, ტურისტული საწარმოს მომსახურებით უკმაყოფილო იქნება, საკრედიტო დაწესებულებას სესხის მთლიანად ან ნაწილობრივ უკან დაბრუნებაზე, ან სარგებლის გადახდაზე უარს ვერ ეტყვის, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, მას ტურისტული საწარმოს მიმართ შესაგებელი კრედიტის გამცემის მიმართ შესაგებლის წარდგენის უფლებას არ წარმოუშობს.

წინამდებარე კვლევის დანიშნულება არ არის სამომხმარებლო კრედიტის (სესხის) ანალიზი, ზემოაღწერილი შინაარსითა და დანიშნულებით **(მარტივი სამომხმარებლო კრედიტი)**. **კვლევა ეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებულ სამომხმარებლო კრედიტს, რომელიც სამართლებრივად აბსოლუტურად განსხვავებული კატეგორიაა და შესაბამისად, მისი დანიშნულება და სამართლებრივი რეგულირებაც განსხვავებულია.**

[2] http://nbg.gov.ge/cp/index.php?m=529

1. სამომხმარებლო კრედიტის არსი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლის მიხედვით

სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლის სათაურია – „სამომხმარებლო კრედიტი“. რაც შეეხება მუხლის შინაარსს, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამომხმარებლო კრედიტის დროს კრედიტის მიმღებს შეუძლია უარი თქვას კრედიტის დაბრუნებაზე, თუ ამ კრედიტთან დაკავშირებული სასყიდლიანი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელი გამყიდველის მიმართ მას მიანიჭებდა თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ნასყიდობის ხელშეკრულება საკრედიტო ხელშეკრულებასთან ერთად ქმნის ურთიერთდაკავშირებულ გარიგებას, თუ კრედიტი ემსახურება შესასყიდი ფასის დაფინანსებას და ორივე ხელშეკრულება განიხილება როგორც ეკონომიკური ერთიანობა. ეკონომიკურ ერთიანობად ჩაითვლება, როცა კრედიტის მიმცემი საკრედიტო ხელშეკრულების მომზადების ან დადების დროს გამყიდველის მონაწილეობას იყენებდა.

აღსანიშნავია, რომ მითითებულ ნორმასთან მიმართებით ქართული თეორია და სასამართლო პრაქტიკა მწირია, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ არის. მუხლის შინაარსი, მისი დანიშნულება და სამართლებრივი შედეგები, საზოგადოებისათვის უცნობია. ამიტომაც მითითებული ნორმის გამოყენება ბიზნეს გარიგებებში ნაკლებად ხდება, მაშინ, როდესაც, აღნიშნული ნორმის შინაარსი, ბიზნეს თვალსაზრისით, საინტერესოა. **ნორმის მიზანი საბაზრო ეკონომიკის განვითარება და სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებაა.** ნორმა, სამართლებრივი, თუ ეკონომიკური თვალსაზრისით, უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების ისეთ შესაძლებლობას იძლევა, რომლის საფუძველზეც, მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობებში უფრო მარტივად შედიან, ვინაიდან ასეთი კატეგორიის გარიგებებში ვალდებულების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულების სამართლებრივი რისკები უფრო მეტადაა დაზღვეული.

370-ე მუხლის ანალიზის მიზნებისათვის, ძირითადად მისი გერმანული პირველწყარო, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 358-ე და 359-ე მუხლები გამოიყენება[3]. შესაბამისად, მუხლის ინტერპრეტაცია, ძირითადად, აღნიშნული მუხლების კომენტარებსა და სხვა გერმანულენოვან წყაროებზე დაყრდნობით ხდება.

სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლი აწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ორი სამართლებრივად დამოუკიდებელი ხელშეკრულება იდება, რომლებიც ერთმანეთთან ისე არიან დაკავშირებულნი, რომ საერთო ჯამში, **ეკონომიკური ერთიანობა იქმნება.** ხელშეკრულებათა ტიპს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ერთი ხელშეკრულებით მეორე ხელშეკრულება ფინანსდებოდეს და ამ ორ ხელშეკრულებას შორის ეკონომიკური ერთიანობა არსებობდეს[4]. სამომხმარებ-

[3] *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, გვ. 256-259.
[4] *MüKo/Habersack*, BGB, 6. Aufl., 20 12, § 358 Rn 2.

ლო კრედიტის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებები, მართალია, **სამართლებრივი თვალსაზრისით, თვითმყოფადობით ხასიათდება,** თუმცა, მათ შორის, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ მჭიდრო სამართლებრივი ურთიერთკავშირია, რაც ნათლად აისახება იმ სამართლებრივ შედეგებში, **რომელიც აღნიშნული კატეგორიის ხელშეკრულებების დადებას, შესრულებას, დარღვევასა, თუ შეწყვეტას მოყვება.** 370-ე მუხლით რეგულირებული სამომხმარებლო კრედიტის მოქმედების ფარგლებში ექცევა ისეთი შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, ბანკი A მსესხებელ B-ს კრედიტს მხოლოდ იმ მიზნით უმტკიცებს, რომ მან მაღაზია C-ში მაცივარი შეიძინოს. როგორც წესი, ამგვარი საკრედიტო ხელშეკრულების არსებითი პირობაა მაღაზიის პასუხისმგებლობა მასზედ, რომ კრედიტის მიმღები მაღაზია C-ში ხარისხიან მაცივარს მიიღებს. თუ მაცივარი წუნდებული იქნება, A-ს C-თან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ეძლევა, ამავდროულად, A B-ს წინაშე კრედიტის დაბრუნების ვალდებულებისაგან თავისუფლდება. საბოლოო ჯამში, კრედიტის დაბრუნების ვალდებულება, ზიანის ანაზღაურების სახით, C-ს წარმოეშობა. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლი სწორედ ამგვარ ფაქტობრივ კონსტელაციას შეიცავს, შესაბამისად, იმისათვის, რომ სამართალურთიერთობა სამომხმარებლო კრედიტად დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია, იგი მითითებული მუხლით გათვალისწინებულ ფაქტობრივ მოცემულობას აკმაყოფილებდეს.

სამოქალაქო ბრუნვა ურთიერთობათა ერთიან ციკლს მოიცავს, რომელშიც მოვალე პასუხისმგებელია მაშინაც, როცა შესრულების საგანი „სხვა პირისაგან“ უნდა მიეღო და ვერ მიიღო. **სამომხმარებლო კრედიტის ფარგლებში ერთიანი ეკონომიკური ურთიერთკავშირი გულისხმობს იმას, რომ „სხვა პირის“ მხრიდან შეუსრულებლობა მოვალეს შესრულების ვალდებულებისაგან ათავისუფლებს, ვინაიდან „სხვა პირთან“ სამართალურთიერთობაში შესვლის რისკებს, სამომხმარებლო კრედიტის გაცემის გზით, კრედიტის გამცემიც იღებს.** მსესხებელს კრედიტის გამცემის მიმართ იგივე შესაგებლის წარდგენის უფლება აქვს, რაც „სხვა პირის“ მიმართ, რომელიც თავის მხრივ, იმ ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულების მხარეა, რომელთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის მიზნითაც კრედიტის მიმღებმა (მსესხებელმა) სესხი (კრედიტი) აიღო.

ნორმას დაცვითი ფუნქციაც გააჩნია. ნორმა მომხმარებელს იმ განსაკუთრებული საფრთხისაგან იცავს, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით, **ერთიანი გარიგების ნასყიდობისა** (საქონლის მიწოდებისა თუ მომსახურების გაწევის სხვა ხელშეკრულების) **და სესხის** (კრედიტის) **ხელშეკრულებებად დაყოფით შეიძლება წარმოიშვას**[5]**.** სწორედ დაცვის მიზნიდან გამომდინარე, ნორმა ერთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, მეორე ხელშეკრულებაზეც ავრცელებს. უფრო მეტიც, ნორმა მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, ნასყიდობის (საქონლის

[5] იქვე, ველი 1.

მიწოდებისა, თუ სხვა სახის მომსახურების) ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელი სესხის (კრედიტის) ხელშეკრულებაზეც გაავრცელოს[6].

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლის მოქმედების ფარგლები

370-ე მუხლი აწესრიგებს ისეთ სამართალურთიერთობას, როდესაც სახეზეა ორი დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომლებიც, ეკონომიკური თვალსაზრისით, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან. ხელშეკრულებათა მჭიდრო ეკონომიკური კავშირი აღნიშნული სამართალურთიერთობის ერთიან ხელშეკრულებად აღქმის შესაძლებლობას იძლევა, რაც, საერთო ჯამში, კანონმდებლის მიერ სამომხმარებლო კრედიტად იწოდება.

370-ე მუხლის **სიტყვა-სიტყვითი განმარტების შედეგად,** სამომხმარებლო კრედიტი ორი თვისობრივად დამოუკიდებელი, თუმცა, ერთმანეთზე ეკონომიკური თვალსაზრისით დამოკიდებული ხელშეკრულებისაგან შედგება. აღნიშნული ხელშეკრულებები ნორმის ტექსტში სახელდებით არის მოცემული. ესენია **საბანკო კრედიტისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები.** დასახელებულ ხელშეკრულებათა ეკონომიკური ერთიანობა გამოიხატება არა მხოლოდ იმაში, რომ **კრედიტი შესასყიდი ფასის დაფინანსებას ემსახურება,** არამედ იმაშიც, რომ **კრედიტის გამცემი, საკრედიტო ხელშეკრულების მომზადების ან დადების დროს, გამყიდველის მონაწილეობას იყენებს[7].**

370-ე მუხლის ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტების შედეგად, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, ნაცვლად საბანკო კრედიტის ხელშეკრულებისა, შეიძლება არსებობდეს სესხის ხელშეკრულება (სსკ[8] 623), ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების ნაცვლად – საქონლის მიწოდების სხვა ხელშეკრულება ან მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება[9]. 370-ე მუხლის შემადგენლობას იძლევა დასახელებულ ხელშეკრულებათა ისეთი ურთიერთკავშირი, როდესაც სესხი მთლიანად ან ნაწილობრივ მეორე ხელშეკრულების დაფინანსებას ემსახურება და ორივე ხელშეკრულება ეკონომიკურ ერთიანობას ქმნის[10].

ამდენად, 370-ე მუხლის, როგორც სიტყვა-სიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი ახსნა-განმარტების შედეგად, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულება, ისეთ ხელშეკრულებათა ეკონომიკური ერთიანობაა, როდესაც ერთი ხელშეკრულებით (სესხი, საბანკო კრედიტი) მეორე ხელშეკრულება (ნასყიდობა, საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის სხვა ხელშეკრულება) ფინანსდება.

---

6 *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, გვ. 256-257.
7 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III. მუხლი 370, გვ. 301.
8 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. შემდგომში: სსკ.
9 *MüKo/Habersack*, BGB, 6. Aufl., 20 12, § 358 Rn 11.
10 *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, გვ. 256.

3. სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულების ფორმა

ხელშეკრულებათა **ეკონომიკური ერთიანობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება არსებობდეს.** იგი ერთიანი, სამმხრივი ხელშეკრულების სახით შეიძლება დაიდოს, რომელსაც ხელს ორივე ხელშეკრულების მხარეები მოაწერენ. ამგვარად გაფორმებულ სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში მოცემულია, როგორც **საბანკო კრედიტის (სესხის), ასევე – ნასყიდობის ხელშეკრულების (საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის სხვა ხელშეკრულებების) არსებითი პირობები.** ხელშეკრულებას კი ხელს აწერენ, როგორც კრედიტის გამცემი (გამსესხებელი), ასევე კრედიტის მიმღები (მსესხებელი) და გამყიდველი (მენარდე, ტურისტული საწარმო და ა.შ.).

სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულება **ორი დამოუკიდებელი ხელშეკრულების ფორმითაც** შეიძლება დაიდოს**,** თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობები ისეთ დებულებებს უნდა ითვალისწინებდეს, რომელთა შინაარსი ხელშეკრულებათა ერთიანი ეკონომიკური კავშირის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, მხარეები სახელშეკრულებო პირობებს უნდა იცნობდნენ, უფრო მეტიც, **გამყიდველი (საქონლის მიმწოდებელი, მომსახურების გამწევი) საკრედიტო ხელშეკრულების მომზადებასა და დადებაში უნდა იყოს ჩართული.** თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ხელშეკრულების პირობების გაცნობა და თუნდაც, მისი მომზადების პროცესში ჩართულობა იმ პირთათვის, რომლებიც ხელშეკრულებას ხელს არ აწერენ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების წარმომშობი ვერ იქნება. მაგალითისათვის, ტექნიკის მაღაზიაში ტექნიკის შეძენა განვადებით, რა დროსაც, ბანკის წარმომადგენელთან საბანკო კრედიტის ხელშეკრულება იქვე ფორმდება, ერთი შეხედვით, ორი ხელშეკრულების (ნასყიდობა, საბანკო კრედიტი) ეკონომიკურ ერთიანობას ქმნის, თუმცა, აღნიშნული სამართალურთიერთობა სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლის რეგულირების ფარგლებში არ ექცევა, რადგან საკრედიტო ხელშეკრულება შესაძენი ნივთის ვარგისიანობის გარანტიას არ იძლევა.

ერთიანი ეკონომიკური კავშირის დადგენის მიზნებისათვის, აუცილებელია, არა მხოლოდ ორი ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულების არსებობა, რომელსაც ეკონომიკურ ერთობაში მონაწილე ყველა მხარე აწერს ხელს, არამედ სავალდებულოა, რომ კრედიტის (სესხის) გამცემი ამა თუ იმ ფორმით მიზნობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯეროვანი შესრულებისათვის გარკვეულ პასუხისმგებლობას იღებდეს. ორი ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულება შეიძლება ერთი ხელშეკრულების ფორმითაც არსებობდეს, მაგალითად, როდესაც საკრედიტო (სესხის) ხელშეკრულება შეიცავს ისეთ დათქმას, რომლის მიხედვითაც, საკრედიტო (სესხის) ხელშეკრულების მხარეები დაკავშირებული გარიგების (ნასყიდობა, ტურისტული მომსახურება და ა. შ.) პირობებს იცნობენ და მას წინამდებარე ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილად აღიარებენ.

4. სუბიექტები

მუხლის სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტების შედეგად, მუხლში მოხსენიებული სუბიექტები არიან **კრედიტის გამცემი, კრედიტის მიმღები და გამყიდველი.** ამ სამართალურთიერთობაში მოიაზრება მყიდველიც, რომელიც საკრედიტო ურთიერთობის ნაწილში, კრედიტის მიმღებია.

ა) კრედიტის გამცემი

კრედიტის გამცემი არის ბანკი ან სხვა ისეთი დაწესებულება, რომელსაც ანაბრების მიღებისა ანდა ფულადი სახსრების გაცემის ლიცენზია აქვს. კრედიტში საბანკო კრედიტი იგულისხმება, რომელიც, თავისი არსით, დაბრუნებადობის, ფასიანობის, უზრუნველყოფადობისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი სახსრების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულებაა[11]. საბანკო კრედიტი სასესხო ურთიერთობის სპეციფიკური გამოვლინებაა. მას, ჩვეულებრივი სესხისაგან განსხვავებული თავისებურებები ახასიათებს: საკრედიტო ურთიერთობაში ერთ-ერთ აუცილებელ მხარედ ყოველთვის გამოდის ბანკი ან ისეთი დაწესებულება, რომელსაც ანაბრების მიღებისა ანდა ფულადი სახსრების გაცემის ლიცენზია გააჩნია[12]. ასეთია კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. 370-ე მუხლის კონტექსტში, კრედიტის გამცემად მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტების მიჩნევა **ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან მომდინარეობს** და, ძირითადად**, ნორმის ტექსტში სასესხო ურთიერთობის სახედ საკრედიტო ურთიერთობის მითითებას ეფუძნება,** თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომლის შესაბამისადაც, სამომხმარებლო კრედიტის გამცემია ნებისმიერი მეწარმე ან პროფესიონალი კრედიტის გამცემი, ხოლო კრედიტი კი არის არა მარტო სესხი, არამედ ყველა სხვა გადახდის გადავადება და ფინანსური დახმარება[13]. 370-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე, აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულ უნდა იქნეს და კრედიტის გამცემის ცნება უნდა გაფართოვდეს. მასში უნდა მოიაზრებოდეს, არა მხოლოდ ანაბრების მიღების, ანდა ფულადი სახსრების გაცემის ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, **არამედ ნებისმიერი ფიზიკური, თუ იურიდიული პირი, რომელიც სესხს მიზნობრივად გასცემს და ეკონომიკურად ურთირთდაკავშირებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესაგებელზე პასუხისმგებლობას იღებს.**

---

[11] „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი.

[12] *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, მუხლი 867, გვ. 194.

[13] *Schellhammer*, Zivilrecht nach Anspruchsgrundlagen: BGB Allgemeiner Teil und gesamtes Schuldrecht mit Nebengesetzen, 1994, S.130, *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III. მუხლი 370, გვ. 301.

ბ) კრედიტის მიმღები

საბანკო ურთიერთობებში დამკვიდრებული ტერმინის შესაბამისად, სამომხმარებლო კრედიტის მიმღები, მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს[14]. თუმცა, ნორმით მოწესრიგებული სამართალურთიერთობა განსხვავდება ხსენებული სამომხმარებლო კრედიტის (სესხის) ხელშეკრულებისაგან. შესაბამისად, 370-ე მუხლის კონტექსტში, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში სამომხმარებლო კრედიტის მიმღები შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური, თუ იურიდიული პირი, რომელსაც კრედიტი არსებობისათვის სჭირდება[15]. 370-ე მუხლის დანიშნულებიდან გამომდინარე, აღნიშნული წრე კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და მას ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი უნდა დაემატოს, რომელსაც სესხი (კრედიტი) მხოლოდ არსებობისათვის კი არა, არამედ, სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის მიზნით სჭირდება. მაგალითად, სესხის სახით მიღებული თანხით შესყიდულ პროდუქციას სესხის (კრედიტის) მიმღები პირადი მოხმარებისათვის კი არ იყენებს, არამედ აღნიშნული პროდუქციით სარეალიზაციოდ გასატან მზა ნაწარმს ამზადებს. იურიდიულ ლიტერატურაში გამსესხებელი (კრედიტის გამცემი), ხშირად, მომხმარებლად მოიხსენიება[16].

გ) გამყიდველი

370-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტების შესაბამისად, სამომხმარებლო კრედიტის ფარგლებში საკრედიტო ხელშეკრულებასთან ეკონომიკურ კავშირში არსებული ხელშეკრულება – ნასყიდობის ხელშეკრულებაა, შესაბამისად, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, კრედიტის გამცემთან და კრედიტის მიმღებთან ერთად, რომელიც, თავის მხრივ, მყიდველიცაა, **ეკონომიკური ერთიანობის მონაწილედ გამყიდველიც განიხილება.** თუმცა, ნორმის მიზნიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, საკრედიტო (სასესხო) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეიძლება იყოს არა მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ **საქონლის მიწოდების სხვა ხელშეკრულება, ასევე მომსახურების ხელშეკრულებები.** ამდენად, სამომხმარებლო კრედიტის სუბიექტი, გარდა კრედიტის გამცემისა (გამსესხებელი) და კრედიტის მიმღებისა (მსესხებელი), გამყიდველიც არის. დაკავშირებული ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, სამომხმარებლო ხელშეკრულების მონაწილე ნაცვლად გამყიდველისა, მენარდე, ტურისტული საწარმო და ა. შ. შეიძლება იყოს. გამყიდველი, იურიდიულ ლიტერატურაში, ხშირად, მეწარმედ მოიხსენიება[17].

---

[14] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 13 მაისის №35/14 ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი.

[15] *Schellhammer*, Zivilrecht nach Anspruchsgrundlagen: BGB Allgemeiner Teil und gesamtes Schuldrecht mit Nebengesetzen, 1994, S.130, *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III. მუხლი 370, გვ. 301.

[16] *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, გვ. 258.

[17] იქვე, გვ. 258.

5. შესაგებლის უფლება

ურთიერთდაკავშირებულ ხელშეკრულებათა ეკონომიკური ერთობის დროს (სამომხმარებლო კრედიტი) ერთ ხელშეკრულებაზე გაცხადებული უარი მასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაზეც ვრცელდება და ორივე ხელშეკრულება უკუქცევის რეჟიმში გადადის[18]. **ერთი ხელშეკრულების მიმართ არსებული შესაგებლის გავრცელება მეორე ხელშეკრულებაზე იცავს მსესხებელს (კრედიტის მიმღებს) სესხის (კრედიტის) უკან დაბრუნების ვალდებულებისაგან იმ შემთხვევებში, როდესაც ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულების მხარე (გამყიდველი, ტურისტული მომსახურების მომწყობი და ა. შ.) ვალდებულებას ჯეროვნად არ ასრულებს.** აღსანიშნავია, რომ ერთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლის გავრცელება მეორე ხელშეკრულებაზე გამოიყენება მხოლოდ ნასყიდობის (საქონლის სხვა სახის შეძენის ან მომსახურების გაწევის) **ხელშეკრულების ნაკლოვანი შესრულების შემთხვევაში.** ნაკლოვანი შესრულების გამო წარმოშობილი შესაგებელი **ვრცელდება სესხის (კრედიტის) ხელშეკრულებაზე და არა პირიქით (სესხიდან გამომდინარე შესაგებელი არ ვრცელდება ნასყიდობის ხელშეკრულებაზე)**[19]**.**

ნორმით გათვალისწინებული შესაგებლის გავრცელების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული ნორმა იცავს მსესხებელს (კრედიტის მიმღებს) სესხის (კრედიტის) სახით მიღებული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულებისაგან, მაშინ, როდესაც გამყიდველმა (მომსახურების გამწევმა და ა.შ.) მასზე დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა. მსესხებელი (კრედიტის მიმღები) უფლებამოსილია, **მართლზომიერი შესაგებლის არსებობის პირობებში,** უარი თქვას ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რითაც იგი სესხის (კრედიტის) დაბრუნების ვალდებულებისაგან თავისუფლდება. ასეთ შემთხვევაში, სესხის (კრედიტის) გამცემს სესხის დაფარვის მოთხოვნის უფლება გამყიდველის მიმართ წარმოეშობა. **ამდენად, 370-ე მუხლი მოქმედებს მაშინ, როდესაც სახეზეა ორი დამოუკიდებელი ხელშეკრულების ურთიერთკავშირი, სადაც სესხი (კრედიტი) გაიცემა მხოლოდ იმიტომ, რომ დაიდოს მასთან ეკონომიკურად დაკავშირებული ნასყიდობისა, თუ სხვა სახის ხელშეკრულება.** ნიშანდობლივია, ასევე, რომ ნორმის გამოყენების ფარგლებში, გამსესხებელი და გამყიდველი, როგორც წესი, **ურთიერთდაკავშირებული სუბიექტები არიან** და მათ შორის შემდეგი **სახის ეკონომიკური შეთანხმება (გათვლა) არსებობს:** მომხმარებლის დაფინანსება ამა თუ იმ გარიგების დადების მიზნით (ხელშეკრულების დადების წახალისება), რის შედეგადაც მომხმარებელმა მეწარმისაგან ჯეროვანი შესრულება უნდა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეწარმე თავად იღებს სესხისა და მასთან დაკავშირებული დანახარჯების გამსესხებლისათვის (დამფინანსებლისათვის) დაბრუნების ვალდებულებას. ამდენად, ეკონომიკური თვალსაზრისით დაკავში-

[18] *კროპჰოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი,* გვ. 256.
[19] იქვე, გვ. 258.

რებული გარიგებით, მომხმარებლის მხრიდან **სესხის აღების რისკი,** რომელიც მიზნობრივი ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით არის განპირობებული, გამსესხებლის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობით არის დაზღვეული.

მომხმარებელი მხოლოდ მაშინ თავისუფლდება გამსესხებლისათვის თანხის დაბრუნების ვალდებულებისაგან, როდესაც **სესხის (საკრედიტო) ხელშეკრულება ნამდვილია და მისი შესაგებელი, ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე, მართლზომიერია, ანუ როდესაც კრედიტი (ნასესხები თანხა) გამყიდველს გამსესხებლისაგან უკვე მიღებული აქვს, თუმცა, იგი მომხმარებელს ხელშეკრულების შესაბამის საპასუხო შესრულებას არ სთავაზობს**[20]**.**

ნამდვილი გარიგების არსებობისას გამსესხებლის მიერ მომხმარებლისათვის გადახდილი თანხის უკან გამოთხოვა დაუშვებელია. **მხოლოდ ბათილი გარიგება იძლევა გამსესხებლის მიერ მომხმარებლისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებას (სსკ 385).** სხვა შემთხვევაში, გამსესხებლის მოთხოვნა, მომხმარებლის მიმართ სესხის დაფარვის თაობაზე, ვალდებულების შესრულებას ემსახურება (სსკ 361). რაც შეეხება ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად გამსესხებლის მიერ მომხმარებლისათვის გასესხებული თანხის უკან დაბრუნებას, აღნიშნული მოთხოვნა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მომხმარებლის მიმართ და არა გამყიდველის წინააღმდეგ საფუძვლიანი, თუ სახეზე არ არის მსესხებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

დასკვნა

სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება განვითარებული სამართლის ქვეყნებში ერთ-ერთი აქტუალური სამართლებრივი საკითხია, რასაც აღნიშნული ხელშეკრულების პრაქტიკაში აქტიური გამოყენება განაპირობებს. მითითებული ხელშეკრულებით სარგებლობა, ბიზნეს თვალსაზრისით, მრავალმხრივ საინტერესოა. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში სესხის (კრედიტის) ამღები მიზნობრივ სესხს (კრედიტს) იღებს. მიზნობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ხარისხს სესხის (კრედიტის) გამცემი უზრუნველყოფს. უზრუნველყოფა იმაში მდგომარეობს, რომ თუ მომხმარებელი მიზნობრივი ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილი ქონებით, ან გაწეული მომსახურებით უკმაყოფილო იქნება, იგი მიზნობრივი კრედიტის გამცემის მიმართ შესაგებლის უფლებას იძენს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მისი პრეტენზია დასაბუთებული აღმოჩნდება და, შესაბამისად, სახეზე იქნება ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა, სესხის (კრედიტის) ამღები კრედიტის დაბრუნების ვალდებულებისაგან გათავისუფლდება. სესხის (კრედიტის) გამცემი კი

[20] BGH aaO Nr 56; aA BGH NJW 2003, 2821, 2823f; *Bartels* ZGS 2009, 544, 547f *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, გვ. 259.

სესხად გაცემულ თანხას, ზიანის სახით, გამყიდველისაგან (მომსახურების გამწევისაგან) აინაზღაურებს.

ამდენად, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულება უზრუნველყოფს მიზნობრივი კრედიტის გაცემას, ამავდროულად კრედიტის გამცემი უზრუნველყოფს მიზნობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ხარისხს, შესაბამისად, სესხის (კრედიტის) ამღები, არაჯეროვანი შესრულებისაგან დაცულია. თავის მხრივ, სესხის (კრედიტის) გამცემს და მიზნობრივი მომსახურების გამწევს ერთიანი ეკონომიკური ერთობა აქვთ, რაც ფინანსურ სარგებელს იძლევა.

სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება

1. მტკიცებულებათა წარდგენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სამართალწარმოება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეები თავადვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) სასამართლოში შეტანის შესახებ **(დისპოზიციურობის პრინციპი).** ამასთან, თავად მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები **(შეჯიბრებითობის პრინციპი).** ამდენად, ის პროცესუალური შედეგი, რომელსაც მხარეები იღებენ, დიდწილად მათივე წარდგენილი სარჩელისა და შესაგებლის კვალიფიციურობაზე, ფორმალურ გამართულობასა და დასაბუთებულობაზე არის დამოკიდებული [1]. სწორედ მოსარჩელეა პირი, რომელიც, სრულყოფილი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის გზით, ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების პერსპექტივას [2], ამავდროულად, სწორედ მოპასუხეა პირი, რომელიც, მოთხოვნის შემაფერხებელი ან მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლის წარდგენის გზით, კვალიფიციურ შედავებას ახორციელებს და მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავს[3]. **აღნიშნულ პროცესში მოსამართლე მიუკერძოებელი არბიტრია, რომელიც იმ სახის სამართალს დაადგენს, რა სახის ფაქტებსაც მიიღებს.** სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი პრინციპი, **„მომეცი ფაქტები, მოგცემ სამართალს“** („da mihi facta, dabo tibi ius“)[4] კარგად ასახავს მოსამართლის როლს სამოქალაქო სამართალწარმოებაში, რა დროსაც სასამართლო სამართალწარმოება მხოლოდ მხარეთა მიერ მიცემული ფაქტების სამართლებრივი შეფასებით შემოიფარგლება.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი ზოგადი წესის მიხედვით, ფაქტების მტკიცების ტვირთი მხარეებს ეკისრებათ[5]. აღნიშნული წესი ნორმატიულადაა განმტკიცებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვ-

---

[1] *შმიტი, რიჰტერი*, „მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში“, მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში, თბილისი, 2013, გვ. 8.

[2] იქვე, 9.

[3] იქვე, 14.

[4] *ბიოლინგი, ჭანტურია, „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა“, თბილისი, 2004, გვ. 42.*

[5] *ლილუაშვილი, ხრუსტალი,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014, გვ. 198.

ნებსა და შესაგებელს (სსსკ[6] 102.1). სასამართლოს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების სისწორეში დასარწმუნებლად ალბათობის მაღალი ხარისხით სარწმუნო მტკიცებულებები სჭირდება[7]. შესაბამისად, მხარეები სარჩელსა, თუ შესაგებელში მარტოოდენ ფაქტების მითითებით, მათთვის სასურველ შედეგს ვერ მიიღებენ, თუ აღნიშნული ფაქტების არსებობა, კანონით დაშვებული მტკიცებულებების წარდგენის გზით, არ დაამტკიცეს. შესაბამისი მტკიცების გარეშე ფაქტი დადასტურებულად მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში ითვლება, კერძოდ, მაშინ, როდესაც მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტს მოპასუხე დაეთანხმება (ფაქტის აღიარება) (სსსკ 131), თუ, რაღა თქმა უნდა, ფაქტი სპეციალურ მტკიცებას არ საჭიროებს, მაგალითად, როგორიცაა, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, დაბადება, გარდაცვალება, რეგისტრირებული ქორწინება და ა. შ. ან, როდესაც მოპასუხე შესაგებელს არ წარადგენს, ან სხდომაზე არ გამოცხადდება და მოსარჩელე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას იშუამდგომლებს (სსსკ 230, 232[1]). ასეთ ვითარებაში სარჩელში მითითებული ფაქტები, შესაბამისი მტკიცებულებების შემოწმების გარეშე, დადასტურებულად ითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე მიმდინარეობს, ეს მოცემულობა არ არის შეუზღუდავი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეჯიბრის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობებსაც ითვალისწინებს. მათი უმრავლესობა პირდაპირ, ცალსახად არ გულისხმობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედებაში ჩარევასა და პროცესში ინკვიზიციური მეთოდების შემოტანას, **მაგრამ ირიბად მოსამართლეს უფლებას აძლევს, საკუთარი ქმედებებით საქმის მიმდინარეობაზე გავლენა მოახდინოს.** საგულისხმოა, რომ არც კანონმდებლობა და არც დოქტრინა განმარტავს, ზოგადი დანაწესის არსებობისას, სად გადის მიჯნა შეჯიბრებითობის პრინციპში არათანაზომიერ ჩარევასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას შორის[8]. თუმცა, სასამართლო პრაქტიკა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახული ნორმების, ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზისა და დოქტრინალურად განმტკიცებული შეჯიბრებითობის კონტექსტის გათვალისწინებით, ადგენს, რომ **მოსამართლის როლი მტკიცებულებათა შეგროვების პროცესში მინიმალისტური, თუმცა, არსებითია.** სასამართლოს ფუნქცია მხარეთა შეჯიბრის წარმართვაა, თანაც იმგვარად, რომ მხარეებს საპროცესო თავდაცვის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამ ფარგლებში სასამართლო, სადავო ფაქტების გათვალისწინებით, მტკიცების საგანს განსაზღვრავს და, საპროცესო, თუ მატერიალური კანონმდებლობის დანაწესებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს ანაწილებს[9]. სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებით, თუმცა, მითითებუ-

---

[6] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. შემდგომში: სსსკ.

[7] *ციპელიუსი*, „იურიდიული მეთოდების მოძღვრება“, მიუნხენი, 2006, გვ. 109.

[8] *დეკანოსიძე*, „შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თანამედროვე სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017წ., გვ. 128-155.

[9] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.11.2017 განჩინება, საქმეზე №ას-1004-925-2017.

ლი ფაქტების ფარგლებში, უფლებამოსილია, მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა შესთავაზოს[10]. ამასთან, ნიშანდობლივია განიმარტოს, თუ რა იგულისხმება სასამართლოს უფლებაში, მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა შესთავაზოს. აღნიშნული გულისხმობს, რომ სასამართლომ მხარეს სარჩელსა, თუ შესაგებელში მითითებული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენის წინადადება მისცეს, მაგალითად, თუ მოსარჩელე უთითებს ფაქტს, რომ იგი სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეა, შესთავაზოს საჯარო რეესტრიდან შესაბამისი ამონაწერის წარმოდგენა, ან თუ მოპასუხე შესაგებელში ნასყიდობის ფასის უნაღდო (საბანკო გადარიცხვის გზით) ანგარიშსწორებაზე უთითებს, მისცეს წინადადება, რომ საბანკო ამონაწერი წარმოადგინოს და ა. შ. დოქტრინაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით, სასამართლოს უფლება, შესთავაზოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, უნდა ემსახურებოდეს სიმართლის გარკვევას და არ უნდა გაკეთდეს რომელიმე მხარისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით[11], მით უფრო, არ უნდა მოხდეს ამ გზით მხარეთა შეჯიბრებითობის უფლების ხელყოფა[12]. აღნიშნული პრინციპი დაცული იქნება, თუ სასამართლო დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შეთავაზებით, მხარეს საქმისათვის მნიშვნელოვან დამატებით ფაქტებს არ განუმარტავს და მხოლოდ უკვე მითითებული ფაქტების დადასტურების წინადადებას მისცემს. ამასთან, **სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს კონკრეტული მტკიცებულების დასახელებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფაქტი სპეციალურ მტკიცებას საჭიროებს, ან თუ მხარე მტკიცებულების სახეზე თავად უთითებს,** მაგალითად, სპეციალურ მტკიცებას საჭიროებს გარემოებები, რომელთა დადასტურება მარტოოდენ კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებებითაა შესაძლებელი, მაგ. საჯარო რეესტრის ამონაწერი, ქორწინების, დაბადების, გარდაცვალების მოწმობები და ა. შ. მხარის მიერ მტკიცებულების დასახელება კი ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ფაქტი თავად აღწერს მტკიცებულების სახეობას, მაგალითისათვის, მხარე უთითებს, რომ გადახდა უნაღდო (საბანკო) ანგარიშსწორების წესით განხორციელდა, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, სასამართლო კი არ განუსაზღვრავს მხარეს, თუ რომელი მტკიცებულებით უნდა დაადასტუროს ესა თუ ის ფაქტი, არამედ აძლევს წინადადებას, მის მიერ მითითებული ფაქტი მის მიერვე მითითებული მტკიცებულებით, მოცემულ შემთხვევაში, საბანკო ამონაწერით, დაამტკიცოს. იგივე წესი ვრცელდება სასამართლოს კიდევ ერთ შესაძლებლობაზე, მხარეებს მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა მისცეს, კერძოდ, მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად, მოსამართლეს შეუძლია დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო სა-

---

[10] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.11.2013 განჩინება, საქმეზე №ას-1485-1401-2012.

[11] *ლილუაშვილი, ხრუსტალი,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014, გვ.№198.

[12] *დეკანოსიძე,* „შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თანამედროვე სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017წ., გვ. 128-155.

ჭიროების შემთხვევაში, განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ, წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები, თუ დოკუმენტები (სსსკ 203.1.„ა“)[13];

2. მტკიცებულებათა შეფასება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

ა) მტკიცებულების თავისუფალი შეფასების სტანდარტი

იურიდიულ ლიტერატურაში მოქმედებს მტკიცებულებების თავისუფალი შეფასების პრინციპი. მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასება არ გულისხმობს სამოსამართლო თვითნებობას, სხვაგვარად თუ ვიტყვით, მტკიცებულებების თავისუფალი პრინციპის ქვეშ არ იგულისხმება ე.წ. „კადის სამართალი“, ანუ „კადისებური იუსტიცია“, როდესაც მოსამართლე მტკიცებულებების შეფასების საფუძველს თავისთვის ინახავს [14]. უფრო მეტიც, მოსამართლემ გადაწყვეტილებაში ის საფუძვლები უნდა მიუთითოს, რაზე დაყრდნობითაც მან მტკიცებულება გაიზიარა, ან მის გაზიარებაზე უარი თქვა. დაუშვებელია, მტკიცებულებების შეფასების მიზნით, მოსამართლემ ის წყარო გამოიყენოს, რაც საქმეში წარმოდგენილი არ არის[15]. მაგალითისათვის, დაუშვებელია მოსამართლემ მედია საშუალებებში გამოყენებული ინფორმაცია, პრესაში დაბეჭდილი წყარო და ა. შ. დაუდოს საფუძვლად მტკიცებულებათა შეფასებას, თუ აღნიშული ინფორმაცია, მტკიცებულების სახით, საქმეში წარმოდგენილი არ არის. უფრო მეტიც, საქმეში არარსებულ ინფორმაციას მოსამართლე არათუ არ უნდა დაეყრდნოს, არამედ შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას არ უნდა დაუდოს საფუძვლად [16]. იგივე წესი ვრცელდება უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებაზე[17].

მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე ამა თუ იმ მტკიცებულებით დადასტურებული ფაქტის უტყუარობაში (ნამდვილობაში) ან არანამდვილობაში აუცილებლად უნდა დარწმუნდეს. თუ მოსამართლე საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით ამა თუ იმ ფაქტის არსებობა/არარსებობაში ვერ დარწმუნდა, აღნიშნული გარემოება იმ მხარის საუარესოდ მოქმედებს, რომელი მხარის მტკიცების ტვირთსაც მითითებული ფაქტის მტკიცება წარმოადგენს, სხვაგვარად თუ ვიტყვით, ყოველგვარი ეჭვი იმ მხარის საუარესოდ უნდა გადაწყდეს, ვისაც სადავო ფაქტის მტკიცება ეკისრება. მოსამართლემ არ უნდა მიიჩნიოს დადასტურებულად ფაქტები მაშინ, როდესაც აღნიშნული ფაქტების არსებობაში თავად ვერ დარწმუნდა. მოსამართლის საკმარისი დაურწმუნებლობა იმ მხარის საუარესოდ გამოიყენება, რომელმაც აღნიშნული მტკიცების ტვირთი ვერ გასწია.

---

[13] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.06.2012 განჩინება, საქმეზე №ას-750-704-2012.
[14] *Bauer, Grusinsky,* Zivilprozessrecht, 2010, S.154, Rn.178.
[15] იქვე გვ. 179.
[16] იქვე გვ. 179.
[17] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.05.2015 განჩინება, საქმეზე №ას-1155-1101-2014.

მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვითაც, საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა განიმარტოს მტკიცებულების მნიშვნელობა და დატვირთვა ამა თუ იმ ფაქტის დადგენისა, თუ დაუდგენლობის საქმეში. მოსამართლის მიერ მტკიცებულების შეფასება შეიძლება კანონით მკაცრად იყოს გაწერილი, ან სრულად მოსამართლის მიხედულობაზე იყოს დამოკიდებული. რიგ შემთხვევებში, კანონით მტკიცებულების ძალა წინასწარ არის დადგენილი, ან კანონით პირდაპირ არის გაწერილი ესა თუ ის ფაქტი, რომელი მტკიცებულებით დასტურდება. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლის როლი მტკიცებულებათა შეფასების პროცესში მინიმალისტურია, რადგან იგი მტკიცებულებას ისე აფასებს, როგორც ამას კანონი ამბობს. თუ ფაქტებს მოსამართლეები თავისუფალი შეფასების პრინციპით აფასებენ, მოსამართლის პასუხისმგებლობა მაღალია, ხოლო მისი უფლებამოსილება ფართო, თუმცა, არა განუსაზღვრელი, რადგან, მართალია, მოსამართლე, მტკიცებულებებს თავისუფალი შეფასების პრინციპზე დაყრდნობით ადგენს, თუმცა, საგულისხმოა, რომ მოსამართლის დასკვნა მტკიცებულებაზე დაყრდნობით ამა თუ იმ ფაქტის დადგენის თაობაზე დასაბუთებას მოითხოვს, ასევე დასაბუთებას საჭიროებს მოსამართლის დასკვნა, როდესაც იგი მტკიცებულებას ფაქტის დადგენის მიზნებისათვის, არასაკმარისად (არასარწმუნოდ) მიიჩნევს [18].

ბ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მნიშვნელობა

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. კანონი არ ახარისხებს მტკიცებულებათა სახეებს სანდოობის ხარისხის მიხედვით. მტკიცებულების ყველა სახე თანაბარი რანგისაა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით. თუმცა, შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას საფუძვლად უნდა ედოს მტკიცებულებათა ობიექტური და სრული განხილვა. შესაბამისად, სასამართლო მტკიცებულებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად თავად წყვეტს, თუ რომელი მტკიცებულებაა სარწმუნო და რომელ მათგანს უნდა დაეყრდნოს იგი. მტკიცებულების შეფასების მთავარი კრიტერიუმი **ობიექტურობაა.** მტკიცებულება ობიექტურად უნდა ასახავდეს მოვლენას, ანდა ადასტურებდეს ფაქტის არსებობას. შესაბამისად, აღნიშნულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, ობიექტურად, ყოველი გონიერი ადამიანი ერსა და იმავე დასკვნამდე უნდა მიდიოდეს. მტკიცებულების შეფასების მიზნებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა მის **სანდოობას (სარწმუნოობას)** ენიჭება. მტკიცებულების სანდოობა განაპირობებს მოსამართლის დარწმუნების ალბათობის ხარისხს. რაც უფრო სანდოა მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილება ეყრდნობა, მით უფრო მაღალია აღნიშნულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების ლეგიტიმაციაც. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილ გადაწყვეტილებას, აისახოს გადაწყვეტილებაში, რათა, სასამართლო

[18] *Jauernig*, Zivilprozessrecht, München, 2013.

გადაწყვეტილების წაკითხვის შედეგად, **მხარეებსა და დაინტერესებულ პირებს სანდო და ობიექტურ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების შთაბეჭდილება შეექმნათ**, რაც დიდწილად განაპირობებს სასამართლოს მიმართ ნდობას.

სასამართლოს მტკიცებულებებს მხარეები წარუდგენენ. თითოეული მხარის ვალდებულებაა სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომელსაც იგი თავის მოთხოვნასა, თუ შესაგებელს ამყარებს (სსსკ 102.1). ამასთან, სარჩელსა, თუ შესაგებელში მითითებული ფაქტების დასამტკიცებლად მარტოოდენ მტკიცებულებათა წარდგენა საკმარისი არ არის. **მტკიცებულებები უნდა იყოს ობიექტური და სანდო, შესაბამისად, ვარგისი მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად.** ქართული კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, თუ რომელი ფაქტის დასადასტურებლად რომელი მტკიცებულებაა ვარგისი. მტკიცებულების ვარგის ხასიათს მისი ობიექტურობა, სანდოობა და ფაქტთან მისი უშუალო მიმართება განაპირობებს. თუმცა, რიგ შემთხვევებში, კანონის დანაწესიდან პირდაპირ იკვეთება, თუ რა სახის მტკიცებულებითაა შესაძლებელი ამა თუ იმ ფაქტის დადასტურება. მაგალითისათვის, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრის ჩანაწერიდან ირკვევა, შესაბამისად, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადგენის მიზნებისათვის სასამართლო სხვა სახის მტკიცებულებას ვერ დაეყრდნობა, იგივე უნდა ითქვას სხვა რეგისტრაციასავალდებულო ფაქტებზე, როგორიცაა, დაბადება, ქორწინება, განქორწინება, წილზე საკუთრების უფლება, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა და ა. შ. იგივე წესი ვრცელდება ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად კანონით დადასტურებულ მტკიცებულებათა აკრძალვაზე, მაგალითად, სესხის ხელშეკრულების არსებობა მხოლოდ მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით არ დგინდება. ამდენად, თუ კანონიდან ფაქტის დასადასტურებლად მტკიცებულების სავალდებულო სახეობა არ იკვეთება, ამ გარემოებათა დამტკიცება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი, თუ ნივთიერი მტკიცებულებებით და ექსპერტთა დასკვნებითაა შესაძლებელი. ასევე არსებობს **მტკიცებულების სახეობის რელევანტური ურთიერთმიმართების თეორია სამტკიცებელ გარემოებასთან**, რაც სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება. აღნიშნული თეორიის მიხედვით, მტკიცებულების სახეს დასამტკიცებელი გარემოების შინაარსი განაპირობებს, მაგალითად, გეოლოგიური სეისმომედეგობა მოწმეთა ჩვენებით არ დგინდება, ისევე როგორც შენობის მდგრადობის შესამოწმებლად კონსტატაციის მასალები საკმარისი არ არის, აღნიშნული გარემოებების დასადასტურებლად ექსპერტთა დასკვნების წარდგენაა აუცილებელი, მაშინ, როდესაც სამკვიდრო მასის ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტის დასამტკიცებლად სასამართლო ყველაზე ხშირად მოწმეთა ჩვენებებს ეყრდნობა. იგივე უნდა ითქვას კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებზე. კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს სასამართლო არ ეყრდნობა. ფარული მოსმენით (ჩაწერით) შექმნილი მტკიცებულება კანონდარღვევით მოპოვებულ მტკი-

ცებულათა რიგს განეკუთვნება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც გამონაკლისი არსებობს, კერძოდ, თუ ნებაყოფლობითი სამოქალაქო ურთიერთობის დასადასტურებლად ფარული ჩანაწერი, როგორც მტკიცებულება არ დაიშვება, იძულების, ან სექსუალური შევიწროების ფაქტის დასამტკიცებლად ფარული ჩანაწერი „თვითდახმარების მდგომარეობაში“ შექმნილ ერთადერთ მტკიცებულებად განიხილება, რომელსაც სასამართლო ეყრდნობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მტკიცებულებათა ინდივიდუალურად დეტალური შესწავლის პარალელურად, საქმეში არსებული მტკიცებულებები შეფასებას ერთობლიობაში საჭიროებს[19]. საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენას ყოველთვის წინ უძღვის სასამართლოს მიერ **მტკიცებულებათა შეფასება**, რაც მოიცავს მტკიცებულებების შემოწმებას დასაშვებობის, შემხებლობის და უტყუარობის კუთხით, აგრეთვე **მტკიცებულებათა** საკმარისობაზე მსჯელობას და მათ **შეფასებას** ერთობლიობაში [20].

მტკიცებულება, ამავდროულად, **ე.წ. „განკუთვნადი“ უნდა იყოს კონკრეტული გარემოების დასადასტურებლად.** მტკიცებულებათა განკუთვნადობა, რაც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება, დოქტრინალური ტერმინია და განსაკუთრებით, ამერიკულ მტკიცებით სამართალშია ცნობილი, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1975 წლიდან, შესაბამისი ცვლილებებით, „მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური წესები“ მოქმედებს. აღნიშნული წესები განიმარტება იმგვარად, რომ ყველა საქმისწარმოება სამართლიანად გადაწყდეს, უსამართლო ხარჯები შემცირდეს, სამართალწარმოება დროში არ გაჭიანურდეს, ხელი შეეწყოს საქმეზე სიმართლის დადგენასა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული აქტი[21] მტკიცებულებას „განკუთვნადად“[22] მიიჩნევს, თუ: (1) მას შეუძლია საქმის რომელიმე გარემოება ნაკლებად ან მეტად სავარაუდო გახადოს, ვიდრე იგი წარდგენილი მტკიცებულების არარსებობის პირობებში იქნებოდა; (2) მტკიცებულება, რომელიმე ქმედების არსებობას ან არარსებობას ადასტურებს. თუმცა, განკუთვნადი მტკიცებულება შესაძლებელია სასამართლომ ამორიცხოს საქმიდან [23], თუ მისი მტკიცებულებითი ძალა საბოლოოდ გამოიწვევს: (1) უსამართლო შეფასებას; (2) ფაქტების აღრევას; (3) სასამართლოს შეცდომაში შეყვანას; (4) საქმის განხილვის გაჭიანურებას; (4) სხვა მტკიცებულებათა გაუმართლებელი წარმოდგენის საჭიროების შექმნას.[24] მტკიცებულებათა „განკუთვნადობის“ თაობაზე ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში მიუთითა, რომ სასამართლომ მტკიცებულება უნდა შეაფასოს სანდოობისა და განკუთვნადობის მიხედვით. სანდოობის შეფასებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს მტკიცებულების შედგენის

[19] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.05.2019 განჩინება, საქმეზე №ას-310-2019.
[20] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.04.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1322-2018.
[21] „მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური წესები“, მუხლი 405, აშშ, 1975.
[22] საქმისათვის მნიშვნელოვნად.
[23] „მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური წესები“, მუხლი 403, აშშ, 1975.
[24] The Federal Rules of Evidence, ხელმისაწვდომია: https://www.rulesofevidence.org/.

მეთოდი და დასაბუთება, რომელიც მტკიცებულების საფუძველი გახდა, მეცნიერულად გამართულია, თუ არა, ასევე შეესაბამება, თუ არა, სადავო შემთხვევაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს. ამავე გადაწყვეტილებაში ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ დაასახელა ოთხი ფაქტორი, რომლებიც სასამართლოებმა მტკიცებულებათა სანდოობისა და განკუთვნადობის შეფასებისას მხედველობაში უნდა მიიღონ, კერძოდ: (1) თუ მტკიცებულების შესაქმნელად გამოყენებულია თეორია ან ტექნიკა, უნდა შეფასდეს რამდენად შეიძლება მათი გამოცდა, ანდა ხომ არ ყოფილა ის უკვე გამოცდილი; (2) გამოყენებული ტექნიკა ან თეორია გამხდარა თუ არა საჯარო განხილვის საგანი; (3) ხომ არ ყოფილა გამოთქმული კრიტიკა, რომელიც მეთოდოლოგიის რელევანტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო; (4) გამოყენებული მეთოდოლოგიის წარუმატებლობის არსებული ან მოსალოდნელი რისკის ხარისხი.[25]

გ) ეროვნული სასამართლო პრაქტიკა მტკიცებულებების შეფასების კუთხით

ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართებით რელევანტურია და ძირითადად, მტკიცებულებათა შეფასების კონტექსტში, თეორიაში განმტკიცებულ შეხედულებებს ასახავს, კერძოდ, ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მტკიცებულების გამოკვლევა, უპირველესად, მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს გულისხმობს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (ობიექტურობის, დამაჯერებლობის, სარწმუნოობის) შემოწმებას. **ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს მათი უტყუარობისა და, აგრეთვე, იმ თვალსაზრისით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოების დადასტურებაა ამ მტკიცებულებებით შესაძლებელი.** სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა **როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში შეფასებას,** ამასთან, სასამართლო ვალდებულია საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება შეაფასოს მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით.[26]

საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში მიუთითა, რომ მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით. შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება. **მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს**. მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული.[27]

---

[25] Daubert v merrell Dow Pharmaceuticals, Inc., 113 S.t. 2786, 2793 (1193).

[26] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.07.2017 განჩინება, საქმეზე № ას-864-831-2016.

[27] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 21.04.2017 განჩინება, საქმეზე №ას-279-264-17.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შინაგანი რწმენა განპირობებულია სუბიექტური კრიტერიუმით, აღნიშნული პრინციპი არ არის შეუზღუდავად უზრუნველყოფილი და უნდა ეფუძნებოდეს **მტკიცებულებათა ყოველმხრივ გამოკვლევას.** სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და შეფასებული **თითოეული დეტალი, რომელიც არსებობს ამ გარემოების ირგვლივ.** ამდენად, შინაგანი რწმენით მტკიცებულებათა შეფასების მეთოდი მოიცავს თითოეული მტკიცებულების მნიშვნელობის განსაზღვრას დამოუკიდებლად. [28]

ეროვნული სასამართლოს როლს მტკიცებულებების დასაშვებად ცნობასა და მათი შეფასების ნაწილში ასევე ამყარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც, რომლის თანახმად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი **მხოლოდ პროცესუალურ დონეზე მტკიცებულების ადმინისტრირებას მოიცავს.** მტკიცებულების დასაშვებობა ან ის თუ, როგორ უნდა შეფასდეს იგი, პირველ ყოვლისა, ეროვნული სასამართლოების კომპეტენციაა. ეროვნული სასამართლოების ამოცანაა, შეაფასონ მათ წინაშე არსებული მტკიცებულებები. ამრიგად, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ევროსასამართლოს შესაძლებლობას არ აძლევს მხოლოდ მტკიცებულებათა შეფასების მხრივ ეჭვქვეშ დააყენოს სამოქალაქო დავის შედეგის სამართლიანობა.[29] თუმცა, სტრასბურგის სასამართლო მტკიცებულებათა შეფასების კონტექსტში მუდმივად აღნიშნავს, რომ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლოები ვალდებულნი არიან **პროცესის სამართლიანობა უზრუნველყონ, რომელიც, ასევე, მოიცავს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესის სამართლიანობის შემოწმებას.** სხვა მხრივ, მხოლოდ ეროვნული სასამართლოს პრეროგატივაა შეაფასოს მხარეთა არგუმენტები, მტკიცებულებები და საქმის სხვა ფაქტობრივი გარემოებები.[30]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში ასევე უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს[31]. შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში

[28] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.09.2017 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-202-191-2017.

[29] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე „გარსია რუიზი ესპანეთის წინააღმდეგ“, (García Ruiz v. Spain) [GC], § 28, ასევე, ამავე სასამართლოს განჩინება საქმეზე „ფარანჟი S.A. საფრანგეთის წინააღმდეგ“, (Farange S.A. v. France).

[30] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე „ელშოლზი გერმანიის წინააღმდეგ“, (Elsholz v. Germany [GC], § 66, ამავე სასამართლოს განჩინება საქმეზე „ვან დე ჰურკი ჰოლანდიის წინააღმდეგ“, (Van de Hurk v. the Netherlands). § 59.

[31] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30.

მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, **თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები** [32]. სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე [33]. ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ **მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით** [34] [35].

3. მტკიცებულებების შეფასება: შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცებულებათა შეფასება ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა, რადგან მოსამართლის როლი მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების სამართლებრივ შეფასებაში და სამართლის ნორმის მისადაგებაში მდგომარეობს. **მტკიცებულებათა შეფასება ის პროცესია, როდესაც საქმის განმხილველი მოსამართლე თავის შინაგან რწმენაზე დაყრდნობით, მტკიცებულებებთან მიმართებით გამოსაყენებელი კონკრეტული სამართლის ნორმების თანახმად, ფაქტებს მიიჩნევს ან არ მიიჩნევს დადასტურებულად** (მტკიცებულებების შეფასებასთან მიმართებით ფრანგულ სამართალში არსებული დოქტრინა la preuve légale).[36]

ზოგადად, თუ მტკიცებულებების შეფასებისთვის კონკრეტული წესები არ არსებობს, საქმის განმხილველი მოსამართლე, თითოეული მტკიცებულების მნიშვნე-

---

[32] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62.

[33] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80.

[34] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეებზე Milatova and others v. The Czech republic §59; niderost-huber v. Switzerland, § 24; k.s. v. finland § 21.

[35] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.05.2015 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1191-1133-2014.

[36] *Fasching*, Zivilprozeßrecht, 2nd ed. (Vienna: Manz, 1990), section 812, O. Pelli, Beweisverträge im Zivilprozess (Zurich: Dike, 2012), 155, the term 'legal proof' is used by *E. Silvestri*, 'The antique shop of Italian civil procedure', in Truth and Efficiency in Civil Litigation, ed. C. H. van Rhee § A. Uzelac (Cambridge, Portland, Antwerp: Intersentia, 2012).

ლობასა და ღირებულებას მხოლოდ საკუთარ შინაგან რწმენაზე დაყრდნობით აფასებს (appréciation souveraine).[37] მტკიცებულებათა შეფასების სპეციალური სამართლებრივი დანაწესის მაგალითი შეიძლება იყოს ე.წ „საუკეთესო მტკიცებულების ტესტი“ – როდესაც წერილობითი დოკუმენტის დედანს მის ასლთან მიმართებით უპირატესობა ენიჭება; წესი ზეპირი მტკიცებულების პრიმატის შესახებ (the parole evidence rule) – როდესაც ზეპირ მტკიცებულებას წერილობით მტკიცებულებასთან მიმართებით უპირატესობა აქვს და პრეზუმფციები,[38] ასევე, წესი საჯარო დოკუმენტების პრიმატის შესახებ.

მტკიცებულებათა შეფასების სამი ძირითადი სტანდარტი: მოდერნიზებული მტკიცებულების წესი (MODERNISED LEGAL PROOF), ალბათობის მაღალი ხარისხი (BALANCE OF PROBABILITIES = PREPONDERANCE OF EVIDENCE) და მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების წესი (FREE ASSESSMENT OF EVIDENCE)

ა) ევროპის კონტინენტზე მტკიცებულებათა შეფასების სამი ძირითადი მოდელი არსებობს, ორი მათგანი კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო მესამე, საერთო (ანგლო-ამერიკული) ევროპული სამართლის ქვეყნებისთვის (Common law countries) მალტისა და შოტლანდიის ჩათვლით.

პირველ კატეგორიას იურიდიული მტკიცებულებების სისტემა წარმოადგენს **(MODERNISED LEGAL PROOF)**. იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულებათა შესაფასებლად სწორხაზოვანი, ფორმალიზებული და მათემატიკური სიზუსტის მეთოდური კითხვები გამოიყენება, რომლებიც სასამართლოს დისკრეციასა და თვითნებური გადაწყვეტილების მიღებას გამორიცხავს – ეს იდეალური მართლმსაჯულებაა (როგორც ეს საფრანგეთსა და ბელგიაშია). ასეთ შემთხვევებში, იურიდიული მტკიცებულებების სისტემა (system of legal proof) მტკიცებულებათა შეფასების ბუნებრივი გზაა. მაგალითად სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობის დასადასტურებლად კონტრაქტის არსებობა, ან იურიდიული ტრანზაქციების/ქმედებების არსებობაა აუცილებელი. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში, ფრანგული სამართლის სისტემა მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების წესს აღიარებს, იქ არსებული მრავალი პრინციპი იურიდიული მტკიცებულებების სისტემისგანაა (system of legal proof) ნაწარმოები.

მტკიცებულებათა შეფასების მეორე მოდელი გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაშია მიღებული, ეს ქვეყნები გარკვეულწილად გამონაკლისს წარმოადგენენ საერთო სამართლის სისტემაში და მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების წესს იყენებენ (free assessment of evidence). მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასე-

---

[37] *Ommeslaghe*, Droit des obligations, tome III (Brussels: Bruylant, 2010), section 1629.

[38] ფრანგული სამართალი უფრო მკაცრია წერილობითი მტკიცებულებების ასლებისთვის იურიდიული ძალის მინიჭების შესახებ ვიდრე საერთო (ანგლო-ამერიკული) სამართლის ქვეყნები, იხ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1335-ე მუხლი, ასევე, Cass Civ. 1re, 29 Mar. 1965, Dalloz 1965, 474.

ბის წესი ხაზს უსვამს „ობიექტური“ და „ისტორიული“ ჭეშმარიტების ძიებას იმ საშუალებებით, რომელებიც საქმის განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოიპოვოს. ამ მოდელში მტკიცებულებების თავისუფალი შეფასება მატერიალური ჭეშმარიტების ძიებასთან განუყრელად (ერთად) ხდება. თუმცა, თუ საქმის განმხილველი მოსამართლის როლს (საქმეში მონაწილე მხარეების, როგორც მამოძრავებელ ძალასთან ერთად) მხოლოდ კერძო დავების განხილვას მივაკუთვნებთ, მაშინ მიუხედავად ობიექტური ჭეშმარიტების ძიებისა, სასამართლო ამ მოდელშიც, მხოლოდ მისთვის მიწოდებული ფაქტებითა და მტკიცებულებებით იქნება შებოჭილი.[39] მხარეთა შორის შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში მოსამართლის მიერ მტკიცებულების შეფასება სპეციალური სტანდარტით – ალბათობის მაღალი ხარისხით (the balance of probabilities) ხდება. მაგალითად, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მოსამართლე მხოლოდ იმას აფასებს, რომელი მხარის შედავება უფრო სანდო ან/და დამაჯერებელია. მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს ფაქტების ადმინისტრირებისგან – მაგ. მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისგან. [40]

როგორც ჩანს, თანამედროვე ევროპული საპროცესო სამართალი მტკიცებულებათა შეფასების თავისუფალ წესს, ვიწროდ განმარტებული გამონაკლისებით, ანიჭებს უპირატესობას, როგორიცაა მაგალითად, საჯარო დოკუმენტის შინაარსის სიზუსტის პრეზუმფცია. ხსენებული მოდელი გამოიყენება ავსტრიაში, ბულგარეთში, ხორვატიაში, დანიაში, ფინეთში, გერმანიაში, უნგრეთში, ლატვიაში, ჰოლანდიაში, ლიტვაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, რუმინეთში, სლოვაკეთში, სლოვენიასა და შვედეთში. [41]

ესპანური სამართალი მტკიცებულებათა შეფასების ე.წ. „კრიტიკული დასაბუთების წესს“ (rules of sound critical approach (las reglas de la sana crítica), იყენებს, რომელიც მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების სტანდარტისა და იურიდიული მტკიცებულებების სისტემის ნაზავია, განსაკუთრებით დოკუმენტებსა და ზეპირ ჩვენებებთან მიმართებით. სხვა სამართლის სისტემის იურისტებისთვის ესპანეთში მოქმედი მოდელი შესაძლებელია მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების წესს ემსგავსებოდეს, თუმცა, **ესპანური სამართალი განამტკიცებს, რომ სრული და შეუზღუდავი დისკრეცია მტკიცებულებათა შეფასებასთან მიმართებით სამარ-**

---

[39] მოწმის ჯვარედინი დაკითხვა, კონტრ შეკითხვების დასმა ტიპური მაგალითია მოსამართლეების, როგორც ფაქტების დამდგენი პირების პასიური როლისა. იხ. in European legal writing *U. Böhm*, Amerikanisches Zivilprozessrecht (Cologne: Otto Schmidt, 2005), 181–238.

[40] ed. L. Cadiet (Paris: Presses universitaires de France, 2004), 1037, *J. Braun*, Lehrbuch des Zivilprozeßrechts (Tübingen: Mohr Siebeck, 2014), 730.

[41] Sections 266 et seq. Austrian ZPO. See *Nunner-Krautgasser § Anzenberger*, მტკიცებულება სამოქალაქო სამართალში – ავსტრია, (Maribor: Institute for Local Self-Government and Public Procurement in Maribor, 2015), 13; Article 12 Bulgarian CCP., Article 7 Croatian CCP., Article 340(1) Danish Administration of Justice Act. Chapter 17, section 2; Finnish Code of Judicial Procedure Act; Section 286; German ZPO. Articles 304–346 Greek CCP; Section 3(5) Hungarian CCP; Articles 97 and 178 Latvian CPL. 39. Article 152(2) Dutch CCP; Article 233(1) Polish CCP; Article 264 NCPC; Article 8 Slovenian CCP; Chapter 35, section 1 Swedish Code of Judicial Procedure.

თლებრივ ლოგიკას, რაციონალურობას და გონივრულობას არ ექვემდებარება, ამიტომ, მტკიცებულებების თავისუფალი შეფასების მიზნებისთვის არსებით შეზღუდვებს აწესებს.[42]

საფრანგეთი და იტალია მტკიცებულებათა შეფასების დოქტრინაში ჯერ კიდევ ინარჩუნებენ განსხვავებას იურიდიული მტკიცებულების დოქტრინასა და მტკიცებულების თავისუფალი შეფასების დოქტრინას შორის. საფრანგეთში მტკიცებულების თავისუფალი შეფასების დოქტრინა განსხვავებულ წესებს ადგენს სამეწარმეო დავებისთვის. სამეწარმეო კატეგორიის დავებში მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასება უპირატესია, მაშინ როდესაც სხვა კატეგორიის დავებში მტკიცებულებათა შეფასება გარკვეულწილად იურიდიული მტკიცებულებების დოქტრინას ეფუძნება. აღნიშნული დოქტრინა მტკიცებულებების წარდგენისთვის და შეფასებისთვის სამართლიან იერარქიულ შეფასების სისტემას განამტკიცებს, როგორიცაა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებების განხორციელებისა და ხელშეკრულების წარდგენის ვალდებულება.

იტალიური სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, საქმის განმხილველ მოსამართლეს მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების ავტონომია გააჩნია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი კონკრეტული მტკიცებულების არსებობის საჭიროებას აწესებს, როგორიცაა აღიარება ან პირის მიერ ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება.[43]

იურიდიული მტკიცებულების დოქტრინაზე (LEGAL PROOF DOCTRINE) საუბარია, თუ მტკიცებულებათა ადმინისტრირება და შეფასება *ex ante* რეგულირდება და მათი შეფასება მოსამართლის შინაგან რწმენაზე დამოკიდებული არ არის.[44] მტკიცებულებათა შეფასების ასეთი რეგულირების სისტემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ წერილობით მტკიცებულებებს მოწმეთა ჩვენებებთან მიმართებით მეტი იურიდიული ძალა აქვთ. აღნიშნული დოქტრინა ფრანგი და ბელგიელი მეცნიერების მიერ შეფასებულია, როგორც საუკეთესო გზა სამართლებრივი განსაზღვრულობის მისაღწევად და მტკიცებულებების, ad hoc, კონკრეტული სასამართლო პროცესისთვის, შექმნის თავიდან ასაცილებლად. ფრანგული სამართლის ერთ-ერთი გავრცელებული პრინციპია nul ne peut se constituer la preuve à lui – même – არავის შეუძლია საკუთარი საქმის განხილვისას ჩვენება მისცეს. იურიდიული მტკიცებულების დოქტრინის კიდევ ერთ დადებით მხარეს, მტკიცებულებათა შეფასებისას, სასამართლოს მიკერძოებულობის გამორიცხვა, ნდობის გაღრმავება და საქმისწარმოების შედეგის განჭვრეტადობა წარმოადგენს.[45] გარდა აღნიშნულისა, წერილობითი მტკიცებულებების პრიმატის აღიარება მოწმეთა

---

[42] *Flores Prada*, La prueba pericial de parte en el proceso civil (Valencia: Tirant lo Blanch, 2005), 92.

[43] *Cristofaro*, 'La valutazione delle prove (§ 85)' in Istituzioni di dritto civile, 43rd ed., ed. A. Trabucchi, (Milano: CEDAM, 2007), 212.

[44] *Leval*, Eléments de la procédure civile, 2nd ed. (Brussels: Larcier, 2005), section 130.

[45] *Fasching*, Zivilprozeßrecht, section 812.

ჯვარედინი დაკითხვისას ექსცესების თავიდან აცილებასა და საერთო სამართლის ქვეყნების სამოქალაქო პროცესში არსებული სხვა პროცედურების თავიდან აცილებაში მდგომარეობს.[46] 1969 წლის 11 დეკემბერს ბელგიის უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მტკიცებულებათა იერარქიის დარღვევით კვლევა და შეფასება სამოქალაქო პროცესის უმთავრესი პრინციპების დარღვევად მიიჩნია.[47]

საფრანგეთის და ნაწილობრივ იტალიური სამოქალაქო საპროცესო სამართალიც, ეყრდნობა გაზვიადებულ დასკვნას მასზედ, რომ: იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სიმარტივე და სამართლებრივი განჭვრეტადობა, ასევე რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკები, რომელიც შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასებას ახლავს, კანონმა წინასწარ უნდა განსაზღვროს მტკიცებულებათა იურიდიული ძალა.[48] სხვაგვარად რომ ითქვას, სამართლებრივი განსაზღვრულობის არგუმენტებზე დაყრდნობით, მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასება, როგორც ზედმეტად თვითნებური და გაურკვეველი, უარყოფილია.

ტრადიციული სისტემა ერთმანეთისგან მიჯნავს სრულ (full proof) და მეორად (half-proof) მტკიცებულებებს. **სრული მტკიცებულებებია: წერილობითი მტკიცებულება, აღიარება და ფიცი, ხოლო მეორადი: მოწმეთა ჩვენება, პრეზუმფცია და დამატებითი ფიცი. იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მსვლელობისას საქმის განმხილველი მოსამართლის ხელთ არის ზემოთჩამოთვლილი სამი სრული მტკიცებულებიდან ერთ-ერთი, იგი უფლებამოსილია კონკრეტული ფაქტი დადგენილად მიიჩნიოს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მისი შინაგანი რწმენა სხვაგვარი იყოს. თუმცა, თუ სახეზეა მეორადი მტკიცებულებები (მოწმეთა ჩვენება, პრეზუმფცია და დამატებითი ფიცი) მოსამართლე უფლებამოსილია, ისინი თავისუფლად შეაფასოს.**

როგორც ჩანს, ფრანგული კანონმდებლობით მკაცრადაა გამიჯნული იურიდიული ფაქტებისა (legal fact (le fait juridique, factum probandum) და სამართლებრივი ძალის მქონე ქმედებების (legal transaction (l'acte juridique) მტკიცების ფორმები. იურიდიული ფაქტები ნებისმიერი სახის მტკიცებულებით შეიძლება დადასტურდეს და მასზე **იურიდიული მტკიცებულების დოქტრინა (LEGAL PROOF DOCTRINE)** არ ვრცელდება. თუმცა, სამართლებრივი ძალის მქონე ქმედებები წერილობითი მტკიცებულებით უნდა დადასტურდეს. მიმდინარეობს დავა იმასთან დაკავშირებით, რომ კონტრაქტი და სამართლებრივი მნიშვნელობის ქმედებები მხარეთა შორის შეთანხმებულ კანონს *lex inter partes* წარმოადგენს და, შესაბამისად, ისინი არ შეიძლება განსჯისა და ინტერპრეტირების საგანს წარმოადგენდეს.[49] საფ-

---

[46] *Ommeslaghe:* Droit des obligations, tome III, section 1631.

[47] იქვე.

[48] *Genin-Meric*, 'Droit de la preuve: l'exemple français', in The Law of Evidence in the European Union, Das Beweisrecht in der Europäischen Union, Le Droit de la Preuve dans l'Union Européenne, ed. J. M. Lebre de Freitas (ed.), (Utrecht: Kluwer Law International, 2004), 149–153.

[49] *Lagarde*, Preuve, 1035.

რანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლის თანახმად, იურიდიული მტკიცებულება (legal proof) დაყვანილია სამართლებრივი მნიშვნელობის ქმედებებამდე, მაგალითად, ხელშეკრულება, რომლის ფასიც 1 500 ევროს აღემატება, წერილობითი მტკიცებულებით უნდა დადასტურდეს. როდესაც საქმე იურიდიული მნიშვნელობის ქმედებების დადასტურებას ეხება, მოწმეთა ჩვენებები და პრეზუმფციები დასაშვებ მტკიცებულებებს არ წარმოადგენს. კიდევ ერთი იურიდიული მტკიცებულება (legal proof) განმტკიცებულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1325-ე მუხლით, ხელმოწერილი სინალაგმატური ხელშეკრულებები ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვეაში, თუ ისინი იმდენ ეგზემპლარადაა შედგენილი რამდენი განსხვავებული ინტერესის მქონე მხარეც კონტრაქტს ჰყავს.[50] იურიდიული მტკიცებულების კიდევ ერთ მაგალითს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლი წარმოადგენს, რომლის თანახმად, სამართლებრივი ქმედება, რომლის დროსაც ერთი პირი მეორეს წინაშე იღებს ვალდებულებას, გადასცეს თანხა ან სხვა სამართლებრივი სიკეთე, დამოწმებულ უნდა იქნეს მისი ხელმოწერის მქონე დოკუმენტით და მის მიერვე უნდა მიეთითოს თანხის სრული ოდენობა, როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. თუ მათ შორის განსხვავება აღმოჩნდება, უპირატესობა სიტყვიერად გამოსახულ რიცხობრივ მონაცემს მიენიჭება. ფრანგი იურისტები ხშირად ამბობენ, რომ იურიდიული მტკიცებულების მსგავსი დოქტრინა, რომელიც მტკიცებულებით სამართალში არსებობს, არ არის ნაცნობი არც საერთო სამართლის ქვეყნებისთვის და არც გერმანული კანონმდებლობისთვის, ვინაიდან ისინი მტკიცებულებათა შინაგანი რწმენის საფუძველზე შეფასებას ემყარება.[51]

ბელგიელი მეცნიერები ხშირად აღნიშნავენ, რომ იურიდიული მტკიცებულებების დოქტრინა კონკრეტულ შემთხვევებში ჭეშმარიტების დადგენას ართულებს, მისი იერარქიისა და სხვადასხვა ტიპის მტკიცებულებების კვლევის გამო.[52] შესაბამისად, აღნიშული ადასტურებს ძველ გერმანულ გამოთქმას: „მართლმსაჯულების ადმინისტრირება, რომელიც სავალდებულო, იურიდიული მტკიცებულების შეფასების ფორმალურ წესებს ადგენს, აუცილებლად მოიტანს ნაკლებად დამაკმაყოფილებელ შედეგებს, ვიდრე მტკიცებულების თავისუფალი შეფასება“.[53] ქვეყნებში, სადაც **იურიდიული მტკიცებულების დოქტრინა (LEGAL PROOF DOCTRINE)** გამოიყენება, ძირითადად, საქმის განხილვისას დამალული ფაქტების არსებობას ადგილი არ აქვს.[54] მტკიცებულებების თავისუფალ შეფასებას, **იურიდიული მტკიცებულების დოქტრინასთან** მიმართებით ერთადერთი ის უპირატესობა აქვს, რომ ფაქტობრივი გარემოებების უფრო ინდივიდუალური და საფუძვლიანი კვლევა ხდება, რასაც კონკრეტული „განსაზღვრული“ მტკიცებულება ვერ ჩაანაცვლებს.[55]

---

[50] *Oudin*, Evidence in Civil Law – France, 18.
[51] *Lagarde*, Preuve, 1035.
[52] *Leval*, ‘Les techniques d’approche de la vérité judiciaire en matière civile’, in La Preuve et la difficile quête de la vérité judiciaire, ed. G. de Leval (Liège: Anthémis, 2011), 29.
[53] *Baumgärtel*, Beweislastpraxis im Privatrecht (Cologne: Heymanns Verlag, 1995), section 40.
[54] *Fasching*, Zivilprozeßrecht, section 813.
[55] იქვე.

ბ) საერთო სამართლის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მაღალი ალბათობის სტანდარტი

მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების დოქტრინა საერთო სამართლის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი არ არის, ვინაიდან ამ ქვეყნებში ისტორიულად დიდი იყო ნაფიც მსაჯულთა დანიშნულება, რომელიც სამოქალაქო პროცესშიც გამოიყენებოდა.[56] თუმცა, მტკიცებულების თავისუფალი შეფასების ფუნქციური ეკვივალენტი საერთო სამართლის ქვეყნებისთვის უცხო არაა. ნებისმიერი სახის მტკიცებულება, რომელიც რელევანტური და განკუთვნადია, დასაშვებია, იქნება ეს ზეპირი, წერილობითი, თუ რეალური (real).[57] მტკიცებულების შეფასება მისი სანდოობის, წონის, რელევანტურობისა და სარწმუნოობის მიხედვით ხდება, ასევე მხედველობაში მიიღება ის გარემოება, შესაფასებელი მტკიცებულება გამყარებულია, თუ არა, სხვა მტკიცებულებით, ან ხომ არ არსებობს მისი გამაბათილებელი მტკიცებულება.[58] საერთო სამართლის ქვეყნებში ტრადიციულად ზეპირ მტკიცებულებებს უპირატესი ძალა აქვთ, რომელსაც თან ფიცის დადების ვალდებულება, ფაქტის აღმომჩენის მიერ პირდაპირი ჩვენების მიცემა და მოწმის გამოცდა, ჯვარედინი გამოკითხვა, ახლავს.[59] საერთო სამართლის ქვეყნებში, ზოგადად, კონკრეტული მტკიცებულების სახეები განსაზღვრული არ არის. მხარეებს მათზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის დაძლევა ნებისმიერი სახის მტკიცებულებით, მათ შორის, დოკუმენტური, ზეპირი, თუ რეალური მტკიცებულების, წარდგენის გზით შეუძლიათ.[60]

ევროპის საერთო სამართლის სისტემაში, სამოქალაქო პროცესში, არსებობს რამდენიმე დეტალი, რომელიც კონტინენტური სამართლის ქვეყნებისთვის სრულიად უცხოა. თუმცა, **საერთო სამართლის პრინციპები სამოქალაქო პროცესში – ალბათობის მაღალი ხარისხი და დამაჯერებელი მტკიცებულების დოქტრინა, მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპზეა დამყარებული. თუ წარდგენილი მტკიცებულება იმგვარია, რომ მოსამართლეს/მსაჯულებს შეუძლიათ დაასკვნან „ეს უფრო შესაძლებელია, ვიდრე პირიქით“, მაშინ მტკიცების ტვირთი დაძლეულად მიიჩნევა, მაგრამ თუ ხდომილებები/ალბათობა იდენტურია, მაშინ პირიქით.**[61]

---

[56] *Moriarty*, Evidence in Civil Law – Ireland, (Maribor: Institute for Local Self-Government and Public Procurement in Maribor, 2015), 25, *J. H. Langbein*, 'The demise of trial in American civil procedure: how it happened, is it convergent with European civil procedure?', in Truth and efficiency in civil litigation: fundamental aspects of fact-finding and evidence-taking in a comparative context, ed. C. H. van Rhee § A. Uzelac (Cambridge, Antwerp, Portland: Intersentia, 2012), 122, 125.

[57] *McGrath*, 'Irish Report on Evidence', in The Law of Evidence in the European Union, Das Beweisrecht in der Europäischen Union, Le Droit de la Preuve dans l'Union Européenne, ed. J. M. Lebre de Freitas (ed.), (Utrecht: Kluwer Law International, 2004), 248.

[58] იქვე, 250.

[59] *Moriarty*, Evidence in Civil Law – Ireland, p. 13.

[60] *McGrath*, Irish Report on Evidence, 248.

[61] Miller v. Minister of Pensions [1947] 2 All ER 372) Denning J.

საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნების სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა შეფასებასთან მიმართებით კიდევ ერთი მსგავსებაა, მაგალითად, მტკიცებულებათა მათემატიკური სიზუსტით შეფასებასთან მიმართებით. უპირატესი ძალის მქონე მტკიცებულების სტანდარტს 0,5 ქულით ვაფასებთ, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს 0,95 ქულით, ხოლო მეტად ცხად და წონად მტკიცებულებას 0,75 ქულით.[62] ამერიკელი მეცნიერების მითითებით, ყველა მტკიცებულება ქმნის გარკვეულ ალბათობას ფაქტებთან მიმართებით, ამიტომ 50+% (ალბათობის მაღალი სტანდარტი) საუკეთესოდ ემსახურება შეცდომების მინიმიზაციის მიზანს.[63] მტკიცებულებათა შეფასება კონტინენტური სამართლის ქვეყნებში მათემატიკური სიზუსტით არ ხდება ვინაიდან, იგი ეწინააღმდეგება მტკიცებულების შინაგანი რწმენის საფუძველზე, თავისუფლად შეფასების პრინციპს.

ინგლისის სამართალში – **მტკიცებულების ალბათობის მაღალი სტანდარტით შეფასება გულისხმობს, რომ სასამართლო რაიმე გარემოებას დადასტურებულად მიიჩნევს, თუ მტკიცებულებების თანახმად, ეს უფრო მეტად სავარაუდოა, ვიდრე პირიქით (არა). როდესაც სასამართლო ხდომილებას/ალბათობას აფასებს, კონკრეტული საქმის გარემოებებთან ერთად, მხედველობაში იღებს ფაქტს მასზედ, რომ რაც უფრო მძიმეა ბრალდება, უფრო ნაკლებ სავარაუდოა მისი არსებობა.** შესაბამისად, სასამართლოს წინაშე რაც უფრო ძლიერი მტკიცებულებებია წარდგენილი ალბათობის მაღალი სტანდარტის თანახმად, სასამართლო მას დადასტურებულად მიიჩნევს. ჩვეულებრივ, თაღლითობა ნაკლებ სავარაუდოა, ვიდრე გულგრილობა. სხეულის განზრახ დაზიანება ნაკლებად სავარაუდოა, ვიდრე გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანება. თუმცა, **აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ, რაც უფრო სერიოზულია ბრალდება, მტკიცების სტანდარტი უფრო მაღალია. არამედ, ეს ნიშნავს, რომ თავად ხდომილების არსებობის ალბათობა უფრო მეტად ან ნაკლებად სავარაუდოა, სწორედ ხდომილების სავარაუდოობის ხარისხი მიიღება მხედველობაში მტკიცებულებათა ალბათობის მაღალი სტანდარტით კვლევისას. რაც უფრო დაბალია ალბათობა იმისა, რომ ხდომილება განხორციელდა, უფრო მაღალი ლეგიტიმაციის მტკიცებულების წარდგენაა საჭირო მის დასადასტურებლად, რათა გარემოება დადასტურებულად იქნეს მიჩნეული.** [64]

ამერიკული, ფრანგული და გერმანული მტკიცებითი სამართლის კვლევისას რიჩარდ ვრაითმა (Richard Wright) დაასკვნა, რომ მოსამართლის შინაგანი რწმენა ფრანგულ და გერმანულ სამართალში დარწმუნების მინიმალური სტანდარტია: მოსამართლეს უნდა ჰქონდეს შინაგანი რწმენა კონკრეტული ფაქტის არსებობის,

---

[62] *Schauer § R. Zeckhauser*, 'On the degree of confidence for adverse decisions', Journal of Legal Studies 25 (1996), 27 (33).

[63] *Wright*, 'Proving Facts: Belief versus Probability', 79 (2009). Available at: http:// scholarship.kentlaw.iit.edu/fac_schol/709, 81.

[64] In re H (Minors) [1996] AC 563 at 586), Lord Nicholls.

თუ არარსებობის/ნამდვილობის შესახებ. აღნიშნული სამოქალაქო პროცესში მთავარია, რაც საერთო სამართლის სისტემაში მტკიცებულებების მაღალი ალბათობის სტანდარტის არსებობით გამოირიცხება.[65]

მეორე მხრივ, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში ზოგიერთი სპეციფიური მახასიათებლის არსებობა მტკიცებულების შეფასებისას საერთო სამართლის მსგავს მიდგომებს გულისხმობს. მაგალითად, გერმანიაში prima facie მტკიცებულება (Anscheinsbeweis) ალბათობის მაღალი სტანდარტით ფასდება. prima facie მტკიცებულების შეფასებისას მოსამართლეები ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეყრდნობიან და ხდომილებას დადასტურებულად მიიჩნევენ, რადგან ისინი ისეთ გარემოებებში მოხდა, რომ prima facie დადასტურებულად მიიჩნევა, მათი დამატებითი მტკიცება საჭირო არაა.[66] prima facie მტკიცებულებები, როგორც წესი, არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში გამოიყენება, როდესაც მიყენებულ ზიანთან მიმართებით, ბრალი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დგინდება. ასეთ დროს საკმარისია ტიპური გარემოებების არსებობა, რათა ეჭვი გაქარწყლდეს, მოსამართლის მყარი შინაგანი რწმენა საჭირო არ არის (full conviction). [67]

4. მტკიცებულებების შეფასება საქართველოს მაგალითზე

ქართული კანონმდებლობის მიხედვით **არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.** აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების სტანდარტს აწესებს, რა დროსაც, მტკიცებულებების კვლევა **მათი ობიექტურობის, დასაბუთებულობის, სანდოობა/სარწმუნოობისა და განკუთვნადობის კუთხით ხორციელდება. არ არსებობს მტკიცებულებათა რანგირება.** ექსპერტის დასკვნასაც კი მოქმედი კანონმდებლობა რაიმე განსხვავებულ ძალას არ ანიჭებს, იგი ერთ-ერთი რიგითი მტკიცებულებაა, რომლის გაზიარებაც სასამართლოს მხრიდან ამ დასკვნის შინაარსობრივ კვლევაზე, მის დამაჯერებლობასა და იურიდიულ ლეგიტიმაციაზეა დამოკიდებული, ამასთანავე, საექსპერტო კვლევა გამართლებული უნდა იყოს საქმის მასალებით, მათ შორის – მხარეთა განმარტებებით წარმოჩენილი დავის ზოგადი სურათით [68]. **შეფასებას, მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებები ექვემდებარება**, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მხარეთა ლეგიტიმური მოლოდინი მასზედ, რომ შეფასდება ის რაც საქმეშია. შესაბამისად, მას არა მარტო მტკიცებულებების გაცნობის, არამედ მასზე მოსაზრების დაფიქსირებისა და მისი გაქარწყლების შესაძლებლობა მიეცემა[69].

---

[65] *Wright*, Proving Facts: Belief versus Probability, 84.

[66] *Schellhammer*, Zivilprozess, section 519.

[67] *Braun*, Lehrbuch des Zivilprozeßrechts, 741.

[68] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.03.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1215-2018.

[69] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეებზე Milatova and others v. The Czech republic §59; niderost-huber v. Switzerland, § 24; k.s. v. finland § 21.

მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების სტანდარტი არ გულისხმობს სასამართლოს სრულ, უსაზღვრო თავისუფლებას. მოსამართლის შინაგანი რწმენა, რომელიც მტკიცებულებათა შეფასების საზომად გამოიყენება, **შეზღუდულია კანონით, რადგან შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება.** მტკიცებულებათა შეფასება **არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს.** მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული[70].

მტკიცებულებათა თავისუფალი (შინაგანი რწმენით) შეფასება არა მტკიცებულებათა შეგროვებას, არამედ მტკიცებულებათა არჩევას და დახარისხებას გულისხმობს. [71] მტკიცებულებების თავისუფალი შეფასების პრინციპი რომელიმე კონკრეტული მტკიცებულების გათვალისწინებაზე უარის თქმის გამორიცხვას ნიშნავს. ეს პრინციპი არ გვკარნახობს, თუ როგორ უნდა შეფასდეს სხვადასხვა სახის მტკიცებულებები, არამედ, იგი არსებული მტკიცებულების თავისუფლად, შინაგანი რწმენით შეფასებაზე მიუთითებს.[72] საერთო სამართალში არსებული მტკიცებულების შეფასების სტანდარტი სწორედ ამით განსხვავდება კონტინენტური სამართლისგან, რადგან მოსამართლე შეფასებისას მის შინაგან რწმენას ეყრდნობა. მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასება შესაძლებელია, როდესაც არ არსებობს კანონის მიერ გაწერილი ინსტრუქციები, რეგულაციები, სამართლებრივი გაიდლაინები, თუ როგორ უნდა მოხდეს მტკიცებულების მნიშვნელობისა და ღირებულების შეფასება. ასეთი პრინციპის გამოყენებისას, მტკიცებულებათა შეფასების კონტექსტში, მოსამართლისთვის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი წესები არ არსებობს. [73] თუ წარდგენილ მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობაა, თავად მოსამართლეა უფლებამოსილი, თავისუფლად შეაფასოს თითოეული მათგანის მნიშვნელობა.

მტკიცებულებათა თავისუფალი (შინაგანი რწმენით) შეფასების პრინციპი გულისხმობს, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე თავისუფალია მტკიცებულებათა შეფასებისას. იგი ეყრდნობა მის გამოცდილებას, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის აღქმას.[74] თუმცა, თავისუფლება, მხოლოდ სამართლებრივი რეგულაციებისგან დამოუკიდებლობას გულისხმობს. მოსამართლე ვალდებულია დაემორჩილოს ზოგად სამართლებრივ ლოგიკას, ფსიქოლოგიას, მეცნიერებას და

---

[70] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.06.2018 განჩინება, საქმეზე №ას-285-285-2018.
[71] *Fasching*, Zivilprozeßrecht, section 717.
[72] *Lindell*, Evidence in Sweden, 427.
[73] *Baumgärtel*, Beweislastpraxis im Privatrecht, section 40.
[74] *Bonchovski*, Bulgarian national report, www.acj.si., 19.

ზოგად გამოცდილებას.[75] აღნიშნული პრინციპის მიხედვით, სასამართლო მტკიცებულების ძალასა და სანდოობას საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს. [76]

მტკიცებულებათა თავისუფალი, შინაგანი რწმენის საფუძველზე შეფასების პრინციპის მთავარი გამოწვევა მოსამართლის მიერ მისი შეფასების დასაბუთებაა. დასაბუთება უნდა იყოს ლოგიკური და არგუმენტირებულად თანმიმდევრული. მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასება ზემდგომი ინსტანციების კონტროლს ექვემდებარება. შინაგანი რწმენის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილება, ის თავისუფლებაა, რითაც სამოსამართლო სამართალი იქმნება და რაშიც მოსამართლის კეთილსინდისიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

[75] *Aras Kramar*, Evidence in Civil Law – Croatia (Maribor: Institute for Local Self-Government and Public Procurement in Maribor, 2015), 16.

[76] *Mallandrich Miret*, Evidence in Civil Law – Spain (Maribor: Institute for Local SelfGovernment and Public Procurement in Maribor, 2015), 11. *Bylander*, Evidence in Civil Law – Sweden (Maribor: Institute for Local Self-Government and Public Procurement in Maribor, 2015), 8 and 9. See also Swedish CCP, Ch. 35, Article 1.

მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში

1. პრეზუმფციის არსი და მისი გაქარწყლების თეორიულ-პრაქტიკული ასპექტები

ვარაუდი – ეს არის ობიექტური სინამდვილის აღქმის ერთ-ერთი საშუალება. საერთო ლოგიკური ვარაუდები საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში გამოიყენება, როგორც ჭეშმარიტებამდე მისასვლელი გზა. სამართალში ვარაუდს განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია. მით უფრო, სამართლის ყველაზე უფრო „საზოგადოებრივ სფეროში“ – სამოქალაქო სამართალში.

ფილოსოფიური ენციკლოპედიის მიხედვით, **პრეზუმფცია**, გულისხმობს სინამდვილის, რეალობის ვარაუდს. პრეზუმფციის, როგორც სამართლებრივი კატეგორიის, უკეთესად აღქმის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს **ვარაუდი და პრეზუმფცია**. ვარაუდი არის ფაქტისადმი დამოკიდებულება, რომელიც, დროებით, მტკიცებულებების მოპოვებამდე, ითვლება ნამდვილად, ხოლო **პრეზუმფცია, ე.წ. დადასტურებული ვარაუდია და არსებობს იქამდე, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.** პრეზუმფცია, თავისი ლოგიკური არსით, ინდუქციურ დასკვნას ემყარება, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული წარმოადგენს კონკრეტული შემთხვევების (ფაქტების) განზოგადებულ დასკვნას. ინდუქციური დასკვნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფაქტის განმეორებადობას პრაქტიკაში, რასაც ლოგიკურ შედეგამდე მივყავართ. მაგალითისათვის, ერთი და იგივე ფაქტი, თუ დიდი ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე შედეგს იძლევა, ფაქტს ლოგიკურად აღნიშნული შედეგი მოყვება. შესაბამისად, **პრაქტიკაში ხშირად განმეორებადი ფაქტი იძლევა იმ შედეგის პრეზუმფციას, რა შედეგიც აღნიშნულ ფაქტს პრაქტიკაში სდევდა თან.** უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლის მატერიალური ნორმების დისპოზიცია, უმეტესწილად, პრეზუმფციებს ეფუძნება, ანუ ფაქტების ნორმალური განვითარების ლოგიკურ შედეგს. მაგალითისათვის, შეიძლება განხილულ იქნეს რამდენიმე შემთხვევა და, შესაბამისად, ის ნორმა, რომელიც აღნიშნული ფაქტობრივი შემადგენლობის სუბსუმციისათვის გამოიყენება.

დაკვირვების შედეგად, მეუღლეთა თანაცხოვრება, ერთობლივი მეურნეობის წარმართვა, საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტა წარმოადგენს **იმგვარი ვარაუდის საფუძველს, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების გასხვისების თაობაზე მეორე მეუღლე ინფორმირებულია.** შესაბამისად, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე ასხვისებს ქონებას, არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ მეორე მეუღლე ქონების განკარგვას ეთანხმება. აღნიშნული პრეზუმფციის ლოგიკური გამოხატულებაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი, კერძოდ, იმ

ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან ის არ ეთანხმებოდა გარიგებას.

იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაზე, როდესაც ბავშვის დაბადებამდე ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრება, საერთო მეურნეობის წარმოება, ან კიდევ **მათი მხრიდან ბავშვის ერთად რჩენა და აღზრდა ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ აღნიშნულ პირთაგან მამაკაცი, ბავშვის ბიოლოგიური მამაა.** იგივე დანაწესს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის, ან/და რჩენის ფაქტებს, ან და სხვა დამამტკიცებელ საბუთებს, ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას.

ამდენად, პრეზუმფციების ძირითადი წინაპირობაა ცხოვრებისეული პროცესების განმეორებადობა და მათი ურთიერთკავშირი. თუმცა, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ კავშირის არსებობა საკმარისი არ არის და აუცილებელია, რომ კავშირი ლოგიკური, გონივრული, მდგრადი და აუცილებლობით განპირობებული იყოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ თეორიაში გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, პრეზუმფციებში ასახულია **რეალობასთან გათანაბრებული ლოგიკური ჭეშმარიტება**. თუმცაღა, თუ ვიხელმძღვანელებთ თვით პრეზუმფციების არსით, ამგვარი დასკვნა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო პრეზუმფციას საჯარო წესრიგის უზრუნველსაყოფად უშვებს. მაგალითისათვის, ამ კუთხით, აღსანიშნავია უდანაშაულობის პრეზუმფცია. როგორც ცნობილია, დანაშაულის ჩამდენი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე უდანაშაულოდ ითვლება. განსასჯელთა უმეტესობის წინააღმდეგ კი, საბოლოო ჯამში, გამამტყუნებელი განაჩენი გამოდის. იგივე შეიძლება ითქვას იმ პირებზე, რომლებიც არ თავისუფლდებიან სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ საფუძვლით, რომ მათ კანონი არ იცოდნენ, ვინაიდან კანონის ცოდნის პრეზუმფცია მოქმედებს და მისი არცოდნა პირს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს. შესაბამისად, სამოქალაქო სამართალურთიერთობაში, უმეტესწილად, პასუხისმგებლობის განმაპირობებელ გარემოებას საფუძვლად კანონის არცოდნა ან არასათანადო გაგება უდევს. თუმცა, ამგვარი პრეზუმფციების სიმცირის გამო, აღნიშნული განხილულ უნდა იქნეს გამონაკლისად წესიდან და არა წესად, ვინაიდან ამგვარი სახის პრეზუმფციები არ უკარგავს პრეზუმფციების არსს რეალობის მაღალ ხარისხს და არ აქცევს მას ფიქციად. ხშირად, ასეთ პრეზუმფ-

ციებს, კანონმდებელი მიზანმიმართულად იყენებს, რათა დაცულ იქნეს **საყოველთაო სამართლიანობა და თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვა.** დასახელებული შემთხვევები, როგორც გამონაკლისი, პრეზუმფციის რეალური არსიდან, მიჩნეულ უნდა იქნეს, როგორც კანონმდებლის მიერ შემუშავებული და დადგენილი პრეზუმფცია და არა პრეზუმფცია, რომელიც დროთა განმავლობაში, რეალური ფაქტების ლოგიკური, სამართლიანი, მდგრადი კავშირის შედეგად ყალიბდება. ამდენად, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, **პრეზუმფცია, რომელიც დროთა განმავლობაში ყალიბდება, ფაქტების განვითარების ემპირიული დაკვირვების შედეგად ვლინდება და გამოხატულებას გამონათქვამში „როგორც წესი“ პოულობს** და, მეორე მხრივ, პრეზუმფცია, რომელიც **ე.წ. „დადგენილ წესად“, ანუ პრეზუმფციად ნორმატიული რეგულაციის შედეგად იქცევა.** როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ნორმატიულად დადგენილ პრეზუმფციას, უმეტეს შემთხვევაში, წინ უსწრებს კანონმდებლის ნება, განპირობებული თანამედროვე რეალობით, ბოროტად არ იქნეს გამოყენებული ესა თუ ის უფლება. ზემოაღნიშნული ნორმატიულად დადგენილი პრეზუმფციის გამოხატულებაა კონსტიტუციური დებულება, რომლის შესაბამისადაც, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

როგორ ზემოთ აღინიშნა, **პრეზუმფციების ჩამოყალიბება ფაქტების ინდუქციური ანალიზის შედეგია.** პრეზუმფცია, მით უფრო ახლოს არის რეალობასთან, რაც უფრო სრულია ინდუქციური ანალიზი. თავის მხრივ, ინდუქციას ორი სახესხვაობა გააჩნია, **პოპულარული და მეცნიერული ინდუქცია.** პოპულარული ინდუქცია ეფუძნება ფაქტების განმეორებადობის მარტივ გაანგარიშებას, ხოლო სამეცნიერო ინდუქციის დროს, პრეზუმფციის ჩამოყალიბება დამოკიდებულია არა მხოლოდ განმეორებადი ფაქტების მარტივ გაანგარიშებაზე, არამედ ფაქტების კვლევასა და ანალიზზე. ინდუქციის პროცესის წარმართვისა და შესაბამისი პრეზუმფციის ჩამოყალიბებისათვის, მნიშვნელოვანია, რომ ფაქტი ერთსა და იმავე შედეგს იძლეოდეს. თუ ყველა ფაქტს ერთი და იგივე თავისებურება არ გააჩნია, ანუ ყველა ფაქტი თუ ერთიან შედეგამდე არ მიდის, მაშინ ინდუქციის პროცესი წყდება და პრეზუმფცია არ ყალიბდება.

2. პრეზუმფციის მნიშვნელობა მტკიცების ტვირთის განაწილებისას

სამართალწარმოებაში პრეზუმციების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა

ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. **ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება (პრეზუმირდება) მოპასუხემ უნდა გააქარწყლოს, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება (პრეზუმირდება) პირიქით, მოსარჩელემ უნდა გააქარწყლოს**. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები მხარეებს მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს, არამედ **მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს ადგენს.** მოსარჩელე ვალდებულია მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი დაამტკიცოს, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი მოპასუხემ უნდა ამტკიცოს. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, თუ რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, პრეზუმფციების მეშვეობით კანონმდებელი მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს ანაწილებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პრეზუმფციები მატერიალური სამართლით განმტკიცებული მტკიცების ტვირთის განაწილების ყველაზე სრულყოფილი და პრაქტიკულად ხელმისაწვდომი ფორმაა[1]. უმეტეს შემთხვევაში, სწორედ მატერიალური სამართალი ადგენს პრეზუმფციას და, შესაბამისად, ანაწილებს მტკიცების ტვირთს. ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი მასზეა, ვინც მატერიალური სამართლით დაშვებული პრეზუმფციის საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ივარაუდება, რომ **ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე.** აღნიშნული ნორმის დანაწესი ვრცელდება მხოლოდ მოძრავ ნივთებზე, ასევე, ფულსა და ფასიან ქაღალდებზე. საკასაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლით გათვალისწინებულია კანონისმიერი ვარაუდი (praesumptio juris). აღნიშნული ვარაუდის უარყოფა კი საწინააღმდეგოს დამტკიცებით არის შესაძლებელი. აღნიშნული მატერიალური ნორმით დაშვებული პრეზუმფცია ნივთის მფლობელის მტკიცების ტვირთს ამსუბუქებს. ნივთის მფლობელმა მარტოოდენ ნივთზე მფლობელობის მოპოვების ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაამტკიცოს და არა საკუთრების წარმოშობისათვის აუცილებელი წინაპირობები, მაგალითად, გამსხვისებლის უფლებამოსილება. შესაბამისად, პრეზუმფციის უარყოფა უნდა მოხდეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის დანაწესი შეიცავს არა მტკიცების წესს, არამედ მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს. იგი მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის ცვლილებას იწვევს, რადგან მფლობელმა პრეზუმფციის ბაზისი (მფლობელობა) უნდა დაამტკიცოს და არა სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობა, რომელიც სამართლებრივ შედეგებს იწვევს[2]. **შესაბამისად, თუ მფლობელი მოძრავ ნივთზე მფლობელო-**

---

[1] *ლილუაშვილი*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 230, ნანახია ნანახია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.10.2018 განჩინებაში, საქმეზე №ას-533-509-2016.

[2] *თოთლაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 158, ველი 6., თბილისი, 2018, ნანახია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.10.2018 განჩინებაში, საქმეზე №ას-533-509-2016.

ბას დაადასტურებს, იგი მოძრავი ნივთის მესაკუთრედ ითვლება (პრეზუმფცია). აღნიშნული პრეზუმფციის გამაქარწყლებელი გარემოებები კი, მაგალითად, გამსხვისებლის უფლებამოსილება, მოწინააღმდეგე მხარემ უნდა ამტკიცოს.

კიდევ ერთი სანივთოსამართლებრივი პრეზუმფცია დაკავშირებულია უძრავ ნივთზე (ნივთში) განთავსებულ მოძრავ ნივთებზე, რომელსაც სასამართლო პრაქტიკა საკუთვნებლად მოიხსენიებს **და უშვებს პრეზუმფციას, რომ უძრავ ქონებაში განთავსებული მოძრავი ნივთები უძრავი ქონების მესაკუთრეს ეკუთვნის და მასზე, როგორც საკუთვნებელზე, უძრავი ქონების მესაკუთრის საკუთრების უფლება ვრცელდება.** აღნიშნულთან დაკავშირებით დაშვებულ საკანონმდებლო პრეზუმფციაზე სასამართლო განმარტავს, რომ შესაძლებელია საკუთვნებელის სახით არსებული გარკვეული ნივთი წარმოადგენდეს ცალკე სანივთო უფლების ობიექტს, თუმცა, ის, რომ მოსარჩელის საკუთრებად რიცხულ ბინაში განთავსებული მოძრავი ქონება წარმოადგენს არა მოსარჩელის (უძრავი ქონების მესაკუთრის), არამედ – მოვალის საკუთრებას, მოპასუხეს (კრედიტორს) სათანადო მტკიცებულებებით უნდა დაედასტურებინა.[3]

იგივე წესი ვრცელდება სახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართაც, მაგალითად, **სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის დაბრუნებაზე ვალდებული სუბიექტი ივარაუდება (პრეზუმირდება), რომ მსესხებელია.** იდენტური რეგულირება მოქმედებს საოჯახო სამართალშიც. სესხის დაბრუნება მსესხებელი მეუღლის ვალდებულებაა და იგი, აღნიშნული სესხის ფარგლებში, საკუთარი ქონებით აგებს პასუხს. შესაბამისად, საოჯახო სამართალში, რეგისტრირებული ქორწინების პირობებში, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ვალდებულების ფარგლებში მიღებული ფულადი თანხა ოჯახის საერთო ინტერესებს მოხმარდა, კრედიტორს ეკისრება, რომელიც აღნიშნული ფულადი თანხის გადახდევინებას მეორე მეუღლის კუთვნილი წილიდან ითხოვს. ვიდრე მოსარჩელე არ დაადასტურებს მითითებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობას, მიიჩნევა (პრეზუმირდება), რომ კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელი მხოლოდ ფულადი თანხის მიმღები მოვალე მეუღლეა.[4]

მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრეზუმირებულ წესს ადგენს სამოქალაქო კოდექსის **429-ე მუხლის მე-2 ნაწილიც**, რომლის მიხედვითაც, ვალის მიღების შესახებ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც არაფერია ნათქვამი პროცენტის შესახებ, გულისხმობს (პრეზუმფციას უშვებს), რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია.[5]

თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული ერთ-ერთი ცნობილი ნორმატიული პრეზუმფცია გათვალისწინებულია **სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებუ-**

[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.06.2018 განჩინება, საქმეზე №ას-357-357-2018.
[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.03.2019 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1646-2018.
[5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.03.2019 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1298-2018.

ლების არსებობას. აღნიშნული დებულების სასამართლო პრაქტიკისეული განმარტების მიზნებისათვის, უნდა აღინიშნოს, რომ, თუ შემსრულებელი შესრულებას, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, თანხის გადახდას დაადასტურებს, მიმღებმა უნდა ამტკიცოს ვალდებულება, რომლის შესრულების მიზნითაც მან აღნიშნული შესრულება მიიღო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესრულება (თანხის გადახდა) იმთავითვე უსაფუძვლოდ ჩაითვლება და გადახდილი თანხა დაბრუნებას დაექვემდებარება. თუმცა, აღნიშნული ფაქტობრივი ვითარება სახეზეა მაშინ, როდესაც შემსრულებელი (თანხის გადამხდელი) თავიდანვე (სარჩელში) უთითებს, რომ მან აღნიშნული შესრულება საფუძვლის გარეშე განახორციელა ან საფუძვლით განახორციელა, თუმცა, შემდგომ ეს საფუძველი შეწყდა. სწორედ ასეთ ვითარებაში გადადის შესრულების საფუძვლიანობის, ანუ შესრულების მიღების სამართლებრივი საფუძვლის მტკიცების მოვალეობა მოპასუხეზე. **თუ მოპასუხე დაადასტურებს რაიმე საფუძვლის არსებობას, რომლის საფუძველზე მან შესრულება მიიღო (მაგ.: ნარდობის, ნასყიდობის საფასური, ჩუქება და ა. შ.), ასეთ ვითარებაში, თანხა, როგორც უსაფუძვლოდ გადაცემული, დაბრუნებას არ დაექვემდებარება.** სხვაგვარ პროცესუალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც მოსარჩელის მტკიცებით, **მან თანხა კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით გადასცა მოპასუხეს, მაგალითად, სესხის საფუძველზე და ითხოვს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.** ასეთ შემთხვევაში, თანხის გადაცემის ფაქტიც და შესაბამისი სახელშეკრულებო საფუძველიც მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს. **მოპასუხის პროცესუალური მდგომარეობა ამ შემთხვევაში პასიურია.** თუ მოსარჩელემ შესაბამისი სახელშეკრულებო საფუძვლის არსებობა ვერ დაამტკიცა, მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე კი არ გადადის, არამედ შესაბამისი ფაქტობრივი საფუძვლით (სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე) სარჩელი არ დაკმაყოფილდება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსარჩელე შესაბამის ფაქტობრივ საფუძველს (მაგალითისათვის, სესხის ხელშეკრულება) ვერ ამტკიცებს და შემდგომ (პირველ ინსტანციაში მთავარ სხდომაზე, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში) თანხის უსაფუძვლო გამდიდრების მუხლებიდან გამომდინარე ითხოვს. **ამგვარი დაშვებით მოპასუხის წინააღმდეგ მიმართული სარჩელი და სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მოპასუხისათვის არაგანჭვრეტადი ხდება, ვინაიდან მოპასუხემ იმთავითვე არ იცოდა, რომ მას მიღებული თანხის ფაქტობრივი საფუძვლის მტკიცება მოუწევდა.** შესაბამისად, აღნიშნული ვითარება სააპელაციო პალატის მიერ მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. ამგვარი დასკვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო თავისუფალია სამართლებრივ შეფასებაში. მოსამართლე უფლებამოსილია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სხვა (განსხვავებული) სამართლის ნორმის საფუძველზე შეაფასოს, ვიდრე ამას მოსარჩელე უთითებდა, თუმცა, დაუშვებელია სამართლებრივი შეფასების შეცვლა მაშინ, როდესაც **ამით სარ-**

ჩელის ფაქტობრივი საფუძველი იცვლება და მოპასუხეს შეცვლილი ფაქტობრივი საფუძვლის მიმართ შესაგებლისა და ახალი (შეცვლილი) ფაქტების საწინააღმდეგო ფაქტების (არგუმენტების) მტკიცების შესაძლებლობა არ მიეცემა. შესაბამისად, ის, რაც სარჩელის ფაქტობრივი შემადგენლობის ნაწილია (საჭიროებს მტკიცებას), სასამართლომ არ უნდა შეცვალოს, ხოლო სარჩელის ნორმატიული საფუძველი (მხოლოდ სამართლებრივი შეფასება), სასამართლოს მხრიდან ცვლილებას ექვემდებარება[6]. **თანხა სესხის ხელშეკრულების საფუძველზეა გადაცემული, თუ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ფაქტის საკითხია და არა სამართლებრივი შეფასების სფერო.** შესაბამისად, თუ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სესხის ხელშეკრულების საფუძველზე თანხის გადაცემა, მხოლოდ თანხის გადაცემის დამტკიცების პირობებში, მას უფლება აქვს, ახალი სასარჩელო წარმოების გზით, თანხის დაბრუნება უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე მოითხოვოს. მხოლოდ ამ გზით იქნება დაცული მოპასუხის პროცესუალური უფლება, შეედავოს მარტო იმ არგუმენტს, რომელიც მოსარჩელემ მის წინააღმდეგ კანონით დადგენილი წესით, შესაბამის საპროცესოსამართლებრივ ეტაპზე (შესაგებელში, მოსამზადებელ სხდომაზე, მთავარ სხდომაზე და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მხოლოდ საპატიო გარემოების არსებობის შემთხვევაში), გააჟღერა. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ მითითებული საპროცესოსამართლებრივი ასპექტები სასამართლო პრაქტიკაში ერთგვაროვნად შეფასებული არ არის. უფრო მეტიც, გავრცელებული შეხედულებისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მიიჩნევა, რომ სასარჩელო მოთხოვნა (თანხის დაბრუნება) შემოწმებულ უნდა იქნას სამართლებრივი საფუძვლების კონკურენციის პირობებში, კერძოდ, თუ მოსარჩელემ დაამტკიცა თანხის გადაცემა, თუმცა, სესხის არსებობა ვერ დაადასტურა, სასამართლო უფლებამოსილია გადაცემული თანხა უსაფუძვლო გამდიდრების წესებიდან გამომდინარე დააბრუნოს, მიუხედავად იმისა, მოსარჩელე თანხის უსაფუძვლოდ გადაცემაზე სარჩელში უთითებდა, თუ არა[7].

ნორმიდან მომდინარე პრეზუმფციის ნათელი დადასტურებაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც. **ამდენად, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, ნორმატიულ წყაროზე დაყრდნობით, იგულისხმება, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებაც აქვს. საწინააღმდეგო მოწინააღმდეგე მხარემ უნდა ამტკიცოს.**

გარდა პრეზუმფციების ნორმატიული წყაროსი, არსებობს პრეზუმფციის სასამართლოსეული დაშვებები, რაც ფაქტების განმეორებადობის ინდუქციური ანალიზიდან მომდინარეობს. მაგალითად, ამ მიმართებით აღსანიშნავია სა-

[6] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.03.2013 განჩინება, საქმეზე №ას-1350-1275-2012.
[7] შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.09.2011 განჩინება, საქმეზე №ას-711-670-2011.

სამართლო პრაქტიკა ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღებასთან დაკავშირებით, როდესაც მემკვიდრე მამკვიდრებლის გარდაცვალების ეტაპზე, ანუ სამკვიდროს გახსნის დროს სავალდებულო სამხედრო სამსახურში ან საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფებოდა. ასეთ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დადგენას სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევამდე ან კიდევ თავისუფლების აღკვეთამდე. თუ მემკვიდრის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი ემთხვევა მამკვიდრებლის დანაშთი (სადავო) ქონების ადგილსამყოფელს, ეს ნიშნავს იმას, რომ მან ქონება ფაქტობრივი ფლობით მიიღო, ვინაიდან არსებობს პრეზუმფცია, რომ იგი იქ იცხოვრებდა, რომ არა თავისუფლების აღკვეთა ან სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა[8].

ხშირად, განმეორებადი ფაქტების ინდუქციური დასკვნიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებული პრეზუმფციის თვალსაჩინო მაგალითია დანაშაულის შედეგად, ახლობლის გარდაცვალების გამო, მორალური ზიანის მიყენების ფაქტი. თეორიაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ახლობლის გარდაცვალების დროს არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ გარდაცვლილის ახლო ნათესავს მორალური ზიანი მიადგა, საწინააღმდეგო დანაშაულის მიმყენებელმა უნდა ამტკიცოს. თბილისის სააპელაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: „ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც, როგორც წესი, მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა და ა. შ. როგორიცაა ახლობელი ადამიანის (მეუღლის, შვილის, დედის, მამის, დის, ძმის) გარდაცვალება, მოქმედებს ე.წ. „მორალური ზიანის პრეზუმფცია“ და ზიანის მიმყენებლის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ აღნიშნულმა პირმა ახლობლის გარდაცვალებით მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა[9]. მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, იგი მსგავსი კატეგორიის დავებზე არსებულ სასამართლო პრაქტიკად ვერ მიიჩნევა. უფრო მეტიც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკა ახლობლის გარდაცვალებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას არ უშვებს[10]. თუმცა, აღნიშნული პრაქტიკა, სავარაუდოდ, გადახედვას დაექვემდებარება მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ განიხილა და შვილის გარდაცვალებით დედისთვის მორალური ზიანის მიყენების პრეზუმფცია დაუშვა[11].

---

[8] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.02.2010 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-483-794-09.

[9] თბილისის სააპელაციო პალატის 17.01.2012 გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/4187-11.

[10] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.07.2017 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-593-568-2016, ამავე სასამართლოს 25.01.2019 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1268-2018.

[11] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018 გადაწყვეტილება, საქმეზე „სარიშვილი ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Sarishvili – Bolkvadze v. Georgia, №58240/08).

3. სასამართლოს როლი მხარეთა მიერ მტკიცებულებათა წარდგენაში

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი ზოგადი წესის მიხედვით, ფაქტების მტკიცების ტვირთი მხარეებს ეკისრება[12]. აღნიშნული წესი ნორმატიულადაა განმტკიცებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ[13] 102.1). სასამართლოს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების სისწორეში დასარწმუნებლად ალბათობის მაღალი ხარისხით სარწმუნო მტკიცებულებები სჭირდება[14]. შესაბამისად, მხარეები სარჩელსა, თუ შესაგებელში მარტოოდენ ფაქტების მითითებით, მათთვის სასურველ შედეგს ვერ მიიღებენ, თუ აღნიშნული ფაქტების არსებობა კანონით დაშვებული მტკიცებულებების წარდგენის გზით არ დაამტკიცეს. შესაბამისი მტკიცების გარეშე ფაქტი დადასტურებულად მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში ითვლება, კერძოდ, მაშინ, როდესაც მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტს მოპასუხე დაეთანხმება (ფაქტის აღიარება) (სსსკ 131), თუ რაღა თქმა უნდა, ფაქტი სპეციალურ მტკიცებას არ საჭიროებს, მაგალითად, როგორიცაა, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, დაბადება, გარდაცვალება, რეგისტრირებული ქორწინება და ა. შ. ან როდესაც მოპასუხე შესაგებელს არ წარადგენს, ან სხდომაზე არ გამოცხადდება და მოსარჩელე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას იშუამდგომლებს (სსსკ 230, 232[1]). ასეთ ვითარებაში სარჩელში მითითებული ფაქტები, შესაბამისი მტკიცებულებების შემოწმების გარეშე, დადასტურებულად ითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე მიმდინარეობს, ეს მოცემულობა არ არის შეუზღუდავი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეჯიბრის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობებსაც ითვალისწინებს. მათი უმრავლესობა, პირდაპირ, ცალსახად არ გულისხმობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედებაში ჩარევასა და პროცესში ინკვიზიციური მეთოდების შემოტანას, **მაგრამ, ირიბად, მოსამართლეს უფლებას აძლევს, საკუთარი ქმედებებით საქმის მიმდინარეობაზე გავლენა მოახდინოს.** საგულისხმოა, რომ არც კანონმდებლობა და არც დოქტრინა განმარტავს, ზოგადი დანაწესის არსებობისას, სად გადის მიჯნა შეჯიბრებითობის პრინციპში არათანაზომიერ ჩარევასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას შორის[15]. თუმცა, სასამართლო პრაქტიკა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახული ნორმების, ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზისა და დოქტრინალურად განმტკიცებული შეჯიბრებითობის კონტექსტის გათვალისწინებით, ადგენს, რომ **მოსამართლის**

---

[12] *ლილუაშვილი, ხრუსტალი,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014, გვ. 198.

[13] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. შემდგომში: სსსკ.

[14] *ციპელიუსი,* „იურიდიული მეთოდების მოძღვრება“, მიუნხენი, 2006, გვ. 109.

[15] *დეკანოსიძე,* „შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თანამედროვე სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017წ., გვ. 128-155.

როლი მტკიცებულებათა შეგროვების პროცესში მინიმალისტური, თუმცა, არსებითია. სასამართლოს ფუნქცია მხარეთა შეჯიბრის წარმართვაა, თანაც იმგვარად, რომ მხარეებს საპროცესო თავდაცვის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამ ფარგლებში სასამართლო, სადავო ფაქტების გათვალისწინებით, მტკიცების საგანს განსაზღვრავს და საპროცესო, თუ მატერიალური კანონმდებლობის დანაწესებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს ანაწილებს[16]. სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებით, თუმცა, მითითებული ფაქტების ფარგლებში, უფლებამოსილია, მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა შესთავაზოს[17]. ამასთან, ნიშანდობლივია განიმარტოს, თუ რა იგულისხმება სასამართლოს უფლებაში, მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა შესთავაზოს. აღნიშნული გულისხმობს, რომ სასამართლომ მხარეს სარჩელსა, თუ შესაგებელში მითითებული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენის წინადადება მისცეს, მაგალითად, თუ მოსარჩელე უთითებს ფაქტს, რომ იგი სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეა, შესთავაზოს საჯარო რეესტრიდან შესაბამისი ამონაწერის წარმოდგენა, ან თუ მოპასუხე შესაგებელში ნასყიდობის ფასის უნაღდო (საბანკო გადარიცხვის გზით) ანგარიშსწორებაზე უთითებს, მისცეს წინადადება, რომ საბანკო ამონაწერი წარმოადგინოს და ა. შ. დოქტრინაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით, სასამართლოს უფლება, შესთავაზოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, უნდა ემსახურებოდეს სიმართლის გარკვევას და არ უნდა გაკეთდეს რომელიმე მხარისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით[18], მით უფრო, არ უნდა მოხდეს ამ გზით მხარეთა შეჯიბრებითობის უფლების ხელყოფა[19]. აღნიშნული პრინციპი დაცული იქნება, თუ სასამართლო დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შეთავაზებით, მხარეს საქმისათვის მნიშვნელოვან დამატებით ფაქტებს არ განუმარტავს და მხოლოდ უკვე მითითებული ფაქტების დადასტურების წინადადებას მისცემს. ამასთან, **სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს კონკრეტული მტკიცებულების დასახელებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფაქტი სპეციალურ მტკიცებას საჭიროებს, ან თუ მხარე მტკიცებულების სახეზე თავად უთითებს,** მაგალითად, სპეციალურ მტკიცებას საჭიროებს გარემოებები, რომელთა დადასტურება მარტოოდენ კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებებითაა შესაძლებელი, მაგ. საჯარო რეესტრის ამონაწერი, ქორწინების, დაბადების, გარდაცვალების მოწმობები და ა. შ. მხარის მიერ მტკიცებულების დასახელება კი ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ფაქტი თავად აღწერს მტკიცებულების სახეობას, მაგალითისათვის, მხარე უთითებს, რომ გადახდა უნაღდო (საბანკო) ანგარიშსწორების წესით განხორციელდა, შესაბამისად,

---

[16] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.11.2017 განჩინება, საქმეზე №ას-1004-925-2017.

[17] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.11.2013 განჩინება, საქმეზე №ას-1485-1401-2012.

[18] *ლილუაშვილი, ხრუსტალი,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014, გვ.198.

[19] *დეკანოსიძე,* „შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თანამედროვე სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017წ., გვ. 128-155.

ასეთ ვითარებაში, სასამართლო კი არ განუსაზღვრავს მხარეს, თუ რომელი მტკიცებულებით უნდა დაადასტუროს ესა თუ ის ფაქტი, არამედ აძლევს წინადადებას, მის მიერ მითითებული ფაქტი მის მიერვე მითითებული მტკიცებულებით, მოცემულ შემთხვევაში, საბანკო ამონაწერით, დაამტკიცოს. იგივე წესი ვრცელდება სასამართლოს კიდევ ერთ შესაძლებლობაზე, მხარეებს მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა მისცეს, კერძოდ, მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად მოსამართლეს შეუძლია დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ, წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები, თუ დოკუმენტები (სსსკ 203.1. „ა“)[20].

4. მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესუალური სტანდარტი

მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, **მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობას.**[21] საგულისხმოა ისიც, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და, ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების უწინარეს საფუძველს იმის სწორად განსაზღვრა წარმოადგენს, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, **საქმის განმხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა.** მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შეამოწმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურსამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამოწმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წანამძღვარს. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წანამძღვრებს. [22]

მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესუალურ სტანდარტს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, **თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი**

---

[20] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.06.2012 განჩინება, საქმეზე №ას-750-704-2012.

[21] *ბიოლინგი, ჭანტურია,* სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ. 64.

[22] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.11.2018 განჩინება, საქმეზე №ას-860-860-2018.

ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამრიგად, მტკიცების ტვირთი ერთნაირად ეკისრებათ მხარეებს და ეს ტვირთი თანაბრად ნაწილდება მათ შორის. ამასთან, მტკიცების ტვირთის გადანაწილებას, უმეტესწილად, სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი **მატერიალურსამართლებრივი ნორმა აწესრიგებს**. ზოგადი ანალიზით, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის მტკიცებას **კანონმდებელი იმ მხარეს ავალებს, რომლისთვისაც ეს უფრო ადვილია.** ამასთან, მხარეებს იმ გარემოების დადასტურება ეკისრებათ, რომლის დადასტურებაც **ობიექტურად შესაძლებელია.** შესაბამისად, მტკიცებას **პოზიტიური ფაქტი ექვემდებარება**. ნეგატიური ფაქტის მტკიცება მტკიცების ტვირთის განაწილების გონიერი სტანდარტის საწინააღმდეგო დებულებად მიიჩნევა, რადგან **ნეგატიური ფაქტის მტკიცება ობიექტურად შეუძლებელია**. მაგალითისათვის, გამსესხებელმა უნდა ამტკიცოს, რომ თანხა მსესხებელს გადასცა, ხოლო მსესხებელმა უნდა ამტკიცოს, რომ მან სესხი გამსესხებელს უკან დაუბრუნა. ვერც გამსესხებელი ვერ დაამტკიცებს, რომ მსესხებელს თანხა მისთვის უკან **არ დაუბრუნებია** და ვერც მსესხებელი შეძლებს იმ ფაქტის დადასტურებას, რომ მას სესხად აღებული თანხა **არ მიუღია.**

მტკიცების ტვირთის განაწილების განსხვავებული სტანდარტი არსებობს სახელშეკრულებო და დელიქტურ სამართალში, ასევე შრომის სამართალსა და დისკრიმინაციის სამართალში, მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურებით ხასიათდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში მოქმედი წესები და ა. შ. აღნიშნულ განსხვავებას სამართალურთიერთობის სპეციფიკა, მტკიცების სირთულე და მტკიცებულებათა წარდგენის ობიექტური შესაძლებლობა/შეუძლებლობა განაპირობებს.

ა) მტკიცების ტვირთის განაწილება სახელშეკრულებო სამართალში

ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნისას, ხელშეკრულების დადებისა და მისი მხრიდან ვალდებულების შესრულების ფაქტი მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ვალდებულების შესრულების ფაქტი ან იმ გარემოებათა არსებობა, რომლებიც მის მიერ ვალდებულების შესრულებას გამორიცხავდა[23] [24] [25]. ამდენად, მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური გადანაწილების პრინციპებზე დაყრდნობით, სასამართლო პრაქტიკით სახელშეკრულებო სამართალში მტკიცების ტვირთი შემდეგნაირად ნაწილდება: (1) მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ხელშეკრულების დადება; (2) მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ვალდებულების შესრულების ვადა, ანუ ვადამოსული ვალდებულების არსებობა[26]; (3) მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს მის მიერ ვალდებულების უფლებამოსილი პირის მიმართ[27] შესრულება ან მოპასუხის ვალ-

[23] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-323-309-2012.
[24] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.01.2012 განჩინება, საქმეზე №ას-400-380-2011.
[25] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.11.2011 განჩინება, საქმეზე №ას-936-974-2011.
[26] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.11.2018 განჩინება, საქმეზე №ას-860-860-2018.
[27] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.07.2018 განჩინება, საქმეზე №ას-548-548-2018.

დებულება წინმსწრებ რეჟიმში შესრულების მოვალეობის არსებობის შესახებ[28]; (4) მოპასუხემ უნდა ამტკიცოს საპასუხო (ან წინმსწრები) ვალდებულების შესრულების ფაქტი[29]; ან კიდევ (5) მოპასუხემ უნდა ამტკიცოს გარემოებები, რომლებიც მის მიერ ვალდებულების შესრულებას გამორიცხავდა[30]. სახელშეკრულებო ზიანის მოთხოვნის არსებობის პირობებში, (1) ზიანის ფაქტი, (2) ვალდებულების შეუსრულებლობა და (3) მიზეზობრივი კავშირი, ზიანსა და ვალდებულების შეუსრულებლობას შორის, ზიანის მოთხოვნაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა ამტკიცოს. მტკიცებას არ ექვემდებარება ისეთი პრეზუმირებული დაკარგული შემოსავალი, როგორიცაა ფულის არამართლზომიერი დაკავებით დაკარგული ე.წ. „საანაბრე პროცენტი“[31].

ამდენად, სახელშეკრულბო ურთიერთობის დროს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური გადანაწილების ამოსავალი პრინციპია, **რომ მხარეს იმაზე მეტის მტკიცების ვალდებულება არ უნდა დაეკისროს, ვიდრე აღნიშნული ობიექტურად შესაძლებელია.** შესაბამისად, მხარეს ეკისრება ფაქტის არსებობის მტკიცება და არა ფაქტის უარყოფის. ამდენად, მტკიცების ტვირთის გადანაწილების დროს, ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული მხარეების მიერ მტკიცების პროცესის განხორციელების ობიექტური შესაძლებლობა. რეალურად, ხომ მატერიალურ სამართალში ხანდაზმულობის პრინციპის ამოსავალი წერტილი სწორედ ხანდაზმულ მოთხოვნაზე მტკიცებულებების შეგროვების ობიექტური შეუძლებლობაა [32].

მტკიცების თვალსაზრისით, გარკვეული თავისებურებით ხასიათდება ისეთი სახელშეკრულებო დავები, რა დროსაც დავის საგანს არა ვალდებულების შესრულება ანდა შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს, არამედ გარიგების ბათილობა, იმ საფუძვლით, რომ გარიგების დადება ე.წ. „ნების მოდრეკის“ რეჟიმში მოხდა. აღნიშნული კატეგორიის დავებში, თუ ერთ-ერთი მხარე სახელმწიფო, ან სხვა „ძლიერი მხარეა“ და მოსარჩელე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულების ფაქტებზე უთითებს, ამასთან, თუ გარიგების შინაარსი ქმნის იმგვარ შთაბეჭდილებას, რომ „ნებაზე არამართლზომიერი ზემოქმედების“ გარეშე ასეთი გარიგება სხვა შემთხვევაში არ დაიდებოდა[33], ასეთ ვითარებაში, ფაქტების ერთობლიობა, prima facie ნამდვილი ნების გარეშე გარიგების დადების შთაბეჭდილებას ტოვებს, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტებით შექმნილი იძულების, ზნეობის, ან მორალთან წინააღმდეგობის პრეზუმფცია „ძლიერმა მხარემ“ უნდა გააქარწყლოს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, თუ იმთავითვე ცხადია, რომ „სუსტი მხარე“ „ნების მოდრეკის“ რეჟიმში მოქმედებდა, თუმცა, „ნების მოდრეკის“ პირობებში მისთვის მტკიცებულებების შექმნა ობიექტურად შეუძლებელი იყო, ასეთ ვითარებაში, მტკიცების ტვირთი ძლიერ მხარეზე გადადის, რომელმაც

[28] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.11.2018 განჩინება, საქმეზე №ას-860-860-2018.
[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.11.2018 განჩინება, საქმეზე №ას-581-581-2018.
[30] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.07.2011 განჩინება, საქმეზე №ას-756-812-2011
[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.11.2018 განჩინება, საქმეზე №ას-820-820-2018.
[32] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.10.2011 განჩინება, საქმეზე №ას-341-325-2011.
[33] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.12.2018 განჩინება, საქმეზე №ას-1230-2018.

გარიგების მართლზომიერება და მხარეთა ნების თავისუფლება უნდა ადასტუროს. სწორედ ამგვარ მყარ პრეზუმფციებს ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში „გუზინსკი რუსეთის წინააღმდეგ“, „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“, „გალსთიანი სომხეთის წინააღმდეგ“ და ა. შ.[34] არაკეთილსინდისიერებაზე დაყრდნობით გარიგების ბათილობის მოთხოვნა გარიგების ბათილობის მიზნებისათვის საკმარის საფუძველს არ ქმნის, რადგან ივარაუდება, რომ, თუ ერთი მხარე არაკეთილსინდისიერი იყო, მეორე მხარე კეთილსინდისიერად მოქმედებდა. შესაბამისად, მხარემ, მტკიცების თვალსაზრისით, ორივე მხარის არაკეთილსინდისიერება უნდა ამტკიცოს[35]. რაც შეეხება გარიგების ბათილობას მოჩვენებითობის ან თვალთმაქცურობის საფუძვლით, ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების საგანში ორივე მხარის „ურთიერთშეთანხმებული ნების“ მტკიცება შედის, რომლებიც „საერთო მიზნითა და განზრახვით“ მოქმედებდნენ და რაც „მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას არ შეესაბამება“.[36] მოტყუების საფუძვლით გარიგების ბათილობის მოთხოვნის დროს მოსარჩელემ ისეთი გარემოებები უნდა ამტკიცოს, რომელიც მოტყუებული პირისათვის იმგვარი ობიექტური ვითარების შექმნის ფაქტს ასახავს, რომელიც ყველა ნორმალურ მოაზროვნე ადამიანში არანამდვილი ნების გამოვლენას იწვევს, ანუ ადამიანს ობიექტური განსჯის შედეგად არ უნდა ჰქონდეს თავისი ნამდვილი ნების გამოვლენის შესაძლებლობა, შესაბამისად, მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება უნდა იყოს შესაძლებელი. [37] ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოვლენილი ნების გაუცნობიერებლობის საფუძვლით გარიგების ბათილობის მოთხოვნა ისეთ მტკიცებას საჭიროებს, რომლითაც უტყუარად დგინდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, რაც ნების გაცნობიერების ფაქტს ცალსახად გამორიცხავდა. ასეთ შემთხვევაში, ვარაუდზე დაფუძნებული საექსპერტო დასკვნა მხედველობაში არ მიიღება. ამ მიმართებით მტკიცებას ყოველთვის ართულებს ის ფაქტი, თუ აღნიშნული გარიგება ნოტარიულადაა დადასტურებული, რადგან ნოტარიულად დადასტურებული გარიგების პირობებში ივარაუდება, რომ ნოტარიუსმა გარიგების შინაარსის დამოწმებისას, მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების გაცნობიერებული ხასიათი და ნამდვილობა შეამოწმა.[38] [39]

ბ) მტკიცების ტვირთის განაწილება დელიქტურ სამართალში

განსხვავებით სახელშეკრულბო სამართლებრივი ურთიერთობისაგან, დელიქტურ სამართალში მტკიცების ტვირთის გადანაწილება გარკვეული თავისებურებით

---

[34] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.03.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1215-2018.
[35] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.07.2013 განჩინება, საქმეზე №ას-1439-1357-2012.
[36] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.02.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1686-2018.
[37] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 13.12.2018 განჩინება, საქმეზე №ას-1275-2018.
[38] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.11.2018 განჩინება, საქმეზე №ას-860-860-2018.
[39] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 13.07.2018 განჩინება, საქმეზე №ას-771-771-2018.

ხასიათდება. **ამოსავალი პრინციპი იგივეა – მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ადასტურებს და არა მას, ვინც უარყოფს.** აღნიშნული სტანდარტი მტკიცების ტვირთს დელიქტურ სამართალში შემდეგნაირად ანაწილებს: (1) მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ზიანის ფაქტი; (2) მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს მოპასუხის ქმედებით გამოწვეული ზიანის ფაქტი, ანუ მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; (3) მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ქმედების მართლზომიერება; (4) მოპასუხემ უნდა ამტკიცოს მისი ბრალეულობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის ფაქტი[40]. აღნიშნული წესი არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც პირს პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე ეკისრება, მაგალითად, მომეტებული საფრთხის წყაროს (ავტომობილის) მესაკუთრეს.[41] ამასთან, აღსანიშნავია, რომ ერთი მხარის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადგენაში მეორე მხარის მხრიდან განხორციელებული ხელშეშლა მტკიცების ტვირთის შებრუნებას იწვევს, კერძოდ, დამტკიცებულად ითვლება ის ფაქტები, რომლის დასადგენად მტკიცებულებების მოპოვებაში პირველ მხარეს მეორე მხარემ შეუშალა ხელი (სსსკ 169.4).[42]

მტკიცების ტვირთის დელიქტური სამართლისათვის დამახასიათებელი წესები მოქმედებს ასევე სამედიცინო შეცდომასთან დაკავშირებულ დავებში სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის. ამ მიმართებით სამოქალაქო კოდექსის **1007-ე მუხლი ადგენს მტკიცების ტვირთის განაწილების წესს, რომლის დანაწესი სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთს დაზარალებულს აკისრებს. ნორმის აღნიშნული დანაწესის თანახმად, დაზარალებულმა ერთდროულად უნდა დაამტკიცოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ა) ზიანი; ბ) ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა; ბ) არამართლზომიერ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.** სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებებში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, თითოეული ამ კომპონენტის თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. თითოეული ამ კომპონენტის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების მიმართ პაციენტს შეიძლება წარმოეშვას, როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე დელიქტური ნორმებიდან. შეიძლება ექიმს იმ შემთხვევაშიც დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ მას არანაირი ხელშეკრულება არ გაუფორმებია პაციენტთან, გამომდინარე იქიდან, რომ მკურნალობის დაწყებით ექიმისათვის და არასამედიცინო (დამხმარე) პერსონალისათვისაც წარმოიშობა ვალდებულება, კანონით დადგენილ ფარგლებ-

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.01.2019 განჩინება, საქმეზე №ას-477-477-2018.
[41] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.02.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1350-2018.
[42] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.03.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1525-2018.

ში დაიცვან და შეინარჩუნონ პაციენტის ჯანმრთელობა. ექიმის მიერ ჩატარებული მცდარი მკურნალობა, როგორც წესი, ხელშეკრულების დარღვევაც არის და დელიქტიც. მოთხოვნის ორივე საფუძველი თანაბარია და, შესაბამისად, მოთხოვნის დაფუძნება ორივე საფუძველზე ერთდროულად არის შესაძლებელი. ამასთან, დელიქტური ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას გამოიყენება სახელშეკრულებო ზიანის მომწესრიგებელი ნორმები. სახელშეკრულებო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები სპეციფიკურია და ვალდებულებით ურთიერთობას სახელშეკრულებო თავისებურებათა გათვალისწინებით არეგულირებს. თუმცა, განსხვავებულ შესაძლებლობას გვაძლევს სამოქალაქო კოდექსი 326-ე მუხლი, რომლის ძალითაც წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მითითებული ნორმა წარმატებულადაა გამოყენებული სასამართლო პრაქტიკაში პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი დავების სამართლებრივი კვალიფიკაციისას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით აღნიშნული ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის აბსოლუტური სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის შედეგად, ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს და მიმართულია მიყენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებისაკენ[43]. **აღნიშნული კატეგორიის დავებში პაციენტს ეკისრება, როგორც ფაქტების სრულყოფილად და დამაჯერებლად წარდგენისა და გაცხადების ვალდებულება, აგრეთვე მტკიცების ტვირთი იმის დასადასტურებლად, რომ ადგილი ჰქონდა სამკურნალო შეცდომას.** თუ პაციენტის განმარტებები არ დადასტურდება, მაშინ სამკურნალო შეცდომა პაციენტის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, არ დამტკიცდება. ასევე, პაციენტმა უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს, რომ დამდგარი ზიანი ეფუძნება სამედიცინო დაწესებულების ვალდებულების დარღვევას.[44] თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს მტკიცებითი სამართლის ამოსავალი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, თუ მხარისთვის ამა თუ იმ ფაქტის დამტკიცება ობიექტურად შეუძლებელია, მას ამგვარი ფაქტის მტკიცების ტვირთი არ უნდა დაეკისროს. საწინააღმდეგო დაშვება სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფად განიხილება. შესაბამისად, თუ პაციენტმა ექიმის მიერ დაშვებული შეცდომის დამტკიცება ობიექტურად ვერ შეძლო, ექიმს უნდა დაეკისროს მის მიერ ჩატარებული მკურნალობისა, თუ სხვა სამედიცინო მანიპულაციის მართლზომიერებისა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების ვალდებულება.

---

[43] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.05.2010 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1268-1526-09.

[44] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.05.2018 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-111-111-2018.

გ) მტკიცების ტვირთის განაწილება შრომის სამართალში

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ორი ძირითადი წესი: ზოგადი წესი, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად ეკისრება თითოეულ მხარეს და სპეციალური წესი, რომელსაც თავად გამოსაყენებელი მატერიალური ნორმა აწესებს. **შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს და, ამდენად, სასამართლო ხელმძღვანელობს მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური სტანდარტით, რომლის თანახმად, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული, ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. ამგვარი სტანდარტის გამოყენების ნორმატიულ საფუძველს ქმნის ის, რომ დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები.**[45] [46]

დ) მტკიცების ტვირთის განაწილება დისკრიმინაციის სამართალში

სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც, მოპასუხეს იმის მტკიცების ტვირთი ეკისრება, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. იგივე წესს ადგენს არასასამართლო წარმოების დროს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, პირმა უნდა წარმოადგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. ამდენად, კანონი ადგენს, რომ სასამართლოს დისკრიმინაციის ფაქტები მხარემ (დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლმა) უნდა დაუსახელოს, რათა prima facie დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის პრეზუმფცია შეიქმნას. თუ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია მოსარჩელის მიმართ, ამა თუ იმ დაცული ნიშნით, განსხვავებული მოპყრობის ფაქტი, ასეთ ვითარებაში, განსხვავებული მოპყრობის მართებულობისა და გონივრულობის დასაბუთების მტკიცების ტვირთი ამ მოპყრობის განმახორციელებელ მხარეს აწევს (იხ. საქმეები: IVANOVA V. BULGARIA; KIYTUN V. RUSSIA; D.H. AND OTHERS V. CHECZ REPUBLIC და სხვა).[47] დასახელებული მსჯელობის ნორმატიული საფუძველია სამოქალაქო საპროცესო

[45] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.02.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1329-2018.
[46] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.12.2018 განჩინება, საქმეზე №ას-1274-2018.
[47] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.12.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1170-2018.

კოდექსის 363[3]-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს დისკრიმინაციული ქმედების სავარაუდო მსხვერპლის ვალდებულებას, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები და მიუთითოს ფაქტებზე, **რომელთა ანალიზი იძლევა გარკვეული ნიშნით პირის მიმართ არათანაბარი მოპყრობის ვარაუდის საფუძველს.** სწორედ ამ საპროცესო სტანდარტის დაცვის შემთხვევაში წარმოიშობა **მოპასუხის (დისკრიმინაციულად მოძალადის) ვალდებულება:** ა) გაამართლოს განსხვავებული მოპყრობა ობიექტური და გონივრული არგუმენტებით, რომლებიც გადაწონის განსხვავებულ მოპყრობას და გამართლებული იქნება დემოკრატიული ღირებულებებით; ბ) ამტკიცოს განსხვავებული მოპყრობის არარსებობა.[48]

ე) მტკიცების ტვირთის განაწილება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სამართალში

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი მტკიცების ტვირთის გადანაწილების სპეციალურ წესს განამტკიცებს, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩელეს, სიტყვისა და თავისუფლების შეზღუდვის ინიციატორს ეკისრება.[49] კერძო პირის ცილისწამებისათვის პირს მხოლოდ მაშინ ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს **არსებითად მცდარ ფაქტს** უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით **მოსარჩელეს ზიანი მიადგა**[50], ხოლო საჯარო პირის ცილისწამებისათვის პირს მაშინ ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს **არსებითად მცდარ ფაქტს** უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს **ზიანი მიადგა** და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის **წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა,** რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება[51]. ამდენად, კანონი კერძო და საჯარო პირს ცილისწამებისათვის (ორივე შემთხვევაში) მტკიცების ტვირთს იმგვარად ანაწილებს, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ფაქტი მასზედ, რომ მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაცია მცდარია და რომ აღნიშნული ინფორმაცია მოსარჩელისათვის ზიანის მომტანია. კანონი საჯარო პირისათვის, მისი საჯაროსამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე დამატებით მოთხოვნას აწესებს, კერძოდ, მოსარჩელის მტკიცების საგანში

---

[48] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.12.2014 განჩინება, საქმეზე №ას-1263-2018.
[49] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 07.05.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1857-2018.
[50] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.
[51] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

შემავალ გარემოებად ასახელებს ასევე მის წინააღმდეგ მცდარი ინფორმაციის **ბრალეულად (განზრახ ან აშკარა ან უხეში გაუფრთხილებლობით) გავრცელებას,** ანუ საჯარო პირის შემთხვევაში, მოსარჩელემ დამატებით უნდა ამტკიცოს ასევე ფაქტი იმის შესახებ, რომ ინფორმაციის გამავრცელებელმა **იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ინფორმაცია, რომელსაც იგი ავრცელებდა, მცდარი იყო. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით,** სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მტკიცების ტვირთი შეზღუდვის ინიციატორს ეკისრება. თუმცა, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ[52].

მიუხედავად იმის, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი მოსარჩელეს აკისრებს მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობის დადასტურების ვალდებულებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტია ვალდებული ამტკიცოს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ანდა მის მიერ ჟურნალისტური ეთიკის ფარგლებში განხორციელებული ზომები ინფორმაციის გადასამოწმებლად[53] [54]. ამგვარი პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონთან, რომლის მიხედვითაც, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს[55]. თუმცა, ვინაიდან ამავე კანონის მიხედვით, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს .... ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ამიტომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენად განხორციელებადია მტკიცების ტვირთი შეზღუდვის ინიციატორის მხრიდან, განსაკუთრებით უარყოფითი ფაქტის მტკიცების კონტექსტში და კანონის ინტერპრეტაციისას უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით. ამგვარი დასკვნის საფუძველია ასევე პრაქტიკაში არსებული სირთულე იმასთან დაკავშირებით, რომ შეზღუდვის ინიციატორმა უნდა ამტკიცოს, რომ ის ქურდი არ არის, მას თანხა არ მიუთვისებია, მას ეროვნული გმირი არ უცემია, მას დანაშაული არ ჩაუდენია და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, სწორედაც რომ რელევანტურია კანონის ნორმის პრეცედენტისეული განმარტება, რომლის მიხედვითაც, ჟურნალისტმა უნდა ადასტუროს გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ანდა მის მიერ მიღებული გონივრული ზომები ინფორმაციის გადამოწმების თაობაზე.

---

[52] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.08.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1739-1720-2011.
[53] McVicar v UK.
[54] Heinisch v Germany.
[55] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი.

ვ) მტკიცების ტვირთის განაწილება სამეზობლო სამართალში

მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელყოფა არსებითი მნიშვნელობისაა, რაც თმენის ვალდებულებას სცილდება ან თმენის ვალდებულების ფარგლებშია, თუმცა, მეზობელს თმენის კომპენსაციის უფლებას წარმოუშობს, ასეთ შემთხვევაში, ხელყოფა, მისი არსებითი ხასიათი და ხელყოფის ზემოქმედების შედეგები მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს. ამ მიმართებით შეიძლება რელევანტურ მტკიცებულებას ექსპერტის დასკვნა წარმოადგენდეს შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევის თაობაზე.[56]

ზ) მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში

სამეწარმეო სამართალში მოქმედებს „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფცია. რომლის მიღმა იგულისხმება, რომ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.[57]

კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობა დაცულია „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციით, რომლის მიღმა იგულისხმება, რომ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.[58] ასეთ შემთხვევაში, კომპანიის შიდა ურთიერთობებში სწორედ მოსარჩელემ (პარტნიორი, საზოგადოება) უნდა ამტკიცოს დირექტორის მხრიდან ფიდუციური მოვალეობის დარღვევა. თუ მოსარჩელე დირექტორის მიერ ფიდუციურ მოვალეობათა ტრიადიდან (ერთგულება, მზრუნველობა, კეთილსინდისიერება), თუნდაც ერთ-ერთი მოვალეობის დარღვევას დაადგენს, ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოპასუხე დირექტორზე გადადის, რომელმაც მის მიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილების მართებულობა უნდა ამტკიცოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დირექტორის მიმართ სარ-

---

[56] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.06.2018 განჩინება №ას-324-324-2018.

[57] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.11.2018 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-687-658-2016.

[58] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.11.2018 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-687-658-2016.

ჩელს კრედიტორი დელიქტის საფუძველზე აღძრავს, მოსარჩელემ დირექტორის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი და ამავე ზიანის ოდენობა უნდა დაადასტუროს[59].

სამეწარმეო სამართლებრივ ურთიერთობებში პარტნიორს დივიდენდის მოთხოვნის უფლება აქვს, თუმცა, აღნიშნული მოთხოვნა სასამართლო პრაქტიკით უპირობოდ არ მიიჩნევა. მოთხოვნის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელე დივიდენდის მოთხოვნაზე უფლებამოსილი იყოს, კომპანიას მოგება ჰქონდეს და ამავე კომპანიის გადაწყვეტილებით აღნიშნული მოგება, მთლიანად ან ნაწილობრივ, დივიდენდად განაწილებული იყოს. [60]

წილზე საკუთრების უფლება საკუთრების უფლებათა დაცული გარანტიის რეგულირების რეჟიმში ექცევა. შესაბამისად, თუ კომპანია უთითებს, რომ მოსარჩელე საზოგადოებიდან ნებაყოფლობით გავიდა, წილი დათმო და ა. შ. მანვე უნდა ადასტუროს მოსარჩელის მიერ წილის დათმობაზე გამოვლენილი ნების ნამდვილობა. [61]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკით შემუშავებულია ის ძირეული პრინციპები, რომლის შესაბამისადაც, მტკიცების ტვირთი ნაწილდება. აღნიშნულ საკითხს უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია მხარეთა უფლებების თანაბარზომიერად დაცვის საქმეში და საქმეზე დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის. მტკიცების ტვირთის სტანდარტის დარღვევა უპირობოდ იწვევს მხარეთა ყველაზე მნიშვნელოვანი საპროცესო სამართლებრივი ღირებულების დარღვევას, რაც სამართლიან გადაწყვეტილებასაც კი უკანონოდ აქცევს.

[59] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.05.2015 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1158-1104-2014.

[60] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.03.2019 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1646-2018.

[61] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.10.2018 განჩინება, საქმეზე №ას-201-201-2018.

ფარული ჩანაწერი, როგორც მტკიცებულება, სამოქალაქო სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში[1]

1. თეორია

ა) ფარული ჩანაწერი, როგორც კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება

მტკიცებულებები შეფასებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება, თუ ისინი კანონის შესაბამისად არის მოპოვებული[2]. მითითებული პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის მიხედვითაც, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

ფარულ (აუდიო/ვიდეო) ჩანაწერთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალკე დათქმას არ შეიცავს, ისევე როგორც არცერთი ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ყოველ კონკრეტულ მტკიცებულებასთან მიმართებით ცალკე დათქმებს არ ითვალისწინებს. როგორც წესი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსები ერთმანეთისაგან დასაშვებ და დაუშვებელ მტკიცებულებებს მიჯნავს. ამ მხრივ, არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსია გამონაკლისი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს, თუ კანონის დარღვევით მოპოვებულ რომელ მტკიცებულებას არ აქვს იურიდიული ძალა. უფრო მეტიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არც მტკიცებულებათა მოპოვების რაიმე წესს ადგენს. შესაბამისად, კანონის დარღვევით მოპოვებულად უნდა ჩაითვალოს მტკიცებულება, თუ მისი მოპოვებით კანონით დადგენილი წესი ირღვევა **(ფორმალურ-პროცედურული დარღვევა)**, ან თუ მისი მოპოვებით მხარეთა ან მესამე პირთა უფლებები ილახება **(არსებითი პროცედურულ-შინაარსობრივი დარღვევა)**. **ამ მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, თუ ვინ მოიპოვებს მტკიცებულებებს.**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონტექსტში კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა კატეგორიას არ განეკუთვნება მტკიცებულება, რომელიც უფლებამოსილი ორგა-

[1] წარმოდგენილი კვლევა უმეტესწილად ეფუძნება გერმანიისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარებსა და სასამართლო პრაქტიკას. რიგი მსჯელობა, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლების ანალიზს ეხება განვითარებულია გერმანულ წყაროებზე დაყრდნობით, თუმცა, გერმანული წყარო მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამა თუ იმ მუხლის კომენტირებისას, როდესაც ორივე ქვეყნის კოდექსში რეგულაცია იდენტურია. განსხვავებული მოწესრიგების პირობებში კი საკითხები შედარებითსამართლებრივი კვლევის კონტექსტშია შეფასებული (ავტ.შ.).

[2] *Thomas/Putzo*, Zivilprocessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, §286, Rn.6.

ნოს (პირის) მიერ არის მოპოვებული (შექმნილი), თუმცა, თავად უფლებამოსილმა ორგანომ (პირმა) მტკიცებულებათა მოპოვების (შექმნის) პროცესში შეცდომა დაუშვა[3]. მაგალითად, მოწმე გამომძიებელმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების დარღვევით დაკითხა, ადმინისტრაციულმა ორგანომ წერილობითი მასალა კანონით დადგენილი პროცედურის დაუცველად მოიპოვა და ა. შ. **აღნიშნული მტკიცებულებები შეფასებას ექვემდებარება,** რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო მტკიცებულებათა კვლევის ეტაპზე, მხარეთა პოზიციებს მოისმენს, რა დროსაც მხარეები უფლებამოსილნი არიან, ყველა ის პრეტენზია გამოთქვან, რომელიც მათ მტკიცებულებასთან მიმართებით გააჩნიათ. საბოლოოდ, მხარეთა მხრიდან გაჟღერებულ პრეტენზიებს სასამართლო აფასებს და გამოაქვს დასკვნა, თუ რამდენად შეიძლება ემოქმედა აღნიშნულ დარღვევებს **მტკიცებულების შინაარსობრივ მხარეზე.** თუ მტკიცებულების მოპოვების (შექმნის) პროცესში არსებული დარღვევა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას მტკიცებულების შინაარსობრივ მხარეზე შეიძლება ემოქმედა, მითითებულ მტკიცებულებას სასამართლო არ გაიზიარებს.

როგორც წესი, შეფასებას არ ექვემდებარება არაუფლებამოსილი ორგანოს (პირის) მიერ კონსტიტუციურსამართლებრივი პრინციპების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, მაგალითად, საუბრის ფარული ვიდეოგადაღება, სატელეფონო საუბრის ფარული ჩაწერა და ა. შ. მტკიცებულება კანონდარღვევითაა მოპოვებული და, როგორც წესი, შეფასებას არ ექვემდებარება, თუ მტკიცებულება პირის კონსტიტუციურ უფლებათა დარღვევის ხარჯზეა მოპოვებული. საგულისხმოა, რომ ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული აქცენტი ისეთ კონსტიტუციურსამართლებრივი უფლებების შელახვაზე კეთდება, როგორიცაა, პირადი უფლებები (პირადი ცხოვრება, პირადი საუბარი, პირადი მიმოწერა და ა. შ)[4]. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალების გახმაურება, პირადი მიმოწერისა, თუ საუბრის მტკიცებულების სახით წარდგენა, მითითებულ მტკიცებულებას უკანონოდ არ აქცევს. **მტკიცებულება უკანონოდ მიიჩნევა მისი არამართლზომიერი მოპოვების (შექმნის) გამო, რომელიც როგორც წესი, კონსტიტუციურსამართლებრივი პრინციპების დარღვევის გზით ხორციელდება** [5]**.** შედარებისათვის, ფოსტის, მეილისა, თუ ფაქსის მეშვეობით მიღებული წერილის მტკიცებულების სახით წარდგენა, თუნდაც, მისი გამომგზავნი პირის თანხმობის გარეშე, კანონის დარღვევით მოპოვებულ და, შესაბამისად, დაუშვებელ მტკიცებულებას არ წარმოადგენს, ვინაიდან მხარემ მითითებული მტკიცებულება კანონის სრული დაცვით მოიპოვა[6]. თუ წერილი პირადი ცხოვრების ამსახველ დე-

---

[3] *Thomas/Putzo,* Zivilprocessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, §286, Rn.7.

[4] იქვე, ველი 7.

[5] BGH NJW 03, 1123 nach *Thomas/Putzo,* Zivilprocessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, §286, Rn.7.

[6] BGH 19, 325 NJW 64, 1139 nach *Zöller,* Zivilprocessordnung, Verlag Dr.Otto Schmidt, 29 neubearbeitete Auflage, §286, Rn, 15b.

ტალებს შეიცავს, აღნიშნული გარემოება მას, პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალების უნებართვოდ გახმაურების საფუძვლით, სხვა სახის მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს და არა მითითებული მტკიცებულების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის მოთხოვნის საპროცესოსამართლებრივ უფლებას[7]. იგივე მაგალითზე დაყრდნობით, თუ მხარემ პირადი მიმოწერა, სხვისი მეილის, ფოსტის და ა. შ. უნებართვოდ სარგებლობის გზით (უკანონო შეღწევა და ა. შ) მოიპოვა, რაღა თქმა უნდა, მითითებული მტკიცებულება, როგორც კანონდარღვევით მოპოვებული, უკანონო მტკიცებულებაა და შეფასებას არ ექვემდებარება[8]. იგივე წესი ვრცელდება ფარულად მოპოვებულ ვიდეოჩანაწერებზე, სადაც საუბარიც ისმის, ანუ აუდიო ეფექტიც აქვს და გამოსახულებაც ჩანს. მტკიცებულება უკანონოდ მოპოვებული არ არის, თუ ვიდეო ან აუდიო ჩამწერი აპარატურა მხარისათვის შესამჩნევ ადგილზეა დამონტაჟებული ან მართალია, შეუმჩნეველ ადგილზეა დამონტაჟებული, თუმცა, არსებობს მხარისათვის ნათლად აღქმადი ფორმით მინიშნება, იმის თაობაზე, რომ მითითებული სივრცის ვიდეო გადაღება ან აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს. ამგვარი ფორმით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელ მტკიცებულებად არ მიიჩნევა[9].

კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, მხარეთა ორმხრივი თანხმობით, დასაშვები მტკიცებულებაა. ასეთ ვითარებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ პირის ნებას ენიჭება, რომლის კონსტიტუციურ უფლებათა ხარჯზეც იქნა მოპოვებული მტკიცებულება. მითითებული პირის თანხმობა **მეორე მხარის მიერ განხორციელებულ ნაკლოვან მტკიცებას ასწორებს[10].**

მტკიცებულება კანონდარღვევით მოპოვებულად არ მიიჩნევა და, შესაბამისად, შეფასებას ექვემდებარება, თუ აუდიო ჩაწერა, ვიდეო გადაღება, პირადი წიგნაკიდან (დღიურიდან) მიმოწერის ამოღება მხარის თანხმობით ხორციელდება. თანხმობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით იქნეს გამოხატული, მათ შორის, კონკლუდენტური მოქმედება თანხმობად მიიჩნევა, მაგალითისათვის, თანხმობას უთანაბრდება პირის ინფორმირებულობა მისი საუბრის ჩაწერის, ვიდეო გადაღებისა, თუ მისი პირადი მიმოწერიდან ინფორმაციის მოპოვების თაობაზე, რაზეც მან წინააღმდეგობა არ გაწია. თუმცა, კონკლუდენტური მოქმედება აუდიო/ვიდეო ჩანაწერის განხორციელების თაობაზე მითითებული ჩანაწერის მტკიცებულებად გამოყენების შესახებ თანხმობას არ გულისხმობს[11]. კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ წარმოადგენს იმ მოწმის ჩვენება, რომელიც ორივე მხარის გაცნობიერებუ-

---

[7] Oldenburg NJW 2008, 3508 nach *Zöller*, Zivilprocessordnung, Verlag Dr.Otto Schmidt, 29 neubearbeitete Auflage, §286, Rn, 15b.

[8] *Zöller,* Zivilprocessordnung, Verlag Dr.Otto Schmidt, 29 neubearbeitete Auflage, §286, Rn, 15b.

[9] იქვე, ველი 15.

[10] Köln, NJW-RR 93, 1073 nach *Thomas/Putzo,* Zivilprocessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, §286, Rn.7.

[11] BVerfG NJW 02, 3619-3623 nach *Thomas/Putzo*, Zivilprocessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, §286, Rn.7.

ლი თანხმობით ხმამაღალმოსაუბრის მეშვეობით მხარეთა სატელეფონო საუბარს ისმენდა[12]. დაუშვებელ მტკიცებულებას არ წარმოადგენს ასევე იმ მოწმის ჩვენება, რომელმაც მხარეთა საუბარი შემთხვევით მოისმინა, ერთ-ერთი მხარის მონაწილეობისა და ხელშეწყობის გარეშე[13].

ამდენად, კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება იმთავითვე დაუშვებელი მტკიცებულებაა და შეფასებას არ ექვემდებარება. **მტკიცებულების კანონსაწინააღმდეგო ხასიათს მისი მოპოვების არამართლზომიერება განაპირობებს და არა მტკიცებულების შინაარსი**. მოპოვების არამართლზომიერებაში კი, პირველ რიგში, მოწინააღმდეგე მხარის უფლებებში უნებართვო ჩარევა იგულისხმება, რითაც მხარის კონსტიტუციურსამართლებრივი უფლებები ირღვევა. ერთი პირის სამოქალაქო უფლების დაცვა კი მეორე პირის კონსტიტუციით უზრუნველყოფილ გარანტიათა შელახვის ხარჯზე, დაუშვებელია. თუმცა, მითითებული აკრძალვა აბსოლუტურ ხასიათს არ ატარებს. **ორმხრივი ინტერესის აწონდაწონვისა და ურთიერთშეჯერებული ანალიზის შედეგად, კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება შეიძლება დასაშვებ მტკიცებულებადაც იქცეს.** თუმცა, მითითებული დაშვება გამონაკლისია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული წესიდან, რომლის მიხედვითაც, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს.

იგივე პოზიციას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელმაც არაუფლებამოსილ პირთა მიერ ფარული ჩანაწერის განხორციელება და ამ გზით მტკიცებულებათა მოპოვება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად მიიჩნია და, შესაბამისად, მე-8 მუხლის დარღვევა დააფიქსირა[14].

მითითებული პრაქტიკა განმტკიცებულია არა მხოლოდ კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მტკიცებულებათა შეფასების ფედერალური წესების მიხედვით, აუდიო/ვიდეო ჩანაწერის დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნევის მიზნებისათვის, აუცილებელია აღნიშნული ჩანაწერი შემდეგ მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს, კერძოდ, ჩამწერი მოწყობილობა გამართულ მდგომარეობაში უნდა იყოს; ჩაწერა საამისო კომპეტენციის მქონე პირმა უნდა განახორციელოს; ჩანაწერი ავთენტური უნდა იყოს; მასზე ყოველგვარი ზემოქმედება, მათ შორის, შეცვლა, წაშლა, დამატება გამორიცხული უნდა იყოს; საუბრისა და მოსაუბრე პირთა იდენტიფიცირება შესაძლებელი უნდა იყოს; **ჩაწერა უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად, მხარეთა ინფორმირებული თანხმობის პირობებში და მათ ნებაზე ყოველგვარი პირდაპირი, თუ ირიბი ზემოქმედების გარეშე**[15]. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მითითებული წესები კუმულატიური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა პირობის დაცვაა აუცილებელი, იმისათ-

---

[12] BVerfG NJW 03, 2375 nach *Thomas/Putzo*, Zivilprocessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, §286, Rn.7.

[13] BAG NJW nach *Thomas/Putzo*, Zivilprocessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, §286, Rn.7.

[14] Dumitru Popescu v. Romania, Http://heinonline.org.

[15] *Cain*, Sound Recordings as Evidence in Court Proceeding, http://heinonline.org.

ვის, რომ ჩანაწერი დასაშვებ მტკიცებულებად ჩაითვალოს. ერთ-ერთი პირობის არარსებობა ან ეჭვი, მისი არარსებობის თაობაზე, მითითებული მტკიცებულების მართლზომიერებას გამორიცხავს და, შესაბამისად, მას სასამართლო დასაშვებ მტკიცებულებად არ ცნობს.

ინტერესს მოკლებული არ არის მითითებული საკითხის დანახვა საადვოკატო საქმიანობის პერსპექტივიდანაც. მაგალითისათვის, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მიერ შემუშავებული ერთიანი პროფესიული წესები, სხვა პირთა კონსტიტუციური უფლებების ხელყოფის გზით მტკიცებულებათა მოპოვებას, არაეთიკურად მიიჩნევს[16]. საქართველოში არსებული რეგულაციები ადვოკატთა შესახებ, მათი მხრიდან მტკიცებულებათა მოპოვების ხერხებსა და საშუალებებს არ ეხება, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში საადვოკატო საქმიანობის პრინციპების ჩამონათვალში, პირველ ადგილზე საადვოკატო საქმიანობის კანონიერების პრინციპია განმტკიცებული, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა მასზედ, რომ ადვოკატის საქმიანობა, ნებისმიერი მიმართულებით, პირველ რიგში, კანონსშესაბამისი უნდა იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ადვოკატმა მტკიცებულების მოპოვების პროცესი სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის ხარჯზე უნდა განახორციელოს. ამასთან, მის უკანონო ქმედებას მისი მანდატის ინტერესების დაცვის უპირატესობა კანონშესაბამისად ვერ აქცევს.

ბ) დაუშვებელი მტკიცებულების დასაშვებად ცნობის საგამონაკლისო შემთხვევები

როგორც ზემოთ აღინიშნა, არაუფლებამოსილი ორგანოს (პირის) მიერ კონსტიტუციურსამართლებრივი პრინციპების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, როგორც წესი, შეფასებას არ ექვემდებარება. **აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ გამონაკლის შემთხვევებში, ამგვარი მტკიცებულება შეიძლება დაშვებულ იქნეს და შეფასებას დაექვემდებაროს.** ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1165 რეზოლუციაში „Right to Privacy“ (1998) განმარტებულია, რომ „ევროპული კონვენციის მე-8 მუხლმა უნდა დაიცვას ინდივიდის პირადი ცხოვრება არა მარტო საჯარო ხელისუფლების, არამედ კერძო პირების მხრიდანაც“. თუმცა, იმისდა მიხედვით, თუ პირადი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება საქმე, დაცულობის ხარისხი განსხვავებულია. **თუ სახეზეა ინტიმური სფერო, იგი აბსოლუტური დაცვით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში ჩარევა არცერთი საფუძვლით არ არის გამართლებული. თუ საქმე ინტიმს არ ეხება**, **მაშინ იგი აბსოლუტური პრივილეგიით არ სარგებლობს.** მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია **საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში.** შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს, თუ არა, დაცვის

[16] *Joy § McMunigal*, To Tape or Not to Tape: Secret Recordings, Http://heinonline.org.

ღირსი ისეთი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეთა ორმხრივი ინტერესების აწონდაწონვის შედეგად, სასამართლომ უკანონო გზით მტკიცებულების მოპოვება შეიძლება იმ პატივსადები ინტერესის გათვალისწინებით გაამართლოს, რამაც მხარეს მტკიცებულების უკანონოდ მოპოვება აიძულა. ეს მხოლოდ ისეთი შემთხვევა შეიძლება იყოს, როდესაც სასამართლო მტკიცებულების მოპოვების გზით სხვის კონსტიტუციურსამართლებრივი უფლებების ხელყოფას, მათ შორის, პირად ცხოვრებაში ჩარევას გაამართლებს[17], მაგალითისათვის, როდესაც ადგილი აქვს პირის უფლებათა ისეთ ხელყოფას, **რომლის დადასტურება, კანონით დასაშვები მტკიცებულებების მოპოვების გზით, შეუძლებელია.** მაგალითისათვის, როდესაც პირს გარიგებაზე იძულების ისეთი მეთოდების გამოყენების გზით მოაწერინეს ხელი (იარაღით მუქარა, შანტაჟი და ა. შ.), რომელიც ნების გამოხატვის თავისუფლებაზე ზემოქმედებს, თუმცა, განსხვავებით ფიზიკური ზემოქმედებისაგან, ე.წ. „კვალს“ არ ტოვებს. ასეთ ვითარებაში გარიგებაზე ხელმომწერი პირის მიერ ფარული აუდიო (სატელეფონო) ჩანაწერის შექმნა, მტკიცებულების არამართლზომიერად მოპოვებას ამართლებს, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ მხარეს მტკიცებულების „მართლზომიერად მოპოვების“ შესაძლებლობა შეზღუდული აქვს და მტკიცებულების ამ გზით მოპოვება, თვითდახმარების ფარგლებში, გარდაუვალი აუცილებლობით არის განპირობებული. შესაბამისად, ფარული მოსმენის, გადაღებისა და ა. შ. გზით მოპოვებული მტკიცებულება მართლზომიერად მოპოვებულ და დასაშვებ მტკიცებულებად არ მიიჩნევა, თუ მხარეს მტკიცებულების შექმნის სხვა შესაძლებლობა (თავისუფლება) შეზღუდული არ აქვს. **ამდენად, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლების დადასტურების მიზნით, მტკიცებულების შექმნა სხვისი კონსტიტუციური უფლებების ხელყოფის ხარჯზე, იშვიათი გამონაკლისების გარდა, დაუშვებელია, მაშინაც, როდესაც მხარეს მტკიცებულების სხვა გზით მოპოვება არ შეუძლია**[18]**.** ამ მიმართებით ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ სამოქალაქო ურთიერთობებში, **მტკიცებულების შექმნა სამართალურთიერთობაში შესვლის ეტაპზე ყოველთვის შესაძლებელია.** ასეთ ვითარებაში კი მტკიცებულების შეუქმნელობა **სამოქალაქოსამართლებრივი დაუდევრობაა,** რომელიც, უფლების სადავოობის შემთხვევაში, მტკიცების ნაკლს განაპირობებს. **აღნიშნული კი მხარის სამოქალაქოსამართლებრივი რისკია, რომლის დაზღვევა სხვა პირის კონსტიტუციურ უფლებათა შელახვის ხარჯზე დაუშვებელია.**

---

[17] BVerfG NJW 92, 815 nach *Thomas/Putzo*, Zivilprocessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, §286, Rn.7.

[18] BVerfG NJW 02, 3619/3624; BGH NJW 03, 1727; BAG NJW 03, 3436 nach *Thomas/Putzo*, Zivilprocessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, §286, Rn.7.

2. დაუშვებელ მტკიცებულებათა შეფასების საპროცესოსამართლებრივი ასპექტები

ყველა მტკიცებულება არ ექვემდებარება შეფასებას[19]**.** მაგალითისათვის, მტკიცებულება, რომელიც კანონის დარღვევითაა მოპოვებული, შეფასებას არ ექვემდებარება. **ფორმულირება მასზედ, რომ მტკიცებულება შეფასებას არ ექვემდებარება სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის უცხოა.** ამგვარ ფორმულირებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს. შესაბამისად, საინტერესოა მითითებული საკითხის განხილვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა კონტექსტში, რომლის შესაბამისადაც, უნდა დადგინდეს, კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება არ უნდა იქნეს დაშვებული, როგორც მტკიცებულება, თუ მტკიცებულებათა შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და სასამართლომ მითითებული მტკიცებულება არ უნდა გაიზიაროს. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საპროცესო სამართლის ნორმათა ერთობლივ, შინაარსობრივ და ლოგიკურ ანალიზს, რომლის მიხედვითაც, მხარეები სარჩელისა და შესაგებლის წარდგენისთანავე, ვალდებულნი არიან, სარჩელსა და შესაგებელს მათ მიერ მითითებული მტკიცებულებები დაურთონ ან მათი მოგვიანებით დართვის საპატიოობაზე მიუთითონ და მტკიცებულებათა წარმოდგენის მიზნით გონივრული ვადის თაობაზე იშუამდგომლონ. ამავდროულად, სასამართლოც უფლებამოსილია, მოსამზადებელ სხდომაზე მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის მიზნით, წინადადება მისცეს. მთავარ სხდომაზე კი მტკიცებულებათა წარდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს მათი წარმოდგენა არ შეეძლო, აგრეთვე, თუ, მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი.

ამდენად, საქმის მთავარ სხდომაზე განხილვამდე, კანონით დადგენილი წესით წარდგენილი მტკიცებულება, ანუ მტკიცებულება, რომელიც სარჩელს ან შესაგებელს ერთვის, საქმეში იდება და **მითითებულ გარემოებაზე სასამართლო ზეგავლენას ვერ ახდენს.** თუმცა, სასამართლო საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებას, რომელსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ნიშანდობლივია, რომ სასამართლო აღნიშნულ საპროცესო მოქმედებას საკუთარი ინიციატივით (ex officio) ასრულებს, ამასთან, **მითითებული საპროცესო მოქმედების შესრულება სასამართლოს ვალდებულებაა და არა უფლება.** ამგვარი დასკვნის საფუძველს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვა-სიტყვითი ანალიზი წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საქმესთან

---

[19] *Zöller*, ZPO Koommentar, Verlag Dr.Otto Scmidt Köln, 29.neubearbeitete Auflage, 2012, Vor §286, Rn.15a.

შემხებლობაში არარსებული მტკიცებულების საქმიდან ამოღების თაობაზე მის კანონისმიერ მოვალეობას საკუთარი ინიციატივით არ შეასრულებს, რაღა თქმა უნდა, აღნიშნული საპროცესო მოქმედება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. მითითებული მსჯელობა ეყრდნობა საპროცესო სამართალში განმტკიცებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, **სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში მხოლოდ საქმესთან შემხებლობაში არსებული მტკიცებულებები ფასდება.**

ამდენად, მტკიცებულებას, რომელსაც საქმესთან შემხებლობა არ აქვს, სასამართლო საქმიდან ამოიღებს, ხოლო თუ მტკიცებულება სარჩელს ან შესაგებელს არ ერთვის, მაშინ, სასამართლო ამგვარი მტკიცებულების დართვის თაობაზე შუამდგომლობას არ დააკმაყოფილებს. მართალია, კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტების შესაბამისად, საქმიდან ამოღებას მხოლოდ საქმესთან შემხებლობის არმქონე მტკიცებულება ექვემდებარება, თუმცა, იგივე წესი უნდა გავრცელდეს კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებაზე, ვინაიდან კანონის ჩანაწერის მიხედვით, მას მტკიცებულების ძალა არ აქვს. ამასთან, გარდა იმისა, რომ იგი გაზიარებულ არ უნდა იქნეს, მიზანშეწონილია, რომ **იგი სასამართლომ არ მოისმინოს და არ ნახოს, რათა სასამართლოს შინაგანი რწმენა ქვეცნობიერად აღნიშნული მტკიცებულების შთაბეჭდილების ქვეშ არ მოექცეს.** ამდენად, თუ აშკარაა, რომ მხარემ მტკიცებულება ფარულად, კანონდარღვევით მოიპოვა და არ არსებობს მისი საქმეში დატოვების მიმართ მეორე მხარის დაცვის ღირსი ინტერესი, ასეთ ვითარებაში, მითითებულ მტკიცებულებას სასამართლო საქმიდან ამოიღებს, ხოლო თუ ამგვარი მტკიცებულება სარჩელს ან შესაგებელს იმთავითვე არ ერთვის, მაშინ, სასამართლო მას საქმეს, მტკიცებულების სახით, არ დაურთავს. ამასთან, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ როგორც საქმიდან მტკიცებულების ამოღება, ასევე მისი საქმეზე დართვა, მხარეთა პოზიციების მოსმენისა და აწონდაწონვის საფუძველზე უნდა მოხდეს, რა დროსაც, სასამართლომ მხარეთა ორმხრივი ინტერესის შეფასების საფუძველზე უნდა გააკეთოს დასკვნა მასზედ, მტკიცებულება უკანონოდაა მოპოვებული, თუ არა, და, თუ უკანონოდაა მოპოვებული, ხომ არ არსებობს მისი საქმეზე დართვის ან საქმეში დატოვების საგამონაკლისო შემთხვევა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მტკიცებულება კანონდარღვევითაა მოპოვებული და, ამასთან, არც მისი კანონდარღვევით შექმნის გამამართლებელი დაცვის ღირსი ინტერესი არსებობს, ასეთ ვითარებაში სასამართლომ მტკიცებულება, როგორც კანონსაწინააღმდეგო, საქმიდან უნდა ამოიღოს ან საქმეში არარსებული მტკიცებულება საქმეს არ უნდა დაურთოს.

ამდენად, კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასთან მიმართებით თეორიაში არსებული მიდგომა ცალსახაა – ამგვარი მტკიცებულება საქმეში არ უნდა იდოს, რათა სასამართლო უკანონო მტკიცებულების ზეგავლენისაგან სრულად გათავისუფლებული იყოს.

3. სასამართლო პრაქტიკა

კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებთან მიმართებით, ამ ეტაპზე, სასამართლო პრაქტიკა საქართველოში უკვე ერთგვაროვანია.

ამ მიმართებით საინტერესოა, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, პირველ რიგში, მისი ისტორიული განვითარების კუთხით. ფარულ ჩანაწერთან, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ყურადსაღებია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის განჩინება [20]. მითითებულ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლო და თბილისის სააპელაციო სასამართლო, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ფარულ აუდიო ჩანაწერსაც დაეყრდნო, რომელიც მხარეთა შორის დიალოგს ასახავდა. მითითებული ფარული აუდიოჩანაწერით ფულადი ვალდებულების არსებობა და მოპასუხის მხრიდან აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი დასტურდებოდა. ნიშანდობლივია, რომ მითითებულ საქმეზე ფარული აუდიოჩანაწერის მტკიცებულების სახით გამოყენებას კასატორი სადავოდ ხდიდა და განმარტავდა, რომ სასამართლოებმა საქმე უხეში საპროცესოსამართლებრივი დარღვევებით განიხილეს, ვინაიდან მტკიცებულების სახით, კანონდარღვევით მოპოვებული ფარული აუდიოჩანაწერი გამოიყენეს. კასატორი საკასაციო პრეტენზიას იმ გარემოებითაც ამყარებდა, რომ მითითებული ფარული აუდიოჩანაწერი სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც კანონდარღვევით მოპოვებული, დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა ცნობილი, რამაც წინასწარი გამოძიების შეწყვეტა განაპირობა. საკასაციო პალატამ იმსჯელა მითითებულ საპროცესოსამართლებრივ საკითხზე და განმარტა შემდეგი: „სისხლის სამართალი და სამოქალაქო სამართალი სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ და განსხვავებულია მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმებიც სისხლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში. სისხლის სამართალში, სადაც ორივე დაპირისპირებული მხარე კერძო სამართლის სუბიექტი არ არის, გადამწყვეტია, რომ ბრალდების მხარემ ბოროტად არ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება, არ იმოქმედოს თვითნებურად და არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები, საბოლოოდ, არ დაისაჯოს უდანაშაულო ადამიანი. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხიც სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე წესრიგდება, ამიტომ აქ ბრალდების მხარისათვის დაკისრებული მტკიცების სტანდარტი უფრო მკაცრია, ვიდრე დაცვის მხარისთვის. აღნიშნულის გამოხატულებაა ისიც, რომ სისხლის საპროცესო სამართალში ერთი და იგივე მტკიცებულება ერთ შემთხვევაში შეიძლება დაუშვებელ მტკიცებულებად ჩაითვალოს, თუკი ბრალდების დასადასტურებლად გამოიყენება, ხოლო მეორე შემთხვევაში – არა, თუკი განსასჯელის გამართლებას ემსახურება. სამოქალაქო საპროცესო სამართალში ასეთი პრობლემატიკა არ დგას, რამდენადაც აქ ურთიერთდაპირისპირებულია კერძო სამართლის სუ-

[20] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.06.2010 განჩინება, საქმეზე №ას-1154-1416-09.

ბიექტები, რომელთაც თანაბარი საპროცესო შესაძლებლობები აქვთ თავის დასაცავად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. სამოქალაქო საქმეს სასამართლო განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით სამოქალაქო საქმისწარმოება არ ხორციელდება. ამიტომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც სადავო აუდიოკასეტის მტკიცებულებად დაშვების საკითხი განსახილველ სამოქალაქო საქმეზე სამოქალაქო პროცესის ნორმების საფუძველზე უნდა გადაწყდეს. კასატორი ვერ ასაბუთებს ამ შემთხვევაში აუდიოჩანაწერის კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებად მიჩნევას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილი). **მოცემული აუდიოჩანაწერი არ შეიცავს მხარეთა პირადი საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, ისეთ კონფიდენციალურ ფაქტებს, რასაც დაუკავშირდებოდა მოსარჩელის სუბიექტური ინტერესი, რომ მისი საუბარი სხვა პირთათვის არ გახდეს ცნობილი.** აუდიოჩანაწერი შეიძლება განიმარტოს, როგორც საქმესთან დაკავშირებული გარემოებების დამტკიცების საშუალება ხმის ან სხვა ხმოვანი სიგნალის სპეციალურ ტექნიკურ საშუალებაზე ფიქსაციის მეშვეობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აუდიოჩანაწერს არ განიხილავს მტკიცებულების დამოუკიდებელ სახედ. მას მოიცავს ნივთიერი მტკიცებულებების ცნება და განიხილება როგორც ნივთიერი მტკიცებულებების ერთ-ერთი სახე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულებებია ის ნივთები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით წარმოადგენენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი აუდიოკასეტა, რომელზე არსებული აუდიოჩანაწერის ნამდვილობაც დადგენილია საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნებით, პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, საქმეში არსებული აუდიოჩანაწერი დასაშვები მტკიცებულებაა საქმეზე, რომელიც უნდა შეფასდეს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში“[21].

2010 წლის პირველი ივნისიდან, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ფარული აუდიოჩანაწერი დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნია, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ფარულ ჩანაწერს დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევდნენ, ხოლო ასეთ გადაწყვეტილებებს საქართველოს უზენაესი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად თვლიდა და დაუშვებლობის საფუძვლით, განუხილველად ტოვებდა[22] [23].

[21] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.06.2010 განჩინება, საქმეზე №ას-1154-1416-09.
[22] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.01.2013 განჩინება, საქმეზე №ას-1509-1424-2012.
[23] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.07.2012 განჩინება, საქმეზე №ას-851-799-2012.

2014 წლის 7 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას არ შეესაბამებოდა[24]. მითითებული გადაწყვეტილების მიხედვით, სასამართლომ ფულადი ვალდებულების არსებობის ფაქტი საქმეში არსებულ ფარულ აუდიო ჩანაწერზე დაყრდნობით დასაბუთებულად არ მიიჩნია, ვინაიდან ჩათვალა, რომ მტკიცებულება, კანონდარღვევით იყო მოპოვებული და შესაბამისად, მტკიცებულების ძალა არ ჰქონდა. მითითებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა შემდეგი: „ვინაიდან სატელეფონო საუბარი, მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფარულად არის ჩაწერილი, ამიტომ იგი კანონდარღვევითაა მოპოვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის კონტექსტში. მითითებული დასკვნის საფუძველს კი წარმოადგენს ის გარემოება, რომ პირადი საუბრის ფარული ჩაწერა, ხოლო შემდეგ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ეხება[25]. მითითებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ასევე განმარტა, რომ **სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების დადასტურების მიზნით მტკიცებულების შესაქმნელად პირად სფეროში ჩარევა და ამით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის უფლების შეზღუდვა გამართლებული არ არის.** ამგვარი დასკვნა, პირველ რიგში, გამომდინარეობს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან, რომელიც, თავის მხრივ, სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მიმართ გარკვეულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტები თავისუფალნი არიან სამოქალაქო ურთიერთობებში, შესაბამისად, ისინი ვალდებულნი არიან, გამოიჩინონ შესაბამისი სამოქალაქო სამართლებრივი წინდახედულობა და მტკიცებულება პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობის ფარგლებში მოიპოვონ. მხოლოდ იმიტომ, რომ მხარე სათანადოდ არ უზრუნველყოფს სამართალურთიერთობას მტკიცებულებებით, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ **მას, უფლების სადავოობის პირობებში, მითითებული მტკიცებულების შექნის შესაძლებლობა მეორე მხარის პირად ცხოვრებაში ჩარევის გზით აქვს.** ამგვარი სახით მოპოვებულ მტკიცებულებათა ლეგიტიმაციის პირობებში მივიღებთ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე დამყარებულ საზოგადოებას, არამედ კონსტიტუციურ ღირებულებათა დაუშვებელ ხელყოფას, რა დროსაც, განსაკუთრებით, პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის უფლება იქნება შეზღუდული, რაც დაუშვებელია. ამგვარი შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც **პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლო-**

[24] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 07.10.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/6800-13.
[25] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 07.10.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/6800-13.

ვებულ“ ფარგლებში მოქმედებს[26]**.** მაგალითისათვის, თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია. ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზეწოლა, მუქარა, შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი აწონ-დაწონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა **თვითდახმარებას კი არ ემსახურება, არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.** პირად სფეროში ჩარევა კი საჭირო გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ უფლება-მოვალეობათა კრედიტორმა თავის დროზე არ იზრუნა შესაბამისი მტკიცებულების (ხელშეკრულების, ხელწერილის, და ა. შ.) შექმნაზე[27]. ასეთ ვითარებაში, როდესაც გაუმართლებელია ჩარევა პირად სფეროში, ამგვარი გზით მოპოვებული მტკიცებულება, დაუშვებელი მტკიცებულებაა. მისი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარის თანხმობით, ამასთან, თანხმობა უნდა ეხებოდეს არა მტკიცებულების ფორმალურ დასაშვებობას, არამედ იმას, რომ მტკიცებულების შინაარსი სასამართლომ გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად. ამგვარი თანხმობის არარსებობის პირობებში, დაუშვებელია ფარულ ჩანაწერს გადაწყვეტილება დაეფუძნოს, მაშინაც კი, თუ ფარული ჩანაწერიდან უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომლის დადასტურების მიზანსაც ფარული ჩაწერა (კერძო სფეროში ჩარევა) ემსახურებოდა[28]“[29].

ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს აწ უკვე ადრეული განმარტებით, **თუ ფარული აუდიოჩანაწერი, არ შეიცავდა მხარეთა პირადი საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას ან მხარისათვის სუბიექტური ინტერესის მატარებელ კონფიდენციალურ ფაქტებს, დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნეოდა.** მითითებული პოზიციისაგან განსხვავებული მოსაზრება დააფიქსირა სააპელაციო სასამართლომ და განმარტა, **რომ მტკიცებულების მოპოვების ხერხი, კერძოდ, ფარული მოსმენა, მიყურადება, ჩაწერა საამისოდ არაუფლებამოსილ პირთა მიერ მხარის კონსტიტუციურ ღირებულებებს ხელყოფს და მიუხედავად იმისა, თუ რა სახის ინფორმაციის მატარებელია ფარული ჩანაწერი, იგი, როგორც კონსტიტუციურ ღირებულებათა საწინააღმდეგოდ მოპოვებული, დაუშვებელი მტკიცებულებაა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მტკიცებულების შექმნისას მხარე „აუცილებელი თვითდახმარების მდგომარეობაში“, ან „აუცილებელ თვითდახმარების მდგომარეობასთან მიახლოვებულ მდგომარეობაში“ იყო, ანუ როდესაც მტკიცებულების შექმნა მხარეს თავის**

[26] BGH NJW 1988,1016.
[27] BGH NJW 1982, 277; NJW 1988, 1016.
[28] OLG Stuttgart, 18.11.2009.
[29] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 07.10.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/6800-13.

დასაცავად სჭირდებოდა და არა სხვა პირთათვის წარსადგენი მოთხოვნის დასასაბუთებლად.

უახლესი პრაქტიკის ანალიზის თვალსაზრისით, ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არსებული პრაქტიკა შეცვალა [30] და ფარული ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნია[31]. ამასთან, დამატებით, ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის განჩინების შემდეგ სასამართლო ამ პრაქტიკით ვითარდება, მაგალითისათვის, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ფარული ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო ისეთი გარემოებების დადასტურების მიზნებისათვის, როგორიცაა, სასესხო ურთიერთობის არსებობა[32] [33], ნასყიდობის ხელშეკრულების დადება[34], ნასყიდობის ხელშეკრულების მოტყუებით დადება[35], ამხანაგობაში ფულადი შესატანის განხორციელება[36], ჩუქების ხელშეკრულების ბათილობა და აღნიშნული მიზნით ამორალური ქცევის დადასტურება[37], სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ გასაუქმებლად სასესხო ურთიერთობის დადგენა[38], პედაგოგზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტის დადასტურება[39] და ა. შ.

[30] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.06.2010 განჩინება, საქმეზე №ას-1154-1416-09.
[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.05.2015 განჩინება, საქმეზე №ას-1155-1101-2014.
[32] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.04.2018 განჩინება, საქმეზე №ას-87-87-2018.
[33] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.07.2015 განჩინება, საქმეზე №ას-1337-1375-2014.
[34] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.07.2017 განჩინება, საქმეზე №ას-918-884-2016.
[35] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.10.2017 განჩინება, საქმეზე №ას-842-786-2017.
[36] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.01.2017 განჩინება, საქმეზე №ას-896-862-2016.
[37] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.05.2016 განჩინება, საქმეზე №ას-290-276-2016.
[38] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.06.2016 განჩინება, საქმეზე №ას-238-226-2016.
[39] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.12.2015 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-238-226-2016.

დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის ურთიერთმიმართება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

1. დისპოზიციურობის არსი

დისპოზიციურობა სამოქალაქო საქმის წარმოების უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპია. დისპოზიციურობის პრინციპი გამოხატავს მხარეთა თავისუფალი მოქმედების იმ არეალს, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ეფუძნება. აღნიშნული პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს მხარეთა უფლებას, **საკუთარ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად თავად მიმართონ სასამართლოს და დავის საგანიც თავადვე განსაზღვრონ.** მატერიალური სამართალი მხარეებს ანიჭებს გარკვეულ უფლებებს. აღნიშნულ უფლებათა რეალიზაცია მხარეებს წარმოუშობს მოთხოვნის უფლებას. ლეგიტიმური მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, იგი აბსოლუტურია, თუ რელატიური, მეორე მხარის ვალდებულებას წარმოშობს. ვალდებულების შესრულების კანონით გათვალისწინებული იძულებითი ბერკეტების ასამოქმედებლად კი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებაა საჭირო. სწორედ ამიტომ მატერიალურსამართლებრივ მოთხოვნათა რეალიზების ყველაზე ეფექტური მექანიზმი, როდესაც დავა მოლაპარაკებით, მედიაციით, ან სხვა ნებაყოფლობითი გზით არ მთავრდება, სასამართლოა. შესაბამისად, მხარე სასამართლოსათვის მიმართვის გზით ახდენს იმ უფლებათა განხორციელებას, რომელიც მას მატერიალურმა კანონმა მიანიჭა. **თუმცა, მიმართავს, თუ არა მხარე, თავის უფლებათა დასაცავად, სასამართლოს, თავად მხარის გადასაწყვეტია.** სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოება უფლების იძულებით დაცვის მექანიზმს არ იცნობს, რაც სამოქალაქო საპროცესო სამართალში დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა. დისპოზიციურობის პრინციპთან დაკავშირებით სასამართლომ არაერთგზის განმარტა, რომ დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამ პრინციპზეა აგებული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. **უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვა თვით დაინტერესებული პირის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. მისი ნების გარეშე არავის აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს.** მხარეები თვითონ წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს. ისინი თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები[1].

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.07.2018 განჩინება, საქმეზე №ას-598-598-2018.

2. შეჯიბრებითობის არსი

მხარეთა შეჯიბრების არსი სათავეს იღებს დავის ინიცირების ეტაპიდან, კერძოდ, მხარე სარჩელის აღძვრისას თავად იღებს გადაწყვეტილებას, **თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მის მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.** სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის კი აუცილებელია, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტები სათანადო მტკიცებულებებით დასტურდებოდეს და ამავდროულად, აღნიშნული ფაქტები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებდეს. **შესაბამისად, მოსარჩელე, დიდწილად, თავადაა პასუხისმგებელი იმ შედეგზე, რასაც იგი სასამართლო სამართალწარმოების საფუძველზე ისახავს მიზნად**. იგივე უნდა ითქვას მოპასუხეზე, რომელიც, მართალია, სარჩელის ფარგლებითაა შეზღუდული, თუმცა, იგი თავად იღებს გადაწყვეტილებას, **თუ რა სახის ფაქტებითა და მტკიცებულებებით გააქარწყლოს მის წინააღმდეგ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა.** შესაბამისად, იგი თავად წყვეტს, წარმოადგინოს არაკვალიფიციური, თუ კვალიფიციური შედავება, რომელიც, თავის მხრივ, მოთხოვნის შემაფერხებელ ან მოთხოვნის შემწყვეტ შესაგებელში შეიძლება აისახოს[2].

მხარეთა შეჯიბრში სასამართლოს როლი არსებითია, კერძოდ, **სასამართლო წარმართავს შეჯიბრს და იღებს ზომებს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მტკიცებულებების გამოსავლენად,** თუმცა, სასამართლოს ფუნქცია, **მხარეთა შორის შეჯიბრში ჩარევის თვალსაზრისით, მინიმალისტურია.** სასამართლოს ფუნქცია მხარეთა შეჯიბრის წარმართვაა, თანაც იმგვარად, რომ მხარეებს საპროცესო თავდაცვის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამ ფარგლებში სასამართლო, სადავო ფაქტების გათვალისწინებით, მტკიცების საგანს განსაზღვრავს და საპროცესო, თუ მატერიალური კანონმდებლობის დანაწესებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს ანაწილებს[3].

ამ მიმართებით მნიშვნელოვანია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებას, საქმის გარემოებათა გასარკვევად ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს საკუთარი ინიციატივითაც მიმართოს, მაგრამ სამოქალაქო სამართალწარმოების კონტექსტში, რომელიც მთლიანად მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს ეფუძნება, **სასამართლოს მხრიდან ნებისმიერი ინიციატივის გამოჩენის უფლება ვიწროდ (შეზღუდულად) უნდა იქნას განმარტებული, რაც გულისხმობს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან ინიციატივის გამოჩენის საფუძვლები და აუცილებლობა სასამართლომ ნათლად უნდა დაასაბუთოს**[4]. ამდენად, სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ მოსამართლის მიერ ინიციატივის გამოჩენა და საკუთარი შეხედულებით სამოქალა-

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.11.2015 განჩინება, საქმეზე №ას-1013-956-2015.
[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.11.2017 განჩინება, საქმეზე №ას-1004-925-2017.
[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.07.2015 განჩინება, საქმეზე №ას-209-196-2015.

ქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ზომების მიღება, ნათელ და არაორაზროვან დასაბუთებას მოითხოვს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო უფლებამოსილი არ არის, თუნდაც, დეტალური დასაბუთების პირობებში, საკუთარი ინიციატივით სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ისეთ ღონისძიებას მიმართოს, რომლის უფლებაც მას სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული არ აქვს, ან როდესაც მინიჭებული აქვს, მაგრამ აღნიშნული საპროცესო სამართლებრივი ქმედება მოსამართლის მხრიდან არა საკუთარი ინიციატივით განხორციელებადი კატეგორიაა. ამ მიმართებით, აღსანიშნავია, რომ დაუშვებელია საპროცესო ნორმების **ფართო ინტერპრეტაცია,** რათა მხარეთა მოლოდინი კანონის დანაწესის შესაბამისი სამართალწარმოების განხორციელებისა და შესაბამისად, „საპროცესოსამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპი“ არ დაირღვეს, თუმცა, საპროცესო ნორმათა ბუნდოვანებისა და ორაზროვნების შემთხვევაში, ნორმა მხარის სასარგებლოდ უნდა განიმარტოს[5] და თანაც ისე, რომ საპროცესო სამართლის ნორმების ფორმალისტური და, ამავდროულად, ზედმეტად მოუქნელი მიდგომით, სასამართლოს გულმოდგინების ვალდებულება არ შეილახოს [6].

3. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის თეორიული ურთიერთმიმართება

შეჯიბრებითობის პრინციპის ნათელსაყოფად, **მნიშვნელოვანია, შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპის ურთიერთმიმართების დადგენა.** დოქტრინაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს აქვს სრული თავისუფლება, საკუთარი შეხედულებისა და სურვილისამებრ კანონმდებლობით მინიჭებულ ფარგლებში განკარგოს თავისი კერძოსამართლებრივი სიკეთე[7]. ამ უფლებამოსილების განხორციელება სამოქალაქო პროცესში სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპით გამოიხატება, რაც შეეხება „დისპოზიციურობის პრინციპის უზენაესობას“, ეს არის სამოქალაქო საქმეზე მოსამართლისათვის მხარეთა ავტონომიურობაში შეჭრის აკრძალვა, რაც, ამავე დროს, მოიცავს მოდავე მხარეებზე პასუხისმგებლობის ტვირთის მნიშვნელოვნად გადატანას[8].

შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პი-

---

[5] საქმე „გახარია საქართველოს წინააღმდეგ“, 17.01.2017, სტრასბურგი.

[6] Bartaia v. Georgia, no.10978/06, Judgement, 26.07.2018.

[7] *Schneider*, Über richterliche Ermittlung und Feststellun des Sachverhalts im Civilprozess, 1888, S.18 ნანახია, ს.ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბილისი, 2011, გვ. 50.

[8] *Schneider*, Über richterliche Ermittlung und Feststellun des Sachverhalts im Civilprozess, 1888, S.18 ნანახია, ს. ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბილისი, 2011, გვ. 51.

რის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს არ უნდა გასცდეს და ა. შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის სფეროს[9].

4. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება

მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივი ასპექტი მატერიალური კანონმდებლობით, მაგ. სამოქალაქო კოდექსით, არის უზრუნველყოფილი, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის საპროცესოსამართლებრივ რეალიზებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ახდენს. თუმცა, ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ **პირმა სასამართლოს მიმართოს. სასამართლოსათვის მიმართვა კი საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით უნდა განხორციელდეს. მარტოოდენ უფლების და მის საფუძველზე წარმოშობილი კანონიერი მოთხოვნის არსებობა, სასამართლოში წარმატების მისაღწევად, „საქმის მოსაგებად“ საკმარისი არ არის. აუცილებელია, რომ მატერიალური უფლება საპროცესო კანონით, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცედურით რეალიზდეს.** მაგალითისათვის, თუ მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხისათვის სესხის საფუძველზე თანხის დაკისრების მოთხოვნით, მარტოოდენ ფაქტი მასზედ, რომ სესხის ხელშეკრულება დადებულია, საკმარისი არ არის. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს თანხის გადაცემის მტკიცებულება სესხის ხელშეკრულების რეალური ბუნებიდან გამომდინარე. თუ მოსარჩელემ სასამართლოს ამგვარი მტკიცებულება ვერ წარუდგინა, კიდეც, რომ რეალურად თანხა გადაცემული იყოს, სასამართლო სარჩელს ვერ დააკმაყოფილებს. ამდენად, მოსარჩელის მატერიალური უფლება სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სასამართლო წესით ვერ რეალიზდა, ვინაიდან მოსარჩელემ თანხის გადაცემის მტკიცებულება სასამართლოს ვერ წარუდგინა. იგივე შეიძლება ითქვას ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მოსარჩელემ, მართალია, სესხის ხელშეკრულება და თანხის გადაცემის ამსახველი მტკიცებულებაც წარადგინა, თუმცა, მოსარჩელე დანიშნულ დროს სასამართლოში არ გამოცხადდა, რამაც მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვია, რითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ხელმისაწვდომობა გულისხმობს, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს ყველას, ვინც ფიქრობს, რომ მისი უფლება ან კანონიერი ინტერესი შეილახა, ან თვლის, რომ უფლება ან დოკუმენტი სადავოა. ამდენად, სარჩელი, თუ ის დასაშვებობის ყველა კრიტერიუმს (სსსკ[10] 178) აკმაყოფილებს, წარმოებაში უნდა იქნეს მიღებული და არსებითად განხილული. მოთხოვნის საფუძვლიანობა და დასაბუთებულობა კი მხარეთა შეჯიბრების საფუძველზე, საქმის

---

[9] *ლილუაშვილი, ლილუაშვილი, ხრუსტალი, ძლიერიშვილი,* „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ I ნაწილი, თბილისი, 2014, გვ. 90.

[10] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. შემდგომში: სსსკ.

არსებითად განხილვის ფარგლებში უნდა შემოწმდეს. სარჩელის მიღებაზე უარის თქმა მარტოოდენ იმ დასაბუთებით, რომ სასარჩელო მოთხოვნას დაკმაყოფილების პერსპექტივა არ გააჩნია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების უხეშ დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს[11]**.**

5. სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვა

სასამართლოსათვის მიმართვის უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო გარანტიაა, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აბსოლუტურია, რომლის შეზღუდვა დაუშვებელია. იმ შემთხვევაში, თუ პირი ამ უფლებას ბოროტად გამოიყენებს, ანუ **სასამართლოს უფლების რეალურად დაცვის მიზნით კი არ მიმართავს, არამედ სასამართლო რესურსის ფუჭად გახარჯვის, მეორე მხარისათვის საპროცესოსამართლებრივი დისკომფორტის ან სხვა არაკანონიერი მიზნით და ეს აშკარაა,** სასამართლო უფლებამოსილია მისი სარჩელი, თუ განცხადება წარმოებაში არ მიიღოს, რაც დეტალურად უნდა იყოს ასახული და მოტივირებული იმ საპროცესო დოკუმენტში, რომლის საფუძველზეც მხარის სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება შეიზღუდა. ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ, მართალია, ყველა პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა (სსსკ 2.2), თუმცა, კანონის აღნიშნული დანაწესი, ერთი მხრივ, იცავს რა ყველა პირის უფლებას, თავისი კანონიერი ინტერესი სასამართლოს მეშვეობით დაიცვას, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს, **რომ მხარემ აღნიშნული უფლება კანონიერად გამოიყენოს და ისეთ საკითხებზე იდავოს, რომელთა გადაწყვეტა მისი დარღვეული უფლების აღდგენას უზრუნველყოფს.** სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისას სასამართლო თანაბარწილად იცავს ორივე მოდავე მხარის ინტერესებს. **ერთი მხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება პირდაპირ ხელყოფს მეორე მხარის უფლებებს, თუნდაც, დავის გაჭიანურების თვალსაზრისით. შესაბამისად, მხარის დაუსრულებელი განცხადებებითა, თუ საჩივრებით ამ შედეგის მიღწევა სასამართლოს შესაძლებლობებს სცილდება, რითაც მეორე მხარის ინტერესები ილახება**[12].

სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით იგივე პოზიციას იკავებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომლის განმარტებითაც, დასაშვებია გამონაკლისი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დასაცავად მომჩივანი მხარის სასამართლო ხელმისაწვდომობის ეფექტური უფლების გამოყენებისას. **სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილს, თუ ის ისახავს კანონიერ მიზანს და არსებობს**

[11] Ashingdane v. the United Kingdom, no.8225/68, Judgement, 28.05.1985.

[12] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.09.2011 განჩინება, საქმეზე №ას-1094-1123-2011.

გონივრული თანაფარდობა ამ საშუალების გამოყენებასა და კანონიერ მიზანს შორის[13]**.**

ამდენად, სასამართლო პრაქტიკა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვას უშვებს, როდესაც საქმე ეხება სასამართლოსათვის მიმართვიანობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა **საჩივარი, შუამდგომლობა, განცხადება და ა. შ.** ასეთ შემთხვევაში, თუ სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოსათვის მიმართვა სასამართლო ხელმისაწვდომობის ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, შელახული, თუ სადავოდ ქცეული უფლების აღდგენა (დადგენას) არ ემსახურება, იგი ასეთ მიმართვებს, საჩივრებს, შუამდგომლობებს, განცხადებებს და ა. შ. **განუხილველად ტოვებს.** თუმცა, საინტერესოა იგივე პრაქტიკის გავრცელება დასაშვებია, თუ არა, სარჩელებთან მიმართებით. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სარჩელის მეშვეობით სასამართლო დავის ინიცირება ხდება, რაც მხარეთათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებაა (სსსკ 2.2.), თუმცა, სასამართლო ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია, სასამართლოს ან მხარეთა შეთანხმებით დავის განხილვის სხვა ალტერნატიული გზით (მაგ., არბიტრაჟით) გადაუწყვეტელი სამართლებრივი დავის პირობებში. სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება ქარწყლდება მას შემდეგ, რაც დავა სასამართლო (არბიტრაჟის) წესით უკვე გადაწყვეტილია. **კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გადასინჯვას აღარ ექვემდებარება, ხოლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები – გადახედვას (სსსკ 266).** მაგალითისათვის, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავაზე და იმავე საფუძვლით, აღნიშნული გარემოება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, ან მიღებულ სარჩელზე წარმოების შეწყვეტის წინაპირობაა (სსსკ 186.1, „ბ“/273.2) [14]. თუ სარჩელი აღძრულია იმავე მხარეებს შორის, იმავე დავაზე და იმავე საფუძვლით, **მოთხოვნის მარტოოდენ სამართლებრივი საფუძვლის შეცვლა,** ახალი სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობა ვერ გახდება. იმავე მხარეებს შორის სასარჩელო მოთხოვნა ახალ დავად მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება, **თუ მოთხოვნა, ანდა მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი განსხვავებულია** [15]. გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობა შეცვლილ გარემოებად არ მიიჩნევა და იმავე მხარეებს შორის, იმავე დავაზე და იმავე საფუძვლით დავის ინიცირების შესაძლებლობას არ იძლევა[16]. ასეთ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების კანონით გათვალისწინებული მექანიზმები გამოიყენება. სარჩელის წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ასევე იმავე დავაზე, იმავე ფაქტობრივ საფუძვლებზე დაყრდნობით და იმავე მხარეებს შორის მიმდინარე დავა, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, თუ სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში, მოგვიანებით კი მიმდინარე **დავის არსებობის თაობაზე ფაქტი** გამოვლინდა, აღნიშნული გარემოება სარჩელის განუხილველად

---

[13] Jedamski and Jedamska v. Poland, no.73547/01, Judgement, 26.07.2005.

[14] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.11.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/3520-11.

[15] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.07.2018 განჩინება, საქმეზე №2ბ/3816-1.

[16] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.11.2011 განჩინება, საქმეზე №2ბ/3562-11.

დატოვების საფუძველია[17]. იმავე მხარეებმა სხვა სამართალწარმოების დროს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები არ შეიძლება სადავოდ გახადონ. მაგალითისათვის, თუ მოპასუხეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით თანხა ვალის აღიარების ხელშეკრულების საფუძველზე დაეკისრა და გადაწვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა, შემდგომ მოპასუხის მიერ ახალი დავის ინიცირება აღნიშნული ვალის აღიარების დოკუმენტის ბათილობის მოთხოვნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის კონტექსტში დაუშვებელია.

ამდენად, სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლება აბსოლუტური არ არის. აღნიშნული საპროცესოსამართლებრივი შესაძლებლობა მხოლოდ დავის ან სადავოდ ქცეული უფლებისა, თუ კანონით გათვალისწინებული ინტერესის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება. შესაბამისად, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულია, თუ როდის არის გაქარწყლებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლება და აღნიშნულს, პირველ რიგში, მაშინ აქვს ადგილი, **როდესაც დავა უკვე გადაწყვეტილია.** კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიმართ კი სანდოობის მაღალი ხარისხი არსებობს. მისი გადასინჯვა მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებშია შესაძლებელი. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოგვარებულ დავაზე სასამართლოს სამართალწარმოების პროცესის ინიცირების დაშვებით სამართლიანი სასამართლოს უფლება ილახება, ვინაიდან კანონის უზენაესობა სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპს ეფუძნება[18], რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოწესრიგებული საკითხი აღარ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, გარდა შიდა სამართლით მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა[19] [20]. შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად ითვლება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადახედვა (გადასინჯვა), როდესაც ეს შესაძლებლობა კანონიდან პირდაპირ და მკაფიოდ არ გამომდინარეობს[21].

6. დისპოზიციურობის პრინციპის სხვა გამოვლინებები

ა) მხარეთა მორიგება

მხარეთა მორიგება დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა. **მხარეები უფლებამოსილნი არიან თავად განსაზღვრონ** აღსასრულებელი აქტით (განჩინებით) დამტკიცებული **შეთანხმების პირობები** და მორიგების გზით დაასრულონ დავა. მორიგება მხარეთა შეთანხმებაა, შესაბამისად, მიიჩნევა, რომ მორიგება სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა, რომელზეც მხარეები ორმხ-

[17] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.08.2015 განჩინება, საქმეზე №2ბ/2351-15.
[18] Okyay and Others v. Turkey, no.73547/01, Judgement, 26.07.2005.
[19] Brumărescu v. Romania,no.28342/95, Judgement, 28.10.1999.
[20] Agrokompleks v. Ukraine, no.23465/03, Judgement, 25.07.2013.
[21] Sovtransavto Holding v. Ukraine, no.48553/99, Judgement, 25.07.2002.

რივად თანხმდებიან და რომელიც სასამართლოს მხრიდან განჩინებით მტკიცდება, რაც მხარეთა შეთანხმებას **სავალდებულოდ შესასრულებელ და იძულებით აღსასრულებელ დოკუმენტად აქცევს.** მხარეებს უფლება აქვთ სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე მორიგდნენ, მათ შორის, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგაც[22] [23]. მხარეთა მორიგება მხარეთა უფლებაა, ამავდროულად აღნიშნული გზით დავის დასრულება სასამართლოს პრიორიტეტია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით რეგლამენტირებულია, რომ სასამართლომ ყველა ზომა უნდა მიიღოს დავის მორიგებით დასრულების მიზნით. მათ შორის, სასამართლო უფლებამოსილია მხარეებს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზეც მიუთითოს და ამ გზით დავის მორიგებით დასრულების მიზანშეწონილობაში დაარწმუნოს. ასეთ ვითარებაში, სასამართლომ მხარეებს შესაძლო სამართლებრივი შედეგები სამოსამართლო ეთიკის იმგვარი დაცვით უნდა მიაწოდოს, რომ მხარემ სასამართლოს მითითება წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებად, ან „უკვე მიღებულ გადაწყვეტილებად“ არ აღიქვას, რაც დიდწილად, მორიგების მიზნებისათვის, დამაბრკოლებელი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს.

მართალია, მორიგება მხარეთა უფლებაა, რომლის გამოყენება მათ სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეუძლიათ, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მათ სრული, აბსოლუტური (შეუზღუდავი) უფლებები აქვთ მორიგების პირობების განსაზღვრის კონტექსტში. მორიგების დადებისას მხარეები სამოქალაქო გარიგების დადების თავისუფლებით სარგებლობენ, თუმცა, გარიგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს, ზნეობის ნორმებს და არ უნდა არღვევდეს მესამე პირის ინტერესებს[24]. ამდენად, მორიგების დამტკიცების დროს სასამართლო ამოწმებს **მხარის ნების თავისუფლებას, აღნიშნული ნების ცნობიერ ხასიათს**, კერძოდ, თუ რამდენად აქვთ მხარეებს მორიგების პირობები და მისი სამართლებრივი შედეგები გაცნობიერებული, ხოლო შემდეგ ადგენს მორიგებით გათვალისწინებული პირობების **კანონთან, მორალისა და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობას**. მორიგების დამტკიცების დროს სასამართლოს შემოწმების საგანია ასევე, ხომ არ არღვევს მორიგების აღნიშნული პირობები მესამე პირთა უფლებებს, ან მხარეთა ორმხრივი შეთანხმება მესამე პირს ხომ არ წარმოუშობს რაიმე ვალდებულებას. ასევე ყურადსაღებია ის, რომ მორიგების საგანი (ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე) მორიგების დამტკიცების დროისათვის, არ უნდა ექცეოდეს საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის ქვეშ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, **მასზე დადებული არ უნდა იყოს ყადაღა,** ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, იმოქმედებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 40.2 და 63[1]-ე მუხლები, რომლის მიხედვითაც, ბათილია დაყადაღებულ ქონებაზე (მოძრავი, უძრავი) დადებული გარიგება. შესაბამისად, დაყადაღებულ ქონებაზე დადებული **მორიგება ბათილ გარიგებად ჩაითვლება და აღნიშნული აქტის გაუქმების წინაპირობა გახდება.**

---

[22] *გოგიშვილი, სულხანიშვილი, მესხიშვილი და სხვ.* „ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში“, თბილისი, 2010, გვ.28-29.

[23] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.05.2018 განჩინება, საქმეზე №ას-487-487-2018.

[24] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.03.2017 განჩინება, საქმეზე №ას-990-953-2016.

ნიშანდობლივია, რომ მორიგების დამტკიცების შედეგად **უქმდება ყველა ის შემაჯამებელი გადაწყვეტილება,** რომელიც მორიგების დამტკიცებამდე სასამართლომ მიიღო, რადგან მხარეთა მორიგება, დამტკიცებული სასამართლოს განჩინებით, არის **ის ერთადერთი აღსასრულებელი სასამართლო აქტი, რომელიც მხარეთა მიერ მორიგების პირობების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის დროს უნდა აღსრულდეს.** შესაბამისად, თუ მორიგება პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცდება, სარჩელზე წარმოება წყდება, ხოლო თუ მორიგება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მტკიცდება, ასეთ ვითარებაში, ქვემდგომი სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილებები უქმდება და სარჩელზე წარმოება ისე წყდება. დავის მორიგების დამტკიცების საფუძვლით სარჩელზე წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით აღარ დაიშვება. ასევე დაუშვებელია დამტკიცებული მორიგების გასაჩივრება იმ საფუძვლით, რომ მხარემ მორიგება გადაიფიქრა ან გარემოება შეიცვალა, რაც მორიგების დამტკიცებას უძღოდა წინ. მორიგების დამტკიცების თაობაზე გამოტანილი განჩინება კერძო საჩივრით საჩივრდება (სსსკ 420). განჩინების გასაჩივრების წინაპირობა, სწორედ ის ფაქტორებია, რაც მორიგების დამტკიცების დროს სასამართლოს შესამოწმებელი კატეგორიაა, კერძოდ, **გამოვლენილი ნების თავისუფლება, ნამდვილობა, გაცნობიერებული თანხმობა, მორიგების პირობების კანონშესაბამისობა** და ა. შ. და **არა გამოვლენილი ნების გამოთხოვა, პოზიციის შეცვლა და ა. შ.**

მხარეთა მორიგებას ბევრი უპირატესობა აქვს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მხარეთა მორიგებით საქმის დასრულება ნიშნავს, რომ ორივე მხარემ მორიგების აქტში მათთვის ხელსაყრელი პირობები გაითვალისწინა, მაშინ, როდესაც სასამართლო წესით დავის გადაწყვეტა საქმის ერთი მხარის სასარგებლოდ დასრულებას გულისხმობს. გარდა ამისა, თუ მხარემ მორიგების აქტი კერძო საჩივრით არ გაასაჩივრა, იგი გასაჩივრების 12 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ კანონიერ ძალაში შედის, თუმცა, პრაქტიკაში, უმეტესწილად, მხარეები მორიგების გასაჩივრებაზე იმთავითვე უარს ამბობენ, რაც მორიგების აქტის დაუყოვნებლივ კანონიერ ძალაში შესვლას იწვევს. შესაბამისად, მორიგების გასაჩივრებაზე უარის თქმის პირობებში წარდგენილი კერძო საჩივარი განუხილველად რჩება[25]. სასამართლოს მიერ დამტკიცებული და კანონიერ ძალაში შესული მორიგება სავალდებულოდ შესასრულებელია და მისი შეცვლის კანონისმიერი მექანიზმი არ არსებობს, გარდა ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ბათილობის საფუძვლებისა[26]. მორიგება ხელსაყრელია ასევე სასამართლო ხარჯების შემცირების თვალსაზრისითაც, მაგალითისათვის, თუ მხარეები მოსამზადებელ სხდომაზე მორიგდნენ, მოსარჩელეს გადახდილი ბაჟი სრულად უკან უბრუნდება, ხოლო მთავარ სხდომაზე მორიგება გადახდილი ბაჟის ნახევრის დაბრუნების წინაპირობაა (სსსკ 49).

---

[25] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.03.2018 განჩინება, საქმეზე №ას-487-487-2018.
[26] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.07.2016 განჩინება, საქმეზე №ას-454-436-2016.

მორიგების მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ მხარეთა მორიგება მნიშვნელოვანი წინაპირობაა პროცესის ეკონომიურობის, მხარეთა სასამართლო ხარჯების დაზოგვის, დავის სწრაფად გადაწყვეტის და მომავალი დავის თავიდან აცილების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, საპროცესო კანონი, ამ მეტად მნიშვნელოვანი საპროცესო ინსტიტუტის გამოყენების მიზნით, არ ზღუდავს სასამართლოს, ითამაშოს აქტიური როლი მხარეთა მორიგებაში და დაარწმუნოს პროცესის მონაწილეები საქმის მორიგებით დასრულების პოზიტიურ შედეგში (სსსკ 217, 218)[27].

ბ) სარჩელზე უარი

როგორც სარჩელის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაა დისპოზიციურობის გამოვლინება, ასევე **სარჩელზე უარიც მოსარჩელის დისპოზიციური უფლებაა,** რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეს (მოსარჩელეს) **ნებისმიერ დროს** აქვს უფლება, უარი თქვას თავის სასარჩელო მოთხოვნაზე. მხარე უფლებამოსილია, უარი თქვას, როგორც მთლიან სასარჩელო მოთხოვნაზე, ისე მის ნაწილზე[28]. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ სასამართლომ მოსარჩელისათვის იმ სამართლებრივი შედეგების განმარტება უნდა უზრუნველყოს, რომელიც სარჩელზე უარს სდევს თან. ამასთან, სასამართლომ უნდა დაადგინოს მხარის ნამდვილი ნება, თუ რას ითხოვს იგი და რა სამართლებრივ შედეგს უკავშირებს იგი თავისი პროცესუალური უფლების რეალიზებას. ითხოვს იგი სარჩელზე უარს, თუ სარჩელის გამოხმობას? აცნობიერებს, თუ არა იგი სარჩელზე უარის თქმისა, თუ სარჩელის გამოხმობის სამართლებრივ შედეგებს და ა. შ. თუ მხარე სხდომის ოქმში სასამართლოს განმარტების შედეგად **გაცნობიერებულად აფიქსირებს თავის ნებას** სარჩელთან დაკავშირებით, შემდეგ მისი არგუმენტი, რომ გადაიფიქრა სარჩელზე უარი, ვერ გააცნობიერა მისი სამართლებრივი შედეგები, ბაჟის განახევრების მოტივით თქვა უარი და ა. შ. მხედველობაში აღარ მიიღება[29].

სარჩელზე უარი, საპროცესოსამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, გულისხმობს იმას, რომ მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნაზე **საბოლოოდ ამბობს უარს,** რაც სარჩელზე წარმოების შეწყვეტას იწვევს (სსსკ 272, „ბ“), ხოლო თუ სარჩელზე უარი მოსარჩელემ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში თქვა, აღნიშნული გარემოება ქვედა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმებისა და სარჩელზე წარმოების შეწყვეტის წინაპირობაა[30]. სარჩელზე უარის თქმის საფუძვლით შეწყვეტილი საქმის წარმოების შედეგად **მოსარჩელე იმავე დავას იმავე საფუძვლითა და იმავე მოპასუხის წინააღმდეგ ვეღარ წამოიწყებ**ს (სსსკ 273.2), ხოლო ასეთი დავის მაინც ინიცირების შემთხვევაში, **სარჩელზე წარმოების შეწყვეტის საფუძველი იარსებებს** (სსსკ 272, „გ“). უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელზე უარის თქმის აბსოლუტური ბუნება თავად ამ ინსტიტუტის არსით აიხსნება, კერძოდ,

---

[27] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.06.2011 განჩინება, საქმეზე №ას-903-943-2011.
[28] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-47-45-2012.
[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.02.2011 განჩინება, საქმეზე №ას-1368-1206-2010.
[30] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.07.2011 განჩინება, საქმეზე №ას-795-849-2011.

მსგავსად სარჩელის აღძვრისა, მოსარჩელის სრულ თავისუფლებას წარმოადგენს, მოპასუხეს მოსთხოვოს ან არ მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება და განსხვავებით, მაგალითად, სარჩელის გამოხმობისაგან (სსსკ 83[1] მუხლი), მოსარჩელეს მოპასუხის ყოველგვარი თანხმობის გარეშე შეუძლია განკარგოს კანონით გარანტირებული ზემოხსენებული შესაძლებლობა. სწორედ ამ პოზიციიდან გამომდინარე მიიჩნევს საკასაციო სასამართლო, რომ სარჩელზე უარის თქმის შესახებ შუამდგომლობის განხილვაზე გავლენას ვერ იქონიებს პირის (მოპასუხის) გარდაცვალებისა და მისი უფლებამონაცვლის დადგენის საკითხები. კანონის ამგვარი განმარტება დააკარგვინებს აზრს, როგორც საქმის განხილვის შეჩერების, ისე პროცესის ეკონომიურობის პრინციპებს[31].

დისპოზიციურობის ფარგლებში გამოვლენილი ნება შეუქცევადია, ანუ, თუ მხარე სარჩელზე ან სააპელაციო (საკასაციო) საჩივარზე განაცხადებს უარს, სარჩელს ცნობს, ან მორიგდება, რის თაობაზეც სასამართლო შესაბამის საპროცესოსამართლებრივ ღონისძიებას განახორციელებს, **აღნიშნული ნება შემდეგ შეუქცევად ხასიათს იძენს,** რაც იმას ნიშნავს, რომ მხარის არგუმენტი იმის შესახებ, რომ სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარი, მორიგება და ა. შ. **გადაიფიქრა**, **ვერ გააცნობიერა, გარემოება შეიცვალა და ა. შ. მხედველობაში აღარ მიიღება.** ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპი ორიენტირებულია უფლების მქონე სუბიექტის **თავისუფალ ნებაზე,** მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს მისი მატერიალური, თუ საპროცესო უფლებები და **ყოველგვარი რისკი, რომელიც ამ ნორმის ფარგლებში გამოვლენილ ნებას შეიძლება თან სდევდეს, ნების გამომვლენს აწევს.** შესაბამისად, იმაზე მითითება, რომ მხარემ შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ გააცნობიერა სარჩელზე (სააპელაციო საჩივარზე, საკასაციო საჩივარზე) უარის თქმის სამართლებრივი შედეგი, რაშიც იგი შეცდა, არ წარმოშობს სასამართლოს განჩინების გაუქმების ფაქტობრივ საფუძველს.

საპროცესო კანონმდებლობით აღიარებულია რა მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპი – აღძრან სარჩელი, ან **უარი** თქვან **სარჩელზე**, სასამართლოს ვალდებულებაა ხელი შეუწყოს ამ პრინციპის რეალიზაციას იმგვარად, რომ **მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა გააცნობიერონ ის სამართლებრივი შედეგები, რაც მათ მიერ განხორციელებულ ქმედებას მოჰყვება. აღნიშნული მიიღწევა სასამართლოს მხრიდან იმ საპროცესო ნორმებზე მითითებით, რომლებშიც შესაბამისი სამართლებრივი შედეგია მოცემული.** ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც მხარე თავის დისპოზიციურ უფლებას იყენებს და სარჩელზე ამბობს უარს, ცნობს სარჩელს, თუ მხარესთან რიგდება, სასამართლო ვალდებულია გამოარკვიოს მხარეთა ნამდვილი ნება, კერძოდ, აცნობიერებენ, თუ არა მხარეები მათ მიერ გამოვლენილი ნების სამართლებრივ შედეგებს. თუ აღნიშნული განმარტება სასამართ-

[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.09.2017 განჩინება, საქმეზე №ას-902-842-2017.

ლომ ჯეროვნად არ განახორციელა, შესაძლებელია, მხარის პრეტენზია გაუცნობიერებლად ნების გამოხატვის თაობაზე, გაზიარებულ იქნეს და ის სასამართლოს განჩინება გაუქმდეს, რომლითაც, სარჩელზე უარის თქმის გამო, საქმის წარმოება შეწყდა[32].

თუ სასამართლოს **მთავარ სხდომაზე** მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო **ბაჟის ოდენობა ნახევრდება.** თუ სასამართლოს **მთავარ სხდომამდე** მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად **თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან** (სსსკ 49.1, 2). ამდენად, სარჩელზე უარის თქმისას დასაბრუნებელი ბაჟის ოდენობას განსაზღვრავს **სამართალწარმოების ეტაპი (მოსამზადებელი სხდომა, მთავარი სხდომა),** ხოლო სამართალწარმოების ეტაპის განსაზღვრა კი სასამართლოს უფლებამოსილებაა. თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან **მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე,** აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, **მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა.** ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, თუ არსებობს სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვის წინაპირობები, მოსამართლე უფლებამოსილია მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საქმის განხილვისას მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა სასამართლოს უფლებამოსილებას წარმოადგენს. **აღნიშნულ საკითხს სასამართლო წყვეტს ყოველი კონკრეტული დავის ირგვლივ არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით. შესაბამისად, მოსამზადებელი სხდომის სავალდებულოდ დანიშვნა სასამართლო ვალდებულებათა რიგს არ განეკუთვნება** [33].

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოპასუხის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების წინაპირობაა, რაღა თქმა უნდა, კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით (სსსკ 53.1), იგივე წესი ვრცელდება სარჩელზე უარის თქმასთან დაკავშირებითაც. მართალია, ასეთ შემთხვევაში საქმეზე მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი არ მიიღწევა და საქმეზე გადაწყვეტილება არ მიიღება, თუმცა, საქმეზე წარმოების შეწყვეტა, თავისი არსით, ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელე დასახელებული მოპასუხის წინააღმდეგ იგივე მოთხოვნას იმავე საფუძვლებზე დაყრდნობით ვეღარ აღძრავს. შესაბამისად, აღნიშნული სამართლებრივი შედეგი, პროცესუალური თვალსაზრისით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას უთანაბრდება და, შესაბამისად, მოპასუხის მიერ გაწეული საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების წინაპირობა ხდება[34].

---

[32] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.07.2013 განჩინება, საქმეზე №ას-484-460-2013.
[33] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 23.06.2017 განჩინება, საქმეზე №ას-649-605-2017.
[34] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.07.2011 განჩინება, საქმეზე №ას-795-849-2011.

გ) სარჩელის ცნობა

დისპოზიციურობა, როგორც ნების ავტონომიის საპროცესო გამოხატულება, გულისხმობს პირის უფლებას, თავად გადაწყვიტოს დაიცვას, თუ არა სასამართლო წესით თავისი უფლება, თავად განსაზღვროს, დავის საგანი და დაასახელოს დავაზე პასუხისმგებელი სუბიექტი. მოსარჩელეს შეუძლია ასევე უარი თქვას სარჩელზე. საგულისხმოა, რომ ჩამოთვლილ უფლებათა უმეტესი ნაწილი მოსარჩელისკენაა მიმართული, თუმცა, პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ანალოგიურ პირობებს უქმნის მოპასუხეს და ადგენს მის უფლებას, შეთანხმების შემთხვევაში, **დავა მორიგებით დაასრულოს, მას ასევე შეუძლია ცნოს სარჩელი.** მოპასუხის მიერ **სარჩელის ცნობა,** უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთიანობაში. სარჩელის ცნობა შეუქცევადია და მას ამ ნაწილში გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვება შედეგად, იმდენად, რამდენადაც **სარჩელის ცნობას საფუძვლად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს ამ მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას.**[35] ამასთან, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სარჩელის ცნობა უფლებამოსილ წარმომადგენელსაც შეუძლია, თუმცა, აუცილებელია, რომ მას აღნიშნული უფლებამოსილება სპეციალურად ჰქონდეს მინიჭებული საქმეში წარმოდგენილ მინდობილობაში (სსსკ 98)[36]. აღსანიშნავია, რომ ამგვარი უფლებამოსილების არსებობის პირობებში, წარმომადგენლის მიერ სარჩელის ცნობით, რომელიც ამ საპროცესო მოქმედების შედეგების შესახებ ინფორმირებას ადასტურებს, მოპასუხე საკუთარ თავზე იღებს ყველა იმ ნეგატიურ შედეგს, რაც ამ საპროცესო უფლების განკარგვას მოჰყვება[37]. აღსანიშნავია, რომ **სარჩელის ცნობა სარჩელის დაკმაყოფილების უპირობო საფუძველია.** გამონაკლისი, როდესაც სარჩელის ცნობა სარჩელის დაკმაყოფილებას არ იწვევს, სახეზეა, მაშინ, როდესაც სარჩელს, **მატერიალურსამართლებრივ მოთხოვნაზე პასუხისმგებელი სუბიექტი არ ცნობს, ან როდესაც სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი საერთო უფლებაა,** ხოლო მოპასუხედ დასახელებულია – რამდენიმე სუბიექტი. შესაბამისად, **მათგან ერთერთის მიერ სარჩელის ცნობა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არის**[38]**.** მაგალითად, თუ პირი სადავოდ ხდის მინდობილი პირის მიერ ქონების გასხვისების ნამდვილობას, და, შესაბამისად, აღნიშნულ ქონებაზე დადებული გარიგების ბათილობასა და ქონების მესაკუთრედ ცნობას ითხოვს, აღნიშნულ სარჩელზე მოპასუხედ დასახელებულ უნდა იქნენ როგორც მინდობილი პირი, ასევე ქონების შემძენი (მყიდველი). მარტოოდენ მინდობილი პირის მიერ სარჩელის ცნობა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა ვერ გახდება. იგივე შეიძლება ითქვას ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელებზე, რა დრო-

[35] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.04.2015 განჩინება, საქმეზე №ას-64-58-2015.
[36] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.03.2015 განჩინება, საქმეზე №ას-1270-1210-2014.
[37] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.05.2016 განჩინება, საქმეზე №ას-276-262-2016.
[38] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.07.2017 განჩინება, საქმეზე №ას-756-707-2017.

საც სავალდებულო პირობაა, რომ მოპასუხედ დასახელებულ უნდა იქნეს როგორც მოვალე, ასევე კრედიტორი. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მოვალეები სარჩელს ცნობენ, თუმცა, მარტოოდენ მათი მხრიდან სარჩელის ცნობა სარჩელის დაკმაყოფილებას არ იწვევს[39].

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ **სარჩელის ცნობა, ფაქტის აღიარებისაგან** (სსსკ 131). სარჩელის ცნობა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველია, ხოლო ფაქტის აღიარებით ფაქტის არსებობის თაობაზე სარწმუნო მტკიცებულება იქმნება, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს, ან არ დაეყრდნოს სასამართლოს გადაწყვეტილება[40]. სარჩელის აღიარების შემთხვევაში სასამართლო აღარ ამოწმებს და აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. თავის გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ იგი მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას აფუძნებს[41]. ფაქტის აღიარების დროს კი მხარე ცნობს მხოლოდ რომელიმე ფაქტობრივ გარემოებას, მაგრამ არა სარჩელს[42]. მხოლოდ ფაქტის აღიარება შეიძლება სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის საკმარისი არ იყოს. მაგალითად, მოსარჩელემ შეიძლება აღიაროს ვალის აღიარების ხელწერილზე მისი ხელმოწერის ფაქტი, თუმცა, სარჩელის დაკმაყოფილება ხანდაზმულობის საფუძვლით გამორიცხოს. კანონი ფაქტის აღიარების გაქარწყლების შესაძლებლობას უშვებს, თუმცა, მხოლოდ ისეთი გარემოებების არსებობის პირობებში, როგორიცაა შეცდომა, რომელიც აღიარების შემდეგ გახდა ამღიარებლისათვის ცნობილი, ანდა ფსიქიკური, თუ ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც აღიარების დროს მის თავისუფალ ნებას გამორიცხავდა. მარტოოდენ დაუფიქრებელი, გაუაზრებელი აღიარება, იურიდიული კონსულტაციის გარეშე გაკეთებული აღიარება, როდესაც მხარეს არ ესმოდა აღნიშნული აღიარების სამართლებრივი შედეგები, აღიარების გაქარწყლების წინაპირობას არ წარმოადგენს [43].

7. მხარეთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი

შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო საქმის წარმოება მხარეთა შეჯიბრების საფუძველზე მიმდინარეობს, რა დროსაც **ერთმანეთს მხარეები ეჯიბრებიან, ხოლო შეჯიბრების პროცესს, როგორც დამოუკიდებელი არბიტრი, სასამართლო ხელმძღვანელობს.** შეჯიბრების პროცესი **მხარეთა თანასწორობის საფუძველზე** ხორციელდება, რაც სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ფუძემდებლური გარანტიაა[44]. შეჯიბრების პროცესში მხარეთა თანაბარი უფლება ნიშნავს მათ თანაბარ შესაძლებლობას, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვ-

---

[39] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.11.2014 განჩინება, საქმეზე №2ბ/5034-14.

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.03.2001 განჩინება, საქმეზე №3კ/769.

[41] *ლილუაშვილი, ხრუსტალი,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მუხლი 3, გვ. 7.

[42] *ლილუაშვილი, ხრუსტალი,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მუხლი 131, გვ. 238.

[43] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-47-45-2012.

[44] Steel and Morris, no.68416/01, Judgement, 15.05.2005.

ნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. თუმცა, მხარეთა შეჯიბრების პროცესში მხარეთა თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით სარგებლობის პრინციპი ასევე გულისხმობს კანონით გარანტირებულ ნებისმიერ უფლებას, რომელიც მხოლოდ ერთი მხარის სპეციალურ საპროცესო უფლებას არ წარმოადგენს. მაგალითისათვის, კონკრეტულად ერთი მხარისათვის მინიჭებულ სპეციალურ უფლებას არ წარმოადგენს და ყველა მხარისათვის უზრუნველყოფილია საქმის გაცნობა, ამონაწერების გაკეთება, საქმის ასლების გადაღება, აცილებების გაცხადება, მტკიცებულებების, მათ შორის, ექსპერტთა დასკვნების, სპეციალისტის ცნობების წარდგენა, მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობის მიღება, მოწმეებისათვის, ექსპერტებისათვის, სპეციალისტებისათვის შეკითხვების დასმა, შუამდგომლობების გაცხადება, სასამართლოსათვის ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებების მიცემა, იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების წარდგენა, თავიანთი დასკვნებისა და მოსაზრებების გამოთქმა, სასამართლო გადაწყვეტილებებისა დ განჩინებების გასაჩივრება, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მორიგების აქტის წარდგენა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული სხვა უფლებებით სარგებლობა (სსსკ 83.1)[45]. **ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მხარეებისათვის გარანტირებულია საპროცესო უფლებები, თუმცა,** მათი განკარგვა, შესაბამისი საპროცესო წესების დაცვით ხორციელდება. ამ საპროცესო წესის დარღვევით, ბუნებრივია, შეჯიბრებითობის პრინციპი ირღვევა, შესაბამისად, საპროცესო უფლებების გამოყენება საპროცესო ნორმების ზედმიწევნით დაცვით უნდა მოხდეს[46].

მნიშვნელოვანია, რომ საპროცესო შეჯიბრების დროს სასამართლოს მიერ განხორციელებული უფლებამოსილებებიც **მხარეთა თანაბარი მოპყრობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს.** მაგალითისათვის, რა დროსაც მოსამართლე მოსარჩელეს ახსნა-განმარტებისათვის განუსაზღვრავს, იგივე დრო უნდა მისცეს მოპასუხესაც. თუ იგი მოსარჩელეს დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობას მისცემს, უნდა უზრუნველყოს მოპასუხისათვისაც აღნიშნული მტკიცებულების გაცნობისა და საპასუხო უარმყოფელი ან გამაქარწყლებელი მტკიცებულების წარმოდგენა და ა. შ. აღსანიშნავია, რომ **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში საქმის შემოწმებისას, განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც წესი, სწორედ მხარეთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვას უთმობს, შესაბამისად,** მან არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს მსჯელობის საგანია სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეს, მიეცა თუ არა გონივრული შესაძლებლობა, გაცნობოდა და კომენტარები გაეკეთებინა მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე; აგრეთვე წარმოედგინა თავისი საქმე **იმ პირობებში, რომელიც მას მოწინააღმდეგე მხარესთან**

[45] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი 14.11.1997, კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018.

[46] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.07.2017 განჩინება, საქმეზე №ას-543-506-2017 31.

შედარებით არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში არ ჩააყენებდა და ა. შ.[47] [48] [49]

მხარეთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი წარმოადგენს მხარეთა საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გარანტირებულ უფლებას, ამავდროულად, იგი სასამართლოს Ex Officio ვალდებულებაცაა, რადგან სამოსამართლო ეთიკის კოდექსი იმპერატიულად აწესებს სასამართლოს ვალდებულებას, უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორი მოპყრობის პრინციპის განუხრელი დაცვა[50]**. იგივე პრინციპი დაცული და უზრუნველყოფილია მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის წესებითაც**[51]**.**

8. მხარეთა ვალდებულება, მიუთითონ ფაქტები და წარმოადგინონ მტკიცებულებები

შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები აღჭურვილნი არიან უფლებით, სასამართლოს მიუთითონ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები და წარადგინონ მტკიცებულებები, თუმცა, აღნიშნული უფლებით **მხარეები სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესითა და ფარგლებში სარგებლობენ. საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა**, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედულებაზე არაა დამოკიდებული. საპროცესო კანონმდებლობა, უფლებებთან ერთად, **მხარეებს მოვალეობებსაც აკისრებს, მათი შეუსრულებლობა კი, მხარისათვის არასასურველ სამართლებრივ შედეგს იწვევს**. საპროცესო ვალდებულებების არსებობა შეჯიბრებით პროცესში სწორედ მხარეთა უფლებების დაცვის, საპროცესო ეკონომიის პრინციპისა და, საბოლოოდ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის გარანტიაა[52]. შესაბამისად, **მარტოოდენ ფაქტების მითითება და მტკიცებულებების წარდგენა სასურველი პროცესუალური შედეგის მისაღწევად საკმარისი არ არის.** მაგალითისათვის, როგორც მოსარჩელეა ვალდებული სარჩელში საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტი და მტკიცებულება მიუთითოს, ასევე მოპასუხეა ვალდებული სასარჩელო მოთხოვნის დამაბრკოლებელი ანდა გამომრიცხავი ფაქტები და მტკიცებულებები შესაგებელში ასახოს (შდრ. სსსკ 178, 201 მუხლები). მოსარჩელეს უფლება ქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ მო-

---

47 Ternovskis v. Latvia, no. №33637/02, Judgement, 2014.

48 Larin v. Russia, no. 15034/02, Judgement, 2010.

49 Bartaia v. Georgia, no.10978/06, Judgement, 26.07.2018.

50 საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები (მუხლი 10) – http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/.

51 მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები, გვ.40, თბილისი, 2015.

52 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.05.2018 განჩინება, საქმეზე №ას-194-194-2018.

პასუხეს უნდა აცნობოს (სსსკ 83.2). თუ მოსარჩელემ აღნიშნული უფლებით ისარგებლა, მოპასუხე უფლებამოსილია, დაზუსტებული სარჩელის მიხედვით, დაზუსტებული შესაგებელი წარადგინოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი არეგულირებს შესაგებლის წარდგენის სტანდარტს, რომელიც უნდა განიმარტოს ამავე კოდექსის მე-4 მუხლთან შესაბამისობაში (შეჯიბრებითობა) და, იმის მიხედვით, თუ რამდენად არსებითია მოპასუხის შედავება, შესაძლებელია მისი კვალიფიკაცია, როგორიცაა, მაგალითად: ზოგადი, ანუ აბსტრაქტული სახის შედავება, კვალიფიციური შედავება და სხვა. მითითებული კვალიფიკაცია, თავისთავად, გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთსა და მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა წრეზე[53].

საქმის მომზადების დასრულების შემდეგ, საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე **მხარეები შეზღუდულნი არიან**, ახსნა-განმარტებების მოსმენისას წარადგინონ **ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე,** რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა, თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო გაცხადებული. იგივე წესი მოქმედებს **სააპელაციო სასამართლოში** საქმის განხილვისას, სადაც **ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების** დაშვება მხოლოდ კანონით **მკაცრად განსაზღვრული საპატიო გარემოებათა** არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი (სსსკ 380)[54] [55] [56].

ამდენად, მხარეთა მიერ **ფაქტების მითითებისა და მტკიცებულებების წარდგენის პროცედურა მკაცრად ფორმალიზებულია,** რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია ფაქტები და მტკიცებულებები სასამართლოს კანონით დადგენილი წესითა და პროცედურის დაცვით წარედგინოს. აღნიშნული ფორმალიზმი **კანონით მკაცრად გაწერილია** და მისგან გადახვევის საპირწონედ ისეთი დაცვის ღირსი არგუმენტიც ვერ გამოდგება, როგორც საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაა, **რადგან აღნიშნული ფორმალიზმის დაცვაც მხარეთა შეჯიბრების ნაწილია,** კერძოდ, ვინც ზუსტად დაიცავს კანონით დადგენილ დანაწესს, იმას კანონი, როგორც პროცესუალური შეჯიბრის მონაწილეს, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ კანონით დადგენილი ფორმალიზებული პროცედურიდან გამონაკლისის დაშვება მხოლოდ კანონითვე დაშვებულ საგამონაკლისო შემთხვევებშია შესაძლებელი. **სამოსამართლო სამართლით საპროცესო სამართლის ნორმათა ფართო განმარტება კი არღვევს მხარეთა პროცესუალური განჭვრეტადობის სტანდარტს და, შესაბამისად, პროცესუალური ფორმალიზმისადმი მხარეთა კანონიერი ნდობის პრინციპს.** აღნიშნული ვერ გამართლდება ისეთი მაღალი დაცვის ღირსი არგუმენტითაც კი, როგორიცაა მატერიალურსამართლებრივად სწორი გადაწყვეტილების მიღება. მაგალითისათვის, თუ მოსარჩელე მოპასუხეს სესხის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული თანხის დაბრუნებას

[53] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.11.2015 განჩინება, საქმეზე №ას-1013-956-2015.
[54] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.05.2018 განჩინება, საქმეზე №ას-490-490-2018.
[55] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.11.2015 განჩინება, საქმეზე №ას-816-767-2015.
[56] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.01.2018 განჩინება, საქმეზე №ას-1493-1413-2017.

სთხოვს, სარჩელი არ დაკმაყოფილდება, თუ მოსარჩელე სარჩელს მოპასუხისათვის თანხის გადაცემის მტკიცებულებას არ დაურთავს. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება არ გაუქმდება და სარჩელი არ დაკმაყოფილდება, თუ მოსარჩელე თანხის მოპასუხისათვის გადაცემის მტკიცებულებას კანონით დადგენილი წესის დარღვევით, საპატიო გარემოების არარსებობის პირობებში, სააპელაციო სასამართლოში წარადგენს.

9. მხარეთა უფლება, განსაზღვრონ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი

მხარე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს მოთხოვნა, ასევე მიუთითოს მოთხოვნის საფუძვლად არსებული ფაქტები და აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასამართლოსათვის მიმართვა მხარის უფლებაა. მხარე უფლებამოსილია სასამართლოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნით მიმართოს, თუმცა, სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია, რომ მოთხოვნა ჩამოაყალიბოს ნათლად, მკაფიოდ და არაორაზროვნად. **ალტერნატიულ მოთხოვნათა წარდგენას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ უშვებს.** შესაბამისად, მხარე სარჩელის წარდგენამდე უნდა ჩამოყალიბდეს, თუ რას ითხოვს სასამართლოსგან და რისი მიღწევა სურს მას სასარჩელო წარმოებით. შესაძლებელია, რომ მხარეს უფლებებში აღდგენის რამდენიმე გზა ესახებოდეს, თუმცა, ვერ ყალიბდებოდეს, რომელი მოთხოვნა მიაღწევს სასარჩელო წარმოების წესით წარმატებას, ანუ სახეზე იყოს ე.წ. „მოთხოვნათა კონკურენცია“, „ალტერნატიული მოთხოვნები“. ასეთ შემთხვევაში, მხარემ თავად უნდა განსაზღვროს მითითებული ფაქტები რომელ მოთხოვნას ამართლებს, თუმცა, ამისათვის აუცილებელი არ არის მან მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მიუთითოს. მოქმედებს პრინციპი, **Jura novit curia,** რომლის მიხედვითაც, მხარე ვალდებულია **„სასამართლოს ფაქტები მისცეს“,** რადგან იგულისხმება, რომ **„სასამართლომ სამართალი იცის“.** შესაბამისად, მხარე ვალდებული არ არის სარჩელში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მიუთითოს, მით უფრო, მას არ ევალება, მოთხოვნის განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლის პირობებში, მოთხოვნის საფუძველი თავად აირჩიოს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის დროს, **უპირატესად გამოსაყენებელი სამართლის ნორმის შერჩევა მოსამართლის კომპეტენციაა**[57]**,** შესაბამისად, **სამართლებრივი** საფუძვლის მისადაგება განსახილველი სადავო ურთიერთობისადმი **სასამართლოს პრეროგატივაა**[58]**.** მითითებული მსჯელობის ნორმატიული საფუძველი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე და 186-ე მუხლებია, რომელთა მიხედვითაც, მოსარჩელემ სარჩელში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი უნდა მიუთითოს, თუმცა, აღნიშნულის მიუთი-

[57] *ჩაჩავა*, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბილისი, 2011, გვ. 21.
[58] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.06.2017 განჩინება, საქმეზე №ას-317-300-2017.

თებლობა სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობა არ არის (სსსკ 178.1, „თ“, 186.1, „თ“)[59].

საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. **სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს.** ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით[60], ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები[61].

თუმცა, ამავდროულად მხარე, რომელიც სასამართლოს მიმართავს, **სულ მცირე, იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე უნდა უთითებდეს, რომელსაც ესა თუ ის სამართლის ნორმა გვთავაზობს.** აღსანიშნავია, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა მხარისათვის (მოსარჩელისათვის) სასურველ სამართლებრივ შედეგს (სარჩელის დაკმაყოფილებას) გამორიცხავს[62]. ამდენად, შესაძლებელია, მხარემ **სახელდებით სარჩელში სამართლის ნორმა არ მიუთითოს,** თუმცა, მითითებული ფაქტები სამართლის ამა თუ იმ **ნორმის დისპოზიციით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს,** წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ სარჩელში მითითებული ფაქტები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების რეჟიმშიც კი სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავს. მაგალითისათვის, თუ მოსარჩელე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებას (ფასის გადახდას) ითხოვს, მან სარჩელში უნდა მიუთითოს ფაქტები, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის შემადგენლობას ქმნის, კერძოდ, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო და რომ მას, მასზე დაკისრებული ვალდებულება უკვე შესრულებული აქვს, ხოლო მოპასუხე საპასუხო შესრულებას აყოვნებს, ან მას (მოსარჩელეს) თავად მასზე დაკისრებული ვალდებულება შესრულებული არ აქვს, რადგან მოპასუხეს, ხელშეკრულების მიხედვით, პირველს (წინმსწრებად)

---

[59] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი 14.11.1997, კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018.

[60] *შმიტი, რიჰტერი,* „მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში“, GIZ, 2013, გვ.9.

[61] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.03.2017 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-664-635-2016.

[62] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.12.2013 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას15-29-1443-2012.

უნდა შეესრულებინა ვალდებულება (სსკ[63] 369). მოსამართლე, მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, სარჩელის საფუძვლიანობას 477-ე მუხლზე დაყრდნობით ამოწმებს, მიუხედავად იმისა, მოსარჩელეს სამართლებრივ დასაბუთებაში მუხლი სახელდებით მითითებული აქვს, თუ არა. ამდენად, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმის მისადაგება სასამართლოს პრეროგატივაა, თუმცა, მხარის ვალდებულებაა, სარჩელში ფაქტების მითითება და მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესატყვისი მტკიცებულებებით გამყარება, რაც მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობის ან არასწორად მითითების დროსაც კი, მოწინააღმდეგის პოზიციისა და საქმეზე მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზებისა და შეჯერების შედეგად, სასამართლოს კვლევისა და იურიდიული შეფასების საგანია[64] [65] [66] [67]. ამ მიმართებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია შემთხვევა, როდესაც მხარე, მართალია, სამართლებრივ საფუძველს უთითებს, თუმცა, არასწორად. ასეთ შემთხვევაში, ისმის კითხვა, არის, თუ არა აღნიშნული გარემოება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი? ზემოგანვითარებული მსჯელობის საფუძვლად არსებული პრაქტიკის ანალიზის შედეგად, რაღა თქმა უნდა, არა, რადგან მხარის ვალდებულებაა სასამართლოსათვის მტკიცებულებებით გამყარებული ფაქტების მიცემა, ხოლო სასამართლოს ვალდებულებაა ფაქტების დადგენის შედეგად სუბსუმციის, ანუ ნორმათშეფარდების პროცესის განხორციელება[68]. შესაბამისად, არასწორი სამართლებრივი ნორმის მითითება a priori სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არაა. სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელში მოთხოვნის საფუძვლად მითითებული სამართლის ნორმა შეცვალოს და სხვა სამართლის ნორმას დააფუძნოს გადაწყვეტილება, თუმცა, სასამართლოს უფლება, თავად მოიძიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესატყვისი სამართლის ნორმა, იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ **სასამართლოს სამართლის ნორმის შეცვლით, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების შეცვლის უფლებაც აქვს**. **არამცდაარამც, სასამართლოს მხრიდან სამართლის ნორმის მოძიების ვალდებულება გულისხმობს, მარტოოდენ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტების ფარგლებში და მის საფუძველზე ნორმათშეფარდების პროცესის განხორციელებას.** დოქტრინა სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეცვლის, დამატების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. მოსამართლე უფლებამოსილი არ არის შეცვალოს ფაქტები[69]. **სასამართლოს მხრიდან სამართლის ნორმის შეცვლით მტკიცების საგანში შემავალი ფაქ-**

---

[63] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. შემდგომში: სსკ.

[64] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.12.2016 განჩინება, საქმეზე №ას-493-473-2016.

[65] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.05.2016 განჩინება, საქმეზე №ას-1224-1149-2015.

[66] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.07.2016 განჩინება, საქმეზე №ას-101-97-2016.

[67] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.07.2016 განჩინება, საქმეზე №ას-101-97-2016.

[68] *ციპელიუსი*, „იურიდიული მეთოდების მოძღვრება“, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006, გვ.113.

[69] *ლილუაშვილი, ხრუსტალი, ძლიერიშვილი,* „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ I ნაწილი, თბილისი, 2014, გვ. 91.

ტობრივი გარემოებების შეცვლა და აღნიშნული ფაქტების კვლევა, სასამართლოს მხრიდან შეჯიბრებითობის პრინციპის ცალსახა დარღვევაა. მაგალითისათვის, თუ მოსარჩელე გარიგების ბათილობას ითხოვს იმ საფუძვლით, რომ იგი მოატყუეს, ანუ მოსარჩელე უთითებს ფაქტს, რომ იგი გარიგების დადების მიზნით, განზრახ შეცდომაში შეიყვანეს, ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს დასკვნა, რომ გარიგება შეცდომის საფუძველზეა ბათილი, ფაქტების იმგვარ ცვლილებას იწვევს, რაც მოსარჩელეს არ მიუთითებია, უფრო მეტიც, სასამართლოს მხრიდან სარჩელში მითითებული ფაქტების მიმართ შეცდომით დადებული გარიგების ნორმის მისადაგება, მაშინ, როდესაც მოსარჩელე სარჩელში მოტყუების მომწესრიგებელი ნორმის ამსახველ ფაქტებს აღწერს, მოპასუხეს არათანაბარ პირობებში აყენებს, რადგან მოტყუების ფაქტების ამსახველი სარჩელის წარდგენის პირობებში, მოპასუხე შეცილების ვადის დარღვევაზე უთითებდა (ერთი წელი), თუმცა, ვერ ადასტურებდა, ხოლო სასამართლოს დასკვნამ, რომ გარიგება, როგორც შეცდომით დადებული, ბათილია, მოპასუხეს წაართვა შესაძლებლობა, რომ ერთთვიან შეცილების ვადაზე მიეთითებინა, რასაც დაადასტურებდა კიდეც. სწორედ ასეთ (მსგავს) შემთხვევას გულისხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლო, როდესაც განმარტავს, რომ „**მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში და მხარის მიერ არასწორი ნორმატიული საფუძვლის მითითება არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი,** თუმცა სასამართლოს აღნიშნული დისკრეცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მოპასუხეს არ შეეზღუდოს კონკრეტულ საკითხზე შესაგებლის წარდგენის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება. **საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში...“**[70] თუ სააპელაციო სასამართლო დავის განხილვისას მიიჩნევს, რომ ამ საქმის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სარჩელში აღნიშნულისაგან განსხვავებული ნორმები და ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად განსხვავებულად უნდა შეფასდეს, **მან ასევე უნდა შეაფასოს, გამოიწვევს თუ არა, ამგვარი ცვლილება მეორე მხარის ინტერესების დარღვევას და თუ წარმოიშობა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოპასუხეს, შეიძლება, შეეზღუდოს შეჯიბრებითობის პრინციპით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზაციის შესაძლებლობა**, საქმე ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა დაბრუნდეს.“[71]

განსხვავებულია ვითარება, როდესაც მოსარჩელე სარჩელში ასახული ფაქტებით ვერ ადასტურებს სარჩელში მითითებული სამართლის ნორმის დისპოზიციით გათვალისწინებულ შემადგენლობას, **თუმცა, სარჩელში აღნიშნული ფაქტები (შეუცვლელად) აკმაყოფილებს სხვა სამართლის ნორმით გათვალისწინებულ ფაქტობრივ წინაპირობებს** და, მტკიცებულებებით დადასტურების შემთხვევაში, იძლევა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ისმის კითხვა, უფლებამოსილია, თუ არა სასამართლო შეცვალოს სარჩელში მითითებული სამართლებრივი

[70] საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება, საქმე №ას-1350-1275-2012.
[71] საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება, საქმე №ას-1350-1275-2012.

საფუძველი და სარჩელი სხვა სამართლის ნორმაზე დაყრდნობით დააკმაყოფილოს? მაგალითისათვის, მოსარჩელე მოპასუხისათვის, სესხის სახით გადაცემული თანხის დაბრუნებას ითხოვს. მოსარჩელე წარდგენილი მტკიცებულებებით ადასტურებს თანხის გადაცემას, თუმცა, შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით ვერ ამტკიცებს თანხის გადაცემის საფუძველს, მოცემულ შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულების არსებობას. ასეთ ვითარებაში სასამართლოს აქვს დადასტურებული ფაქტობრივი გარემოება მარტოოდენ თანხის გადაცემის თაობაზე, შესაბამისად, მტკიცების ტვირთი მოპასუხის მხარეზე გადადის, რომელმაც უნდა მიუთითოს თანხის მიღების მიზნობრიობა. იმ შემთხვევაში, თუ ვერც მოსარჩელე დაამტკიცებს თანხის გადაცემის საფუძველს და ვერც მოპასუხე მისი მიღების მიზნობრიობას, თანხა დაბრუნებას უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით ექვემდებარება[72]. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებას ეფუძნებოდა (სსსკ 623), ხოლო სარჩელი შესრულების კონდიქციის მარეგულირებელი ნორმით დაკმაყოფილდა (სსსკ 976)[73]. აღნიშნული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ არსებობს პრაქტიკოს იურისტთა მცირე ნაწილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მოთხოვნილი შესრულების დაკმაყოფილება უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმებით სარჩელში მითითებული ფაქტების ცვლილებას იწვევს, რაც დაუშვებელია, რადგან, მოსარჩელე სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე ითხოვს მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას და არა უსაფუძვლო გამდიდრების (ვალდებულების გარეშე შესრულების) ნორმაზე დაყრდნობით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხეს მოლოდინი აქვს, რომ მოსარჩელემ სარჩელის საფუძვლად შესაბამისი ხელშეკრულების არსებობა უნდა დაადასტუროს. თუ რა მიზნით განხორციელდა შესრულება, მოპასუხის მტკიცების საგანში მარტოოდენ იმ შემთხვევაში შედის, თუ სარჩელი უსაფუძვლო გამდიდრების (შესრულების კონდიქცია) ნორმაზე დაყრდნობითაა აღძრული და სარჩელში მითითებულია, რომ მოპასუხემ თანხა (შესრულება) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო[74]. აღნიშნული მოსაზრება სასამართლო პრაქტიკით გაზიარებული არ არის, რაც, პირველ რიგში,

---

[72] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.02.2018 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1062-1022-2016.

[73] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.05.2016 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-74-71-2016.

[74] მიმაჩნია, რომ ამ გზით უფრო მეტადაა დაცული მოპასუხის უფლებები შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, ვინაიდან როდესაც მოსარჩელე თანხას სესხის ხელშეკრულების საფუძველზე ითხოვს, მოპასუხე ვარაუდობს, რომ სესხის ხელშეკრულების არსებობა მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, ხოლო მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურების გარეშე, სარჩელი არ კმაყოფილდება. რაც შეეხება მოპასუხის მტკიცებას, თუ რის საფუძველზე მიიღო მან შესრულება, გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ შემთხვევაში ენიჭება, თუ სარჩელი უსაფუძვლი გამდიდრების საფუძველზეა აღძრული და თანხის დაკისრებას მოსარჩელე იმის გამო ითხოვს, რომ მოპასუხეს შესრულება შესაბამისი საფუძვლის გარეშე აქვს მიღებული. ასეთ ვითარებაში საფუძვლის მტკიცება სწორედაც, რომ მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა, აღნიშნული მსჯელობა განვითარებული იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში, რომელიც გაუქმდა და უზენაესმა სასამართლომ მითითებულ განჩინებაში ასახული მოტივაცია ამავე საქმეში მის მიერ 2018 წლის 19 თებერვალს მიღებულ ახალ გადაწყვეტილებაში, საქმეზე №ას-1062-1022-2016, არ გაიზიარა (ავტ. ქ. მესხიშვილის შენიშვნა).

მართლმსაჯულების ეფექტურობის პრინციპით აიხსნება, ანუ სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც ერთი სასარჩელო წარმოების შედეგად შეიძლება დაკმაყოფილდეს, არ უნდა საჭიროებდეს დამატებით სასარჩელო წარმოებას. ამგვარი პრაქტიკის შენარჩუნების პირობებში, განსაკუთრებით საყურადღებოა, მოპასუხის დაცვის ღირსი ინტერესის გათვალისწინება, რომელსაც ყველა პირობა უნდა შეექმნას მოსარჩელესთან შეჯიბრების უფლების სრულყოფილად რეალიზაციისათვის. შეჯიბრების ქვაკუთხედია, რომ მოპასუხე შესაგებლის წარდგენის გზით სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და არგუმენტებს ეგებება. შეჯიბრების უმთავრეს პრინციპად განიხილება ასევე მოსამართლის როლი, სამართლის შეფარდება მხოლოდ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების საფუძველზე მოახდინოს, შესაბამისად, თუ სასამართლო მოსარჩელის მიერ მითითებულ სამართლებრივ საფუძველს ისე შეცვლის, რომ აღნიშნული ცვლილება სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა, დაზუსტება, დამატებას გამოიწვევს, აღნიშნული ფაქტების საწინააღმდეგო შეგებების (რაც შეიძლება შესაგებლის, ან შეგებებული სარჩელის წარდგენის გზით განხორციელდეს) უფლება მოპასუხისათვის გარანტირებული უნდა იყოს. ამ მიმართებით, საუკეთესო პროცესუალური შესაძლებლობა მოსამზადებელი სხდომის დანიშვნაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მითითება მოსარჩელის უფლებაა, შესაბამისად, მისი მიუთითებლობა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი არ არის. სარჩელში მითითებული ფაქტების სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, ანუ სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისი ნორმის მოძებნა და შეფარდება (სუბსუმცია) სასამართლოს ფუნქციაა[75]. იმ შემთხვევაში, თუ მხარე სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს მიუთითებს, სასამართლო ამგვარი მითითებით შეზღუდული არ არის. **სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძვლად მითითებული სამართლებრივი საფუძველი, თუმცა, სამართლებრივი საფუძვლის შეცვლამ სარჩელში მითითებული ფაქტების შეცვლა არ უნდა გამოიწვიოს.** იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სარჩელი დასაკმაყოფილებელია არა იმ სამართლებრივი საფუძვლით, რასაც მოსარჩლე უთითებს, არამედ სხვა სამართლებრივი საფუძვლით, რაც სარჩელში მითითებული ფაქტების შეცვლას (დაზუსტება, დამატება) იწვევს, ასეთ ვითარებაში, მიზანშეწონილია, მოსამზადებელი სხდომა დაინიშნოს, სადაც სასამართლომ უნდა განმარტოს, სარჩელში მითითებული ფაქტების არასაკმარისობა სარჩელშივე დასახელებული ნორმების გამოყენების მიზნებისათვის, ან სხვა დამატებითი ფაქტების საჭიროება, თუ თვლის, რომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა სამართლის სხვა ნორმაზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს, რა დროსაც მოპასუხეს შეჯიბრების თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული საპროცესო ქმედების განხორციელებამ და სუბსუმირებადი სამართლის ნორმის შეცვლამ მხარეების მიერ მითითებული ფაქ-

[75] *ბიოლინგი, ლუტრინგჰაუსი, შატბერაშვილი,* „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი“, GIZ, 2005, გვ. 167.

ტების შეცვლა იმდენად არ უნდა გამოიწვიოს, რომ სასამართლომ, მხარეთა თანაბარი შეჯიბრების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის პირობებშიც, **დაარღვიოს შეჯიბრებითობის პრინციპის მთავარი დებულება, რომლის მიხედვითაც, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსსკ 4.2).** ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკაც ამ მიმართულებით მიდის, კერძოდ, საკასაციო პალატა სიფრთხილით ეკიდება ახალი ფაქტების მითითების თაობაზე სასამართლო ინიციატივას და მიიჩნევს, რომ „სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს, თუ არა, სასარჩელო მოთხოვნას. ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები რამდენად ექცევა სამართლის, სულ მცირე, ერთი ნორმით მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობის ქვეშ. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სამართლის ნორმის აღწერილობაში არ ექცევა ან კონკრეტული ფაქტები არ არის მითითებული, რაც კონკრეტული ნორმით განსაზღვრული შედეგის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს (სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს მოთხოვნას), მაშინ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ეთქვას“[76]. აღსანიშნავია, რომ **არასაკმარისი ფაქტების მითითება მხარეთა რისკის სფეროდ განიხილება**[77], რადგან ივარაუდება, რომ მხარის მოთხოვნის წარმატებულობას მისი მხრიდან საკუთარი ინტერესების **კვალიფიციური და სწორი საპროცესო სტრატეგიით დაცვა** განაპირობებს[78]. შესაბამისად, სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებით და მასში ჩარევა მხარეთა შეჯიბრების უხეში დარღვევაა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველია სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, **„სასამართლო შეზღუდულია ფაქტით და არა სამართლით“.** აღნიშნული დასკვნა სასამართლო პრაქტიკაში გამოხატულებას პოულობს შემდეგნაირად, კერძოდ, სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების ერთობლიობით, ხოლო რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს[79].

[76] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.07.2015 განჩინება, საქმეზე №ას-209-196-2015.
[77] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.07.2018 განჩინება, საქმეზე №ას-687-687-2018.
[78] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.07.2017 განჩინება, საქმეზე №ას-593-552-2017.
[79] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.06.2018 განჩინება, საქმეზე №ას-1498-1418- 2017.

10. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის პრაქტიკული ურთიერთმიმართება

ამდენად, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, **მხარე თავად წყვეტს, დაიცვას, თუ არა, თავისი უფლება,** ხოლო თუ გადაწყვეტს მისთვის მატერიალური კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლების საპროცესოსამართლებრივ რეალიზებას, **აუცილებელია, მანვე საკუთარი უფლებების დასაცავად, სასამართლოს მიმართოს.** ამასთან, სასამართლოსათვის მიმართვა მხარემ **კანონით დადგენილი წესით უნდა განახორციელოს და სამართალწარმოების პროცესშიც კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით უნდა მიიღოს მონაწილეობა.** წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის მატერიალური კანონმდებლობით მინიჭებული უფლება **„უვარგისი“ გახდება,** ვინაიდან მიუხედავად ლეგიტიმური და დასაბუთებული უფლების არსებობისა, მისი სარჩელი წარუმატებელი აღმოჩნდება. აღსანიშნავია, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება უზრუნველყოფილია არა მხოლოდ მათთვის, ვისი მოთხოვნაც, ობიექტურად, საფუძვლიანი და კანონშესაბამისია, არამედ მათთვისაც, ვინც ფიქრობს, რომ მისი უფლება ან კანონიერი ინტერესი დაირღვა, **მიუხედავად იმისა, ობიექტურად, უფლება ან კანონიერი ინტერესი დარღვეულია, თუ არა.** სარჩელის საფუძვლიანობა კი საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე მოწმდება და საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აისახება. **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა დისპოზიციურობის უფლების გამოვლინებას წარმოადგენს არა მხოლოდ სარჩელის ინიცირება, არამედ სარჩელზე შემდგომი უარის თქმა, მორიგება ანდა სარჩელის ცნობა.**

შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით კი, მხარეები თავად განსაზღვრავენ **დავის საგანს**, თავადვე წყვეტენ, თუ **რომელი ფაქტები** მიუთითონ და **რომელი მტკიცებულებებით** დაამტკიცონ მითითებული ფაქტების უტყუარობა (სსსკ 4.1). **სასამართლო მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებით შეზღუდულია.** სასამართლოს უფლება არ აქვს, მხარეს ახალი ფაქტები წარმოადგენინოს. ერთადერთი უფლებამოსილება, რაც სასამართლოს ფაქტებთან მიმართებით გააჩნია, **შეკითხვების დასმის გზით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სრულყოფილად და ზუსტად ჩამოყალიბებაა (სსსკ 222)**. რაც შეეხება მტკიცებულებებს, ამ მიმართებით, სასამართლოს უფლებამოსილება უფრო ფართოა, კერძოდ, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს, **წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები** (სსსკ 103.1). მასვე უფლება აქვს, დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა და **დაავალოს მხარეებს შეავსონ,** ხოლო საჭიროების შემთხვევაში, **განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები,** წინადადება მისცეს მათ, **წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები, თუ დოკუმენტები** (სსსკ 203.1.ა). მხარეები უფლებამოსილნი არიან, მიუთითონ მოთხოვნის **სამართლებრივი საფუძველი.** სასამართლო მხარეთა მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძვლით **შეზღუდული არ არის**. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ცვლილება მხარეთა

მიერ მითითებული ფაქტების დაზუსტება, დაკონკრეტება, ანდა დამატებას იწვევს, აღნიშნული მხარეთა თანაბარი შეჯიბრების პირობებში უნდა განხორციელდეს, ამასთან, ისე, რომ მხარეთა უფლება, თავად განსაზღვრონ მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი და მტკიცებულებათა წრე, რომლითაც ისინი აღნიშნულ ფაქტებს ადასტურებენ, არ შეილახოს.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მცდელობა ქართული და ევროპული პერსპექტივით

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, ***ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური, თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა, თუ სხვა ნიშნის განურჩევლად.***

მე-14 მუხლი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კონვენციითა და ოქმებით გარანტირებული უფლების მიმართ არის დისკრიმინაციული ქმედება სახეზე. ***თუმცა, მე-14 მუხლის გამოყენება დასაშვებია დამოუკიდებლადაც.*** მე-14 მუხლის გამოყენების ძირითადი პრინციპი, პირველად, ასახულ იქნა ე.წ. „ბელგიის ლინგვისტურ ქეისში“, სადაც სასამართლომ თქვა, რომ შესაძლებელია არ დადგინდეს სხვა მუხლის დარღვევა, თუმცა, სახეზე იყოს მე-14 მუხლის დარღვევა, ანუ დისკრიმინაცია. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა სხვა მუხლის დარღვევა, როგორც წესი, საჭირო არ არის ამ დარღვევის შეფასება მე-14 მუხლის კონტექსტშიც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დარღვევის არსი სწორედაც, რომ იმაში მდგომარეობს, რომ მუხლის რეგულაცია დისკრიმინაციულად იქნა ან არ იქნა მის მიმართ გამოყენებული[1] [2]. სხვა შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა სასამართლოში ჩამოყალიბებული ტენდენციაა, რომლის მიხედვითაც, **მე-14 მუხლის დარღვევის დადგენა სხვა მუხლის საფარქვეშ მოქცეული უფლების დარღვევის პარალელურად არ ხდება**[3].

ყველა განსხვავებული მოპყრობა არ წარმოადგენს დისკრიმინაციას. შესაბამისად, აუცილებელია, პრინციპების შემუშავება, რომლის მიხედვითაც, დისკრიმინაციის ფაქტი დადგინდება. მე-14 მუხლის გამოყენების წინაპირობების დადგენა ყველაზე ნათლად მოხდა საქმეში Rasmussen v. Denmark, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა ცოლისა და ქმრის მიმართ მამობის დადგენის განსხვავებული პროცედურის შემუშავების ობიექტური გამართლება, რაც ბავშვის ინტერესებს ემსახურებოდა. მე-14 მუხლში ჩამოთვლილი დისკრიმინაციის საფუძვლები ამომწურავი არ არის[4]. დასაშვებია დისკრიმინაციის დადგენა ისეთი უფლების ხელყოფისას, რომელიც კონვენციით გათვალისწინებული არ არის, თუმცა, დისკ-

[1] Chassagnou v. France.
[2] Aziz v. Cyprus.
[3] Dudgeon v. UK.
[4] Rasmussen v. Denmark.

რიმინაციის ფაქტი უკვე ექცევა კონვენციის რეგულირების ქვეშ. მაგალითისათვის, არა ოჯახის, არამედ ცალკეული პირის მიერ, დამოუკიდებლად, შვილად აყვანა არ ექცევა მე-8 მუხლის მოწესრიგების რეჟიმში, თუმცა, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეში, რომელიც შვილებას ეხებოდა, სასამართლომ დარღვევა მე-14 მუხლის ფარგლებში შეაფასა [5] [6]. საქმეში EB v. France – სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის აყვანის უფლება ლესბოსელს მისი სექსუალური ორიენტაციის გამო არ მისცეს და არა იმიტომ, როგორც ამას სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ბავშვს მამა არ ეყოლებოდა.

ამდენად, **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლთან დაკავშირებული საჩივარი განიხილება არსებით უფლებასთან ერთობლიობაში. თუმცა, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, სასამართლომ დაადგინოს დისკრიმინაცია მაშინაც კი, როცა თვითონ არსებითი უფლება არ დარღვეულა. საგულისხმოა, რომ ევროპული კონვენციის ფარგლები იმაზე ფართოა, ვიდრე ეს კონვენციაში იკითხება. დისკრიმინაციის კონტექსტში აღნიშნულმა დებულებამ ასახვა მე-12 ოქმში ჰპოვა.**

2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 ოქმი

მე-12 ოქმმა გამოასწორა ის ნაკლი, რომელიც კონვენციის მე-14 მუხლს ჰქონდა, კერძოდ, დაუშვა შესაძლებლობა იმისა, რომ დადგენილიყო დისკრიმინაცია იმ უფლებათა სარგებლობის პროცესში და შედეგად, რომელსაც მხარეებს ეროვნული სამართალი ანიჭებდათ. თუმცა, მუხლის ტექსტი უფრო სუსტი და ბუნდოვანია, ვიდრე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტის 26-ე მუხლი. მე-12 ოქმის ბუნდოვანებისა და ფართო ინტერპრეტაციის გამო, ბევრმა სახელმწიფომ მის რატიფიცირებაზე უარი თქვა, მაგალითად, ინგლისმა თავი შეიკავა იქამდე, სანამ სასამართლო ოქმთან დაკავშირებით პრაქტიკას არ ჩამოაყალიბებდა. კითხვის ნიშანს იწვევდა ეროვნულ სამართალში ხომ არ იგულისხმებოდა ყველა ის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, რომელიც, თავის მხრივ, ეროვნული სამართლის ნაწილია. თუმცა, აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ცალსახაა, რაღა თქმა უნდა, იგულისხმება. მასში შედის ასევე ყოველი პირის უფლება, მოექცნენ თანაბრად იმ უფლებებით სარგებლობის სფეროში, რომელთა უზრუნველყოფა საჯარო ორგანოების ვალდებულებას ან მათ დისკრეციას წარმოადგენს. ოქმის ახსნა-განმარტებითი ბარათიდან ირკვევა ასევე, რომ სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას წარმოადგენს, აღკვეთოს კერძო პირებს შორის დისკრიმინაცია. ევროპულმა სასამართლომ საქმეში X and Y v. Netherland განმარტა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, აკრძალოს დისკრიმინაცია კერძო სფეროში, გულისხმობს მისი მხრიდან პოზიტიური ვალდებულების შესრულებას, დაიცვას პირთა სხვადასხვა უფლებები.

[5] EB v. France.
[6] Frette v. France.

შესაბამისად, აკრძალვაში იგულისხმება სპეციალური რეგულაციების, ორგანოების, კანონების შემუშავება... კერძო პირთა დისკრიმინაციისაგან დაცვის კუთხით[7]. ოქმის საფუძველზე სასამართლომ განიხილა საქმე, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ იგი ისეთივე მსჯელობებს ავითარებს, რა პრაქტიკაც არსებობს მე-14 მუხლიდან გამომდინარე[8].

3. დისკრიმინაციის არსი

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ***პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას.*** იმისათვის, რომ დადგინდეს ***პირდაპირი დისკრიმინაცია,*** აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა, კერძოდ, პირს განსხვავებულად (უფრო უარესად) უნდა ეპყრობოდნენ იმასთან შედარებით, ვისაც იგივე ან მსგავს სიტუაციაში უკეთესად ეპყრობიან. ამასთან, განსხვავებული მოპყრობა არასახარბიელო უნდა იყოს და მას გამართლება არ უნდა ჰქონდეს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, დაადგინა, რომ ლესბოსელის მიმართ პირდაპირ დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი, როცა მას ბავშვის აყვანის უფლება არ მისცეს, რადგან უარი შვილებაზე განპირობებული იყო მშვილებლის სექსუალური ორიენტაციით და არა იმით, რომ ბავშვს მამა არ ეყოლებოდა, როგორც ამას სახელმწიფო ამტკიცებდა[9].

დიკრიმინაცია არაპირდაპირია, თუ ერთი და იმავე მოპყრობის შეთავაზება ხდება განსხვავებულ სიტუაციაში მყოფი პირებისათვის (ნეიტრალური წესი, პრაქტიკა, კრიტერიუმი), რაც უარყოფით გავლენას ახდენს დაცული საფუძვლით განსაზღვრულ ერთ რომელიმე ჯგუფზე. არაპირდაპირი დისკრიმინაციისათვის დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ წესი, რეგულაცია, ღონისძიება არის ნეიტრალური, არ შეიცავს დისკრიმინაციის ნიშნებსა და, მით უფრო, არც დისკრიმინაციული ქმედების განზრახვას, თუმცა, შედეგად ვიღებთ გარკვეულ პირთა ან პირთა ჯგუფის დისკრიმინაციულ მოპყრობას. კონვენციის მე-14 ოქმი ფარავს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ დისკრიმინაციას. სადავო არ არის, რომ არაპირდაპირი დისკრიმინაცია შეიძლება მომდინარეობდეს არა მხოლოდ ქმედებიდან (მოქმედება, უმოქმედებობა), არამედ დე ფაქტო სიტუაციიდან. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, დაადგინა, რომ მართალია, სახეზე იყო ნეიტრალური წესი ნაფიცი მსაჯულების შერჩევის, თუმცა, აღნიშნული წესის შედეგად ნაფიცი მსაჯულები 97% შემთხვევაში იყვნენ კაცები. ნაფიცი მსაჯულობის სამსახური კი წარმოადგენს სამოქალაქო სავალდებულო სამსახურს, რომლის შეუსრულებლობა იწვევს ჯარიმას, ჯარიმის გადაუხდელობა კი პატიმრობას, ანუ სახეზეა სავალდებულო შრომა, რომელიც შეიძლება იყოს გამართლებული, თუმცა, გენდერული ბალანსის დაცვით[10].

---

[7] X and Y v. Netherland .
[8] Sejdic and Finci v. Bosnia and Herzegovina.
[9] EB v. France.
[10] Zarb Adami v. Malta.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობისას დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება ასევე ირღვევა, როდესაც სახელმწიფოები ვერ ახერხებენ, ადამიანებს **განსხვავებულად მოეპყრონ, როცა მათი მდგომარეობა არსებითად განსხვავებულია.** აღნიშნულ საქმეში ბუღალტრის პროფესიის დაუფლებაზე უარს ეუბნებოდნენ ნასამართლევ სუბიექტებს. აპლიკანტი ნასამართლევი იყო სამხედრო უნიფორმის ტარებაზე უარის თქმის გამო, რელიგიური გრძნობებიდან გამომდინარე (იეღოვას მოწმე იყო). სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა დისკრიმინაციის აკრძალვასთან ერთად[11]. ამ შემთხვევაში, ყველასათვის ნეიტრალური წესი, კერძოდ, კანონის ჩანაწერი მასზედ, რომ ნასამართლევი პირი ბუღალტრის პოზიციას ვერ დაიკავებს, დისკრიმინაციული აღმოჩნდა იეღოვას მოწმე სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებიც სამხედრო უნიფორმის ტარებაზე ამბობდნენ უარს, რაც მათ ნასამართლეობას იწვევდა. ამ შემთხვევაში, სასამართლოს განმარტებით, აუცილებელი იყო განსხვავებული მრწამსის ადამიანებისათვის განსხვავებული პირობების შექმნა.

4. კომპარატორი

კომპარატორს უაღრესად დიდი როლი ენიჭება დისკრიმინაციის დადგენის საქმეში. განსაკუთრებით გადამწყვეტია მისი როლი არამართლზომიერი ქმედების **პირდაპირ დისკრიმინაციად** კვალიფიკაციის მიზნებისათვის, ვინაიდან პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენისათვის აუცილებელია, დადგენილ იქნეს არასახარბიელო მოპყრობა იდენტური ან მსგავსი სიტუაციის არსებობის პირობებში. ამ მიმართებით, კომპარატორსა და მის შეფასებას უდიდესი როლი ენიჭება, რადგან ერთნაირ ან მსგავს სიტუაციაში ერთნაირი (მსგავსი) მოპყრობა უნდა იყოს, ხოლო განსხვავებულ სიტუაციაში – განსხვავებული. თუ სახეზე არ იქნა ერთნაირი ან მსგავსი სიტუაცია, განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულად ვერ დაკვალიფიცირდება. მაგალითად, დამ (ტყუპის ცალი) თავისი დისგან მემკვიდრეობა მიიღო, რისთვისაც გადასახადი უნდა გადაეხადა. ამგვარი გადასახადისაგან გათავისუფლებული იყო ქორწინებაში, ან ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფი წყვილი. და დაობდა მის მიმართ (ქორწინებაში, ან ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფ წყვილებთან შედარებით) არასახარბიელო მოპყრობაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლით ნათესაობაზე დაფუძნებული ურთიერთობისათვის ქორწინებაში მყოფი წყვილები არ იყვნენ სწორი კომპარატორები. შესაბამისად, რადგან კომპარატორი არ იყო მსგავს ან ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირი, ამიტომ დიდმა პალატამ აღარც კი შეაფასა განსხვავებული მოპყრობა იყო, თუ არა გამართლებული რაიმე საფუძვლით[12]. იგივე დაადგინა სასამართლომ გაერთიანებულ სამეფო-

[11] Thlimmenos v. Greece.
[12] Burden v. Uk.

ში არამუდმივად მცხოვრებ პირთა პენსიების ინდექსაციასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ სწორი *კომპარატორები არ იყვნენ გაერთიანებულ სამეფოში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები*[13]. სასამართლომ დარღვევა დაადგინა დეკრეტულ შვებულებებთან დაკავშირებით და თქვა, რომ მისი მიღების უფლება უნდა ჰქონდეთ კაც სამხედრო მოსამსახურეებსაც. ამ საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ კაცი სამხედრო მოსამსახურის მიმართ არასახარბიელო მოპყრობის დასადგენად ქალი სამხედრო მოსამსახურე კომპარატორად სწორად იქნა შერჩეული[14]. სასამართლომ ასევე დარღვევა დაადგინა საქმეში, საიდანაც ირკვეოდა, რომ მსჯავრდებულები, რომელთაც 18 წელზე მეტი ჰქონდათ მისჯილი, მათი პირობით გათავისუფლებისათვის სახელმწიფო დეპარტამენტის თანხმობა იყო საჭირო, მაშინ, როდესაც ასეთი თანხმობა საჭირო არ იყო 15 წელზე ნაკლები წლით მსჯავრდებულებისთვის ან მთელი სიცოცხლით მსჯავრდებულებისათვის[15]. სასამართლომ განსხვავებული მოპყრობა დაადგინა ასევე წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრების მიმართ, რომელთაც, განსხვავებით პატიმრებისაგან, სექსუალურ პარტნიორთან პაემანის უფლება არ აქვთ[16].

5. დაცული საფუძველი

იმის განსაზღვრისას, მოხდა თუ არა პირდაპირი დისკრიმინაცია, უნდა შეფასდეს ნაკლებ სახარბიელო მოპყრობა განპირობებული იყო თუ არა „დაცული საფუძვლით“. **დაცული საფუძველი, ისეთი მახასიათებელია, რომელიც რელევანტურად არ უნდა ჩაითვალოს განსხვავებული მოპყრობისთვის ან გარკვეული შეღავათებით სარგებლობისთვის.**

დაცული საფუძვლების ჩამონათვალს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-14 მუხლი ითვალისწინებს. თუმცა, მე-14 მუხლი ამომწურავ ჩამონათვალს არ შეიცავს. შესაბამისად, დაცულ საფუძვლად მოიაზრება ბევრი ისეთი საფუძველი, რომელიც პირდაპირ მუხლში მითითებული არ არის, მაგალითისათვის, სექსუალური ორიენტაცია, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობა, პროფესია, ნასამართლეობა და ფინანსური მდგომარეობაც კი. მე-14 მუხლის ჩამონათვალში საუბარია ქონებრივი საფუძვლით დისკრიმინაციაზე, თუმცა, აღნიშნული საფუძვლით დისკრიმინაციის დადგენა ერთ-ერთ ყველაზე სადავო სფეროს წარმოადგენს და, როგორც წესი, ცალკე მე-14 მუხლის დარღვევის საფუძვლად არ გამოიყენება. მაგალითად, ერთ – ერთ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ რადგან დადგენილია პირველი ოქმის დარღვევა იმ საფუძვლით, რომ მიწის მესაკუთრეს არ უნდა ეკისრებოდეს მისი მიწის ნაკვეთზე სხვათა მხრიდან ნადირობის თმენის ესოდენ მძიმე ტვირთი, ამიტომ მე-14 მუხლის დარღვევის

[13] Carson v. UK.
[14] Konstantin Markin v. Russia.
[15] Clift v. Uk.
[16] Laduna v. Slovakia.

დადგენის საჭიროება არ არსებობს[17]. გაბატონებული აზრის მიხედვით, დაცული საფუძველი უნდა იყოს პიროვნული ხასიათის (თანდაყოლილი ან მემკვიდრეობით მიღებული), რომლითაც ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. თუმცა, ამ მიმართებით ადამიანის უფლებათა სასამართლოს პოზიცია არაერთგვაროვანია, კერძოდ, იყო საქმე, სადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ დაცული საფუძველი საცხოვრებელი ადგილი იყო[18]. თუმცა, ამავდროულად არსებობს საქმე, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ ტერიტორიული სხვაობა არ შეიძლება დაცულ საფუძვლებს შორის მოექცეს, ვინაიდან აღნიშნული პიროვნული მახასიათებელი არ არის[19]. არსებობს საქმე, სადაც სასამართლომ დაცულ საფუძვლად აგენტობა (აგენტად ყოფნა – KGB) ჩათვალა[20].

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, **დაცული საფუძვლებია** სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნული თუ სხვა სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება. **ღიად დაცულ საფუძვლებში** (სხვა ნიშანი) კი მოიაზრება, შეზღუდული შესაძლებლობა, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია.

6. შევიწროება

შევიწროება თავისთავად *არასწორი ქმედებაა*. მას შედეგად ღირსების შელახვა სდევს, შესაბამისად, შევიწროება ჩადენილია პირის ღირსების შელახვის მიზნით და/ან ახდენს დამაკნინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას. შევიწროება გამოიხატება ვერბალურ, არავერბალურ ან ფიზიკურ ქმედებაში, რომელიც, უმეტესწილად სექსუალური ხასიათისაა. შევიწროების დროს კომპარატორის ძებნა საჭირო არ არის. კონვენცია კონკრეტულად შევიწროებას არ კრძალავს, მაგრამ რამდენიმე მუხლის დისპოზიციით (მე-3, მე-8, მე-9, მე-11), შესაძლოა, მისი ჩადენის აკრძალვა დაიფაროს.

შევიწროების დასადგენად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ***მსხვერპლის მხრიდან სუბიექტური აღქმა.*** თუმცა, მიუხედავად სუბიექტური აღქმისა, შევიწროება მაინც შეიძლება დადგინდეს.

სექსუალური შევიწროება შევიწროების ერთ-ერთი სპეციფიური გამოვლინების ფორმაა. სექსუალური შევიწროების ორი ფორმა არსებობს: 1. Quid Pro Quo, ანუ მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც ითვალისწინებს სექსუალური ხასიათის მოთხოვნის არსებობას ქმედებაში და 2. მტრული სამუშაო გარემო, როდესაც სამუშაო ადგილზე დამაშინებელ, შეურაცხმყოფელ პირობებს ქმნის. სექსუ-

[17] Herrmann v. Germany.
[18] Carson v. UK.
[19] Magee v. Uk.
[20] Sidabras and Dziautas v.Lithuania.

ალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს როგორც სხვადასხვა, ასევე, ერთი და იგივე სქესის პირებს შორის.

Quid Pro Quo – ძალადობა, არის თანამდებობის ბოროტად გამოყენება, აღნიშნული ხდება, როდესაც: 1) სამსახურებრივი წახალისება, დასაქმება, დაწინაურება, ხელფასის გაზრდა, ნაკლები სამუშაოს მიცემა და სხვა სამსახურებრივი გარემოებები, ხდება სქესობრივი კავშირის სანაცვლოდ. მოძალადე ძირითად შემთხვევაში არის სამსახურის უფროსი, მეთვალყურე, დასაქმებულის აგენტი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა დასაქმებულის საქციელზე იქონიოს გავლენა; ან 2) სექსუალურ კავშირზე უარი გავლენას ახდენს პირის სამსახურებრივ მდგომარეობაზე (მაგ.: დაქვეითება). სექსუალური შევიწროება ცალსახად არ ნიშნავს კონკრეტული სექსუალური ხასიათის მომსახურების ან ფიზიკური კონტაქტის ელემენტის არსებობას განხორციელებულ ქმედებაში და ის შეიძლება გამოხატული იყოს ასევე ვერბალური ან/და არავერბალური ფორმით[21].

7. დისკრიმინაციისაკენ მოწოდება

დისკრიმინაციისაკენ მოწოდება დისკრიმინაციაა. იგივე შეიძლება ითქვას დისკრიმინაციული შინაარსის აზრის გამოხატვაზე. მაგალითად, ბულგარეთში პარლამენტის წევრმა განცხადება გააკეთა, რომლითაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ბოშურ, ებრაულ და თურქულ საზოგადოებებს და, ასევე, ზოგადად, უცხოელებს. მან განაცხადა, რომ ეს საზოგადოებები ბულგარელებს აბრკოლებდნენ თავიანთი სახელმწიფოს მართვაში, დანაშაულს დაუსჯელად სჩადიოდნენ და ბულგარელებს ხელს უშლიდნენ სათანადო სამედიცინო მომსახურება მიეღოთ. მან მოუწოდა ხალხს, წინ აღდგომოდნენ სახელმწიფოს გადაქცევას ამ სხვადასხვა ჯგუფის კოლონიად. სოფიის რეგიონალურმა სასამართლომ აღნიშნული განცხადებები შეაფასა როგორც შევიწროება და დისკრიმინაციისკენ მოწოდება.

ვარშავის მერმა ჰომოფობიური განცხადებები გააკეთა ჰომოსექსუალთა აღლუმის თაობაზე. მართალია, ადმინისტრაციულმა ორგანომ აღლუმის ჩასატარებლად თანხმობა იმიტომ არ გასცა, რომ, ვითომ და, არეულობის საშიშროება არსებობდა, თუმცა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მერის განცხადებებმა ზეგავლენა მოახდინა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე. შესაბამისად, დაადგინა თავისუფალი შეკრების უფლების დარღვევა დისკრიმინაციისაგან დაცულობის უფლებასთან ერთობლიობაში[22].

ეროვნულმა სასამართლომ ბოშისათვის სასჯელის შეფარდებისას პირობით სასჯელზე უარი თქვა იმ მიზეზით, რომ ბოშებში დაუსჯელობის კულტურა არსებობდა. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა სამართლიანი სასამართ-

[21] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.12.2018 გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/1609-18.
[22] Baczkowski and others v Poland.

ლოს უფლების დარღვევა დისკრიმინაციისაგან დაცულობის უფლებასთან ერთობლიობაში [23].

8. სპეციალური ღონისძიებები

სპეციალური ღონისძიებების აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინები: „კონკრეტული ღონისძიებები“, „დროებითი ღონისძიებები“, „პოზიტიური ქმედება“, „პრეფერენციული ღონისძიება“ (affirmative action). სპეციალური ღონისძიებების მიზანია ანალოგიურ (მსგავს) სიტუაციაში მყოფი პირებისათვის ანალოგიური (მსგავსი) მოპყრობის, ხოლო განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირების განსხვავებულად მოპყრობის უზრუნველყოფა. როგორც წესი, სპეციალური ღონისძიებები გამოიყენება იმ ინდივიდთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომლებიც სხვა შემთხვევაში დისკრიმინირებულნი იქნებოდნენ. **სპეციალური ღონისძიებების გატარებით სახელმწიფო უზრუნველყოფს „არსებით თანასწორობას“ და არა უბრალოდ „ფორმალურ თანასწრობას“. დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება ირღვევა, როცა სახელმწიფო ვერ ახერხებს ადამიანებს მოეპყრონ განსხვავებულად, როცა მათი მდგომარეობა არსებითად სხვადასხვაა. შესაბამისად, სპეციალურ ღონისძიებათა გატარება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული. თუმცა, აუცილებელია, რომ მისი გამოყენება დანიშნულებისამებრ მოხდეს და მიზნის მიღწევისთანავე შეწყდეს, რათა მან დისკრიმინაციული მოპყრობის სახე არ მიიღოს. სპეციალური ღონისძიებები უნდა ატარებდეს დროებით ხასიათს უთანასწორობის გამოსასწორებლად. ამავდროულად, დროებითი ღონისძიების მიზანი კეთილშობილური უნდა იყოს და, როგორც წესი, მოწყვლადი ჯგუფის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს. სპეციალური ღონისძიების მიზანი, ფარგლები და ხანგრძლივობა მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს.** სპეციალურ ღონისძიებას წარმოადგენს, მაგალითად, შეზღუდული უნარის მქონე ადამიანებისათვის სპეც.ლიფტების, პანდუსების, სამუშაო პირობების შექმნა და ა. შ. პრეფერენციულ ღონისძიებას წარმოადგენს ასევე, მაგალითად, ქალთა დასაქმება, რათა დასაქმებული ქალების რიცხვი დასაქმებული კაცების რიცხვს გაუთანაბრდეს, კვოტირების სისტემა და ა. შ. ამგვარი მოპყრობის მიზანი არსებული უთანასწორობის აღმოფხვრაა და იგი ყოველთვის დროებით ხასიათს უნდა ატარებდეს.

9. განსხვავებული მოპყრობის გამართლებული საფუძველი

ყველა განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაცია არ არის. დისკრიმინაციის დადგენის მიზნებისათვის აუცილებელია, რომ პირს განსხვავებულად **(უფრო უარესად)** ეპყრობოდნენ იმასთან შედარებით, ვისაც იგივე ან მსგავს სი-

[23] Paraskeva Todorova v Bulgaria.

ტუაციაში **უკეთესად ეპყრობიან. თუმცა, არც უფრო უარესი განსხვავებული მოპყრობა იძლევა ქმედების დისკრიმინაციულად კვალიფიკაციის უტყუარ შემადგენლობას. ამისათვის აუცილებელია, რომ განსხვავებულ (უფრო უარესს) მოპყრობას, იმასთან შედარებით, ვისაც** იგივე ან მსგავს სიტუაციაში **უკეთესად ეპყრობიან, გამართლება არ ჰქონდეს.**

არასახარბიელო მოპყრობის გამართლებად და, შესაბამისად, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება, თუ ამგვარი მოპყრობა ეფუძნება არსებითად ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურ შეფასებას; ითვალისწინებს საჯარო ინტერესს; ამყარებს სამართლიან ბალანსს საზოგადოების საერთო ინტერესსა და ინდივიდის უფლებებს შორის; ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს; არსებობს გონივრული, პროპორციული ურთიერთმიმართება განსხვავებულ მოპყრობასა და დასახულ ლეგიტიმურ მიზანს შორის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე სახალხო დამცველი საქართველოს პარლამეტის წინააღმდეგ განმარტა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული უფლების მიზნებისთვის არსებითად თანასწორი სუბიექტების ნებისმიერი დიფერენცირება არ განიხილება, *a priori*, დისკრიმინაციულ მოპყრობად. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება განსხვავებული მოპყრობა, რომელიც ეფუძნება არსებითად ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურ შეფასებას, ითვალისწინებს საჯარო ინტერესს და ამყარებს სამართლიან ბალანსს საზოგადოების საერთო ინტერესსა და ინდივიდის უფლებებს შორის. განსხვავებული მოპყრობა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და უნდა არსებობდეს გონივრული, პროპორციული ურთიერთმიმართება განსხვავებულ მოპყრობასა და დასახულ ლეგიტიმურ მიზანს შორის... განსხვავებულად მოპყრობის გონივრულობის მასშტაბი განსხვავებული შეიძლება იყოს თითოეულ შემთხვევასთან მიმართებით. ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება გულისხმობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზნების არსებობის დასაბუთების აუცილებლობას... სხვა შემთხვევებში ხელშესახები უნდა იყოს შეზღუდვის საჭიროება თუ აუცილებლობა. ზოგჯერ შესაძლოა საკმარისი იყოს დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა[24].

ამ მიმართებით საინტერესოა დისკრიმინაციის საკონსტიტუციოსასამართლოსეული ასპექტები, კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციის აკრძალვა **კანონის წინაშე თანასწორობის იდეიდან მომდინარეობს, შესაბამისად, სახელმწიფოა ვალდებული არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ და პირიქით; *ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა, თავისთავად, დისკრიმინაციას არ ნიშნავს; რიგ შემთხვევებში, დიფერენცირებული მოპყრობა შეიძლება საჭირო და გარდაუვალიც იყოს*; დიფერენციაცია დისკრიმინაციული ხასიათისაა, თუ იგი დაუსაბუთებელია; *დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვას-***

[24] საქართველოს საკონსტიტუციოს გადაწყვეტილება, სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია; განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს; დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებულ ასპექტებზე დაყრდნობით აქვს განვითარებული მსჯელობა ყველა იმ საქმეში, სადაც ქმედების დისკრიმინაციული ხასიათი იყო შესაფასებელი. მაგალითისათვის, 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე (2010 წლის 1 ოქტომბერი) დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე პირების ბრალდებულად ყოფნის ვადა განისაზღვრება 12 თვით. ამ ვადაში არ ითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც ბრალდებული ემალებოდა გამოძიებას და მის მიმართ გამოცხადებული იყო ძებნა ან თავს არიდებდა გამოძიებას (ანდა მას იცავდა იმუნიტეტი). პირების მიმართ, რომელთა სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ ბრალდებულად ყოფნის მაქსიმალური 9 თვიანი ვადა, ამასთან, ახალი კოდექსი არ ითვალისწინებს ამ ვადის შეჩერებას ზემოაღნიშნული საფუძვლებით. ***მოსარჩელეებს (ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 26/11/2014)*** მიაჩნდათ, რომ სადავო ნორმა, კრძალავს რა ბრალდებულად ყოფნის მაქსიმალური 9 თვიანი ვადის გავრცელებას 2010 წლის 1 ოქტომბრამდე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე, იწვევს მათ (მოსარჩელეთა) დისკრიმინაციას. მითითებული ნორმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია. სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ „თანასწორობის იდეა არის ერთ-ერთი საყრდენი ღირებულებათა სისტემისა, რომლის დამკვიდრების მიზნით და სულისკვეთებითაც იქმნებოდა სახელმწიფოთა კონსტიტუციები. კანონის წინაშე თანასწორობა – ეს არ არის მხოლოდ უფლება, ეს არის კონცეფცია, პრინციპი, რომელსაც ეფუძნება სამართლებრივი სახელმწიფო და დემოკრატიული ღირებულებები“ ... „კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ...ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც, ზოგადად, გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს“... დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ არსს, დანიშნულებას და გამოწვევას წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფა – ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით სრულყოფილად სარგებლობის გზით თავისუფალი თვითრეალიზაციის შესაძლებლობის გარანტირება. ამასთან, სახელმწიფო ასეთ გარანტიას უნდა წარმოადგენ-

დეს მთლიანად საზოგადოებისთვის, თითოეული ადამიანისათვის, რადგან „თავისუფლების იდეა გაუფასურდება, თუ ის არსებითად ერთნაირი შინაარსის მატარებელი და ერთნაირად ხელმისაწვდომი არ იქნება ყველასთვის. ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს, მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან“....თანასწორობა თავისუფლებაში გადამწყვეტია როგორც თავისუფლების, ისე თავად ***თანასწორობის იდეის შენარჩუნებისთვის. ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობის ასეთ ურთიერთკავშირზე არაორაზროვნად მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი,*** რომლის თანახმადაც: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. „ამ ნორმაში კანონის წინაშე თანასწორობა მოხსენიებულია ადამიანის თავისუფლებასთან ერთად, რაც უდავოდ მიანიშნებს თანასწორობის მნიშვნელობაზე ადამიანის თავისუფლებისათვის – ადამიანის უფლებები ერთნაირად არის თითოეული ადამიანის კუთვნილება, ამიტომ მათ უნდა ჰქონდეთ ერთნაირი ხელმისაწვდომობა მათზე (უფლებებით სარგებლობაზე), მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თავისუფლების სრულყოფილად შეგრძნება“. ...საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ძირითადი არსი და მიზანი არის „**ანალოგიურ, მსგავს, საგნობრივად თანასწორ გარემოებებში მყოფ პირებს სახელმწიფო მოეპყროს ერთნაირად, არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ და პირიქით“.... *იმავდროულად, ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა, თავისთავად, დისკრიმინაციას არ ნიშნავს***. ცალკეულ შემთხვევაში, საკმარისად მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებშიც კი, შესაძლოა, ***დიფერენცირებული მოპყრობა საჭირო და გარდაუვალიც იყოს***. ეს ხშირად აუცდენელია. შესაბამისად, დიფერენცირება საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროსთვის უცხო არ არის, „თუმცა თითოეული მათგანი არ უნდა იყოს დაუსაბუთებელი“... საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასებას, დადგენას საფუძვლად დაუდო შემდეგი ძირითადი მიდგომა: „***დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს***. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავე-

ბას“ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული სფეროს სრულყოფილი განმარტებისთვის საკონსტიტუციო სასამართლო კანონის წინაშე თანასწორობის უფლების არსიდან გამოვიდა და დაუშვებლად მიიჩნია მისი გათანაბრება ნორმის სიტყვასიტყვით შინაარსთან. სასამართლო არ შეიბოჭა ამ ნორმის გრამატიკული განმარტებით და მისი ძირითადი არსი, დიაპაზონი გაიაზრა კანონის წინაშე თანასწორობის იდეის მნიშვნელობის გათვალისწინებით. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ისტორიულად კონსტიტუციებში ხდებოდა იმ ნიშნების ჩამოთვლა, რომელთა მიხედვით, ადამიანთა ჯგუფებს აერთიანებდა მათთვის დამახასიათებელი პირადი, ფიზიკური თვისებები, კულტურული ნიშნები ან სოციალური კუთვნილება. ამ ნიშნების კონსტიტუციებში ჩამოთვლა ხდებოდა ზუსტად მათ საფუძველზე ადამიანების დისკრიმინაციის დიდი გამოცდილების არსებობის და, ამასთან, ასეთი მოპყრობის გაგრძელების შიშის გამო (საპასუხოდ). „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციები და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო დოკუმენტები, იძლევა გარკვეული ნიშნების ჩამონათვალს, ***რომელიც მიემართება კანონმდებელს და უთითებს, თუ რომელ საფუძვლებს არ უნდა უკავშირდებოდეს არათანაბარი მოპყრობა. ჩამონათვალში მითითებული ნიშნები მომდინარეობს ადამიანის იდენტობის გამომხატველი ფაქტორებიდან, ემყარება მათი ღირსების პატივისცემას და გააჩნია თავისი ისტორიული წანამძღვრები. ხსენებული ნიშნების საფუძველზე დიფერენცირება წარმოადგენს დისკრიმინაციის მომეტებული რისკის მატარებელ შემთხვევებს და კანონმდებლისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.*** თუმცა ეს არ გამორიცხავს ადამიანთა არაგონივრული დიფერენცირების სხვა შემთხვევების არსებობას და მათი კონსტიტუციით აკრძალვის საჭიროებას. კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ (ან პირიქით) გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე მოპყრობის ნებისმიერ შემთხვევას. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების ამომწურავად მიჩნევა თავისთავად გამოიწვევს სასამართლოს მიერ იმის დადასტურებას, რომ ნებისმიერი სხვა ნიშნით დიფერენციაციის შემთხვევები არ არის დისკრიმინაციული, რადგან არ არის დაცული კონსტიტუციით. ბუნებრივია, ასეთი მიდგომა არ იქნებოდა სწორი, რადგან თითოეული მათგანის კონსტიტუციის მე-14 მუხლში მოუხსენიებლობა დიფერენციაციის დაუსაბუთებლობას ვერ გამორიცხავს. დიფერენცირებული მიდგომა შესაძლოა მოხდეს არა მხოლოდ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით და არა მხოლოდ, თუნდაც ამ ნიშნებზე დაყრდნობით, კონკრეტული კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის პროცესში. „თანასწორობის ძირითადი უფლება სხვა კონსტიტუციური უფლებებისგან იმით განსხვავდება, რომ ის არ იცავს ცხოვრების რომელიმე განსაზღვრულ სფეროს. თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში... დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია

შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს – არსებითად თანასწორებს მოეპყროს თანასწორად და პირიქით. აქედან გამომდინარე, თანასწორობის ძირითად არსთან კონფლიქტში მყოფი ნებისმიერი ნორმა უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი“.

სასამართლო დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასებისთვის სარგებლობს ***განსხვავებული ინსტრუმენტებით (ტესტებით).*** კერძოდ, მე-14 მუხლთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის კონსტიტუციურობას აფასებს „მკაცრი შეფასების ტესტით“ ან „რაციონალური დიფერენციაციის ტესტით“. განსხვავებულია მათი გამოყენების წინა პირობები, საფუძვლები. ნებისმიერი დიფერენციაცია ზედმიწევნით შემოწმებას და ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. *თუმცა დიფერენციაციის დისკრიმინაციულობის შეფასება განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა მოხდეს, როდესაც განსხვავებული მოპყრობა ეფუძნება ისეთ ნიშნებს, რომლებზე დაყრდნობითაც ისტორიულად ხშირი და ძალზე გავრცელებული იყო დისკრიმინაცია და რომელთა ჩამოთვლაც ზუსტად ასეთი მოპყრობის განმეორების შიშით და ამის საწინააღმდეგოდ ხდებოდა კონსტიტუციებში*. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ნიშნებს, პირობითად კლასიკური ნიშნები უწოდა და ამ სფეროში დიფერენციაციის დისკრიმინაციულობის შემოწმებისთვის *„მკაცრი შეფასების“ ტესტი შემოიღო*, როდესაც *აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დიფერენცირებული მოპყრობის გამართლებისთვის სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესის არსებობის დემონსტრირება და ამ მიზნის მიღწევისთვის შერჩეული რეგულაციის ამავე მიზნებთან თანაზომიერების მტკიცება*. მკაცრი ტესტის გამოყენების საჭიროებას სასამართლო ადგენს ასევე *დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხის მიხედვით.* ამასთან, დიფერენციაციის ინტენსივობის შეფასების კრიტერიუმები განსხვავებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიფერენციაციის ბუნებიდან, რეგულირების სფეროდან გამომდინარე. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში გადამწყვეტია, *არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში ექცევიან, ანუ დიფერენციაცია რამდენად მკვეთრად აცილებს თანასწორ პირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებისაგან*. თუ დიფერენციაციის ინტენსივობა მაღალია, სასამართლო გამოიყენებს „მკაცრ ტესტს“, ხოლო ინტენსივობის დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში – *„რაციონალური დიფერენციაციის ტესტს“, როდესაც ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისთვის საკმარისია: დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობის დასაბუთებულობა, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდაუვალობა ან საჭიროება; ამასთან, რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ* მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის. დიფერენციაციის ინტენსივობის შეფასებისთვის ასევე შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა შემდეგ გარემოებას: დიფერენცირებულ პირებს რამდენად შეუძლიათ საკუთარი ძალისხმევით შეამცირონ დიფერენციაციის ხარისხი ან აღმოფხვრან ის. ცხადია, ასეთი ვითარება, თავისთავად, ვერ გამორიცხავს

დიფერენციაციის დისკრიმინაციულობას და ვერ უზრუნველყოფს კანონის წინაშე თანასწორობას. რადგან დამოუკიდებლად იმისგან, ადამიანს შეუძლია თუ არა საკუთარი ზეგავლენითა და ძალისხმევით ფაქტობრივი ვითარების შეცვლა, სახელმწიფო არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან, არ მოახდინოს პირთა დაუსაბუთებელი დიფერენციაცია. მაშასადამე, დიფერენციაციის ნეგატიური შედეგების საკუთარი ძალისხმევით აღმოფხვრის/შემცირების შესაძლებლობა დიფერენციაციის არადისკრიმინაციულობას ვერ უზრუნველყოფს, ის მხოლოდ დიფერენციაციის ინტენსივობის შესაფასებლად გამოდგება.

10. მტკიცების ტვირთი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს. ზოგადი წესის მიხედვით, სამოქალაქო სამართალწარმოებისას მტკიცების ტვირთი ნაწილდება ობიექტურად და სამართლიანად. მტკიცების ტვირთის განაწილების ობიექტური და სამართლიანი სტანდარტი განაპირობებს მოსარჩელისა და მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების წრის განსაზღვრას, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მხარის მიერ მტკიცების ობიექტური განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნულ პრინციპს ეფუძნება დადებითი მოვლენის მტკიცების ვალდებულება ნეგატიური მოვლენის მტკიცების შეუძლებლობის გამო. მტკიცებით სამართალში არსებობს მტკიცების ე.წ. „ნორმატიული“ და „პრეზუმირებული“ წყაროები. დისკრიმინაციის დავებთან დაკავშირებით მოქმედებს მტკიცების „ნორმატიული“ წყარო. ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს თავად ადგენს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3]-ე მუხლის შესაბამისად, **დისკრიმინაციის** შესახებ სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც **დისკრიმინაციული** ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს იმის **მტკიცების ტვირთი** ეკისრება, რომ **დისკრიმინაცია** არ განხორციელებულა. დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს დისკრიმინაციის მსხვერპლის ვალდებულებას, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები და მიუთითოს ფაქტებზე, რომელთა ანალიზი გარკვეული ნიშნით პირის მიმართ არათანაბარი მოპყრობის ვარაუდის საფუძველს იძლევა. სწორედ ამ საპროცესო სტანდარტის დაცვის შემთხვევაში წარმოიშობა მოპასუხის ვალდებულება: ა) გაამართლოს განსხვავებული მოპყრობა ობიექტური და გონივრული არგუმენტებით, რომლებიც გადაწონის განსხვავებულ მოპყრობას და გამართლებული იქნება დემოკრატიული ღირებულებებით; ბ) ამტკიცოს განსხვავებული მოპყრობის არარსებობა[25] [26]. ამ

[25] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.09.2017 განჩინება, საქმეზე №ას-247-235-2017.
[26] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.04.2018 განჩინება, საქმეზე №ას-142-134-2017.

მიმართებით ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ კანონით გათვალისწინებული აბსტრაქტული ელემენტების არსებობა უპირობოდ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის საკმარის წინაპირობას არ ქმნის. განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს კანონმდებლობით აღიარებული რომელიმე უფლებით ან სიკეთით სარგებლობასთან მიმართებით, რამეთუ ცალკე აღებული დისკრიმინაციის ინსტიტუტი დამოუკიდებელ დაცვას არ ექვემდებარება. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის უნდა არსებობდეს დაცული სფერო – უფლება, რომელშიც ხდება ჩარევა; კომპარატორი – ანალოგიურ ან არსებითად მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირი და ამ ორ პირს შორის მთავარი განსხვავება წარმოადგენს ე.წ „დაცულ სფეროს“. ამ ფაქტების საპირისპიროდ, ჩარევის გამართლება გონივრული და წონადი არგუმენტებით განსხვავებული მოპყრობის ინიციატორს ეკისრება, შესაბამისად, დღის წესრიგში დგება დისკრიმინაცის საქმეზე მტკიცების ტვირთის განაწილების პრობლემა, კერძოდ, დისკრიმინაციის მსხვერპლმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს მტკიცებულებები და მიუთითოს ფაქტებზე, რომელთა ანალიზი იძლევა გარკვეული ნიშნით პირის მიმართ არათანაბარი მოპყრობის ვარაუდის საფუძველს. სწორედ ამ საპროცესო სტანდარტის დაცვის შემთხვევაში წარმოიშობა მოპასუხის ვალდებულება: ა) გაამართლოს განსხვავებული მოპყრობა ობიექტური და გონივრული არგუმენტებით, რომლებიც გადაწონის განსხვავებულ მოპყრობას და გამართლებული იქნება დემოკრატიული ღირებულებებით; ბ) ამტკიცოს განსხვავებული მოპყრობის არარსებობა. ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს განმარტებით, მტკიცების ტვირთი მოცემულ სფეროში შემდეგია: მას შემდეგ, რაც მომჩივანი დაადასტურებს განსხვავებული მოპყრობის არსებობას, უკვე მთავრობის ვალდებულებაა, დაამტკიცოს, რომ იგი გამართლებული გახლდათ (***Chassagnou and Others v. France [GC], №25088/94, №28331/95***). რაც შეეხება იმას, თუ რა წარმოადგენს prima facie მტკიცებას, რომლითაც მტკიცების ტვირთის მოპასუხე სახელმწიფოზე გადაკისრებაა შესაძლებელი, სასამართლომ აღნიშნა ***(Nachova and Others)***, რომ მის წინაშე არსებულ სამართალწარმოებაში არ არსებობს პროცედურული ბარიერები მტკიცებულების მისაღებობასთან დაკავშირებით ან წინასწარ განსაზღვრული ფორმულა მის შესაფასებლად. სასამართლო იღებს დასკვნებს, რომლებიც, მისი აზრით, არის გამყარებული ყველა მტკიცებულების თავისუფალი შეფასებით, მათ შორის, ისეთი დასკვნებით, რომლებიც შესაძლოა, გამომდინარეობდეს ფაქტებიდან და მხარეთა არგუმენტებიდან. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მტკიცებულება შეიძლება გამომდინარეობდეს ძლიერი, ნათელი და შესაბამისობაში მყოფი დასკვნების ერთობლიობიდან ან ფაქტის მსგავსად გაუბათილებელი დაშვებებიდან. ამასთანავე, კონკრეტული დასკვნის მისაღებად საჭირო დარწმუნების ხარისხი და ამ მხრივ მტკიცების ტვირთის დაკისრება ურთიერთკავშირშია ფაქტების კონკრეტიკასთან, ბრალდების ბუნებასა და კონვენციით განსახილველ უფლებასთან. სასამართლომ ასევე აღიარა, რომ კონვენციური სამართალწარმოება ყველა საქმეში მკაცრად არ იყენებს *affirmanti incumbit probatio* პრინციპს

(ის ვინც ბრალს დებს ვალდებულია თავად დაამტკიცოს ბრალდება – *affirmanti incumbit probatio* (ამონარიდები), ***Aktas v. Turkey*** no.24351/94, § 272, *ECHR* 2003 V), რიგ შემთხვევებში, როდესაც საქმის საფუძველში არსებული მოვლენები სრულიად ან დიდწილად არასწორია, რის შესახებაც მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებმა იციან, მტკიცების ტვირთი შესაძლოა ხელისუფლებას დაეკისროს, რათა დამაკმაყოფილებელი და დამარწმუნებელი განმარტება წარმოადგინოს ***(Salman v. Turkey [GC], no. 21986/93, § 100, ECHR 2000-VII; და Anguelova v. Bulgaria, no. 38361/97, § 111, ECHR 2002-IV)***[27].

ამდენად, ქართული სასამართლო პრაქტიკა დისკრიმინაციულ დავებში მტკიცების ტვირთის გადანაწილების თვალსაზრისით, ცალსახა და ერთგვაროვანია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დისკრიმინაციის მოპყრობის თაობაზე ფაქტები სასამართლოს დისკრიმინაციის მსხვერპლმა უნდა მიაწოდოს, მანვე აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები უნდა წარადგინოს, თუმცა, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლს დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტების დამადასტურებელი იმ მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება აქვს, რომელთა მოპოვება მისთვის ობიექტურად შესაძლებელია. თუ დისკრიმინაციის მსხვერპლისათის მის მიერ მოპოვებული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელია, დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევაში მან ფაქტების მითითებით, ერთი შეხედვით, ანუ prima facie დისკრიმინაციული მოპყრობის შთაბეჭდილება უნდა შექმნას, რა დროსაც, მტკიცების ტვირთი მოწინააღმდეგე მხარეზე გადადის, რომელმაც მის მიერ განხორციელებული ქმედების მართლზომიერება უნდა ამტკიცოს.

დისკრიმინაციულ დავებზე დისკრიმინაციის მსხვერპლის მიერ მტკიცებულებათა წარდგენა იმდენად დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომ სასამართლომ ამგვარი კატეგორიის დავებში, განსაკუთრებით, თუ საქმე სექსუალურ შევიწროებას ეხება, ფარული აუდიო ჩანაწერი დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნია, რადგან სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთ დროს დისკრიმინაციის მსხვერპლი აუცილებელი თვითდახმარების მდგომარეობაში იმყოფება[28].

11. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

2014 წლის 2 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახ“. კანონი, გამოქვეყნებისთანავე, 2014 წლის 7 მაისს ამოქმედდა. კანონის მეშვეობით მოხდა დისკრიმინაციის ყველა ფორმის გათვალისწინება და მასთან ბრძოლის ქმედითი ღონისძიებების დეტალური გაწერა. აღნიშნული კანონის მიღებით სახელმწიფომ შეასრულა თავისი პოზიტიური

[27] თბილისის სააპელაციო პალატის 12.12.2018 გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/1609-18.
[28] თბილისის სააპელაციო პალატის 12.12.2018 გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/1609-18.

ვალდებულება დისკრიმინაციასთან ბრძოლის საქმეში. თუმცა, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ კანონის მიღება არ კმარა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად, ამ მიმართებით აუცილებელია, რომ ქმედითი იყოს ყველა ის ბერკეტი, რომელსაც კანონი ითვალისწინებს.

კანონი დაცული საფუძვლების ძალიან ფართო ჩამონათვალს გვთავაზობს და დისკრიმინაციას კრძალავს მიუხედავად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. აღნიშნულ ჩამონათვალს თუ შევადარებთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლს, დავინახავთ, რომ საქართველოს კანონი, განსხვავებით ევროპული კონვენციისაგან, ისეთ დაცულ საფუძვლებს გვთავაზობს, როგორიცაა პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობები, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამოხატვა. მიუხედავად ფართო ჩამონათვალისა, საქართველოს კანონი აღნიშნულ ჩამონათვალს ამომწურავად არ მიიჩნევს და უშვებს თეორიულ შესაძლებლობას იმისა, რომ დისკრიმინაციას სხვა ისეთი ნიშნის მიხედვით ჰქონდეს ადგილი, რაც აღნიშნულ ჩამონათვალში მოცემული არ არის. მაგალითად, ასეთი ნიშანი შეიძლება იყოს პირის ნასამართლეობა. საგულისხმოა, რომ კანონი აკონკრეტებს დაცულ პირთა ჩამონათვალს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაუშვებელია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის რაიმე ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია.

კანონი ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას კრძალავს, თუმცა, სახელდებით იგი მხოლოდ პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის დეფინიციას იძლევა. კანონის მიხედვით, **პირდაპირი დისკრიმინაცია** არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. **ირიბი დისკრიმინაცია** არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ

მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ირიბი დისკრიმინაციის ცნებაში გარკვეული საკანონმდლო ხარვეზია დაშვებული. ცნებიდან ჩანს, რომ ირიბი დისკრიმინაციის ინდიკატორად კანონი ადგენს პირის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით. აღნიშნული კი, დეფინიციური თვალსაზრისით, პირდაპირი დისკრიმინაციის ამსახველი გარემოებაა. არაპირდაპირი დისკრიმინაციის დროს კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, თანაბარ მოპყრობას აქვს ადგილი, რაც, საბოლოოდ, დისკრიმინაციულ შედეგს იძლევა.

დისკრიმინაცია შეიძლება იყოს ერთი ან ერთზე მეტი დაცული საფუძვლის მიხედვით. კანონი კრძალავს რა ერთი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციას, რაღა თქმა უნდა, მით უფრო, აკრძალულად ითვლება მრავალი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია.

განსხვავებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისაგან, კანონი კრძალავს ასევე **დისკრიმინაციისაკენ მოწოდებას.** კანონის სიტყვა-სიტყვითი შინაარსის მიხედვით, აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის განსახორციელებლად. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ, მართალია, კონვენცია კონკრეტულად შევიწროებისა და დისკრიმინაციისაკენ მოწოდების აკრძალვას არ ადგენს, მაგრამ რამდენიმე მუხლით შესაძლოა მათი დაფარვა (მე-3, მე-8, მე-9, მე-11).

კანონი ითვალისწინებს ასევე **სუბიექტური აღქმით დისკრიმინაციის აკრძალვას**. სუბიექტური აღქმით დისკრიმინაცია პირდაპირი დისკრიმინაციის ფორმაა, რა დროსაც არასახარბიელო მოპყრობას ადგილი აქვს იმის გამო, რომ მიუხედავად დაცული საფუძვლის არარსებობისა, ამგვარი საფუძველი სუბიექტურად აღქმადია. აღქმითი დისკრიმინაციის დროს, პირს განსხვავებულად ეპყრობიან და არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ იმ სტატუსის გამო, რომელიც მას სინამდვილეში არ აქვს. მაგალითად, დამსაქმებელს სამსახურში არ აჰყავს ქალბატონი, რადგან ჰგონია, რომ ის ორსულადაა. კანონის დანაწესის მიხედვით, დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა.

კანონი უშვებს **სპეციალური და დროებითი ღონისძიებების გატარების აუცილებლობას,** განსაკუთრებით კი, გენდერულ, ორსულობისა და დედობის სა-

კითხებში, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ, თუმცა, ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტების შედეგად სპეციალური და დროებითი ღონისძიებების გატარება შესაძლებელია ნებისმიერი მიმართულებით, სადაც ამგვარი დროებითი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა არსებობს.

კანონი **ყველა სახის განსხვავებულ მოპყრობას დისკრიმინაციად არ მიიჩნევს** და ადგენს, რომ ამა თუ იმ სფეროში განსხვავებული მოპყრობა სამუშაოს ან საქმიანობის სპეციფიკურ მოთხოვნებს შეიძლება ეყრდნობოდეს. ასევე კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ განსხვავებული მოპყრობა გამართლებულ იქნეს სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესით.

კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებებს აკისრებს შემდეგი ღონისძიებების გატარების ვალდებულებას: ა) თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას; ბ) სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს; გ) დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

კანონი ითვალისწინებს გარკვეულ წესებს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს კანონის იმპერატიული დანაწესების ინტერპრეტირება, ამ მიმართებით კანონი ადგენს გარკვეულ აკრძალვებს, რათა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საფარქვეშ არ მოხდეს სხვა უფლებათა ხელყოფა, უფლებებს შორის, კანონმდებელი, რატომღაც მხოლოდ რელიგიურ უფლებებს გამოყოფს. ასევე კრძალავს უფლებათა იმგვარად დაცვას, რომ არ მოხდეს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის მქონე პირებს ან პირთა ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივება. კანონი ასევე ადგენს, რომ კანონის ინტერპრეტაციის გზით კანონის დანაწესები კანონზე იერარქიულად მაღლა მდგომ დებულებებთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს.

დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას სახალხო დამცველი ახორციელებს. საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად საქართველოს სახალხო დამცველი: ა) განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს; ბ) შეისწავლის დისკრიმინაციის ფაქტს როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციას; გ) ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე; დ) ამ კანონის მიზნებისათვის შეიმუშავებს მოსაზრებებს აუცილებელი სა-

კანონმდებლო ცვლილებების შესახებ და მათ საკანონმდებლო წინადადების სახით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს; ე) იწვევს დისკრიმინაციის მსხვერპლს და სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს და ცდილობს საქმე მხარეთა მორიგებით დაასრულოს; ვ) დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების აღსადგენად რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის დაწესებულებას ან პირს, თუ საქმის მორიგებით დასრულება შეუძლებელი აღმოჩნდება და არსებობს საკმარისი მასალები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს; ზ) უფლებამოსილია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს; თ) აღრიცხავს და აანალიზებს სტატისტიკურ მონაცემებს დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ; ი) ახორციელებს ღონისძიებებს დისკრიმინაციის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად;კ) დისკრიმინაციის საკითხებზე თანამშრომლობს საერთაშორისო სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. ამდენად, პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს მიმართოს როგორც სასამართლოს, ასევე სახალხო დამცველს. სახალხო დამცველი კი, თავის მხრივ, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი ინიციატივით იღებს ზომებს, რათა მოახდინოს დისკრიმინაციის ფაქტების იდენტიფიცირება, რის შედეგადაც ყველა იმ ზომას იღებს, რისი უფლებაც მას კანონმდებლობით აქვს მინიჭებული.

პირი (დისკრიმინაციის მსხვერპლი) უფლებამოსილია ასევე მიმართოს სასამართლოს. მისი სასამართლოსათვის მიმართვა შეიძლება სხვადასხვა მიზნით იყოს განპირობებული, მას შეიძლება უნდოდეს უფლებებში აღდგენა, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, მხოლოდ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნაც განსხვავებულად ფორმულირდება, მაგალითად, თუ პირს, რომელიც დისკრიმინაციის საფუძვლით სამსახურიდან გაათავისუფლეს, სურს პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, აუცილებელი არ არის დისკრიმინაციის დადგენა ცალკე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდეს. ამ შემთხვევაში მოთხოვნა სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურებაა, ხოლო დისკრიმინაციის დადგენა კი მოთხოვნის საფუძველია. რაც შეეხება მხარის მოთხოვნას დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ამ შემთხვევაში, ცალკე დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, შეიძლება დამოუკიდებელ აღიარებით მოთხოვნას წარმოადგენდეს, თუმცა, აუცილებელი არ არის, რადგან მხარე მიკუთვნებით სარჩელს აღძრავს ზიანის ანაზღაურების თაობაზე, შესაბამისად, დისკრიმინაციის ფაქტის

დადგენა, ამ შემთხვევაშიც, მოთხოვნის საფუძველია. დისკრიმინაციის დადგენა ცალკე მოთხოვნად უნდა იყოს ფორმულირებული მაშინ, როდესაც მხარის ინტერესი მხოლოდ აღიარებითი სარჩელია დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე და იგი არ ითხოვს ზიანის ანაზღაურებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე დისკრიმინაციის დადგენასთან ერთად ზიანის ანაზღაურებასაც ითხოვს, საგულისხმოა, რომ მატერიალური ზიანი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა, შესაბამისად, მხარემ უნდა ამტიცოს დასკრიმინაციის ფაქტსა და ზიანის დადგომას შორის მიზეზობრივი კავშირი და ზიანის ოდენობა, ხოლო მორალური ზიანის დადგომა ე.წ. „პრეზუმირებული ზიანია“, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დადგინდა დისკრიმინაციის ფაქტი, მორალური ზიანის არსებობა ივარაუდება. ამ შემთხვევაში, ზიანის ოდენობა მხარის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში გონივრული ოდენობით უნდა იქნეს განსაზღვრული, რა დროსაც მხედველობაში მიიღება, მხარის სულიერი, თუ ფსიქიკური ტანჯვის ხარისხი, ტანჯვის ინტენსივობა, ხანგრძლივობა, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა და ა. შ. მორალური ზიანის გონივრულობასთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გარემოება მასზედ, რომ მისი ეფექტი მოპასუხე მხარისათვის იმგვარი არ უნდა იყოს, რომ ფიზიკური პირის შემთხვევაში, მთელი ცხოვრება მას აღნიშნული ოდენობით ზიანის დაკისრება ქონებრივ ტვირთად ექცეს, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მისი გადახდისუუნარობამდე მიყვანა გამოიწვიოს.

1. ცილისწამების არსი

ცილისწამების საკანონმდებლო რეგულირებას შეიცავს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, **ცილისწამება არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა**[1]. კანონი ერთმანეთისაგან მიჯნავს **კერძო**[2] **და საჯარო**[3] პირის ცილისწამებას. კერძო პირის ცილისწამებისათვის პირს მხოლოდ მაშინ ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს **არსებითად მცდარ ფაქტს** უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით **მოსარჩელეს ზიანი მიადგა**[4], ხოლო საჯარო პირის ცილისწამებისათვის პირს მაშინ ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს **არსებითად მცდარ ფაქტს** უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს **ზიანი მიადგა** და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის **წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა,** რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება[5]. ამდენად, კანონი კერძო და საჯარო პირის ცილისწამებისათვის (ორივე შემთხვევაში) მტკიცების ტვირთს იმგვარად ანაწილებს, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ფაქტი მასზედ, რომ მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაცია მცდარია და რომ აღნიშნული ინფორმაცია მოსარჩელისათვის ზიანის მომტანია. კანონი საჯარო პირისათვის, მისი საჯაროსამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე დამატებით მოთხოვნას აწესებს, კერძოდ, მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებად ასახელებს ასევე მის წინააღმდეგ მცდარი ინფორმაციის **ბრალეულად (განზრახ ან აშკარა ან უხეში გაუფრთხილებლობით) გავრცელებას,** ანუ საჯარო პირის შემთხვევაში, მოსარჩელემ დამატებით უნდა ამტკიცოს ასევე ფაქტი იმის შესახებ, რომ ინფორმაციის გამავრცელებელმა **იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ**

---

[1] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ პუნქტი.

[2] **კერძო პირი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო.

[3] **საჯარო პირი** – „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

[4] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

[5] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

ინფორმაცია, რომელსაც იგი ავრცელებდა, მცდარი იყო. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მტკიცების ტვირთი შეზღუდვის ინიციატორს ეკისრება. თუმცა, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ[6].

მიუხედავად იმისა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი მოსარჩელეს აკისრებს მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობის დადასტურების ვალდებულებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტია ვალდებული ამტკიცოს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ანდა მის მიერ ჟურნალისტური ეთიკის ფარგლებში განხორციელებული ზომები ინფორმაციის გადასამოწმებლად[7] [8]. ამგვარი პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონთან, რომლის მიხედვითაც, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს[9]. თუმცა, ვინაიდან ამავე კანონის მიხედვით, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს .... ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ამიტომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენად განხორციელებადია მტკიცების ტვირთი შეზღუდვის ინიციატორის მხრიდან, განსაკუთრებით უარყოფითი ფაქტის მტკიცების კონტექსტში და კანონის ინტერპრეტაციისას უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით. ამგვარი დასკვნის საფუძველია ასევე პრაქტიკაში არსებული სირთულე იმასთან დაკავშირებით, რომ შეზღუდვის ინიციატორმა უნდა ამტკიცოს, რომ ის ქურდი არ არის, მას თანხა არ მიუთვისებია, მას ეროვნული გმირი არ უცემია, მას დანაშაული არ ჩაუდენია და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, სწორედაც რომ რელევანტურია კანონის ნორმის პრეცედენტისეული განმარტება, რომლის მიხედვითაც, ჟურნალისტმა უნდა ადასტუროს გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ანდა მის მიერ მიღებული გონივრული ზომები ინფორმაციის გადამოწმების თაობაზე.

2. ზიანი, როგორც ცილისწამების ერთ-ერთი კომპონენტი

ცილისწამების კანონისმიერი რეგულაციის სიტყვა-სიტყვითი, ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტების შედეგად მოსარჩელის მტკიცების საგანში შედის **იმ ზიანის მტკიცებაც, რომელიც მას მცდარი ინფორმაციის გავრცელებით მიადგა.**

---

[6] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.08.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1739-1720-2011.

[7] McVicar v. UK.

[8] Heinisch v. Germany.

[9] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი.

აღნიშნული დანაწესი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელია და, ამ მიმართებით, კანონის სწორ ინტერპრეტაციას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. საგულისხმოა, რომ ზიანი შეიძლება იყოს როგორც **მორალური, ასევე მატერიალური (ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, მიუღებელი შემოსავალი და ა. შ).** შესაბამისად, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაციის გავრცელება პირს შეიძლება ფაქტობრივ ანდა მორალურ ზიანს აყენებდეს. ნიშანდობლივია, რომ **ფაქტობრივი ზიანი** მტკიცებადი კატეგორიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა დაადასტუროს მატერიალური ზიანის არსებობა, გავრცელებულ ინფორმაციასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი და ზიანის ოდენობა, ხოლო რაც შეეხება **მორალურ ზიანს**, ამ შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი ინფორმაცია ლახავს, თუ არა, პირის პატივს, ღირსებასა, თუ საქმიან რეპუტაციას და ამით იწვევს, თუ არა მის ფსიქიკურ, თუ სულიერ ტანჯვას. მორალური ზიანის მტკიცებასთან დაკავშირებით, საგულისხმოა მისი სასამართლოსეული ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც, „ტერმინი „მორალური ზიანი“ სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. მორალური ზიანის არსებობა ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად არამატერიალური უფლებების ხელყოფა – ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) შეიძლება გამოიწვიოს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და, შესაბამისად, არამატერიალიზებული ზიანია. არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფა კი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იწვევს“[10]. არამატერიალური ზიანის მტკიცებასთან დაკავშირებით კი სასამართლომ განმარტა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის თანახმად, ცილისწამება მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა. მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება არის თუ არა ზიანის მიმყენებელი, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების ანალიზითა და ურთიერთშეჯერებით უნდა დადგინდეს. ამასთან, ზიანი ასეთ შემთხვევებში არაქონებრივი სახით – პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით არის გამოვლენილი. არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს, და მას არ გააჩნია ღირებულება, შესაბამისად, **ამ ზიანის (არაქონებრივი) დამტკიცებისათვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია**[11]**.**

[10] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.04.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1477-1489-2011.
[11] იქვე.

3. ცილისწამების სუბიექტები

კერძო და საჯარო პირის ცილისწამებისას ცილისწამების იურიდიული შემადგენლობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს სადავო განცხადების გავრცელება **უშუალოდ მოპასუხის (ინფორმაციის გამავრცელებლის) მიერ და უშუალოდ მოსარჩელის შესახებ (ვისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაციაც შეილახა).** უშუალოდ მოპასუხის მიერ სადავო განცხადების (ინფორმაციის) გავრცელება, სადავოობის შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა და აღნიშნული ფაქტი **მტკიცებულებათა ერთობლიობით სარწმუნოდ უნდა დადასტურდეს**[12]**.** რაც შეეხება მოსარჩელის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, აღსანიშნავია, რომ თუ სადავო განცხადება არ არსებობს **უშუალოდ მოსარჩელის შესახებ**, **მაშინ ცილისწამებაც არ არსებობს.** იგივე დებულებას ითვალისწინებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული[13]. ამდენად, მოსარჩელემ, უპირველესად, სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხემ სადავო განცხადება სწორედ **მის შესახებ გაავრცელა**[14]**.** რიგ შემთხვევებში გავრცელებულ ინფორმაციას ავტორი უარყოფს, ის ამბობს, მაგალითად, ინტერვიუს შემთხვევაში, რომ მას ამგვარი რამ არ უთქვამს. ასეთ დროს, ჟურნალისტის ახსნა-განმარტება, თუნდაც, მოწმის სტატუსის დაკითხვის შემთხვევაში, მასზედ, რომ ინტერვიუში ასახული ინფორმაცია რესპოდენტს ეკუთვნის, საკმარის მტკიცებულებას არ წარმოადგენს. ეს ფაქტი არც იმით დასტურდება, რომ მოსარჩელეს მოპასუხისათვის არ მიუმართავს და არ განუცხადებია, რომ სადავო ინტერვიუ მას არ ეკუთვნოდა, ვინაიდან, ჯერ ერთი, ეს მოპასუხის უფლებაა და არა – ვალდებულება და, მეორეც, დუმილი არ ნიშნავს თანხმობას, ანუ იმის აღიარებას, რომ სადავო ინტერვიუ მოპასუხეს ეკუთვნის[15]. ამდენად, ინფორმაციის გავრცელება და მისი ინფორმაციის ავტორისადმი განკუთვნადობა სპეციალურ მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა დადასტურდეს.

4. ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების ფარგლები

ყურადღებას იმსახურებს ასევე ის, თუ რა იგულისხმება ინფორმაციის **„საჯაროდ გავრცელებაში“.** ამ მიმართებით საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, „საჯაროდ გავრცელება“ არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ პრესასა, თუ ტელევიზიაში გახმაურებას, მით

---

[12] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.10.2013 განჩინება, საქმეზე №ას-1378-1300-2012.

[13] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.

[14] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.08.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1739-1720-2011.

[15] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.08.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1739-1720-2011.

უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სოციალური მედია, ბლოგინგი და მიკრობლოგინგი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ნებისმიერი საშუალება, რომელიც ინფორმაციის **პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისათვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს**. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სოციალური ქსელის არსსა და დანიშნულებაზე. სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ). თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ „პროფაილი"), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „ფეისბუქი", რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „ფეისბუქზე" კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისათვის ან ყველა მომხმარებლისათვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისათვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა თუ ინტერნეტგამოცემებში. სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით, კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ. სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს[16].

საინტერესოა, თუ რა იგულისხმება გამოხატვის თავისუფლებაში. გულისხმობს, თუ არა იგი მხოლოდ აზრის გამოხატვასა და ფაქტის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, **გამოხატვა გულისხმობს შეკითხვის დასმას, ინფორმაციის იდეის გამოხატვას, გამოხატვას** ნახატით, მოქმედებით, ჩაცმულობით. დაცულია ასევე ნეგატიური გამოხატვა, რაშიც დუმილი და უმოქმედობა იგულისხმება[17]. ნეგატიური გამოხატვის ნათელი მაგალითია ჟურნალისტის უფლება არ გაამჟღავნოს წყარო, რომელსაც მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ეყრდნობა.

5. აზრისა და ფაქტის ურთიერთმიმართება

გამოხატვის თავისუფლება უმნიშვნელოვანესი უფლებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუმცა, იგი **აბსოლუტურ უფლებას** არ წარმოადგენს და მისი შეზღუდვა დასაშვებია კანონიერი საფუძვლის არსებობისას, ისეთ პირობებში, როდესაც მას

[16] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.01.2014 განჩინება, საქმეზე №ას-1559-1462-2012.
[17] *გოცირიძე*, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, თბილისი, 2008, გვ. 66-69.

ცალკეული პირის, თუ პირთა ჯგუფის კანონიერი ინტერესები უპირისპირდება [18]. ამ მიმართებით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება **აზრისა და ფაქტის** ურთიერთგამიჯვნის საკითხს, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის“ თავისუფლების შესახებ კანონით, **აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით[19], ხოლო ფაქტი კვალიფიციური პრივილეგიის სტატუსით სარგებლობს[20]. აზრის აბსოლუტური პრივილეგიით დაცულობა გულისხმობს თუ არა, იმას, რომ პირს შეუძლია ნებისმიერი აზრის გამოხატვა, მათ შორის, სხვა პირთა დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, უხამსი და ა. შ.** აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გაიცეს, ვინაიდან აზრის თავისუფლებას აბსოლუტური უპირატესობა არ ენიჭება და იგი შეზღუდულია სხვა უფლებების დაცვით, მათ შორის არის მესამე პირთა ძირითადი უფლებებით დაცული სიკეთეები – პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია [21]. ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ აზრის აბსოლუტური პრივილეგიით დაცულობა უნდა განიმარტოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, როგორც ამას „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი ამბობს, რომლის შესაბამისადაც, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად[22]. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი აზრის აბსოლუტურ პრივილეგირებულობასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ **აბსოლუტური უფლებაა აზრის ქონა და არა აზრის გამოხატვა და მისი გავრცელება.** შესაბამისად, აზრის გამოხატვა, გავრცელება უფრო მეტი პრივილეგიით სარგებლობს ვიდრე ფაქტისა, თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ აზრის გამოხატვა, გავრცელება აბსოლუტური უფლებაა და, შესაბამისად, აბსოლუტური პრივილეგიით სარგებლობს. ამგვარი დასკვნის საფუძველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც, „მაშინაც კი, როდესაც განცხადება უთანაბრდება შეფასებით მსჯელობას, ჩარევის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა **საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი** სადავო განცხადებისათვის, რამდენადაც თვით შეფასებითი მსჯელობაც კი, **რაიმე ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე, შეიძლება გადაჭარბებული იყოს[23] [24]**“; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კრიტიკის ფარგლები კერძო პირის მიმართ უფრო შეზღუდულია, ვიდრე პოლიტიკოსის მიმართ, ვინაიდან ეს უკანასკნელი თავისი საქმიანობით შეგნებულად უქვემდებარებს თავის

---

[18] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.01.2014 განჩინება, საქმეზე №ას-1559-1462-2012.

[19] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

[20] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი.

[21] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.04.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1477-1489-2011.

[22] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

[23] Jerusalem v. Austria, 2001.

[24] Dichand and Others v. Austria, 2002.

თითოეულ სიტყვასა, თუ ქმედებას ჟურნალისტებისა, თუ საზოგადოების მხრიდან განხილვას, შესაბამისად, მას, მისადმი არსებული კრიტიკის მიმართ, მეტი შემწყნარებლობა მოეთხოვება[25]. თუმცა, ევროპული სასამართლო პოლიტიკოსის მიმართ პირადი ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებითაც საკმაოდ ფრთხილია და პირადი ცხოვრების თაობაზე ინფორმაციის გავრცელების დასაშვებობას ამოწმებს იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოების ინფორმირებულობისათვის[26].

ამდენად, აზრის გამოხატვა, გავრცელება მეტი პრივილეგიით სარგებლობს, ვიდრე ფაქტისა, თუმცა, გადამეტებული იქნებოდა დასკვნა აზრის გამოხატვა, გავრცელებისათვის აბსოლუტური პრივილეგიის მინიჭების თაობაზე.

ნიშანდობლივია ასევე აღინიშნოს, რომ როდესაც ცილისწამებაზეა საუბარი, საქმე ეხება **ფაქტის და არა აზრის გავრცელებას**, **შესაბამისად, მოსარჩელის მტკიცების საგანში შედის გარემოება, რომ გავრცელებული ინფორმაცია ფაქტების შემცველია.** როგორც წესი, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნული მტკიცების საპირისპიროდ მოპასუხე ამტკიცებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია **მისი აზრია და არა ფაქტი.** კანონის მიხედვით, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს[27]; კანონი ფაქტის დეფინიციას არ იძლევა, შესაბამისად, სასამართლო მისი ზოგადი დეფინიციიდან ამოდის, რომლის მიხედვითაც, ფაქტი [ლათ. factum გაკეთებული] განმარტებულია, როგორც ნამდვილი, ჭეშმარიტი, არა გამოგონილი ამბავი, შემთხვევა, მოვლენა[28]. კანონი გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე ადგენს, რომ ყოველგვარი გონივრული ეჭვი აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ[29]. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ აზრის საწინააღმდეგოდ „ფაქტში“ იგულისხმება ნამდვილი, რეალური ან არსებული გარემოებები და საგნები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებულებებით დადასტურებას. გასათვალისწინებელია, რომ აზრები ფაქტებთან გარკვეული დამოკიდებულებით გამოითქმება, ანუ აზრი, როგორც წესი, ეყრდნობა ფაქტებს. ასეთ შემთხვევაში აზრის დაყოფა შეხედულებად და ფაქტის გადმოცემად დაუშვებელია, რადგანაც მთლიანად გამონათქვამი აზრის თავისუფლების სფეროში ექცევა. ამავდროულად, აზრის თავისუფლებით აშკარად ცრუ ფაქტების ძირითა-

[25] Lingens v. Austria, 1986.

[26] Tammer v. Estonia, 2001.

[27] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

[28] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term§d=3§t=41720

[29] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი მე-5 პუნქტი.

დი უფლებით უზრუნველყოფილი დაცვა გამორიცხულია. კონსტიტუციით დაცული სფეროს ფარგლებში არ ხვდება ისეთი ფაქტები, რომელთა მცდარობის შესახებ კარგად იცის თავად გამომთქმელმა სუბიექტმა (შეგნებული სიცრუე) ან რომელთა მცდარობა ცხადია მათი გამოთქმის მომენტში[30].

ერთმანეთისაგან განასხვავა რა ინფორმაცია (ფაქტები) და შეხედულებები (შეფასებითი მსჯელობა), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „ფაქტების არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქნეს, მაშინ როდესაც შეფასებითი მსჯელობის ნამდვილობა არ ექვემდებარება მტკიცებას. ... რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და იგი თავისთავად ხელყოფს შეხედულებების თავისუფლებას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების ფუნდამენტურ ნაწილს“ [31] [32] [33].

აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი – რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი[34].

აზრისა და ფაქტის ურთიერთშედარების მიზნით დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა **„აზრი“** ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე, თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა, თუ არა. სწორედ ამიტომ, **ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია.** ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია, გამოთქმის კონტექსტის მიხედვით, მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. **თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს**

[30] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.04.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1477-1489-2011.
[31] Lingens v. Austria, 1986.
[32] Jerusalem v. Austria, 2001.
[33] Dichand and Others v. Austria, 2002.
[34] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.04.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1477-1489-2011.

მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

ევროპის პრეცედენტული სამართლის მიმოხილვაც ცხადყოფს, რომ ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ფაქტებსა და შეფასებით მსჯელობას შორის განსხვავება და მიუთითა, რომ მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე[35].

6. ჟურნალისტების მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

როგორც უკვე აღინიშნა აბსოლუტური უფლებაა აზრის ქონა, ხოლო მისი გამოხატვა გარკვეულ შეზღუდვებს შეიძლება დაექვემდებაროს. გამოხატვის თავისუფლება **განუყოფელია** მოვალეობებისა და პასუხისმგებლობებისაგან, ამიტომ იგი შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ წესებს, პირობებსა და შეზღუდვებს. მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს გამოხატვის თავისუფლების დარღვევა. აზრის ქონის უფლება მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებული არ არის; მოვალეობებთან და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულია გამოხატვის თავისუფლება; გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტი უნდა ცდილობდეს შეძლებისდაგვარად თავი აარიდოს სხვა ინტერესებთან დაპირისპირებას. ინფორმაციის გავრცელებისას სხვისი ინტერესები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. სხვათა ინტერესებში კი, პირველ რიგში, სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა იგულისხმება. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ გამოხატვის თავისუფლებით მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი ღირებულებათა კონფლიქტი. შესაბამისად, შერჩეულ უნდა იქნეს გამოხატვის ის ფორმა, რომლითაც არ მოხდება სხვა ღირებულებათა (სხვათა პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია) იგნორირება. მით უფრო, როდესაც დასაშვებია გამოხატვის უფლების რეალიზაცია სხვა ღირებულებათა ნაკლები ხელყოფით[36]. ამ მიმართებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟურნალისტთა მოვალეობანი და პასუხისმგებლობა.

---

[35] Lingens v. Austria, 1986.

[36] Müller v. Switzerland.

ჟურნალისტი ვალდებულია მოქმედებდეს კეთილი განზრახვით, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად, რათა საზოგადოება უზრუნველყოს სწორი და საიმედო ინფორმაციით [37].

რაც უფრო მაღალია ინფორმაციის თავისუფლების ხარისხი, მით უფრო მეტია ჟურნალისტების მოვალეობანი და პასუხისმგებლობა. პრესამ და ტელევიზიამ არ უნდა გადალახოს განსაზღვრული მიჯნები, რაც დადგენილია: ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად[38]; ბ) ეროვნული უშიშროებისა და მართლმსაჯულების ავტორიტეტის უზრუნველსაყოფად[39]; გ) კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის დასაცავად[40]; დ) საზოგადოებრივი ან დანაშაულის თავიდან აცილების ინტერესებისათვის [41]; კიდევ უფრო მაღალია ტელევიზიის ჟურნალისტთა მოვალეობები, ვინაიდან უფრო უშუალო და ძლიერი ეფექტი გააჩნია საზოგადოებაზე [42].

როდესაც საუბარია გამოხატვის თავისუფლების ფარგლებსა და ჟურნალისტთა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე, აღსანიშნავია, რომ, თავის მხრივ, გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი და შემაშფოთებელი [43]. თუმცა, ასეთი ინფორმაციაც გარკვეული ღირებულების მატარებელი უნდა იყოს და მხოლოდ სხვათა უფლებებსა და დაცულ ღირებულებებს არ უნდა ხელყოფდეს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინფორმაციას, მათ შორის, გამაოგნებელს, შემაშფოთებელსა და შეურაცხმყოფელს საზოგადოებისათვის **გარკვეული წონა უნდა ჰქონდეს**[44]. შესაბამისად, კონვენციით დაუცველ გამოხატვათა რიცხვს განეკუთვნება უხამსობა, მძიმე შეურაცხყოფა, სამართალდარღვევისაკენ წაქეზება, საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტების უარყოფა, რაც მძიმე შედეგებს იწვევს და ა. შ..

ამდენად, გამოხატვის თავისუფლება საყოველთაოდ აღიარებული, დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი ღირებულებაა. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს. ჟურნალისტების უფლება გაავრცელონ ინფორმაცია შეზღუდულია ვალდებულებით, მოამარაგონ საზოგადოება სწორი და გადამოწმებული ინფორმაციით, შესაბამისად, ჟურნალისტები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებენ, რომ **ინფორმაცია ოფიციალური წყაროებიდან მიიღეს;** ჟურნალისტი დარწმუნებული იყო გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში; ჟურნალისტმა გონივრულ ფარგლებში გადაამოწმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება. თუმცა, რიგ შემთხვევებში, ინფორმაციის გადამოწმება გარკვეულ დაუძლეველ სირთულეებთან არის და-

[37] Radio France v. France.
[38] Oberschlick v. Austria.
[39] Guardian Newspaper v. The United Kingdom.
[40] Dalban v. Romania.
[41] Erdogdu v. Turkey.
[42] Iersild v.Denmark.
[43] Handyside, 1986.
[44] Otto Preminger.

კავშირებული, შესაბამისად, ჟურნალისტმა ზუსტად ამგვარი სირთულის არსებობა უნდა დაადასტუროს. აქვე, ნიშანდობლივია აღინიშნოს ინფორმაციის სწრაფად გავრცელების აუცილებლობაც, ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტის მტკიცების საგანში შედის გარემოება, რომ მიღებული ინფორმაცია სანდო წყაროს ეყრდნობოდა. შესაბამისად, ინფორმაციის სისწორის პრეზუმფცია არსებობდა და ინფორმაციის სწრაფად გავრცელების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე მისი გადამოწმების შესაძლებლობა შეზღუდული იყო[45]. ხსენებული პრინციპი განმტკიცებულია სასამართლოს შემდგომ პრაქტიკაში.[46]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი[46] იცავს არა მხოლოდ ინფორმაციის შინაარსს, იდეასა და ფორმას (სუბსტანციას), არამედ მისი გადმოცემის საშუალებებსაც. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, პრესას მინიჭებული აქვს დაცვის ყველაზე მეტი ფარგლები, რომელიც მოიცავს გამოცემის მოსამზადებელ საქმიანობასაც, მაგალითად, ჟურნალისტის მიერ განხორციელებულ კვლევით საქმიანობასა და გამოკითხვის განხორციელებას[47], ასევე, ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალობას. პრესის წინასწარი შეზღუდვა თავისთავად არ წარმოადგენს მე-10 მუხლის დარღვევას[48], მაგრამ აღნიშნული არ უნდა წარმოადგენდეს ანტისამთავრობო მედიის რეპრესირების საშუალებას. რეალურად, წინასწარი შეზღუდვები წარმოადგენს ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებაში მნიშვნელოვანი დებატების უპირველეს საფრთხეს. შესაბამისად, ესაა საკითხი, სადაც არა მხოლოდ პროპორციულობის ტესტი[49], არამედ, დამატებითი ორი სტანდარტი: „გათვალისწინებული კანონით“ და „კანონიერი მიზნით“ უნდა იყოს მკაცრად განპირობებული. ეჭვგარეშეა, რომ პრესის, როგორც საზოგადოების მოდარაჯე ძაღლის როლის, არსი უმნიშვნელოვანესია დემოკრატიის დინამიკური პოლიტიკური პროცესებისა და ურთიერთქმედებისათვის[50]. პრესა და საგამოძიებო ჟურნალისტიკა წარმოადგენს დემოკრატიის ჯეროვანი არსებობის, მთავრობის ქმედებათა, თუ გულგრილობათა საზოგადოების კრიტიკული განხილვის საგნად ქცევის[51] გარანტიას, უზრუნველყოფს მოსახლეობის მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. ასეთი დემოკრატიის ხელშემწყობი ფუნქცია განსაკუთრებით მაშინაა მნიშვნელოვანი, როდესაც პრესა საზოგადოების ინფორმირებულობის ინტერესით მოქმედებს, რომ საზოგადოებამ მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღოს[52], მათ შორის, განსხვავებული პოლიტიკური საკითხების თაობაზე.[53] პრესა საზოგადოებას ამარა-

[45] Bladet Tromso and Stensaas v. Norway.
[46] Colobani and others v France.
[47] Sunday Times v. U.K.
[48] Krone Verlag CmbH § CoKG .... V Austria.
[49] Observer and Guardian v U.K.
[50] Sunday Times v UK.
[51] Ozgur Radyo-ses Radyo Televizyon Yapim Ve Tanitim AS v Turkey.
[52] News Verlags Gmbh § CoKG v Austria.
[53] Lingens v Austria.

გებს ინფორმაციით, რათა საზოგადოების წევრებმა გაარკვიონ პოლიტიკური ლიდერების აზრები, იდეები და დამოკიდებულება.[54] თვით პოლიტიკური პროცესების გარეთაც, პრესას წვლილი შეაქვს, რომ ინფორმირებულად ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი და სტიმულირებას უწევს კრიტიკულ დებატებს საზოგადებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე.[55] გარდა ამისა, ახალი ამბები წარმოადგენს „მალფუჭებად პროდუქტს“, შესაბამისად, მის სწრაფ გავრცელებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც იმას ნიშნავს, რომ პრესის წინააღმდეგ პერმანენტული ამკრძალავი ბრძანების გამოყენებისას, მკაცრი შემოწმების საფუძველი უნდა გახდეს, აკრძალვის უდავო, პროპორციული ინტერესი.[56] დემოკრატიასთან მისი ახლო კავშირიდან გამომდინარე, პრესის თავისუფლების ჩარჩო განმარტებულ უნდა იქნეს ფართოდ, მისი შეზღუდვის მკაცრი შესწავლით,[57] რათა პრესას გაზვიადების ან თვით პროვოკაციის შესაძლებლობაც კი მიეცეს.[58]

მიუხედავად სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს ჟურნალისტების მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, რომ იმოქმედონ კარგი განზრახვით, საზოგადოებას მიაწოდონ ზუსტი და სანდო ინფორმაცია, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად.[59] ჟურნალისტური ეთიკა უნდა მოითხოვდეს, რომ გამოხატვის თავისუფლების გამოყენების საფუძველზე, ჟურნალისტმა არ გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები, რომლებიც გამოიწვევს ძალადობასა და სიძულვილს საზოგადოებაში. [60]

ჟურნალისტების „მოვალეობები და პასუხისმგებლობების“ წარმოშობა გამოწვეულია იმ საფუძვლით, რომ გამოხატვის თავისუფლების საპირწონედ დაცული იყოს კერძო და საჯარო პირების პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია[61]. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ჟურნალისტის გამოხატვა არ უნდა ექვემდებარებოდეს მოთხოვნას, რომ იგი ვალდებულია სისტემატიურად და ფორმალურად მოახდინოს თავის დისტანცირება ციტირების შინაარსისაგან, რომელმაც შეიძლება შეურაცხყოს, მოახდინოს სხვათა პროვოცირება ან ზიანი მიაყენოს მათ რეპუტაციას. ასეთი მკაცრი მოთხოვნა წინააღმდეგობაში მოდის პრინციპთან, რომ პრესას და ჟურნალისტების გამოხატვას, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა მიენიჭოთ ყველაზე ფართო დაცვის ფარგლები.[62]

კონცეფცია ჟურნალისტების მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ მათ იმოქმედონ კარგი განზრახვით, საზოგადოებას მიაწოდონ ზუსტი და სანდო ინფორმაცია, ჟურნალისტური ეთიკის შესაბა-

---

54 Lingens v Austria.
55 Cumpana and Mazare v Romania.
56 Editions Plon v France.
57 Observer and Guardian v U.K..
58 Radio france v France.
59 Bladet Tromso and Stensaas v Norwey.
60 Surek v Turkey.
61 Von Hannover v Germany.
62 Thoma v Luxembourg.

მისად.[63] სასამართლომ დაადგინა, რომ ინტერნეტის ეპოქაში მსგავსი პასუხისმგებლობა და ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტეს, უფრო მეტად, ეხება ისტორიულ ინფორმაციებს, ვიდრე ინფორმაციას, რომელიც წარმავალია (მალფუჭებადია).[64]

ინფორმაციის სიზუსტის საკითხის გარდა, რომლის დადგენაც ძალიან მარტივია, როდესაც ახდენ ციტირებას ორიგინალიდან, უფრო მეტად რთული განსასაზღვრია ფარგლები, თუ როდის შეუძლია პრესას მისი წყარო სანდოდ მიიჩნიოს.[65] ამ შემთხვევაში საკამათო საკითხს წარმოადგენს ის, თუ ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად, რა ფარგლებში ეკისრება პრესას ვალდებულება, ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა, რათა დაადგინოს დასაბეჭდი ინფორმაციის სიზუსტე და სიმართლესთან შესაბამისობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებთ ზოგადი მიდგომა შემდეგნაირია: რაც უფრო სერიოზულია ბრალდება, მით უფრო მკაცრია გაზეთის ვალდებულება, რომ დაადგინოს ინფორმაციის სიზუსტე, რომ ავტომატურად არ მოახდინოს დავის ერთ-ერთი მხარის ბრალდებათა გადაკოპირება, ისე რომ არ მოუსმინოს მეორე მხარის მოსაზრებას.[66] ფაქტმა, რომ საკითხი შეიძლება ეხებოდეს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, მაგალითად, როგორიცაა გამჭირვალობა, როგორ იხარჯება სახელმწიფო თანხა და ა. შ., შეიძლება უფრო მეტი თავისუფლება მისცეს ჟურნალისტს.[67] თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტი ან გაზეთი თავისუფლდება კარგად დასაბუთებული ფაქტების შემოწმებისგან, როდესაც აპირებს მის დაბეჭდვას.[68] ჟურნალისტური ეთიკა მოითხოვს, რომ ჟურნალისტი მოქმედებდეს პატიოსნად, რომ დაადგინოს ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა, როდესაც, განსაკუთრებით, კერძო პირის რეპუტაციაზე თავდასხმა ხდება.[69] ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც კერძო პირს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ადანაშაულებს, ისე რომ არ მისცენ მათ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის საშუალება, წარმოადგენს ჟურნალისტური ეთიკის სერიოზულ დარღვევას, რომელიც არ შეიძლება საპატიოდ ჩაითვალოს გავრცელებული ინფორმაციის სავარაუდო საზოგადოებრივი ინტერესების საგნად ცნობის გამო.[70] ცხადია სასამართლო არ გამორიცხავს სხვა რელევანტურ ფაქტორებს, როგორიცაა: დიფამაციის პროცესის დროს გასაჩივრებული ინფორმაციის სიზუსტის დამტკიცების სირთულე, როდესაც გასულია დიდი ხანი მისი დაბეჭდვიდან; დროის გასვლასთან ერთად სავარაუდო დიფამაციის გამო პიროვნებისათვის მიყენებული ზიანის შესუსტება;[71] და პატიოსნება დიფამაციის პროცესში.[72]

---

63 Goodwin v UK.
64 Times Newspaper LTD v UK.
65 McVicar v UK.
66 Europapress Holding DOO v Croatia.
67 Flux v Moldova.
68 Flux v Moldova.
69 Savitchi v Moldova.
70 Flux v Moldova.
71 Flux v Moldova.
72 Flux v Moldova.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვისა და გამოხატვის დაცვის არეალი საკმაოდ ფართოა დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაინც არსებობს აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვის კონვენციისეული წინაპირობები. მითითებული შეზღუდვის საფუძველი კი სხვა საპირწონე ღირებულებათა დაცვის აუცილებლობაა, შესაბამისად, ღირებულებათა კონკურენციის პირობებში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, მოვალეობებითა და პასუხისმგებლობით კეთილსინდისიერად სარგებლობა, სხვა ღირებულებათა ხელყოფის ფარგლები და აღნიშნული ხელყოფის მასშტაბის პროპორციულობა გამოხატვის თავისუფლების დაცვის პატივსადებ ინტერესთან.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, არსებობს ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების აბსოლუტური [73] და შეზღუდული[74] საფუძვლები. **ცილისწამება პასუხისმგებლობას არ იწვევს:** ა) პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ბ) წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე მათი კომიტეტის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში; გ) უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით. ნიშანდობლივია, რომ მითითებული წინაპირობები მოწმდება სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, მათი არსებობის შემთხვევაში კი მოსამზადებელ სხდომაზევე წყდება საქმის წარმოება. აღნიშნული წესი სპეციალურ მოწესრიგებად უნდა იქნეს მიჩნეული სამოქალაქო პროცესში, ვინაიდან, როგორც წესი, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და არა სარჩელზე წარმოების შეწყვეტის საფუძველია. სამართალწარმოების აღნიშნულ ეტაპზე უნდა შემოწმდეს პირი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა თუ არა, ვინაიდან პირი, თუ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში არ აკეთებდა მოხსენებას, არ შეიძლება იგი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდეს.

პირს ენიჭება **კვალიფიციური პრივილეგია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის**, თუ ა) მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად; ბ) იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს; გ) მან განცხადება გააკეთა მოსარჩელის თანხმობით; დ) მისი განცხადება წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს; ე) მისი განცხადება წარმოადგენდა სამართლიან და ზუსტ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. მნიშვნელოვანია

[73] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.
[74] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი.

აღინიშნოს ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების, ანუ ე.წ. „კვალიფიციური პრივილეგიის“ არსი. ამ მიმართებით ნიშანდობლივია ყურადღება გამახვილდეს მტკიცების ტვირთის გადანაწილებაზე, შესაბამისად, იმისათვის, რომ ინფორმაციის გამავრცელებელი გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, აუცილებელია, რომ მან ზემოაღნიშნული გარემოებები ამტკიცოს. ზემოჩამოთვლილ გარემოებათაგან ერთ-ერთის დამტკიცების შემთხვევაში კი იგი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება. იმ შემთხვევაში, თუ მან აღნიშნულ გარემოებათაგან ვერცერთის არსებობა ვერ დაადასტურა, პირს პასუხისმგებლობა ზოგადი წესის მიხედვით ეკისრება, ანუ იგი ვალდებულია აუნაზღაუროს შეზღუდვის ინიციატორს მატერიალური ზიანი სრულად, ხოლო მორალური ზიანი, ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში, გონივრული ოდენობით. მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ჩარევა უნდა იყოს თანაზომიერი, ეფექტიანი, ეკონომიური და აღსრულებადი. ამასთან, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შეზღუდვა მოსარჩელის პატივისა და ღირსების დაცვის მიზნით აუცილებელი უნდა იყოს და კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს[75].

7. დიფამაციისათვის პასუხისმგებელი სუბიექტები

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით [76], პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით. მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხეა მედიის მესაკუთრე. ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავისას არასათანადო მოპასუხეა პირი, რომელიც არ არის განცხადების ავტორი ან რედაქტორი, ან პირი, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს განცხადებას. ამდენად, ცილისწამებისათვის პასუხისმგებელია ჟურნალისტი, მედიის მესაკუთრე, განცხადების ავტორი ან რედაქტორი. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული პირების **პასუხისმგებლობის სახე არის სოლიდარული,** რა შემთხვევაშიც, მედიის მესაკუთრის პასუხისმგებლობის საფუძველია კანონით დადგენილი დანაწესი მისი ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, საგულისხმოა, რომ ინფორმაციის ტექნიკური გამავრცელებელი, მაგალითად სტამბა, პასუხისმგებელი არ არის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ იგი აშკარად და პირდაპირ მხარს უჭერს განცხადებას. რაც შეეხება პასუხისმგებლობის სოლიდარულ ბუნებას, შეზღუდვის ინიციატორი უფლებამოსილია სარჩელი აღძრას რო-

[75] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.04.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1477-1489-2011.
[76] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

გორც ჟურნალისტის, ასევე მედიიის მესაკუთრის მიმართ ერთად ან ცალ-ცალკე, ანუ ისინი შეზღუდვის ინიციატორის მიმართ სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი, ხოლო ერთმანეთს შორის კი პასუხისმგებლობა ბრალის ხარისხის მიხედვით რეგრესის წესით რეგულირდება.

უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის მატერიალურ-პროცესუალური ანალიზი

ორგანიზებული დანაშაული კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საშიში სახეობაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებზე. იგი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისათვის. თანამედროვე სამყაროში ორგანიზებული დანაშაული სულ უფრო და უფრო ტრანსნაციონალურ ხასიათს იღებს, კერძოდ, სხვადასხვა კრიმინალური გაერთიანების საქმიანობის სფეროები სცილდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს ფარგლებს. შესაბამისად, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში სამართლებრივი კუთხით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველა სახის სამართლებრივ ბერკეტს, როგორც სისხლისსამართლებრივს, ასევე სამოქალაქოს [1].

ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლამ საქართველოში განსაკუთრებულად აქტიური ხასიათი 2005-2006 წლებში მიიღო. სწორედ აღნიშნულ ეტაპზე განხორციელდა ყველა საკანონმდებლო ცვლილება, რითაც მოხდა პოლიტიკური პროცესების სამართლებრივი რეგლამენტაცია ორგანიზებულ დანაშაულებასთან ბრძოლის სფეროში. აღნიშნული მიზნით, 2005 წლის 20 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“, ხოლო ამავე დღეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლითაც მოხდა ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაცია [2].

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ სამოქალაქოსამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV[1] თავით გათვალისწინებული წარმოება რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით.

ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიზანია საზოგადოებაში ე.წ. ეკონომიკური სამართლიანობის აღდგენა, ორგანიზებული დანაშაულის ჩამდენი პირებისათვის ქონების ჩამორთმევა, მისი ნამდვილი მესაკუთრისათვის დაბრუნება ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოსათვის გადაცემა.

---

[1] *მესხიშვილი* „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“, მართლმსაჯულება და კანონი, №1(28)11, 2011.

[2] საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის თაობაზე“, №2355, 2005 წლის 20 დეკემბერი, თბილისი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით [3] განისაზღვრა ქონებრივი უფლებების შეზღუდვის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესი და პირობები, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ კანონიერი ქურდისა და ქურდული სამყაროს წევრისათვის ქონების ჩამორთმევას, არამედ თანამდებობის პირისათვის, ადამიანით მოვაჭრისათვის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობისათვის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით მსჯავრდებული პირისათვის ქონების ჩამორთმევას. საინტერესოა, იმ საკითხის გარკვევა, თუ რა ნიშნით მოხდა ზემოჩამოთვლილ დანაშაულობათა სისტემატიზაცია. აღსანიშნავია, რომ მითითებულ დანაშაულობებს განსაკუთრებული ზეგავლენა აქვს ქვეყნის განვითარებაზე, საზოგადოების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი სიმძიმე, მასშტაბები და ეკონომიკური შედეგები სახელმწიფოსათვის. ჩამოთვლილი დანაშაულობანი იმ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთან საბრძოლველად გარკვეული სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები იქნა შემუშავებული, რათა ეფექტურად განხორციელდეს აღნიშნულ დანაშაულებთან ბრძოლა და დანაშაულის მატერიალური შედეგების აღმოფხვრა.

ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებასთან მიმართებით, საინტერესოა, სასამართლო პრაქტიკის განხილვა და განზოგადება. საკანონმდებლო ცვლილების ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია მის პრაქტიკაში განხორციელებასა და დანერგვაზე. ამდენად, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოიყენება აღნიშნული საკანონმდებლო ნორმები სასამართლო პრაქტიკაში, რა პრობლემები არსებობს ნორმათშეფარდების პროცესში და როგორ არის აღნიშნული საკითხები მოწესრიგებული ერთიანი სასამართლო პრაქტიკით. ამასთან, მიზანშეწონილია, ქონების ჩამორთმევის საკითხი გაანალიზებულ იქნეს როგორც ვიწრო სამართლებრივ ჩარჩოში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო ნორმებზე დაყრდნობით, ასევე გლობალურ ჭრილში, როგორც ღონისძიება, მიმართული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და როგორც ერთ-ერთი ბერკეტი აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ

[3] საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის თაობაზე“, №2355, 2005 წლის 12 დეკემბერი, თბილისი.

შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან. ამდენად, საკუთრების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას და აღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ითვალისწინებს საკუთრების უფლებას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს უფლება, მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით. არ შეიძლება, ვინმეს ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერესისათვის და კანონითა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით, თუმცა, ზემოხსენებული დებულებები არანაირად არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, განახორციელოს ისეთი კანონები, რომელთაც იგი საჭიროდ თვლის, რათა გააკონტროლოს საკუთრების გამოყენება საერთო ინტერესების შესაბამისად ან უზრუნველყოს გადასახადების, შენატანების ან ჯარიმების გადახდის მოკრება[4].

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, აღიარებს რა საკუთრების უფლების ხელშეუვალობას, ამასთან, ითვალისწინებს ამავე უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას და სახელმწიფოს უტოვებს უფლებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ, რათა უზრუნველყოს საკუთრების უფლების გამოყენება საერთო ინტერესების შესაბამისად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაცული უნდა იყოს საჯარო და კერძო ინტერესის ბალანსი იმგვარად, რომ დაუშვებლად არ იქნეს ხელყოფილი კერძო პირების უფლებები. ბალანსის დაცვის მიზნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკუთრების უფლების შეზღუდვის ფარგლებს და იმ საჭიროებას, რამაც აღნიშნული უფლების შეზღუდვა განაპირობა. მოცემულ შემთხვევაში, საკუთრების უფლების შეზღუდვა განპირობებულია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საჭიროებითა და აღნიშნული ღონისძიებების გატარების გარდაუვალობით. აღნიშნული პრინციპი ნათლად არის ასახული საქმეში რაიმონდო იტალიის წინააღმდეგ (Raimondo v. Italy)[5], სადაც მითითებულია შემდეგი: „სასამართლო სრულად აცნობიერებს იმ სიძნელეებს, რომელიც დაკავშირებულია მაფიის წინააღმდეგ ბრძოლასთან. მაფიის უკანონო საქმიანობის შედეგად, როგორიცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა, ნარკოტიკების საერთაშორისო გადაზიდვა, აღნიშნულ ორგანიზაციას გააჩნია დიდი კაპიტალბრუნვა, რომელიც, ძირითადად, ინვეს-

[4] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი, 1952 წლის 20 მარტი, თარგმანი კორექტირებულია საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 9 ივნისის №3251 – დადგენილებით.

[5] http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1§portal=hbkm§action=html§highlight=Raimondo§sessionid=93531956§skin=hudoc-en

ტირებულია უძრავ ქონებაში. ქონების ჩამორთმევა, რომელიც შეაჩერებს საეჭვო კაპიტალის ბრუნვას, წარმოადგენს ეფექტურ და საჭირო ზომას ხსენებული ბოროტმოქმედების წინააღმდეგ“.

სახელმწიფომ (საქართველომ), თავის მხრივ, სწორედ აღნიშნული უფლება გამოიყენა, როდესაც საკანონმდებლო წესით დაარეგულირა იმ დანაშაულის ჩამდენი პირებისათვის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ქონების ჩამორთმევა, რომელ დანაშაულთა შედეგები ეკონომიკური თვალსაზრისით, განუსაზღვრელ ზიანს აყენებს სახელმწიფოსა და კერძო პირების ინტერესებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356^{2}-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ქონების ჩამორთმევის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის განმავლობაში[6]. მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა, თუ რა მოიაზრება განაჩენის კანონიერ ძალად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356^{2}-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. საქართველოში ბოლო პერიოდში დამკვიდრებული უახლესი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით განმარტებულ იქნა შემდეგი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356^{2}-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელს აღძრავს პროკურორი სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ათი წლის ვადაში. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელი შესაძლებელია, აღიძრას ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშეწყობასთან დაკავშირებული პირის მიმართ.

სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის ძველი და ამავე კოდექსის 309^{20} მუხლის მე-2 ნაწილის ახალი რედაქციის შინაარსობრივი და ლოგიკური ანალიზიდან გამომდინარე, კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურებისას უდავო მტკიცებულებითი ძალა გააჩნია, ანუ, პრეიუდიციული დანიშნულება შენარჩუნებულია, თუ სასამართლო საქმეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების თანმდევი შედეგების თაობაზე იხილავს. აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს განსხვავებული მოსაზრება, კერძოდ, იქამდე, სანამ საქმეზე არ იქნება გასული გასაჩივრების ვადა ან სანამ საქმე არ მოივლის სამივე ინსტანციას, დაუშვებელია

[6] საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, №3035, 04.05.2010.

განაჩენი მიჩნეულ იქნას კანონიერ ძალაში შესულად და საფუძვლად დაედოს ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობასა და ჩამორთმევას, ვინაიდან, სხვა შემთხვევაში, განაჩენი ძალაშია მხოლოდ პირის მსჯავრდების ნაწილში, განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კი გამხდარია სადავოდ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის თანახმად, პირს უფლება აქვს მისი სისხლის სამართლებრივი ბრალდების საქმე განხილულ იქნეს მინიმუმ ორ სასამართლო ინსტანციაში. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს პრაქტიკით განიმარტა, რომ სისხლის სამართალწარმოების პარალელურად სამოქალაქო სამართალწარმოების წარმართვა არ შეიძლება, მიჩნეულ იქნეს საქმის სისხლის სამართლის წარმოების წესით მინიმუმ ორ ინსტანციაში განხილვის უფლების შეზღუდვად, ვინაიდან ქმედების სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოება არ აბრკოლებს განაჩენის გასაჩივრებას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. გარდა ამისა, სამოქალაქო წესით საქმის განხილვა ცალკე წარმოებაა და აღნიშნული წესით მიღებული გადაწყვეტილებაც ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრებას ექვემდებარება.

სასამართლოს განმარტებით, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[2]-ე მუხლში მითითებული განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს არა იმგვარ კანონიერ ძალას, რომელიც გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება, არამედ კანონიერ ძალას სწორედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის კონტექსტში. შესაბამისად, ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიჩნევის თაობაზე სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას პროკურორი იძენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის საჯაროდ გამოცხადებისთანავე. აღნიშნული მსჯელობის სამართლებრივი არგუმენტაციის მიზნებისათვის სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო წესით საქმის განხილვა ცალკე სამართალწარმოებაა და აღნიშნული წესით მიღებული გადაწყვეტილებაც ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრებას ექვემდებარება. ქონების დაუსაბუთებლად ცნობა, თავისი არსით, წარმოადგენს სახელმწიფოსათვის ან/და კერძო პირებისათვის დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, თუმცა, განსხვავებით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სხვა საქმეებისაგან, აღნიშნული კატეგორიის დავებზე აუცილებელია, რომ მინიმუმ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მაინც იყოს განაჩენი გამოტანილი და საჯაროდ გამოცხადებული. ამგვარი დასკვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[2]-ე მუხლის ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ ქონების დაუსაბუთებლად ცნობასთან და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით პროკურორი სარჩელის აღძვრის უფლებას იძენს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისთანავე. ამდენად, სასამართლო პრაქტიკით არ იქნა გაზიარებული არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ დაუშვებელია იმ განაჩენზე დაყრდნობით ქონების დაუსაბუთებლად მიჩნევა და ჩამორთმევა, რომელი განაჩენიც

საბოლოო არ არის და ჯერ კიდევ გასაჩივრებას ექვემდებარება. აღნიშნული პოზიციის საპირისპიროდ, სასამართლო პრაქტიკით განმარტებულ იქნა, რომ სისხლის სამართლის საქმის ინსტანციური წესით მიმდინარეობის პარალელურად სამოქალაქო საქმის განხილვა დანაშაულით მიყენებული ზიანის აღმოფხვრასთან დაკავშირებით სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების მიზნით არის გამართლებული, მითუმეტეს, რომ ამით არ ილახება მხარის არც მატერიალური და არც საპროცესო უფლება. აღსანიშნავია, რომ ქონების დაუსაბუთებლად ცნობა და ჩამორთმევა ასევე სამი ინსტანციის მიერ იხილება და, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე ესა თუ ის ცვლილება მხედველობაში მიიღება. ამასთან, კიდეც, რომ თეორიულად იქნეს დაშვებული შესაძლებლობა იმისა, რომ ქონების დაუსაბუთებლად ცნობა და ჩამორთმევა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უფრო სწრაფად ამოწურავს სამ ინსტანციას, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი, ამ შემთხვევაშიც არსებობს საპროცესოსამართლებრივი მექანიზმი იმისა, რომ აღნიშნულ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო[7].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ცვლილების პრაქტიკაში დანერგვის შედეგად, განმარტებულ იქნა, რომ ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიჩნევის თაობაზე სამოქალაქო საქმის წარმოება შესაძლებელია მას შემდეგ, რაც პირველი ინსტანციის სასამართლო გამოიტანს განაჩენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[1]-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულობებისათვის პირთა მსჯავრდების თაობაზე და აღნიშნული სახით ნორმის განმარტება, **პირველ რიგში, განპირობებულია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, ვინაიდან, ქონება, რომელიც უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია, შეიძლება გასხვისებულ იქნას და აღნიშნული საფუძვლით შემდგომი ეკონომიკური სამართლიანობის აღდგენა შემძენის კეთილსინდისიერების გამო დაბრკოლდეს.**

შემდეგ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის პრაქტიკულ ანალიზს უკავშირდება, წარმოადგენს მტკიცების ტვირთის განაწილება სამოქალაქო პროცესში. აღსანიშნავია, რომ მითითებული საკითხი მეტი სიცხადით არის ასახული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და შესაბამისად, ნაკლებ გაუგებრობებს ქმნის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით აღნიშნული კატეგორიის დავების განხილვის დროს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[1]-ემუხლის პირველი ნაწილის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უკანონო ქონება არის ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც/რომლებიც რეკეტულ დაჯგუფებას, რეკეტირს, თანამდებობის პირს, ქურდული სამყაროს წევრს, ადამიანით მოვაჭრეს, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობს ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით მსჯავრდებულ

[7] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.03.2011 განჩინება, საქმეზე №ას-235-227-2012.

პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვს კანონის მოთხოვნათა დარღვევით;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის „ტ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაუსაბუთებელი ქონება არის ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები რეკეტულ დაჯგუფებას, რეკეტირს, თანამდებობის პირს, ქურდული სამყაროს წევრს, ადამიანით მოვაჭრეს, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობს ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით მსჯავრდებულ პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[2]-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს რეკეტირის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ათი წლის ვადაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[3]-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების უკანონობის შესახებ, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[3]-ე მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს, რომლის შესაბამისადაც, **ქონების უკანონობა მოსარჩელე – პროკურორმა უნდა ამტკიცოს**. თუ ის არ წარადგენს საკმარის მტკიცებულებებს ქონების უკანონობის დასასაბუთებლად, სარჩელი ქონების უკანონოდ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდება. განსხვავებულ სამართლებრივ დანაწესს შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი **ქონების დაუსაბუთებლად ცნობასთან მიმართებით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი მოპასუხეს აწევს.** ქონების დაუსაბუთებლობის შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც დადასტურდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[1]-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება და მიუთითოს მოპასუხის, ქონების დაუსაბუთებლობის თაობაზე, რაც, თავის მხრივ, დაუდასტურე-

ბელი ეჭვია, ხოლო აღნიშნული ეჭვის გაქარწყლების ვალდებულება ანუ დაუსაბუთებლად დასახელებული ქონების წარმომავლობის მართლზომიერების მტკიცების ვალდებულება მოპასუხეს ეკისრება. შესაბამისად, უსაფუძვლოა იმ სასამართლო გადაწყვეტილებათა კრიტიკა, რომელი გადაწყვეტილებების საფუძველზეც ქონება დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი იმ ნორმატიულ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ მოპასუხემ ვერ შეძლო ქონების შეძენის ლეგიტიმური წყაროს დასაბუთება.

აღნიშნული კუთხით საგულისხმოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, კერძოდ, ქონების დასაბუთების მტკიცების რეჟიმში რა სახის ქონება ექცევა. შესაძლებელია თუ არა აღნიშნულ რეჟიმში იმ ქონების მოქცევა, **რომელიც დანაშაულის ჩადენამდეა შეძენილი და რა სახის მტკიცებულება უნდა იქნას წარდგენილი ქონების დასაბუთებულად მიჩნევის მიზნებისათვის**. აღნიშნულ საკითხებს სასამართლო პრაქტიკით, ამ ეტაპზე შემდეგი ფორმით გაეცა პასუხი:

ქონების მართლზომიერად შეძენის დასაბუთებაში იგულისხმება არა მხოლოდ ქონების შეძენასთან დაკავშირებული კანონისმიერი პროცედურების დაცვა, არამედ ქონების შეძენისათვის **საჭირო სახსრების მართლზომიერების დასაბუთება**. აღნიშნული განპირობებულია თვით იმ დანაშაულის სპეციფიკით, გავრცელების ფორმებით, საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების მასშტაბებით, რომლისთვისაც მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავისა, თუ დაკავშირებული პირის ქონების შეძენის მართლზომიერება ეჭვქვეშ დგება. კანონის აღნიშნული ნორმის მიზანი კი გარდა დაუსაბუთებელი ქონების დაგროვებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა, მდგომარეობს ამგვარი კატეგორიის დანაშაულების ჩადენის პრევენციაში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ქონების დასაბუთებულად ან დაუსაბუთებლად ცნობას არ უკავშირებს ქონების შეძენის თარიღს, არამედ ქონების შეძენის დროისათვის ან აღნიშნულ დრომდე გონივრულ ვადებში მართლზომიერი, ლეგალური შემოსავლის არსებობის ფაქტს. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[2]-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა სპეციფიკით, რომლებიც უფრო მეტად არის ორიენტირებული უკანონო შემოსავლის დაგროვებაზე, ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა არამართლზომიერი ქმედებები. შესაბამისად, სწორედ აღნიშნული საფუძვლით არის გამართლებული მითითებული დანაშაულებებისათვის მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავისა თუ დაკავშირებული პირის ქონებრივი მდგომარეობის ეჭვქვეშ დაყენება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაუსაბუთებელი ქონება არის ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია. აღნიშნული მუხლის ლოგიკური და შინაარსობ-

რივი ახსნა-განმარტებიდან გამომდინარე, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდება საკმარისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველია იმისათვის, რომ პირის მთელი ქონების მართლზომიერება ეჭვქვეშ დადგეს ისევ და ისევ მითითებულ დანაშაულებათა სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისად, აღნიშნულ დანაშაულებებზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის შედეგად მოქმედებს პრეზუმფცია იმისა, რომ მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან/და დაკავშირებული პირის ქონება დაუსაბუთებელია და რომ აღნიშნული ქონება შეძენილია სწორედ უკანონო შემოსავლებზე დაყრდნობით. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული პრეზუმფციაა და, მტკიცებულებების არსებობის პირობებში, გაქარწყლებას ექვემდებარება, შესაბამისად, თუ მსჯავრდებული პირი, მისი ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი, თუ დაკავშირებული პირი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ მას ქონება შეძენილი აქვს არა მსჯავრდებული პირის უკანონო შემოსავლების მეშვეობით, არამედ სხვა კანონიერი შემოსავლის წყაროზე დაყრდნობით, ამგვარი ქონება დაუსაბუთებლად არ მიიჩნევა.

ამასთან, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მხოლოდ შემოსავლის არსებობა არ არის საკმარისი საფუძველი **იმისათვის, რომ ქონება მიჩნეულ იქნეს დასაბუთებულად, აუცილებელია, რომ შემოსავალი საკმარისი და დროში თავსებადი იყოს ქონების შეძენასთან.** აუცილებელია, გონიერი თანაფარდობის დაცვა შემოსავლის შეფასებასა და აღნიშნულ შემოსავალზე დაყრდნობით ქონების დასაბუთებულად მიჩნევას შორის. შემოსავლის არსებობით მხოლოდ მაშინ დასაბუთდება ქონების შეძენის ფაქტი, თუ შემოსავალი ქონების ღირებულებას აღემატება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ შემოსავალი იმდენად უნდა აღემატებოდეს ქონების ღირებულებას, რამდენადაც აღნიშნული სხვაობით (ქონების ღირებულებასა და შემოსავალს შორის) მოგვარებადია ყველა ყოფითი/საყოფაცხოვრებო მოთხოვნილება, ამასთან, მხედველობაში მიიღება, ცხოვრების წესი, შემოსავლისა, თუ გასავლის ოდენობა, ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის მიზნებისათვის აუცილებელი სახსრები და ა.შ.[8]

ამდენად, ქონების დასაბუთებულად ცნობის მიზნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქონების წარმომავლობის, შემოსავლის პირველწყაროს ლეგიტიმურობის დასაბუთებას, მაგალითისათვის, ქონება ლეგალური შემოსავლის წყაროზე დაყრდნობით შეძენილად ვერ მიიჩნევა, თუ დასაბუთება ემყარება ისეთ ფაქტებს, როგორიცაა, ქონების გასხვისების გზით შემოსავლის მიღება, სადაზღვევო პრემია, საბანკო ანაბარზე განთავსებული თანხა, იპოთეკური სესხით მიღებული თანხა და ა. შ. თუ არ დადასტურდება გასხვისებული ქონების შესაძენად საჭირო ფულადი სახსრების მოპოვების მართლზომიერება, სადაზღვევო შენატანის წარმომავლობის მართლზომიერება, საბანკო ანაბარზე შეტანილი ფულადი სახსრების წარმომავლობის ლეგიტიმურობა, იმ ქონების შეძენისათვის საჭირო ფულადი სახ-

[8] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-235-227-2012.

სრების წარმომავლობის მართლზომიერება, რომელიც სესხის მიღებისა და ამავე სესხის უზრუნველყოფის საგანი გახდა და ა. შ. საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტით მივიღებთ იმგვარ სურათს, რომ ქონება, რომლის შეძენის მართლზომიერება ვერ დასტურდება, დაუსაბუთებელია, ხოლო ამავე ქონების სამოქალაქო ბრუნვის (გაყიდვა, გაცვლა, გირავნობა, იპოთეკა და ა. შ.) შედეგად მიღებული შემოსავალი – დასაბუთებული.

ამდენად, დაუსაბუთებელია არა მხოლოდ ის ქონება, რომლის კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები არ არსებობს, არამედ ის ქონებაც, რომელიც მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით. ქონების გასხვისების შედეგად მიღებული შემოსავალი დასაბუთებულ შემოსავლად რომ იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, რომ დასტურდებოდეს აღნიშნული ქონების შეძენის დროისათვის შემძენის ლეგალური, მართლზომიერი შემოსავლების არსებობის ფაქტი[9].

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ქონების დაუსაბუთებლად ცნობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ თანხის ბრუნვა არ წარმოადგენს თანხის წარმომავლობის ამსახველ მტკიცებულებას, შესაბამისად, რა ოდენობით თანხის ბრუნვის დამადასტურებელი მტკიცებულებაც არ უნდა იქნეს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი, აღნიშნულით შეუძლებელია დადასტურდეს შემოსავლის მართლზომიერება, ვინაიდან თანხის ბრუნვით არ დასტურდება მითითებული თანხების, როგორც ლეგალური, მართლზომიერი საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების წარმომავლობა, ამიტომ აღნიშნული მტკიცებულებები ქონების დასაბუთებულად მიჩნევის მიზნებისათვის მხედველობაში არ მიიღება.

არაერთგვაროვანი განმარტების საგანია საკითხი იმის თაობაზე, თუ ვის უნდა ჩამოერთვას არამართლზომიერი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი თუ შეძენილი ქონება, იმ შემთხვევაში, თუ იგი მესამე პირებს გადაეცათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ასევე სასამართლოს შემდეგი განმარტება, კერძოდ, დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა, თავისი არსითა და დანიშნულებით, წარმოადგენს სახელმწიფოსათვის, თუ კერძო პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. შესაბამისად, დაუსაბუთებელი თანხისა, თუ ქონების არსებობის ფაქტი, თუნდაც, აღნიშნული მესამე პირებს ჰქონდეთ საკუთრებაში გადაცემული, იმ პირისათვის ჩამორთმევას ექვემდებარება ნატურითა, თუ ფულადი ანაზღაურების სახით, ვისთვისაც ეს ქონება დაუსაბუთებელი იყო, ანუ ვინც, დაუსაბუთებელი ქონება, თუ ფულადი სახსრები დააგროვა და არა მას, ვისაც აღნიშნული ქონება, თუ ფულადი სახსრები გადაეცა. **ქონების დასაბუთებულობა, თუ დაუსაბუთებლობა დიდწილად სუბიექტური კრიტერიუმით არის განპირობებული**. დაუსაბუთებელი ქონება სხვა მესამე პირის ხელში აბსოლუტურად დასაბუთებული შეიძლება აღმოჩნდეს, ვინაიდან მან, შეიძლება კეთილსინდისიერად, საკუთარ მართლზომიერ სახსრებზე დაყრდნობით შეიძინოს ან

[9] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-235-227-2012.

სხვა სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ქონებრივი სიკეთე. დაუსაბუთებელი ქონება, თუ ფულადი სახსრები შეიძლება უკანონო საქმიანობის წარმოების მიზნებისათვის გადაეცეს მესამე პირს, აღნიშნულიც ასევე იმ პირისათვის ჩამორთმევას ან ანაზღაურების დაკისრებას ექვემდებარება, ვინც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დააგროვა ქონება და შემდეგ მართლსაწინააღმდეგო საქმიანობის მიზნით გადასცა სხვას. მითითებულ სამართალურთიერთობაში ამოსავალი პრინციპია ის, რომ ქონება, თუ ფულადი სახსრები იმას უნდა ჩამოერთვას, ვინც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ანდა არამართლზომიერ შემოსავლებზე დაყრდნობით მოიპოვა იგი[10].

რადგან საკითხი შეეხო ქონების მესამე პირებისათვის გადაცემას, მნიშვნელოვანია იმ საკითხების მატერიალური თუ პროცესუალურსამართლებრივი ანალიზი, თუ როგორ ხდება იმ მესამე პირთა დაცვა, **რომლებიც უკანონო თუ დაუსაბუთებელი ქონების მართლზომიერი და კეთილსინდისიერი შემძენები არიან და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით იმიჯნებიან აღნიშნული პირები იმ პირებისაგან,** რომელთაც ნათესაური თუ სხვა საქმიანი კავშირი გააჩნიათ დანაშაულის ჩამდენ პირებთან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. თუმცა, სასამართლო პრაქტიკით დადგენილ იქნა, რომ თუ სხვა მტკიცებულებებით დასტურდება ქონების ფლობისა და სარგებლობის ფაქტი, ამასთან, არსებობს ამავე ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, არ არის აუცილებელი საჯარო რეესტრის ჩანაწერი ქონების მესაკუთრის დადგენისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში, ქონების **საჯარო რეესტრში აღრიცხვისაგან თავის არიდება სწორედ იმ გარემოებით არის განპირობებული, რომ ქონება არ იქნას მიჩნეული უკანონოდ და დაუსაბუთებლად.** ამდენად, დასაშვებია ქურდული სამყაროს წევრისათვის იმ ქონების ჩამორთმევა, რომლის თაობაზე დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება და უტყუარი მტკიცებულებებით დასტურდება მისით ფლობისა და სარგებლობის ფაქტი, თუმცა, იგი საკუთრების უფლებით აღრიცხული არ არის საჯარო რეესტრში. ამასთან, აღსანიშნავია კიდევ ერთი სამართლებრივი „ხრიკი“, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ქონების „დაკანონების“ მიზნით, კერძოდ, უკანონო და დაუსაბუთებელ ქონებაზე ჩუქების ან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება, რომლის შედეგადაც ქონება კვლავ მჩუქებლის ან გამყიდველის მფლობელობასა და სარგებლობაში რჩება. მოცემულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არ ხდება დასაჩუქრებული პირის ან მყიდველის კეთილსინდისიერების საკითხის გარკვევა და აღნიშნული ქონება კიდეც რომ დასაჩუქრებულის ან მყიდველის საკუთრებად აღირიცხოს საჯარო რეესტრში, გარიგება, როგორც მოჩვენებითი, მაინც ბათილად მიიჩნევა და ქონება ჩამორთმევას ექვემდებარება.

[10] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-235-227-2012.

ამდენად, ცალსახაა, რომ უკანონო და დაუსაბუთებელ ქონებასთან მიმართებით საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორის პრეზუმფცია არ მოქმედებს, თუ არსებობს სხვა უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც ჩანაწერის უზუსტობა დასტურდება. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა შემდეგი: „საჯარო რეესტრში რეგისტრაციით ხდება მესაკუთრის აღრიცხვა, საჯარო რეესტრში მესამე პირებისათვის აუცილებელი ინფორმაციის განთავსება. უძრავ ნივთზე სანივთო უფლების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ნივთის გამსხვისებელსა და მყიდველს შორის დადებული ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პირი უფლებამოსილი ხდება მოითხოვოს საჯარო რეესტრში მისი უფლების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია არ წარმოადგენს ხელშეკრულების ფორმას. შესაბამისად, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლად, მოცემულ შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულება ითვლება“[11].

ამდენად, საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობას ფიქციად აქცევს ის ფაქტი, თუ ქონება საჯარო რეესტრში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირის ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის სახელზე ირიცხება და ამასთან, არსებობს მტკიცებულებები, რომ ქონება რეალურად არ განკარგულა და კვლავ გამსხვისებლის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მფლობელობასა და სარგებლობაშია.

სხვაგვარი ფაქტობრივი ვითარებაა სახეზე, როდესაც საპროცესო კოდექსის 356[1]-ე მუხლით გათვალისწინებულმა სუბიექტმა ქონება გაასხვისა და შემძენი გამსხვისებლის არც ნათესავი და არც დაკავშირებული პირია. ასეთ შემთხვევაში, უნდა დადგინდეს ქონების შემძენის კეთილსინდისიერების საკითხი. ამასთან, კეთილსინდისიერების შეფასების კრიტერიუმია შემძენის სუბიექტური დამოკიდებულება იმ ფაქტის მიმართ, თუ რამდენად იცოდა შემძენმა, რომ ქონება, რეალურად, გამსხვისებლის საკუთრება არ იყო, ან მართალია, გამსხვისებლის საკუთრება იყო, თუმცა, საკუთრების უფლება გამსხვისებელს არაკანონიერი გზით ანდა უკანონო შემოსავლის წყაროზე დაყრდნობით ჰქონდა მოპოვებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ რეესტრის ჩანაწერი სწორია, თუმცა, შემძენს საკუთრების უფლება მოპოვებული აქვს დაუსაბუთებელი, უკანონო შემოსავლის წყაროზე დაყრდნობით, ასეთ შემთხვევაში, შემძენი დაცულია, ვინაიდან შემძენს არაკეთილსინდისერად აქცევს მხოლოდ იმ ფაქტის ცოდნა, რომ გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე ან კიდევ ხელშეკრულება არ იდება გამსხვისებლის ნამდვილი ნების საფუძველზე. ის შემოსავლის წყარო, თუ რის საფუძველზე შეიძინა ქონება გამსხვისებელმა, ობიექტურად, გონივრული წინდახედულობის ფარგლებში, არ წარმოადგენს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის ცოდნა ან არცოდნა ზეგავლენას მოახდენს შემძენის კეთილსინდისიერებაზე ან კიდევ კეთილსინდისიერ შემძენთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობაზე. სასამართლო პრაქტიკით, სწორედ აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით იქნა მიჩნეული მართლზომიერად ქონების ჩამორთმევა

[11] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.04.2007 განჩინება, საქმეზე №ას-238-571-07.

უკანონობის ან დაუსაბუთებლობის მოტივით მხოლოდ ერთი ინსტანციის მიერ გამოტანილი და მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის კონტექსტში, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე, რათა არ მოხდეს აღნიშნული ქონების შემდგომი განკარგვა, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქონების შემძენი, თუ 356[1]-ე მუხლით გათვალისწინებული პირის ნათესავი ან დაკავშირებული პირი არ არის, არ მიიჩნევა არაკეთილსინდისიერ შემძენად და, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება დაუსაბუთებელი ქონების ან დაუსაბუთებელი ქონების გასხვისების შედეგად მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა.

თუ გამსხვისებელი არ არის ქონების რეალური მესაკუთრე, თუმცა, იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შემძენის კეთილსინდისიერება მოწმდება ქვემოთ მოცემულ პრინციპებზე დაყრდნობით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მიხედვით, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამავე კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად კი, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. კეთილსინდისიერი შემძენის ასეთი უფლებრივი მდგომარეობა გამოწვეულია საჯარო რეესტრის სპეციფიკური დანიშნულებით სამოქალაქო ბრუნვის მექანიზმში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. აღნიშნული ფორმულირებით კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოება – გამსხვისებლის საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაცია, ანუ შემძენის კეთილსინდისიერება ეფუძნება ობიექტურ ფაქტორს, საჯარო რეესტრის მონაცემებს. კანონის ეს დანაწესი განპირობებულია თვით კანონის მიერ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების მიმართ დადგენილი უტყუარობის პრეზუმფციით. აღნიშნული ნორმის ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონების შეძენას, შემძენს, თავისი უფლების დასამტკიცებლად შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს. თუნდაც, სინამდვილეში უსწორო იყოს რეესტრის მონაცემები, ამ მდგომარეობას არაარსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის ან რეესტრის

ჩანაწერის მიმართ საჩივრის შეტანის არცოდნაში გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობის ფიქციასა და, შესაბამისად, ნივთის შეძენის ნამდვილობაზე ახდენს ზეგავლენას, შემძენის არაკეთილსინდისიერებაა. ზემოთ დასახელებული ნორმები შეიცავს არაკეთილსინდისიერების იურიდიული შედეგის განმსაზღვრელ ელემენტს შემძენმა იცის, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე ან იცის, რომ რეესტრის ჩანაწერის მიმართ შეტანილია საჩივარი. ამდენად, შემძენის ინტერესების დამცავი ნორმის გამოყენებისას უნდა შემოწმდეს არა მარტო საჯარო რეესტრის მონაცემები, ასევე, უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა ნივთის შეძენამდე არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის ან საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ საჩივრის შეტანის თაობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებით მხარეთა შორის გადანაწილებულია მტკიცების ტვირთი. რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია შემძენს უადვილებს უფლების კანონიერების მტკიცების პროცესს. რეესტრის მონაცემთა უსწორობა და შემძენისათვის ამ ფაქტის ცოდნა მოდავე მხარემ უნდა ამტკიცოს. ამასთან, სასამართლო პრაქტიკით განიმარტა, რომ თუკი მხარე სადავოდ ხდის შემძენის კეთილსინდისიერებას, სასამართლოს არ შეუძლია თავისი დასკვნა ნივთის შეძენის კანონიერებაზე დააყრდნოს მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს ჩანაწერის სისწორე, ქონების სადავოობა და გამოიკვლიოს, რა იცოდა შემძენმა ჩანაწერის ხარვეზიანობისა, თუ ქონების სადავოობის თაობაზე. ამ უკანასკნელი საკითხების გამორკვევისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან ან ქონების სადავოობასთან მიმართებით, ანუ უნდა გაირკვეს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეეძლო და უნდა სცოდნოდა თუ არა, რომ ჩანაწერი არასწორი იყო ან აღნიშნული ჩანაწერის გაუქმების საფუძვლები არსებობდა[12].

ხშირ შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ გარიგება მოჩვენებითია ანუ იმ განზრახვის გარეშეა დადებული, რომ მას შესაბამისი სამართლებრივი შედეგი მოჰყვეს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). სასამართლო პრაქტიკით

[12] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.02.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1764-1744-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.01.2006 განჩინება, საქმეზე №ას-203-622-06; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.12.2007 განჩინება, საქმეზე №ას-274-604-07; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.02.2008 განჩინება, საქმეზე №ას-691-1021-07; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.04.2009 განჩინება, საქმეზე №ას-1148-1293-08; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 07.04.2008 განჩინება, საქმეზე №ას-676-1006-07; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.04.2007 განჩინება, საქმეზე №ას-238-571-07; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.03.2006 გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-980-1243-05; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.03.2006 განჩინება, საქმეზე №ას-1066-1308-05; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.11.2008 განჩინება, საქმეზე №ას-533-786-08; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.01.2006 განჩინება, საქმეზე №ას-203-622-06.

არაერთგზის განიმარტა, რომ გარიგების მოჩვენებითად მიჩნევის მიზნებისათვის, საქმის მასალებით უტყუარად უნდა დასტურდებოდეს, მოჩვენებითი გარიგების დროს გამოვლენილი ნების თავისებურებები, რაც გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, მხარეთა განზრახვაში, თავიდან აიცილონ გარიგების სამართლებრივი შედეგები. ამასთან, უნდა არსებობდეს ორივე მხარის ერთობლივად, საერთო მიზნითა და განზრახვით მოქმედების დამადასტურებელი მტკიცებულებები, საიდანაც ნათლად დგინდება ერთობლივი მოქმედების მოტივი. მოჩვენებითი გარიგება სამართლებრივი სიმულაციაა, რომელიც კანონსაწინააღმდეგო მიზანს ემსახურება. გარიგების მოჩვენებითად მიჩნევისათვის კი დადასტურებული უნდა იყოს, რომ ორივე მხარე აღნიშნული მიზნით მოქმედებს.[13] აღსანიშნავია, რომ ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის დროს ნათესავისა და დაკავშირებული პირის სახელზე ქონების აღრიცხვა სწორედ ის სამართლებრივი სიმულაციაა, რომელიც აღნიშნულ გარიგებას არარად აქცევს და სწორედ აღნიშნული ფაქტი განაპირობებს იმ სამართლებრივი დანაწესის საფუძველს, რომ აღნიშნული პირების სახელზე აღრიცხული ქონება უპირობოდ ჩამორთმევას ექვემდებარება.

სასამართლო პრაქტიკაში ქონების ჩამორთმევის კანონიერების საკითხის განხილვისას სასამართლო ხშირად აპელირებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლზე, რომელიც საკუთრების უფლების უზრუნველყოფას ეხება და განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას არ ხელყოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრების უფლება და ასევე შექმნას გარანტიები აღნიშნული უფლების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. სასამართლოებმა მსგავს კატეგორიის საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებში არაერთგზის განმარტეს შემდეგი:

„წინარე დებულება ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად, საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ქონება ხვდება პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. მოხდა ქონების ხელყოფა, ვინაიდან ხდება ქონების ჩამორთმევა და მისი სახელმწიფოსთვის გადაცემა „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ხელყოფა ანუ ჩამორთმევა საჯარო ინტერესებს ემსახურება, ვინაიდან დადგენილია, რომ სადავო ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ხელყოფა პროპორციულია, ვინაიდან ვერანაირი სხვა ჩარევა, გარდა ჩამორთმევისა, ვერ უზრუნველყოფდა საერთო ინტერესის დაცვას. ეს ხელყოფა შეესაბამება კანონის გასაგები ფორმით

[13] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-1836-1809-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-124-119-2012; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-11-11-2012.

არსებობის პრინციპსაც, ვინაიდან „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV[1] თავი, არაორაზროვნად და გასაგებად ითვალისწინებს დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესაძლებლობას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ კრძალავს ქონების ჩამორთმევას, თუ ა) მიზანი არის საზოგადოებრივი ინტერესი, ბ) გამოყენებული ზომა არის მართლზომიერი (ემყარება კანონს და საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებს, გ) გამოყენებული ზომა მიზნის მიღწევის პროპორციულია, ანუ პირისა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის თანაფარდობა დაცულია[14].

ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით საინტერესო მსჯელობა განავითარა თავის გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მან აღნიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დებულებები ანაზღაურების თაობაზე შეეხება კანონიერი გზით შეძენილ ქონებას, რომლის საკუთრების უფლება დავას არ იწვევს და ვერ გავრცელდება უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რადგან ამ შემთხვევაში ითვლება, რომ სწორედ საკუთრების უფლებაა დავის საგანი და მისი არსებობა ეჭვის ქვეშაა დაყენებული. ამიტომაც არ შეიძლება ჩამორთმევის კონსტიტუციურობის შემოწმება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებით“[15].

ქონების ჩამორთმევის კანონიერებისა და დასაბუთებულობის საკითხს შეეხო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან დაკავშირებით განხილულ საქმეებზე და განმარტა შემდეგი: „სასამართლო აცნობიერებს რა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სირთულეს, მიიჩნევს, რომ ქონება, რომელიც დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგადაა შეძენილი, ამგვარი დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიზნით და სამართლიანი ბალანსის დაცვის ფარგლებში, ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან ჩამორთმევას. კონფისკაცია წარმოადგენს ეფექტურ ღონისძიებას ამგვარ ავთვისებიან წარმონაქმნთან ბრძოლის საქმეში“[16].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა სამართლებრივ სახელმწიფოში მრავალეტაპიანია. აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის მნიშვნელობა იმდენად მასშტაბურ ხასიათს ატარებს, რომ მასში აქტიურად არის ჩართული ხელისუფლების სამივე შტო. უნდა ითქვას, რომ განუსაზღვრელია აღმასრულებელი ხელისუფლების როლი აღნიშნულ საქმეში, განსაკუთრებით ხაზგასასმელია სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებული ეფექტური ღონისძიებები, თუმცა ზემოაღწერილმა კვლევამ ცხადყო, რომ დღეს არსებული შედეგი მიღწეულ იქნა ხე-

[14] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.04.2007 განჩინება, საქმეზე №ას-238-571-07.
[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 13.07.2005 განჩინება, საქმეზე №2/5/309-310-311.
[16] Case of Raimondo vs Italy, Application №1295/87, 22.02.1994.

ლისუფლების სამივე შტოს კოორდინირებული მოქმედების შედეგად, კერძოდ, საუბარია იმ საკანონმდებლო ნორმებზე, რომლებიც მიღებულ იქნა საკანონმდებლო ორგანოს მიერ და ნიშანდობლივია ასევე სასამართლოს საქმიანობაც, რომელმაც ადეკვატური ინტერპრეტაცია მისცა კანონის ნორმებს და სიხლისსამართლებრივი თუ სამოქალაქოსამართლებრივი კუთხით მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა საქართველოში 2003 წლამდე ესოდენ მომძლავრებულ დანაშაულებრივ სინდიკატს[17].

[17] *მესხიშვილი,* „ქურდული სამყაროს წევრობა – დასჯადობა სტატუსისთვის თუ ქმედებისთვის“, თემიდა, №4, 2010.

ISBN 978-9941-8-2099-1